

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
საბაზულო თმის ისტორიის შესწავლელი კომისია

მირონ მოჩიაშვილი

ქართველი პარტიზანები კოდანდიაში

(აგანყვება კუნძულ გუქსელზე)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი—1948

შ ე ს ა მ ა ლ ი

მოწინავე კაცობრიობა საწუღამოდ შემოანახავს გულში უღრმესი მაღლობით აღსავეს გრძნობებს საბჭოთა ხალხისა და მისი შიარაღებული ძალებისადმი, როქელთა თავდადებულსა და გმირულ ბრძოლების შედეგად იგი ფაშისტური მონაობის ბოქკალს ასცდა. ეს ბრწყინვალე გაქარჯება ჰიტლერულ დამპყრობლებზე, პირველ ყოვლისა, მოპოვებულ იქნა იმის განო, რომ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხი დარაზმული იყო ლენინ-სტალინის უქლექელა პარტიის დროშის ქვეშ, მას წინ უქლოდა ბრძენი ბეღადი და გენიალური მხედარობთავარი გენერალისიქუა იოსებ ბესარაონის ძე სტალინი.

ჩვენს გამარჯვებას სამამულო ომში ხელი შეუქყო აგრეთვე შეუპოვარმა სიმამაცემ საბჭოთა პარტიზანებისა, ამ საბალო შურისმგებლებისა, რომლებმაც სამკედრო-სისიაცოცხლო ობი გაუქალეს მომხდურ მტერს დროებით ოქუპირებულ ჩვენს მქობლერ მიწა-წყალზე. საბჭოთა პარტიზანების ტყუა და გაღესილა დაშნა, უზინრად თუ ამქარად, აველგან სწვდენოდა ფაშისტ ავაზაკებს, ათასობით ჟღეჭდა და შიშის ზარს სცემდა მათ.

საბჭოთა კავშირის ხალხთა მამაცი შვილების მხარდამხარ ქართველი პარტიზანები შეუპოვრად ებრძოდნენ ჰიტლერულ ოქუპანტებს უქრაინაში, ბელორუსიაში, ყირიმში, ბრიანსკის ტყეებსა და სხვა რაიონებში.

საბჭოთა კავშირის ორგზის გმირის პარტიზან-გენერლის სიდორ არტემის ძე კოვქაკის სახელგანთქმულ უქრაინის პირველ პარტიზანულ დივიზიაში იბრძოდნენ ქართველი პარტიზანები: დავით ილიას ძე ბაქრაძე, მეტყუიამფრქვევე ივანე რეხვიამჭილი, მხვერავი იასონ ქორქოლიანი და სხვები.

ქართველმა პარტიზანებმა საარაკო გმარობა გამოიჩინეს მტრის ღრმა ზურგში წარმოებულ ბრძოლებში და მოძმე უქრაინელი ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს. აღნიშნულ ქართველ მებრძოლებს „ფაშისტთა რისხვას“ ეძახდნენ კოვქაკის დივიზიაში და ხშირად ანდობდნენ მათ რთული საბრძოლო ოქერაციის შესრულებას.

დივიზიის წარდგენით დ. ბაქრაძე, ი. რეხვიაშვილი და ი. ჯორჯოლიანი საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნენ ორდენებით.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ მტრის ზურგში სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისა და უკრაინაში პარტიზანული მოძრაობის განვითარებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, დავით ილიას ძე ბაქრაძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ქართველმა პარტიზანებმა უცხოეთშიაც ასახელეს დღედაღამ შობლო.

იტალიაში წარმოებული განმათავისუფლებელი ომის დროს, რომელიც მიპართული იყო მუსოლინის სისხლიანი რეჟიმისა და იტალიაში დაბანაკებული გერმანელი ჯარების საწინააღმდეგოდ, გააფთრებით იბრძოდნენ სამასი ათასი გარიბალდელი და სხვა პარტიზანული დანაყოფები. ჩრდილო იტალიაში არსებული საკონცენტრაციო ბანაკებიდან რამდენიმე ასეული ქართველი სამხედრო ტყვე გაიქცა, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი დროშის ქვეშ დადგა და იბრძოდა იტალიელ პარტიზანებთან ერთად.

ქართველი პარტიზანები აფეთქებდნენ ხიდებს, სამხედრო მნიშვნელობის ქარხნებსა და რკინიგზებს და ამსხვრევდნენ ჯარებიანთა და სამხედრო საკურვლით დატვირთულ ეშელონებს. იტალიაში მოქმედ ქართველ პარტიზანთა ცალკეული ჯგუფები თავს ესხმოდნენ სამხედრო საწყობებს, იარაღსა და საკურველს იტაკებდნენ და გარიბალდელებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს რიგი ქალაქების დაპყრობაში; მათ ისე გაითქვეს სახელი, რომ ყოველი ახალი ბრძოლის გადახდის შემდეგ მცხოვრებლები აღფრთოვანებული შეძახილებით ხედებოდნენ მათ: ქართველებს გაუმარჯოსო! ფაშისტი ხელისუფალნი დიდძალ ფულს ჰპირდებოდნენ მათ, ვინც ხელში ჩაუვდებოდა ქართველ პარტიზანებს, მაგრამ ეს მზაკვრული მოწოდება უშედეგოდ რჩებოდა.

ცნობილია აგრეთვე, რომ იტალიელი ხალხის ჯალათის მუსოლინის დაპატიმრებასა და სიკვდილით დასჯაში ქართველებიც იღებდნენ მონაწილეობას.

საბრაკო გმირობა ჩაიდინეს ქართველმა პარტიზანებმა სახერანგეთშიაც. მგზნებარე ფრანგ პატროტებთან ერთად გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ საფრანგეთში იბრძოდა ბანაკებიდან გაქ-

ქველ ქართველ სამხედრო ტყვეთა რამდენიმე დანაკოფა: მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს სამხრეთ საფრანგეთის ქალაქების გაოკრსა, ალბას, კასტრესისა და სხვა მნიშვნელოვანი ადგილების გერმანელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლების საქმეში და ფრანგი ხალხის აღტაცება და სიყვარული დაიმსახურეს¹.

ქართველი პარტიზანების სახელოვანი ბრძოლების შესახებ გერმანელი ოკუპანტების ზურგში, მტრის მიერ დროებითი ოკუპირებულ ჩვენს ტერიტორიაზე და უცხოეთში საქმაოდ ვრცელი და ძვირფასი მასალები მოიპოვება, მაგრამ ამ ჯერად ჩვენი ნაშრომის მიზანია გავაშუქოთ ქართველი სამხედრო ტყვეების პარტიზანული ბრძოლის ისტორია ჰოლანდიაში.

ქართველი სამხედრო ტყვეების კუნძულ ტექსელზე აჯანყების ამბავი პირველად ცნობილი გახდა გაზეთ „Правда“-ში გამოქვეყნებული დოკუმენტიდან: „К вопросу о положении советских военнопленных, освобожденных английскими войсками“.² *სურათი № 11*

საქმის ვითარება ასეთი იყო: დიდი ბრიტანეთის ელჩის საბჭოთა კავშირში სერ არჩიბალდ კერის თხოვნით საბჭოთა პრესაში გამოქვეყნდა ინგლისის მთავრობის უპორტფელო მინისტრის რიჩარდ ლოუს მიერ თემთა პალატაში 1945 წლის 2 მაისს გაკეთებული განცხადება, დაკავშირებული სსრკ მინისტრთა საბჭოს რწმუნებულის სარეპატრიაციო საქმეებში გენერალ-პოლკოვნიკ ფ. გოლიკოვის 1945 წლის 30 აპრილის ინტერვიუსთან.

რიჩარდ ლოუს საპასუხოდ გენ.-პოლკოვნიკმა გოლიკოვმა კვლავ გადასცა საკავშირო დებეშათა სააგენტოს ფაქტობრივი ცნობა, რომელშიაც აღნიშნა, რომ მოკავშირე დიდი ბრიტანეთის მთავრობის სარეპატრიაციო ორგანოები არ იჩენენ გულისხმიერ დამოკიდებულებას საბჭოთა სამხედრო ტყვეებისადმი და ამავე დროს დაბრკოლებებს უქმნიან მათ სამშობლოში დაბრუნებისასო.

აღნიშნული პასუხის მე-2 ნაწილის მე-3 მუხლი მთლიანად შეეხება საბჭოთა სამხედრო ტყვეების აჯანყებას გერმანელ ოკუპანტების წინააღმდეგ ჰოლანდიაში, კუნძულ ტექსელზე. გენერალ-პოლ-

¹ ცნობები ქართველი პარტიზანების ბრძოლის შესახებ იტალიისა და საფრანგეთში მატანილია საქ. მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ სამამულო ომის ისტორიის შემსწ. კომისიაში დაცულ ფონდში № 7.

² გაზ. „Правда“, № 134, 6 ივნისი, 1945 წ. უფრო გვიან ეს დოკუმენტი შეტანილია წიგნში: „Внешняя политика Советского Союза в период Отечественной войны“ ტ. III, გვ. 285-292, 1947 წ.

კონიკი ფ. გოლიკოვი, აღწერდა რა სამხედრო ტყვეთა ათასეულის მდგარ ბრძოლას, დასძინდა, რომ აჯანყებულებმა ამოწყვიტეს გერმანელთა გარნიზონი ტექსელზე და შეუპოვარი ბრძოლების შექმნე მთლიანად დაიკავეს კუნძულის ტერიტორია. ამასთანავე ფ. გოლიკოვი იმოწმებდა პოლანდიის სააგენტო „ანეტას“ 1945 წლის 17 მაისის № 33 ბიულიტენის ცნობას, რომელიც აგრეთვე ადასტურებდა კუნძულ ტექსელის აღებას საბჭოთა მეომრების მიერ, მათ გმირობას და ერ.ი თვის განმავლობაში გააფთვებული უთანასწორო ბრძოლის წარმოებას კუნძულზე გადმოსხმულ გერმანელთა დეანტების წინააღმდეგ.

გენერალ-პოლკოვნიკი ფ. გოლიკოვი ცნობაში აღნიშნავდა აგრეთვე, რომ აჯანყებულთა ათასეულის მეთაურობამ ინგლისში 4 კაცი გაგზავნა და ითხოვდა მოკავშირეთა დახმარებას კუნძულ ტექსელის შენარჩუნებისა და გერმანელთა დესანტების მოსაგერიებლად. გაგზავნილმა მებრძოლებმა ნაწილად გადაცურეს პადეკალეს სრუტე და მიაღწიეს ინგლისის სანაპიროებს, მაგრამ იქ ისინი, ნაცვლად დახმარებისა, დააპატიმრეს ინგლისის მთავრობის შესვეურებმა, შემდგომ კი საბჭოთა წარმომადგენლობას გადასცეს, ხოლო კუნძულზე აჯანყებულ საბჭოთა სამხედრო ტყვეებისათვის ინგლისელებს არავითარი დახმარება არ გაუწევიათ.

აქვე მოვიტანთ გენ.-პოლკოვნიკ გოლიკოვის მიერ გადაცემული ფაქტობრივი ცნობის მე-3 მუხლს: „12-го апреля более тысячи советских военнопленных, находившихся на голландском острове Тексель, восстали, перебили немецкий гарнизон и после упорных боев с прибывшим к острову немецким подкреплением овладели целиком территорией этого острова. Для закрепления своих успехов командованием восставшего отряда 17-го апреля были посланы в Англию через пролив Па-де-Кале 4 человека с просьбой об оказании помощи. Эти люди: Каркашадзе, Рехвиашвили, Гавашли и др. добравшись на лодке до берегов Англии, были задержаны и впоследствии переданы нашим представителям, а помощи отряду оказано не было. Бюллетень голландского агентства „Анета“, № 33 от 17-го мая, подтверждает героическую борьбу этого отряда на острове, длившуюся в течение месяца в одиночестве. Только голландский „внутренний фронт сопротивления“ пытался оказать помощь

путем посылки небольших подкреплений, действия которых успеха не имели“.

ნასეთი იყო პირველი ცნობა ტექსელზე მომხდარი აჯანყებისა და მასში მონაწილეთა მძიმე ხვედრის შესახებ, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო გამორკვეული, რომ სახელდობრ ქართველ სამხედრო ტყვეთა მიერ იყო მოწყობილი ეს აჯანყება.

ომის დამთავრების შემდეგ, 1945 წლის სექტემბერში, საქართველოდან დასავლეთ ევროპაში ზემდგომი ორგანოების მიერ მივლინებულმა ოფიციალურმა პირებმა ინახულეს გერმანიაში ქართული ბატალიონის მებრძოლები, რომლებიც ჰოლანდიიდან სამშობლოში მოემგზავრებოდნენ, და ხელი შეუწყვეს მათ საქართველოში დაბრუნებას, ამასთანავე ჩაიბარეს ხსენებული ბატალიონის შტაბის არქივი და თბილისში ჩამოიტანეს.]

ამ არქივში დაცული საკმაოდ ვრცელი და მდიდარი მასალების შესწავლამ, ქართული ბატალიონის გადარჩენილი მეთაურებისა და მებრძოლების დაბრუნებამ სამშობლოში და მათთან პირადად დაკავშირებამ შესაძლებლობა მოგვცა აღგვედგინა ქართული სამხედრო ტყვეების ჰოლანდიაში მოხვედრის, იქ პარტიზანულ მოძრაობაში მათი ხანგრძლივი მონაწილეობისა და შემდგომ კუნძულ ტექსელზე მოწყობილი აჯანყების მთლიანი სურათი.

სასიამოვნო მოვალეობად ვთვლით უღრმესი მადლობა ვუძღვნათ გენერალ-ლეიტენანტ შალვა ოთარის ძე წერეთელს, რომელმაც დიდი დახმარება აღმოგვიჩინა და სათანადო პირობები შეგვიქმნა, რომ გვესარგებლა მათ განკარგულებაში მყოფი საარქივო მასალებით.

დიდ მადლობას ვუძღვნით აგრეთვე პოდპოლკოვნიკ პარმენ შერმაზანის ძე ხუბერაშვილს, რომელიც დახმარებას გვიწევდა თემასთან დაკავშირებული მასალების მოწოდებით და მრავალი საყურადღებო ცნობა გადმოგვცა ტექსელზე მომხდარი აჯანყების რთული ვითარების ირგვლივ, ასევე მადლობას ვუძღვნით პოდპოლკოვნიკ ნიკოლოზ იოსების ძე ყრუაშვილს.

ცალკეული საჯარისო დანაყოფების შედგენა სამხედრო ტყვეთაგან

პიტლერელ ავახაყებს იმედები არ გაუშართლდათ, ვერ მოახრეეინეს ქედი საბჭოთა ხალხებს, „ელვისებური“ ომის მაგიერად ხანგრძლივისა და გამანადგურებელ წინააღმდეგობას წააწყდნენ აღმოსავლეთის ფრონტზე. დღითი-დღე თხელდებოდა თაშისტური არმიების რიგები ფრონტალურ და პარტიზანულ ბრძოლებში.

1942 წლის ბოლოს გერმანელებმა თავისი შერყეული მდგომარეობის განსამტკიცებლად, სხვა მრავალი ლონისძიების გატარებასთან ერთად, დაიწყეს ცალკეული დანაყოფების შექმნა სხვადასხვა ეროვნების საბჭოთა სამხედრო ტყვეებისაგან. ისინი ფიქრობდნენ, რომ ამით გატეხდნენ სსრკ ხალხთა ერთიანობას, მაგრამ თაშისტმა არამზადებმა ვერ შეძლეს საბჭოთა ხალხების ერთსულოვნებისა და მტკიცე თანამეგობრობის შერყევა.

სსრ კავშირის დროებით ოკუპირებულ ადგილებში, პოლონეთის, რუმინეთის, უნგრეთისა და თვით გერმანიის ტერიტორიაზე არსებულ ტყვეთა ბანაკებიდან ქართველებიც შეაგროვეს, მიიყვანეს ისინი დაბა კრუშინაში (პოლონეთი), ქალაქ რადომის ახლოს, და ქართველ სამხედრო ტყვეთაგან შეადგინეს დანაყოფი, რომელსაც „ქართული ბატალიონი“ უწოდეს. ბატალიონს ასრულებინებდნენ სხვადასხვა სამუშაოსა და დავალებებს. ქართული განაერთის ჩამოყალიბების ეს ორგანიზაციული პერიოდი 1942 წლის დამლევადან 1943 წლის გაზაფხულამდე გრძელდებოდა. ქართველებისაგან შემდგარ ბატალიონში მეთაურებად და მეკვალეპურებად გერმანელი ოფიცრები და ჯარისკაცები იყვნენ. ისინი დაახლოებით ამ დანაყოფის ერთ მესამედს შეადგენდნენ. მართალია, ბატალიონში რამდენიმე ქართველი მეთაურიც ირიცხებოდა, მაგრამ ისინი სრულიად უუფლე-

ბონი იყვნენ და გერმანელი ოფიცრების სასტიკი კონტროლის ქვეშ მუშაობდნენ.

უჩიბემს ვითარებაში აღმოჩნდნენ ქარხველი ტყვე ჯარისკაცები. იმის შეგნება, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა მოსისხლე მტრის დანაყოფში იმყოფებოდნენ, აუშერელ გულისტკივილსა და აღშფოთებას ჰგვრიდა მათ. საჭირო იყო გამოსავალის პოვნა ამ სამარცხვინო მდგომარეობიდან და საბჭოთა მეომრის პრესტიჟის აღდგენა.

ცოტა მოსულიერდნენ და ფეხზე დადგნენ თუ არა, ქართველმა ტყვეებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავისი გულისტკივილი და დაიწყეს ფრთხილად მოქმედება.

კონსპირაციული მუშაობა ქართულ ბატალიონში დაიწყო სხვაზე აღრე იქ მიყვანილმა ჯგუფმა ქარცხიასა და ბარამიძის ხელმძღვანელობით. მალე ბატალიონმა მოახერხა კავშირის დამყარება პოლონელ პარტიზანებთან.

პოლონელი პარტიზანები იარაღითა და ამუნიციით მომარაგებას საჭიროებდნენ, რაც დროულიდ იქნა გათვალისწინებული. დაიწყო კრუშინის ბანაკში სამხედრო საწყობების გატეხა და იარაღისა და ტანსაცმლების იქიდან გატანა. განდობილი ქართველი ჯარისკაცები სათითაოდ იპარებოდნენ ტყეში და თან მიჰქონდათ იარაღი. იყო შემთხვევები ქართული ბატალიონის ზოგჯერ ითვლის მთლიანად გადასვლისა პოლონელი პარტიზანების მხარეზე; მათ თან მიჰქონდათ საგრძნობი რაოდენობის იარაღი და ფეთქებადი ნივთიერებანი. რამდენიმე პატარა ჯგუფმა მოახერხა ფრონტის წინა ხაზებამდე მიღწევა, ნაწილმა შეძლო პოლონელი პარტიზანების ნეშეობით ბრიანსკის ტყეებისაკენ გზის გაკაფვა და შეუერთდა იქ მოქმედ საბჭოთა პარტიზანების ძლიერ რაზმებს.

ეს ამბები შეუმჩნეველი როდი დარჩენიათ ჰიტლერელ არამზადებს, ისინი დიდ საგონებელში ჩავარდნენ და გამხეცებულნი რას არ ჩადიოდნენ. დახკრეტა, გაწყვეტა, შიმშილით სიკვდილი სარდაფის ჯურღმულებში, კვლავ სასიკვდილო ბანაკებში დაბრუნება და სხვა სასჯელის გამოყენება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ბატალიონში.

1943 წლის დასაწყისში ხმა გავრცელდა: ქართველებისაგან შემდგარი ერთი რაზმი, კაპიტან ჭიჭინაძის ხელმძღვანელობით, გერმანელებმა აღმოსავლეთის ფრონტზე საბჭოთა არმიის წინააღმდეგ წაიყვანეს და უნდა ეომებინათო. კაპიტანმა ჭიჭინაძემ ბრძოლაში ჩაბმადის შეძლო საბჭოთა ჯარის სარდლობასთან კავშირის

დამყარება. მისი ასეული ღამით მოულოდნელად აჯანყდა, ამოწყვიტა დანაყოფში მყოფი გერმანელი ოთარები და ჯარისკაცები. გაარღვია ფრონტის ხაზი და საბჭოთა არმიას შეუერთდა¹. კაპიტან ჭიჭინაძის შესახებ ბატალიონში გავრცელებულმა ხმებმა დიდად აღაფრთოვანა კრუშინაში მყოფი ქართველი ტყვე ჯარისკაცები და იმედი აღუქრა გულში, რომ ისინიც მოახერხებდნენ რაიმე გზით მტრის ხელიდან გასხლტომას და სასტიკად იძიებდნენ შერს ფაშის ცეცხლებზე

ესეულ ხასიათზე დააყენა გერმანელები საწყობების სისტემატუ-მა გატეხამ, ბანაკიდან ტყვე ჯარისკაცების თითქმის ყოველდღიურმა გაქცევამ და განსაკუთრებით კაპიტან ჭიჭინაძის შესახებ გავრცელებულმა ხმებმა. ბატალიონში უქკაცრესი სამხედრო წესები დამყარდა. გერმანელებმა მოაშველეს ესეულთა პოლკის ჯაშუშები და რისხვა დაატეხეს თავზე ქართველ ჯარისკაცებს. მათ უნდოდათ მთლიანად გაენადგურებინათ ათასეული ან სასიკვდილო ბანაკებში გაეგზავნათ. მაგრამ გადაწყვეტილება შეცვალეს, რადგან გერმანელებს ამ დროს ძლიერ ესაჭიროებოდათ ზედმეტი მუშაველი და სხვა აზრს დააღვინენ. სარწმუნდნენ რა, რომ აღმოსავლეთის ფრონტზე ქართველები არ გამოდგებოდნენ და კრუშინაში მათი დატოვებაც სახიფათო იყო, გადაწყვიტეს შოიულ ქვეყანაში წაეყვანათ ისინი, სადაც ენის უცოდინარობა მათ ხელს შეუშლიდა იქაურ მოსახლეობასთან დაახლოებაში და მუშეხად მაინც გაპოიყენებდნენ მათ. ამასთანავე გერმანელებმა ეცვი აიღეს, რომ ქარცხია და ბარამიძე ხელმძღვანელობას უწევდნენ ქართველებს კონსპირაციულ მუშაობაში და დააპატიმრეს ისინი. კრუშინაში ხმები დადიოდა ქარცხია და ბარამიძე დახვრიტესო, ზოგი კი ამბობდა სასიკვდილოდ განწირულთა ბანაკში გაგზავნეს და იქაღან გაქცეულანო. მაგრამ ზუსტი ცნობები მათ შესახებ არაეის ჰქონდა.

1943 წლის ზაფხულის დამლევეს გერმანელებმა ქართული ბატალიონი კრუშინიდან აყარეს და დასავლეთ ევროპისაკენ ნაწილ-ნაწილ გაგზავნეს. თავდაპირველად ქართული დანაყოფი საფრანგეთში ჩაიყვანეს, ქალაქ ლეონში (ესპანეთის ჩრდილო-დასავლეთის საზღვართან), და მისი იქ დატოვება სურდათ.

ლეონში ჩასვლისას ბატალიონის მეთაურმა იოსტმა ასეთი სიტყვებით მიმართა ქართველ სამხედრო ტყვეებს: «ეს უკანასკნელი

¹ ქართული ბატალიონის კარტბიურის მდივნის ე. არტემიძის მიერ პართულ კრებაზე გაკეთებული მოახეხებიდან. საბ. № 8, გვ. 1.

გავრთხილებათ თქვენთვის; ხომ ხედავთ, ახლა რამდენიმე ათასი კილომეტრით ხართ დაცილებული თქვენს ქვეყანას და ვერც პარტიზანებს დაუკავშირდებით. გაფრთხილებთ და გირჩევთ გონიერება გამოიჩინოთ, თორემ ტყუიის ღირსადაც კი არ გაგხდით და ყველას ძელებზე ჩამოგკიდებთ“. ერთი თვის შემდეგ ქართული ბატალიონი საფრანგეთიდანაც გაიყვანეს, ჰოლანდიაში გაგზავნეს ქ. ზანდფორტში და ზღვის პირად დააბანაკეს.

ქართველების ჩაყვანა ჰოლანდიაში ძირითადად 1943 წლის ოქტომბერში დამთავრდა. მათი რიცხვი ამ დროს 700 კაცს აღემატებოდა; ამავე წლის დეკემბერში ზანდფორტში კიდევ ჩაიყვანეს 88 სამხედრო ქაროველი ტყვე. გერმანელებმა წინასწარი ზოგები მიიღეს, რათა თავიდან აეცილებინათ ქართველი სამხედრო ტყვეების ჰოლანდიის მოსახლეობასთან დაახლოება და ხალხში გაავრცელეს ხმა: ბატალიონში კაციქამია, ველური კავკასიელებია, ისინი ძლიერ საშიშნი არიან და ახლოს არავინ გაეკაროთო. ბატალიონის მეთაური იოსტი კვლავ დაეზუქრა ქართველებს და სასტიკად აუკრძალა მოსახლეობასთან ურთიერთობა.

გერმანელებმა ბატალიონს ზღვის სანაპიროს დაცვა დაავალეს რამდენიმე ათეული კილომეტრის მანძილზე და უპრძანეს არ დაეშვათ მოკავშირეთა დესანტების ხმელეთზე გადმოსხმა; ამასთანავე დანაყოფის ჯარისკაცებს ასრულებებანებდნენ სასანგრო სამუშაოება, საყარაულო სამსახურს და სხვა.

ქართული ბატალიონის უმადგენლობა და საქმიანობა ზანდფორტის შოფნის დროს

1943 წლის დამლევს ზანდფორტში ყოფნის დროს ქართულ ბატალიონში 1200 კაცი ითვლებოდა; იგი ნარევ დანაყოფა წარმოადგენდა, 800-მდე ქართველისა და 40) გერმანელისაგან შედგებოდა. ბატალიონს ჩამოყალიბების დღიდან ზანდფორტში ჩასვლამდე გერმანელი ოფიცერი იოსტი მეთაურობდა, შემდეგ კი მეთაურად მაიორი ბრაიტნერი დაინიშნა; ეს ოჯაყრები ტიპური ჰიტლერელები იყვნენ, გაიძვერანი და უღმობელნი. ათასეულის მწყობრს მხოლოდ ქარაველები შეადგენდნენ, გერმანელები კი მწყობრში არ დგებოდნენ და ზედამხედველებად იყვნენ მიჩნეული. ბატალიონის უმადგენლობას ამუშავებდნენ მესანგრეებად, გზების შეკეთებაზე, სანაპიროს დაცვასა და შენიღბვაზე და სხვა. ნაწილი

ქართელი სახელრო ტყეებისა გამოყენებული იყო საყარაულოებისა და საწყობების გეშაგებად და ზოკჯერ ძეკუქნავეებადაც.

თუ გავითვალისწინებთ იმ უბედურებას, რაც ჰიტლერულმა გერმანიამ მოუტანა ევროპის ხალხებს და მათთან ერთად ჰოლანდიელებს, გასაგები იქნება ის სიძულვილი და შიში, რასაც თავდაპირველად იჩენდა ადგილობრივი მოსახლეობა გერმანულ ფარაჯაში გახვეული ახალბოსული ნაწილებისადმი. დაძაბული ურთიერთობა მოსახლეობასთან მის შემდეგაც კი არ შეწყვეტილა, როდესაც გამოიჩქვა, რომ ქართველები საბჭოთა სანხედრო ტყეები იყენენ. ამის მიზეზი ის იყო, რომ ქართული ბაზალიონის ბანაკს გარშემო ცბოვრობდნენ კათოლიკური რელიგიის ჯერ კიდევ მტკიცედ მიძღვევარი შეღარებით ჩამორჩენილი პირები და ხანგრძლივი დროის განმავლობაში კათოლიკური სამღვდღლოების მხაკვრულმა პროპაგანდამ სათანადო დალი დააჩინა მით.

ცბიერი „ეკლესიის თავადის“, რომის პაპის, შთავონებითა და წაქეზებით კათოლიკე მღვდელმსახურნი (იეზუიტები) ჰოლანდიელ რეპტციონერებთან ერთად გააფთარებულ ავითაციას ეწეოდნენ მოსახლეობაში კონუნისტების წინააღმდეგ საერთოდ, ხოლო საბჭოთა სანხედრო ტყეებს ხომ კონუნისტებად თელიდნენ და სასტიკად უქრძალავდნენ ადგილობრივ მკვიდრთ საბჭოთა ადამიანებთან ურთიერთობას; მაგრამ იეზუიტების ამ წრეგადასულმა ავითაციამ წინაც ვერ გაპრა ბოლომდე, დრომ თავისი გააკეთა.

ქართველებთან ერთად ხშირად ადგილობრივი მცხოვრებლებიც გამოჰყავდათ სამუშაოდ; სწორედ აქ მოხდა, გულთბილი ურთიერთობის შედეგად, ქართველების დაახლოება ჰოლანდიელებთან. ადგილობრივ მუშებში ერიენენ ხანში შესული მეზღვაურები, მეთევზეები და სხვანი, რომელთაც თითო-ოროლა რუსული სიტყვა შეესწავლათ თავიანთი მოგზაურობის დროს რუსეთის ნავსადგურებში; ამ ურთიერთობისას ქართველებმაც ცოტაოდნად აითვისეს ჰოლანდიური ენა და მოიცილებდნენ თუ არა თავადან მამუზღარა გერმანელ მეთვალკურე ჯარისკაცებს, მაშინვე გაუბამდნენ მცოვრებლებს საუბარს. ამის შემდეგ იშვიათი შემთხვევა როდი იყო, რომ ჰოლანდიელები ფარულად სახლშიც კი იწვევდნენ ტყვე ქართველ ჯარისკაცებს. უფრო ადვილად მოზარდები და ბავშვები დაუახლოვდნენ ქართველებს და ხშირად ესტუმრებოდნენ მათ, ასე რომ უნდობლობის ყინული თანდათან გალღვა ქართველებსა და ჰოლანდიელებს შორის. მაგრამ ამაზე შორს წასვლა ადგილობრივ მცხოვრებლებთან ურთიერთობაში ჯერჯერობით ძლიერ სახიფათო იყო.

რადგან მოსახლეობაში ყველგან დაძრწოდნენ ესესელი არამხადები და სამშობლოს მოლაღატე პროჟაჟისტიური ელემენტები ადგილობრივი მოსახლეობიდან, — ჰოლანდიელი კვასლინგელები. ამასთანავე ბატალიონის მებრძოლებზედაც იყო მიჩენილი რამდენიმე ქართველი ემიგრანტი და სამხედრო ტყვე, რომელნიც გადაუდგნენ თავის ქვეყანას პირადი ანგარების ნიადაგზე და ანტისაბჭოურ პროპაგანდასა და ჯაშუშურ საქმიანობას ეწეოდნენ.

ზანდფორტში ყოფნისას 40-მდე ქართველ ჯარისკაცს დაედო, ჯაშუშების დაბეჭდების გამო, მკაცრა დისციპლინარული სასჯელი; ისინი გეომანელებმა ბატალიონმა მოაცილეს, ზოგი ჰოლანდიის სხვა ქალაქებში გაგზავნეს მძიმე სამუშაოებზე, ნაწილი კი დევსასიკედilloდ განწირულ ტყვეთა ბანაკებში მოათავსეს.

ნიდეკლანდების კომუნისტური პარტიასთან დაკავშირება და არალეგალურ-პარტიზანული მუშაობის გაშლა ბატალიონში

უფერული და მომაბეზრებელი იყო ქართველი ტყვე ჯარისკაცების ცხოვრება ზანდფორტში. სამშობლოზე სედიანობა და მტრისადმი ზიზი თანდათან ღრმავდებოდა. დიდი იყო ჰიტლერელ არამხადებთან ანგარიშის გასწორების სურვილი, მაგრამ ამ მწვავე გრძობას ჯერჯერობით გულში ინახავდა თითოეული და გამოსავალს ეძებდა.

ასევე მტკივნეულად განიცდიდა საერთო ქირ-ვარამს ახალგაზრდა მანგლისელი კოლმეურნე, კომკავშირელი ევგენი არტემიძეც; სახლში მან ქვრივი დედა და ძმისწულები დატოვა, მისი ოთხი ძმა საზამულო ომში გაიწვიეს იმთავითვე და ოჯახი მოხუცი დედისა და წერილშილიანი რძლების ამარა დარჩა. ფიქრი იმაზე, თუ რა ბედი ეწიათ ძმებს, ოჯახს, ახლობლებსა და მეგობრებს, ბოლმას ჰპარებდა და არ ასვენებდა დღისითა და ღამით. და ან თვითონ რას წარმოადგენს დღეს იგი? — უსიტყვო მონას საძულელი მტრის ტყვეობაში! სამშობლო, გმირი საბჭოთა ჯარები სადაცაა პასუხს აგებინებენ ჰიტლერელ ავაზაკებს მათ მიერ ჩადენილი საშინელი ბოროტმოქმედებისათვის და საბოლოოდ გაანადგურებენ გერმანელებს... ამ დიდ და წმინდა საქმეში რა ევალება მას? ნუთუ საკმარისია ის, რაც მან ომის პირველ წლებში გააკეთა: იბრძოლა, დაიჭრა... განა ამით უნდა დაკმაყოფილდეს. გულხელდაკრფილი და მორჩილი უნდა იყოს დღეს იგი და დამშვიდებით უცქიროს მოვლენათა განვითარებას?

დღევანდის მიწურული იყო. ევგენი არტემიძე ზღვის პირას გაეჯანთ და თბილისს აღებანებდნენ. მან შეამჩნია მისთვის მომავალი გერმანელი მეოჯალურე და თვალის ასახევედ ბარი უხშირა მიწას. გერმანელი თავს დაადკა, შეაქო და უთხრა: „გადამეცე შენს მეოჯალს, რომ დღეს ქალაქში გაგიშვას ამ მუყაითობისათვის“ და გასცალდა. ხერხა გ.კრა. სიხარულით ცას ეწია ევგენი, იმ საღამოსვე ქალაქში წავიდა და თან ქალაქში გახვეული გასარეცხი საცულები წაიღო.

სარეცხის მიბარებას მომიხეზებით ე. არტემიძემ რანდენიზე ოჯახის დათვლიერება შეძლო, მაგრამ არსად გული არ დაუდგა. ბოლოს ერთ ოჯახში შევიდა და, მიუხედავად ცივი და უგულო შეხვედრისა მასპინძლის მხრივ, მეტი სითბო ამ ოჯახისადმი იგრძნო და თ ვახიანი თბონით სარეცხი მიაღებინა. ეს იყო წყლის კანალიზაციის მოპუშავე ხელოსანი ვან-ლემერენის ოჯახი. იქ რანდენი მიუჯერ მისვლას შემდეგ ე. არტემიძემ გამოარკვია, რომ ვან-ლემერენი გერმანელების წინააღმდეგ არალეგალურად მოპუშავე ჰოლანდიელი პატრიოტია, და ამის შემდეგ მტკიცედ დაუკავშირდა მას.

ვან-ლემერენმა ბევრა საინტერესო ცნობა ნიჭოდა ე. არტემიძეს ჰოლანდიის პატრიოტთა არალეგალურ მუშაობაზე ქვეყნის შიგნით და სთხოვა მას, რაიმე გზით ნოეხერხებინა იარაღისა და სურსათის მიწოდება ჰოლანდიელი პარტიზანებისათვის, რომლებიც ამ მხრივ დიდ გაქირებებას განიცდიდნენ.

დაბრუნდა თუ არა ნაწილში, ე. არტემიძემ ზოიხმო თავისი ერთგული მეგობრები: სერგო გუჯაბიძე, იაკიძე ჯანჯღავა, შალვა ნოზაძე, მამია ჰაჭკორია, ვარლამ ებრაღიძე, და გაანდო მათ ვან-ლემერენთან შეხვედრის ამბავი. მეგობრების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მათ სიკაცხლეს მიზანი მიეცა და გადაწვეიტეს, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, ბოლომდე მიეყვანათ დაწვებული დიდი საქმე. შალვა ნოზაძეს, ვარლამ ებრაღიძესა და კოსტა გოიბეეს, რომლებიც გერმანელების საწყობებში მუშაობდნენ, დაევალა გამოეცანათ იარაღი და სურსათი და საიდუმლო ადგილზე შეენახათ ჰოლანდიელი პარტიზანებისათვის გადასაცემად, რაც დაუყოვნებლივ შესრულდა. ამის შემდეგ ე. არტემიძემ სამჯერ მიიტანა იარაღი და გადასცა ბინაზე ვან-ლემერენს ზოგჯერ თვითონ ვან-ლემერენი მიდიოდა მიჩნეულ ადგილზე და იქიდან მიჰქონდა იარაღი და სურსათი.

1941 წლის იანვრი: ბოლოს ე. არტემიძე და ნ. მიქიაშვილი ქ. პარლემში წაიყვანა ვან-ლემერენმა და მოუწყო მათ

შეხვედრა ნიდერლანდების კომუნისტური პარტიის ჰარლემის პარტი-
რაიკომის მდივან ანი კლაინსა და სხვა პატრიოტული ორგა-
ნიზაციების წარმომადგენლებთან.

შეხვედრა მოეწყო კონსპირაციულ ბინაზე, ერთ-ერთი კაფე-
რესტორანის ზემო სართულში. ამ შეხვედრას ანი კლაინის გარდა
დაესწრნენ ჰოლანდიის დემოკრატიული ფრონტის სხვა პარტიებისა
და პატრიოტულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაციის წარმომადგენ-
ლები — 13 კაცი.

ე. არტემიძემ ბატალიონის ვითარება გააცნო ჰოლანდიელ
პატრიოტებს და ფარულ კრებაზე დამსწრეთ სთხოვა კავშირის დამ-
ყარება ქართულ ბატალიონთან, რომელიც გვერდში ამოუდგებოდა
მათ გერმანელ ოკუპანტებთან ბრძოლაში. კრებაზე დამსწრე ჰოლან-
დიელი პატრიოტები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ე. არტემიძის
წინადადებას და შეპირდნენ თავიანთ ორგანიზაციებში გაერთიანე-
ბას იმ შემთხვევაში, თუ ბატალიონი განაგრძობდა პარტიზანების
იარაღით მომარაგებას და საქმით დაუმტკიცებდა თავის ერთგულე-
ბას ჰოლანდიის წინააღმდეგობის ფრონტის მესვეურებს. ამის შემ-
დეგ გერმანელების წინააღმდეგ არალეგალურად მომუშავეთა რიც-
ხვი სწრაფად იზრდებოდა ქართულ ბატალიონში და ჰოლანდიელე-
ბისათვის იარაღისა და სურსათის მიწოდებამაჲ უფრო ორგანიზე-
ბული და სისტემატური ხასიათი მიიღო.

თებერვლის შუა რიცხვებში არალეგალურმა მუშაობამ ბატა-
ლიონში მტკიცედ მოიდგა ფეხი. საქმე რთულდებოდა და საჭირო
შეიქნა ისეთი სამხედრო გამოცდილების მქონე სანდო მეთაურის
შერჩევა, რომელიც მოამზადებდა ბატალიონს მტრის წინააღმდეგ
ასაჯანყებლად.

ასეთ პირად არალეგალურად მოპოუშევი საინიციატივო ჯგუფ-
მა მიიჩნია ბატალიონშივე მყოფი ქართველი სამხედრო ტყვე ოფი-
ცერი კაპიტანი შალვა ლოლაძე, რომელმაც ჯერ კიდევ კრუ-
შინაში (პოლონეთი) დაიმსახურა ამხანაგების სიყვარული და პატი-
ვისცემა; ამავე დროს საინიციატივო ჯგუფის წევრი შ. ნოზაძე,
რომელიც საშუალო სკოლაში ლოლაძესთან ერთად სწავლობდა
თბილისში, კარგად იცნობდა მას და ახასიათებდა როგორც საუ-
კეთესო ამხანაგსა და თავდადებულ მუშაკს.

მიღებულ იქნა აგრეთვე გადაწყვეტილება არალეგალურ მუ-
შაობაში, სამხედრო ხელმძღვანელობის ხაზით, ნოე გონგლაძის
ჩაბმის შესახებ.



შალვა ლოლაძე
ქართული ბატალიონის მეთაური (მოკლულ იქნა
ტექსელზე წარუებული ბრძოლების დროს)

2. ქართველი პარტიზანები ჰოლანდიაში.

ე. არტემიძეს დიდხანს არ დაუყოვნებია საქმის მოგვარება, დაუკავშირდა კაპიტან შ. ლოლაძეს და გაუზიარა რა თავისი განზრახვა, სთხოვა ეკისრა ქართული ბატალიონის სამხედრო ხელმძღვანელობა და არალეგალურ მუშაობაში ჩაბმა; შ. ლოლაძემ პირველ შეხვედრისას საკურო სიფრთხილე გამოიჩინა, რადგან ჯერ კიდევ კარგად არ იცნობდა საქმის ვითარებას და არც არტემიძესთან იყო დაახლოებული იმდენად, რომ ადვილად ნდობოდა მას: მან თანხმობაზე თავი შეიკავა.

რამდენიმე დღის შემდეგ შ. ლოლაძემ ინახულა ე. არტემიძე, დაწვრილებით ესაუბრა მას და სრული თანხმობა განუცხადა არალეგალურ მუშაობაში ჩაბმაზე. შ. ლოლაძისა და ნ. გონგლაძის შემოერთების შემდეგ არალეგალურ მუშაობას ქართულ ბატალიონში უფრო ორგანიზებული ხასიათი მიეცა.

ამ დროიდან არალეგალურმა ხელმძღვანელობამ პირობითად ბატალიონს „არალეგალურ-პარტიზანული № 822 ქართული ბატალიონი“ უწოდა. ამ ახალი სახელწოდებით იქნა იგი რეგისტრირებული ჰოლანდიის კომუნისტური პარტიისა და წინააღმდეგობის საბჭოს მიერ.

არალეგალური ბატალიონის მეთაურად კაპიტანი შალვა ლოლაძე დაინიშნა.

ბატალიონში ჩამოყალიბებული ორგანიზაცია უაღრესად კონსპირაციული იყო, არალეგალურად მომუშავე მებრძოლებს ფსევდონიმები ჰქონდათ, მაგ.:

1. ე. არტემიძე — „არევი“
2. ს. გუჯაბიძე — „სერგულ“
3. შ. ლოლაძე — „კახელი“
4. ნ. გონგლაძე — „გლეხი“
5. შ. ნოზაძე — „ნოშა“
6. ი. ჯანჯღავა — „ჯანიმ“
7. ვ. ებრაელიძე — „სხივი“
8. მ. პაქკორია — „პამირ“
9. ნ. მიქიაშვილი — „ვოკერა“
10. ა. კილაძე — „შაკი“ და ასე შემდეგ.

ბატალიონში განსაკუთრებული სამეფული არსებობდა ევგენი არტემიძის, ვარლამ ებრაელიძისა და მაია პაქკორიას შემადგენლობით; ეს სამეფული ყველაზე უფრო მნიშვნელოვან კონსპირაციულ ბირთვს წარმოადგენდა და ამავე დროს მთავარ ლერძს არალეგალური მუშაობის წარმოებისას მთელს ბატალიონში. სამეფულის

არსებობა ბატალიონში იცოდა მხოლოდ მასში გაერთიანებულმა სამმა კაცმა. ნიდერლანდების კომუნისტური პარტიის ქ. ჰარლემის რაიკომის მდივანი ანუ კლანინი უშუალოდ იყო დაკავშირებული სამეულთან და ყოველგვარ ურთიერთობის ბატალიონთან ამ სამეულის მეშვეობით აგვარებდა.

არალეგალური პარტიზანული ორგანიზაციის ჩამოყალიბება ძარბოვულ ბატალიონში და მისი მუშაობა

ქართულ ბატალიონში მოქმედმა პარტიზანულმა ორგანიზაციამ ნიდერლანდების კომპარტიის სრული ნდობა დაიმსახურა; კონსპირაციულად მომუშავე ბატალიონის მებრძოლეთა სისტემატურად აწვდიდნენ იარაღსა და საკვებ პროდუქტებს ჰოლანდიელ პარტიზანებს; ამის გამო და ქ. ჰარლემის კომპარტიის რაიონული კომიტეტის მდივნის ანი კლანინის ყოველდღიურა თავდადებული მზრუნველობის შედეგად, ნიდერლანდების კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი დათმინებდა ე. არტემიძის მიმართვაზე და 1944 წლის 3 მარტს მისცა მის შემდეგი დავალება:

ამხანაგ არეკს!

ც. კ. (ნ. კ. პ.) განდობთ თქვენ არალეგალური პარტჯგუფის ჩამოყალიბებას თქვენს ქართულ ბატალიონში და პარტიულ-მასობრივი მუშაობის გაშლას ბატალიონის შიგნით.

პარტრწმუნებული ნ. კ. პ.

ანი კლანინი

3.3.44 წ.

ნიდერლანდების კომპარტია¹

1944 წლის 5 მარტს შედგა ქართული ბატალიონის არალეგალური საინიციატივო ჯგუფის კრება, რომელსაც დაესწრნენ: ევგენი არტემიძე, სერგო გუჯაბიძე, არკადი კალაძე, შალვა ნოზაძე, შამშე მღვდელაძე და სხვ. ამ საორგანიზაციო ხასიათის კრებაზე ჩამოყალიბდა ქართული ბატალიონის პარტიული ორგანიზაცია— პარტჯგუფი—შემდეგი შემადგენლობით: ე. არტემიძე, ს. გუჯაბიძე, ა. კილაძე, შ. ნოზაძე, ნ. გონგლაძე, კ. გოიბაძე

¹ ქართული ბატალიონის შტაბის არქივი, საბ. № 1, გვ. 1.

შემდგომ ამ ფონდის მასალას ვიმოწმებთ მხოლოდ საბუთისა და გვერდის მითითებით.

და ი. ჯანჯღავა. პარტორგანიზატორად არჩეულ იქნა ე. არტემიძე, ტექნიკურ მდივნად — ს. გუჯაბიძე¹.

პარტიული ჯგუფი თანდათან იზრდებოდა და მტკიცდებოდა, მან ხელში აიღო ბატალიონის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა და გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ მებრძოლ მთავარ არალეგალურ შტაბად გადაიქცა.

იარაღისა და საკვები პროდუქტების მტრის საწყობიდან ფარულად გამოტანისა და მისი ტრანსპორტირების მტკიცე ნიადაგზე დაყენების მიზნით პარტორგანიზაციამ შეადგინა ჯგუფთა გაბედული მებრძოლებისა შემდეგი შემადგენლობით: შ. ნოზაძე და კ. გოიაევი (გერმანელთა საწყობებში მომუშავენი), ალ. ბადალაშვილი, ივ. კარსანიძე, გ. ფოთოლაშვილი, ივ. ზოზრაშვილი, ილია ხიზანაშვილი (გერმანელთა ტრანსპორტზე მომუშავენი), ა. ზედელაშვილი, ვ. კუხალაშვილი, შამშე მღვდელაძე, კაკო ცუცქირიძე, ვარლამ ებრაელიძე, იაკიმე ჯანჯღავა, მამია პაქკორია, დავით სარჯველაძე, ვალ. ბერაია, შალვა და სანდრო მენაბდიშვილები, ნიკ. მიქიაშვილი, ილია ბეგიაშვილი, ლეო ალადაშვილი, გივი ანთიძე, პროკოფი გვახარია და სხვ. ამ მებრძოლებს გერმანელთა საწყობებიდან გატაცებული იარაღი და სურსათი ფარულ ადგილზე მიჰქონდათ და მიწაში ფლავდნენ, ამ პუნქტებიდან კი იარაღისა და სურსათის განაწილებას თვითონ პოლანდიელი პარტიზანები აწარმოებდნენ.

ვინაიდან პარტიაში მიღებულთა რიცხვი საკმაოდ გაიზარდა, ნიდერლანდების კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს გაეგზავნა მიმართვა თხოვნით — ქართულ ბატალიონში არსებული პარტჯგუფის გაფართოებისა და პარტიული კომიტეტის ჩამოყალიბების უფლება მიეცათ.

ნიდერლანდების ცენტრალური კომიტეტიდან დაუყოვნებლივ მიიღეს შემდეგი შინაარსის დასტური:

¹ საბ. № 1, გვ. 24.



სერგო გუჯაბიძე
ქართული ბატალიონის კომისარა
(მოკლულ იქნა ტექსელზე წარმოებულ ბრძოლების დროს)

ამხანაგ არევის!

ც. კ. (ნ. კ. პ.) განდობთ თქვენ ჩამოაყალიბოთ ქართულ ბატალიონში პარტიული კომიტეტი და ამასთანავე გაათავოთოთ პარტმასობრივი მუშაობა.

პარტრწმუნებელი ნ. კ. პ.
ცენტრალური კომიტეტისა
ანი კლანია

5.6.44 წ.¹

„ო ქ მ ი № 5

1944 წლის 6 ივნისს შედგა ჰოლანდიაში (ქ. ცანფორტბადში) მყოფი ქართული ბატალიონის არალეგალური პარტიზანული ორგანიზაციის კრება.

დაესწრო 11 კაცი.

თავმჯდომარე ჯანიმი, მდივანი სერგული.

შოისშინეს: ჯანიმის ინფორმაცია საფრანგეთის ტერიტორიაზე მოკავშირეთა ჯარების გადმოსხმის შესახებ; მან აღნიშნა, რომ ეს მომენტი გასათვალისწინებელია, რადგან მოკავშირეთა დესანტი შეიძლება ჩვენთანაც იქნეს სანაპიროზე გადმოსხმული. ამისათვის, — დასძინს მომხსენებელი, — საჭიროა მთელი მუშაობის სიძიმის ძირეულ დანაყოფებში — ასეულებში გადატანა; უნდა მომზადდეს ქართული ბატალიონი და მოყვანილ იქნეს სრულ საბრძოლო მდგომარეობაში.

მოკავშირეთა დესანტის გადმოსხმის შემთხვევაში ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა განვაიარალოთ ან მოვსპოთ გერმანული პერსონალი და შევეუერთდეთ სადესანტო ჯარებს. მოკავშირეთა ძალებთან ერთად ბრძოლის შედეგად ჩვენ შევძლებთ ტერიტორიის გაწმენდას ცოფიან ფაშისტებისაგან.

დაადგინეს: გათვალისწინებულ იქნეს არსებული ვითარება და მთელი საძლიერით გაიშალოს მუშაობა ძირეულ დანაყოფებში — ასეულებში, რათა ბატალიონი სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იქნეს მოყვანილი. ამ მიზნით ასეულებს მიემაროს სარდო და გამოცდილი ამხანაგები: I ასეულს — სერგული, II ასეულს — ჯანიმი, III ასეულს — არევი, IV ასეულს — ნოშა, V საშტაბო ასეულს — სერგული.

შოისშინეს: ამხ. არევის ინფორმაცია ც. კ. (ნ. კ. პ.) 5 ივნისის მოწერილობის შესახებ, რომლითაც ნებადართულია ქართულ ბა-

¹ საბ. № 1, გვ. 6.



ვეგენი აქტემიძე
არალეკალურ-პარტიზანული მუშაობის ორგანიზატორი
და პარტ. კომიტეტის მდივანი ქართულ ბატალიონში

ტალიონში არალეგალური პარტიული კომიტეტის ჩამოყალიბება.

დაადგინეს: თანახმად ც. კ. (ნ. კ. პ.) მოწერილობისა, ქართულ ბატალიონში ჩამოყალიბდეს არალეგალური პარტიული კომიტეტი, შემდგარი 5 კაცისაგან, — 3 წევრისა და ორი კანდიდატის შემადგენლობით.

მოიხმინეს: შაკის წინადადება არჩეულ იქნენ პარტიულ კომიტეტში: 1. არევი, 2. სერგუდი, 3. გლეხი, 4. ჯანიმი, 5. ნოშა.

დაადგინეს: პარტიული კომიტეტის წევრებად დამტკიცდნენ: 1. გლეხი, 2. არევი, 3. სერგუდი; პარტიული კომიტეტის კანდიდატებად დამტკიცდნენ: 1. ჯანიმი, 2. ნოშა.

თავმჯდომარე — ჯანიმი.

მდივანი — სერგუდი¹.

1944 წლის 18 ივლისს ბატალიონის პარტიულ ორგანიზაციას (ოქმი № 7) არალეგალურად მომუშავე მებრძოლმა „გოკომ“ მოახსენა, რომ მის მიერ ფარულად გამოტანილია გერმანელთა საწყობიდან და ჰოლანდიელთა პარტიზანულ ჯგუფს გადაეცა 63 ცალი სხვადასხვა ტიპის ხელყუმბარა, 12 კილოგრამი კარბიტი, 9 კილოგრამი ტოლი და სხვა საჭირო საგნები. პარტიულმა კომიტეტმა დაავალა საბრძოლო იარაღების მიმწოდებელ მებრძოლებს განაგრძონ ჰოლანდიელი პარტიზანებისათვის იარაღისა და ფეთქებად ნივთიერებათა მიწოდება და სისტემატური ხასიათი მისცენ ამ ოპერაციებს.

1944 წლის 5 აგვისტოს ბატალიონის პარტიულმა ორგანიზაციამ (ოქმი № 8) გამოიტანა დადგენილება ბატალიონიდან გაეპარებინათ და გაეგზავნათ ნიდერლანდების კომპარტიის ქ. ჰარლემის პარტორგანიზაციის განკარგულებაში ორი მებრძოლი — „ნალი“ (შაშუე მღვდელაძე) და „გიკა“ (ვარლამ ცუცქირიძე), ვინაიდან ეს მებრძოლები გერმანელების მიერ არასაიმედო ელემენტებად იყვნენ მიჩნეული და მათ პატიმრობა მოელოდა.

შ. მღვდელაძე და ვ. ცუცქირიძე ქ. ჰარლემის პარტრაიკომმა ჰოლანდიელ პარტიზანთა ჯგუფს შეუერთა. ამ ორმა მებრძოლმა მტრის ზურგში არა ერთი საგმირო საქმე ჩაიდინა.

ამავე პარტიულმა კრებამ დაამტკიცა ტექსტი მოკავშირეთა მთავარსარდლობისადმი მიმართვისა, რომელიც ნიდერლანდების

¹ საბ. № 1, გვ. 7.



ანი კლიანი
ნიდერლანდების კომპარტიის ქ. ჰარლემის
რაიონულ კომიტეტის მდივანი

კომპარტიის ჰარლემის პარტრაიკომის მდივნის ანი კლანინის დახმარებით გადაეცა დანიშნულებიანებრ.

აქვე მოვიტანთ მიმართვის ტექსტს:

„ინგლისის ჯარების მთავარსარდლობას ჰოლანდიაში მყოფი ქაოთული ბატალიონის მებრძოლებისა და მეთაურებისაგან.

ჩვენ, საბჭოთა კავშირის ადამიანები, აღზრდილნი საბჭოთა სახელმწიფოს მიერ, ამჟამად ფაშისტების კლანქებში ვართ მოხვედრილი.

ჩვენ საბჭოთა არმიის ჯარისკაცები ვართ; ვიბრძოდით გამხეცებული მტრის წინააღმდეგ და ტყვედ ჩავვიგოეს. აუწერელია ის წამება, დამცირება და შიმშილი, რაც ჩვენ ჯოჯოხეთურ ტყვეთა ბანაკებში გადავიტანეთ.

ხანგრძლივი ტანჯვა-წამების შემდეგ, ჩვენ დაუკითხავად, შიმშილით განაწამები ხალხი გერმანელებმა თავის ჯარში გაგვავერთიანეს და თვითნებურად გვიწოდეს „მოხალისენი“.

ჩვენ აღარ შეგვწყვედა წინააღმდეგობის ძალა, რადგან დიხვრეტას გვიპირებდნენ. ასეთი საშუალებით გერმანელებმა მშიერი ტყვეები ბატალიონში გაგვავერთიანეს და ჩვენი გამოყენება უნდოდათ და ახლაც სურთ გამოგვიყენონ საზარბაზნე ხორცად. მაგრამ წითელი არმიის ყოველი ჯარისკაცი კარგად ერკვევა გერმანელების მზაკვრულ პოლიტიკაში და ყველა ჩვენთაგანი, მტრისადმი სიძულვილით შეპყრობილი, შურისძიების სათანადო მომენტს ეძებს.

ადამიანი, რომელიც საბჭოთა კავშირში აღიზარდა, მუდამ მოყვარულია თავისი სამშობლოსი და, მოხვედრილი ფაშისტების კლანქებში, გადამქრელ მომენტში გამანადგურებელ წინააღმდეგობას გაუწევს ცოფიან ფაშისტებს, ჩვენს დამსჯელებს, რომელთაც წამების, შიმშილისა და დიხვრეტის საშუალებით ასიათასობით მოგვისპეს მეგობრები.

ამჟამად ჩვენ გერმანელებთან ერთად ვიმყოფებით, ჰოლანდიაში და თავდაცვითი ხაზი გვიკავია ზღვის პირად 30 კილომეტრის სიგრძეზე და 25 კილომეტრის სიღრმეზე.

როგორც კი დაპირებით შემოქრას სანაპიროზე, ჩვენ იმავე მომენტში, როგორც ერთი, ვეკვეთებით გერმანელებს ზურგიდან.

ჩვენ, არალეგალური ფარული შტაბის მებრძოლები, ყოველდღიურად ველით თქვენს შემოქრას იმ ტერიტორიაზე, სადაც ჩვენ ვიმყოფებით ამჟამად, და ისევე ვიბრძოლებთ თქვენ გვერდით, როგორც ამას საფრანგეთში და ბელგიაში ჩადიან პატრიოტები; ჩვენ

თქვენთან ერთად ამოველეთ საერთო მტერს—გამხეცებულ ფაშისტებს.

ის ტერიტორია, რომლის თავდაცვითი ხაზი 30 კილომეტრის სიგრძეზე ჩვენ გვიკავია, თქვენ თამამად შეგიძლიათ იგულისხმოთ თქვენი ოპერაციებისათვის საჭირო თავისუფალ ტერიტორიად, ასევე ჩვენი ბატალიონიც ჩათვალეთ თქვენთან ერთად მებრძოლად.

ჩვენ წინასწარვე ამოიწვევით ჩვენ ბატალიონში შემავალ გერმანულ პერსონალს, რომელიც მთელი ჩვენი ბატალიონის ერთ მესამედსა თუ მეოთხედს შეადგენს, და შეგიქმნით ისეთ პირობებს, რომ მინიმალური პროცენტიც კი არ გექნებათ დანაკარგისა, მით უმეტეს, რომ მარჯვენა ფლანგზე გერმანელების ბატარეა მცირერიცხოვანია; ამისთანავე მკიდრო ურთიერთობა გვაქვს ჰოლანდიელ ხალხთან და ისინიც უცდიან მომენტს, რომ ჩვენთან ერთად ხელში აიღონ იარაღი და ჩაებან ბრძოლაში ფაშისტების წინააღმდეგ.

ამნიარად, არის შესაძლებლობა დესანტის გადმოსხმისა იმ ტერიტორიაზე, რომელიც ჩვენ გვიკავია, მხოლოდ შეგვატყობინეთ თქვენი შემოქრის განზრახვა 6 საათით ადრე მაინც რაიმე სიგნალით და ჩვენც მოგცემთ ნიშანს.

ბატალიონის ფარული შტაბი მებრძოლებისა და მეთაურების დავალებით გთხოვთ გაითვალისწინოთ სტრატეგიული შედეგი. მოსალოდნელი გამარჯვებისა, აგრეთვე ის ვითარება, რომ ჩვენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე თქვენთან ერთად ვიბრძოლებთ, რომ დავაჩქაროთ ფაშისტი არამზადების მოსპობა და გადმოსხათ დესანტი.

სიკვდილი ფაშისტი ოკუპანტებს!

მომართვას გაახლებთ ქართული ბატალიონის მებრძოლებისა და მეთაურების სახელით.

5 აგვისტო, 1944 წ.

5 აგვისტოსავე პარტიულ კრებაზე (ოქმი № 5) გამოტანილ იქნა დადგენილება გადიდებულყო ბატალიონის პარტიული კომიტეტის წევრთა შემადგენლობა. კომიტეტში დამატებით არჩეულ იქნენ: შალვა ლოლაძე, იაკიმე ჯანჯღაყა, გრიგოლ კანტურია, შალვა ნოზაძე, არკადი კილაძე, ნიკოლოზ ტატუნაშვილი; კანდიდატებად კომიტეტში შეყვანილ იქნენ დავით სარჯველაძე და ვლადიმერ დაღუნაშვილი.

¹ საბ. № 1, გვ. 11.

ბატალიონის პარტორგანიზაციის კრებაზე 1944 წლის 15 სექტემბერს (ოქმი № 9) განხილულ იქნა ჰოლანდიის წინააღმდეგობის ფრონტის საოლქო საბჭოს ბრძანება—ჩამოყალიბებულიყო ქართულ ბატალიონში ათეულები, რომლებიც ოპერატიულად იმოქმედებდნენ, მოემზადებოდნენ და როდესაც სათანადო მომენტი დადგებოდა, ჰოლანდიის ხალხთან ერთად მოაწყობდნენ აჯანყებას გერმანელების ზურგში. აქვე მოტანილია წინააღმდეგობის საბჭოს ბრძანება.

„ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა .

რუსო ამხანაგებო, რომლებიც მოხვედრილი ხართ გერმანელი ფაშისტების ტყვეობაში, უნდა შეასრულოთ შემდეგი ამოცანები:

უნდა შეაკავშიროთ რუსი, პოლონელი, ქართველი და თათარი ჯარისკაცები, რომლებსაც სურთ ჰოლანდიელ პარტიზანთა ორგანიზაციის—„წინააღმდეგობის საბჭოს“ მხარეზე ყოფნა.

უნდა ჩამოყალიბდეს ჯგუფები ათ-ათი კაცის შემადგენლობით, რომლებმაც ძლიერ მოქნილად უნდა იმუშაონ.

თითოეულ ჯგუფს მიჩნეული უნდა ჰყავდეს ხელმძღვანელად საუკეთესო ამხანაგი, რომელიც დაუკავშირდება სხვა ჯგუფის ათეულის ხელმძღვანელს და დაისახავენ შემდეგ მიზნებს:

გააცნობენ ათეულის მებრძოლებს არსებულ პოლიტიკურსა და სამხედრო ვითარებას.

სწრაფად მიიღებენ და გადასცემენ ყველა დაფალებას, დიდი სიფრთხილით იმუშავენ, რათა თავიდან აიცილონ საფრთხე.

იმ მომენტისათვის, როდესაც მოკავშირენი შემოვლენ ან დესანტს გადმოსხამენ, თქვენ იარაღს აპყროთ და დააპატიმრებთ ყველა გერმანელ ჯარისკაცს, აგრეთვე თქვენ რიგებში მყოფთ, რომლებიც ჯაშუშობაში არიან შემჩნეული, და ტყვეთ ჩაიგდებთ მათ.

ყველა გერმანელი ფაშისტი ან ჯაშუში, რომელიც წინააღმდეგობას გაიგწევთ, ადგილზე უნდა დახვრიტოთ.

ჯარისკაცები, რომელთაც სურთ ჰოლანდიის პარტიზანული ორგანიზაციების მხარეზე ყოფნა, იხდიან გერმანულ ფორმას, იკეთებენ მარჯვენა მკლავზე თეთრ სახვევს წარწერით RVV, უერთდებიან ჰოლანდიელ პარტიზანებს და უთანხმებენ მათ თავიანთ პაროლს.

ამ დროიდან თქვენ ჩაითვლებით წინააღმდეგობის საბჭოს განკარგულებაში.

ყოველგვარი სამხედრო იარაღი და საჭურველი, რომელიც გერმანელი ფაშისტების ხელში იყო, უნდა გადასცეთ RVV-ს.

როდესაც მოკავშირენი თქვენი განლაგების ტერიტორიას მოაღწევენ, თქვენ დაუყოვნებლივ უნდა შექმნათ საგუშაგოები და დაავალოთ მათ გააფრთხილონ შემომავალი ჯარი, თუ სადაა დანალმული ველები, ფეთქებადი ნივთიერებანი. ამასთანავე გაუკეთეთ სათანადო გამაფრთხილებელი მაჩვენებლები როგორც დანალმულ ველებს, ისე იმ ტერიტორიასაც, რომელიც თავისუფალია ან ისევ მტრის ხელში იმყოფება.

რუსი ჯარისკაცები, რომლებიც გადმოვიდნენ ჰოლანდიელი პარტიზანების მხარეზე და მათთან ერთად იბრძოდნენ, აცნობებენ ამის შესახებ მოკავშირეთა მთავარსარდლობას, რათა გათვალისწინებულ იქნეს მათი ღვაწლი და მეცეთ ცნობები, რაც მათ მიანიჭებს ისეთსავე შელავათს, რითაც სამხედრო ტყვეები სარგებლობენ საერთოდ.

რუსი ამხანაგები, რომელთაც გერმანული ფორმა აცვიათ, ამ ბრძანების მიღების შემდეგ ისე იმოქმედებენ, როგორც წინააღმდეგობის საბჭო R V V მივითითებთ.

გაუმარჯოს ჰოლანდიელთა პარტიზანულ მოძრაობას!

გაუმარჯოს თავისუფალ ჰოლანდიას!

გაუმარჯოს ჩვენს მოკავშირეებს: ამერიკას, ინგლისს და საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის მეგობარს, ჩვენს საყვარელს ამხანაგ ეოსებ ბესარიონის ძე ს ტ ა ლ ი ნ ს !⁴

15 სექტემბრისავე პარტიულ კრებაზე მიღებულ იქნა მიმართვა ნიდერლანდების კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი კატეგორიული მოთხოვნით, რომ ქართული ბატალიონისათვის აჯანყების ნება დაერთოთ და დაეხმარებიდით 1000 ჰოლანდიელი პატრიოტი ერთობლივი საბრძოლო ოპერაციების საწარმოებლად.

ქართული ბატალიონის მებრძოლების მიერ 1944 წლის 5 აგვისტოს გაგზავნილ მიმართვაზე, ზანდფორტში დესანტის გადმოსხმის შესახებ, ინგლისის ჯარების მთავარსარდლობამ შემდეგი შინაარსის ბრძანება გამოგზავნა:

„ბრძანება მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდლისა ქართულ პოლკს.

ეცადეთ დაწყნარდეთ, დაგვიცადოთ და ნუ დაიწყებთ გამოსვლას, სანამ ჩვენ სიგნალს არ მოგცემთ. როდესაც ჩვენ განიშნებთ, გაწყვიტეთ გერმანელები ან ალყა შემოარტყით მათ, გარემოცულ გერმანელებს არ მოსცილდეთ და თქვენსავე ადგილას დარჩით.

თუ სხვა ადგილზე გადავიყვანონ, დაუგვიანებლივ გვაცნობეთ, თუ სად იპოვებიან და ამასთანავე დაუკავშირდით ადგილობრივ არალეგალურ შეიარაღებულ ჯარს.

არავესთან არ ილაპარაკოთ და არც არავეს ენდოთ, მხოლოდ ამ ქალაქის მომეტანს ელაპარაკეთ.

ქ. რ. კ.
: : : : :
: : : : :

28 სექტემბერი, 1944 წ.

დამოწმებულია: ანი კლავის

(ნ. კ. პ. ჰარლემის პარტრავიკომის მდივანი)¹

ბატალიონის მძაღლებს იკრებდა და კიდევ უფრო გააცხოველდა სამხედრო-პოლიტიკური მუშაობა მებრძოლებს შორის.

კაპიტანი შ. ლოლაძე ენერგიულად მუშაობდა, მან კარგად დააყენა სამხედრო საქმე ბატალიონში, ამასთანავე შეაგროვა ზუსტი ცნობები ზღვის სანაპიროს სიმაგრეების, დანალმული მიდამოებისა და სხვა სამხედრო მნიშვნელობის ობიექტების შესახებ, შეადგინა სათანადო რუკები და რუკები. მისი საიდუმლო სამხედრო ცნობების ასლები შ. ლოლაძემ დაუყოვნებლივ გაუგზავნა ჰოლანდიის წინააღმდეგობის საბჭოსა და ქ. ჰარლემის-პარტრავიკომის მდივანს ანი კლავისს.

ბატალიონის პარტორგანიზაცია დროულად იღებდა ინფორმაციებსა და ინსტრუქციებს ნიდერლანდებს კომპარტიის ქ. ჰარლემის პარტრავიკომიდან. ბატალიონის არალეგალური ხელმძღვანელობა გულდასმით ეცნობოდა მიღებულ მასალებს და ენერგიულად აწარმოებდა საპროპაგანდო-სააგიტაციო მუშაობას; ამ ღონისძიებათა შედეგად ბატალიონის მებრძოლები მშვენივრად ერკვეოდნენ ომის მიმდინარეობასა და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებში.

1944 წლის ოქტომბერში ბატალიონმა ნიდერლანდების კომპარტიის ცენტრ. კომიტეტიდან მიიღო ინსტრუქცია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავისათვის მზადებისა და დღესასწაულის ჩატარების შესახებ; როგორც მზადება, ისე თვით დღესასწაულის დღე წარმატებით ჩატარდა ბატალიონში. უდიდესი ყურადღებითა და აღფრთოვანებით იქნა მოსმენილი ქართული ბატალიონის ფარულ შეკრებებზე მოსკოვის საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომაზე ამხანაგ სტალინის მიერ გაკეთებული მოხსენება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავის შესახებ. სიტყვებში გამოსულმა მებრძოლებმა აიღეს

¹ საბ. № 1, გვ. 14.

საბრძოლო ვალდებულებანი დიადი დღესასწაულის აღსანიშნავად; გადაწყდა განალმულიყო ზღვის სანაპირო, შეედგინათ განალმული ველების სათანადო სქემები და საჩუქრად მიეძღვნათ ეს ოპერაცია დედა სამშობლოსათვის, ხოლო აქტი ჩატარებული ოპერაციის შესახებ, სქემების თანდართვით, გადასცემოდა მოკავშირეთა მთავარ-სარდლობასა და ჰარლემის ოლქის წინააღმდეგობის საბჭოს.

ქართული ბატალიონის მებრძოლთა შორის აპროპაგანდო-სააგიტაციო მუშაობის სათანადო დონეზე დაყენებულა და ამ საქმეში მეტი ორგანიზებულობის დანერგვის მიზნით, ზეგვენი არტემიძის წინადადებით, ბატალიონის პარტიულმა ჯარაგანიზაციამ 1944 წლის დეკემბერში მიიღო გადაწყვეტილება ჯარალეგალური გაზეთის გამოშვების შესახებ. გაზეთს „ელვაჰ ვენდა. რედაქციაში შევიდნენ: ევგენი არტემიძე, სერგოჯი კეჯიანიძე, შალვა ლოლაძე, შალვა ნოზაძე. იაჭიშვილი ჯანჯღავა, არკადი კილაძე და შამშე მღვდელმთავარი. გაზეთის რედაქტორად არჩეულ იქნა არკადი კილაძე.

„ელვის“ ყოველ ნაკერში თავსდებოდა საყვარელი ბელადების ლენინისა და სტალინის პორტრეტები, ხოლო დასათაურების შუაში აღბეჭდილი იყო მოსკოვის კრემლი.

ხელით დაწერილ გაზეთს გასანთლულ ქალაქზე („ეოსკოკა“) ამრავლებდნენ 50—60 ცალის რაოდენობით და ავრცელებდნენ.

„ელვამ“ შემდგომ დიდი როლი ითამაშა ქართველ მებრძოლთა შორის პოლიტმასობრივი მუშაობის გაშლის დარგში; გაზეთის დროგამოშვებით რუსულადაც გამოდიოდა; მასში მოთავსებული წერილები ითარგმნებოდა და ხშირად თავსდებოდა ადგილობრივ არალეგალურ გაზეთსა და ბიულეტენებში, რიგი სტატია ჰოლანდიის კომპარტიის ცენტრალურ ორგანო „De Waarheid“-შიც მოთავსდა.

„ელვაში“ სისტემატურად იწერებოდა წერილები ომის მიმდინარეობაზე, პოლიტიკურ-საზოგადოებრივ თეზებზე, საერთაშორისო ვითარებაზე და სხვა.

1944 წლის 2 დეკემბერს ქართული ბატალიონის პარტიულ-რომ; პასუხად მისი მიმართვისა 1944 წ. 15 სექტემბრის თარიღით, რომ ნება დაერთოთ ბატალიონისათვის აჯანყებულები გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ, მიიღო წინააღმდეგობის საბჭოს ბრძანება შემდეგი შინაარსისა:

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ამხანაგებო!

გავეცანით რა ამხანაგ არევის ინფორმაციას, რომელიც მიიღო წინააღმდეგობის საბჭომ, მოგპართავთ თქვენ შემდეგი ბრძანებით: ჩვენ არა ვართ თანახმა დაიწყოთ მოძრაობა, რომელსაც ჯერჯერობით არ ეთანხმებიან გაერთიანებული ერები—ამერიკა და ინგლისი; ისინი გვირჩევენ თავი შევიკავოთ და არ დავიწყოთ დამოუკიდებლად საბრძოლო მოქმედება ფაშისტთა ოკუპანტების წინააღმდეგ.

მუშებისა და გლეხებისაგან შექმდარი ქართული ბატალიონის—წითელი არმიის ჯარისკაცების—საქმე ჰოლანდიის მუშებისა და გლეხების საქმეცაა: ჩვენ ხომ საერთო მტრის წინააღმდეგ ვიბრძვით.

თუ გესურს, რომ ბრძოლამ ნაყოფი გამოიღოს, დავამარცხოთ გერმანელი ოკუპანტები და განთავისუფლდეს ჰოლანდია, ჩვენ გაერთიანებული ძალებით ერთობლივად უნდა გამოვიდეთ, დანიშნულ დროს გავაჩალოთ ბრძოლა და ყვევითოთ მტერს.

სწორედ ასეთი წესით მოხდა ეს საფრანგეთსა და ბელგიაში, სადაც ფარული შეიარაღებული ძალები აღდგნენ და შეუერთდნენ გაერთიანებული ერების ჯარებს მაშინ, როდესაც ეს შესაძლებელი გახდა; ასეთი მომენტი კი ჩვენთან ჯერ არ დამდგარა.

ქართული ბატალიონის დამოუკიდებელი მოქმედება გაერთიანებული ერებისა და წინააღმდეგობის საბჭოს შეთანხმების გარეშე გამოიწვევს უშედეგო სისხლის ღვრასა და დამარცხებას, ის შეიწირავს თავისუფლებისათვის მებრძოლთა ასობით სიცოცხლეს. ამის მაგალითი პოლონეთში გვქონდა ჩვენ, ქ. ვარშავაში, როდესაც პოლონელი პატრიოტები აუჯანყდნენ გერმანელებს წითელი არმიის მთავარსარდლობასთან შეუთანხმებლად; პოლონელი პატრიოტების ეს სისხლისმღვრელი, უთანასწორო ბრძოლა უშედეგოდ დამთავრდა.

ჯერჯერობით ჩვენ მტრის საბოლოო შემუსვრისათვის მზადების პერიოდში ვიმყოფებით. თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველები, რომელთაც ჩვენთან ერთად სურთ ბრძოლა დამპყრობელთა წინააღმდეგ, ისე უნდა მოიქცნენ, როგორც ეს საქიროა და სასარგებლო.

თქვენი ვალდებულება ამჟამად შემდეგია:

1) მებრძოლების მომზადება და მათი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება; შესრულება საერთო საქმისათვის სასარგებლო დავალებებისა, რომელიც მტერს ზიანს მოუტანს, მაგრამ უდიდესი

ხიფათის შემცველი არ იქნება თქვენი ორგანიზაციის არსებობისათვის.

2) ამჟამად თქვენ მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე კიდევ უფრო მეტი ორგანიზებულება შიკანეთ ფარულ მუშაობაში, რათა თავიდან აიცილოთ დატუსაღება. თითოეული თქვენგანი ფრთხილად უნდა იღვეს მიჩნეულ საგუშაგოზე, გამოიბრძმედოს ამ ფარული მუშაობის დროს და შეეჩუოს თავის დაქერასა და ოპერატიულობას. ჯერ არ დამდგარა თქვენი ფარული, კეთილშობილური ზრახვების გამოაშკარაების დრო.

ისევე, როგორც თქვენ, იტანჯებან ათასობით პოლანდიელი მუშები; ისინი ტყუეებს წარმოადგენენ თავის სამშობლოში, ისინიც უნდა ეცადონ ფრთხილად იბრძოლონ, რომ არ ჩაუვარდნენ გერმანელ მხეცებს ხელში და იძულებულნი არ გახდნენ თავის ქვეყანას მოსწყდნენ.

3) ამჟამად თქვენი აქტუალური ამოცანაა გაერთიანდეთ იმათთან, ვინც გერმანელების წინააღმდეგ მოქმედებს.

ჩვენ ყოველთვის გავიწევთ დახმარებას, რისი შესაძლებლობაც კი გვექნება.

4) ჩვენ მოვეხმარებით თითოეულ თქვენთაგანს გაქირვების დროს.

5) წინააღმდეგობის საბჭომ მიიღო თქვენგან ცნობა იმ სასარგებლო საქმეზე, რაც თქვენ შეგისრულებიათ 1944 წლის 21 ნოემბერს. გავალებთ თქვენ მიერ განალმული ობიექტების გადატანას რუკებზე. გიბრძანებთ ეს დაეალება განუხრელად შეასრულოთ.

წინააღმდეგობის საოლქო საბჭოს ხელმძღვანელობა¹

ამოწმებს ანი კლაინი

ნიდერლანდების კომუნისტური პარტია

1945 წლის იანვრის შუა რიცხვებში ქართული ბატალიონის არალეგალურმა ხელმძღვანელობამ შეიტყო, რომ მოსალოდნელია ბატალიონის გადაყვანა პოლანდიის კუნძულ ტექსელზე. ადგილის გადანაცვლების მიზეზს გერმანელები არ ამჟღავნებდნენ, მაგრამ ექვს გარეშეა, რომ ეს გამოწვეული იყო ორი მთავარი მოსაზრებით: პირველი ის იყო, რომ ბატალიონის მებრძოლები ხშირად მიმართავდნენ საბოტაჟს, ურჩობდნენ დავალებათა შესრულების საქმეში და ამავე დროს შესამჩნევი ვახდა მოსახლეობასთან მათი დაახლოება; ამ მიზეზების გამო უკანასკნელ დროს რამდენიმე

ათეულ მებრძოლს, სხვების დასაშინებლად, დარსკოპლინარული სას-
ჯელი დაადეს და უურო მკაცრი რეჟიმის ბანაკებში გადააგზავნეს.

მეორე მხრივ, საშაში გახდა ბატალიონის დატოვება კონტი-
ნენტზე, რადგან ზოკავშირეთა ჯარები თანდათან უახლოვდებოდნენ
ქართული ბატალიონის ადგილსამყოფელს; ასეთ პირობებში გერმა-
ნელებს არ სურდათ არასაიმედო ქართველი სამხედრო ტყვეების
კონტინენტზე დატოვება და გადაწყვიტეს მათი იზოლირება კუნძულ
ტექსელზე.

შექმნილი ვითარების გამო 1945 წლის 20 იანვარს პარტიულ-
მა კომიტეტმა მოიწვია ქართული ბატალიონის არალეგალური
ხელმძღვანელების თათბირი, თათბირზე შოსმენილ იქნა ქართული
ბატალიონის მეთაურის კაპიტან შალვა ლოლაძის—„ახელის“ მოხ-
სენება. შ. ლოლაძემ წარმოადგინა ბატალიონის ახალ ადგილზე
ორგანიზებულად გადასვლის გეგმა და გააფრთხილა ასმეთაურები
მიელოთ გადამქრელი ზომები მებრძოლების უკლებლივ გადასაყვა-
ნად კუნძულ ტექსელზე. მან განაცხადა: თუ როჩელიმე მებრძოლი
ჩამორჩება ბატალიონს ან გაიქცევა, ჩვენ მის წყარველობაზე ხელს
ვიდებთ, მშიშარად ჩაეთვლით და ქ. ჰარლემის პარტრაიკომსაც შე-
ვატყობინებთ არ გაუწიოს გაქცეულებს მფარველობაო.

შევაგნებინოთ თითოეულ მებრძოლს, რომ თუ წინათ ჩვენ
ხელსაც კი ვუწყობდით ზოგიერთს ბატალიონიდან გაქცევაში, ამ-
ჟამად ეს დაუშვებელია, რადგან ამით საერთო საქმე შეფერხდება,
ძალა შეგვისუსტდება და თვითონ გაქცეული მებრძოლიც უმწეო
მდგომარეობაში აღმოჩნდებაო.

ბატალიონის პარტიულმა კომიტეტმა მიზანშეწონილად ჩათვა-
ლა კაპიტან შ. ლოლაძის მიერ დასახულ ღონისძიებათა ცხოვრება-
ში გატარება და დაავალა ასმეთაურებსა და პოლიტხელმძღვანე-
ლებს ფართოდ გაეშალათ მებრძოლებში ახსნა-განმარტებითი მუ-
შაობა.

ამავე კომიტეტის კრებაზე დამუშავდა ნ. კ. პ. ცენტრალური
კომიტეტის ცირკულარული წერილი, რომელშიც გაშუქებული იყო
სამშობლოს მოღალატე ვლასოვის მოქმედება და ფაშისტ-არამ-
ზადების ათასგვარი მახინჯია. წერილში აღნიშნული იყო, რომ
გერმანელებმა მოღალატე ვლასოვის თანამონაწილეობით შექმნეს
„რუსეთის ხალხთა განთავისუფლების კომიტეტი“ და ამ სასაცილო
ორგანიზაციის საშუალებით სურდათ თავისი წაგებული საქმის გა-
მოსწორება. ცენტრალური კომიტეტი აფრთხილებდა ბატალიონის
არალეგალურ ხელმძღვანელობას, რომ გერმანელები ათასგვარ პრო-

ვოკაციას მიმართავენ, რათა განხეთქილება ჩამოაგდონ სსრკ ხალხთა შორის; ამის გამო ათასეულის პარტორგანიზაცია ფრთხილად უნდა ყოფილიყო და სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ჩაეტარებინა მებრძოლებში.

პარტაულმა კომიტეტმა აღშუოებით მოისმინა სამშობლოს მოლალატე ვლასოვისა და გერმანელი პროვოკატორების მზაკვრული, გამცემლური მოქმედების ამბავი და მიიღო გადაწყვეტილება ფხიზლად ედევნებინათ თვალ-ყური მოვლენებისადმი, დაემუშავებინათ მებრძოლთა შორის ცირკულარული წერილი და გამოეაშკარავებინათ სამშობლოს მოლალატე ვლასოვსა და გერმანელი პროვოკატორების მიერ წარმოებული ძირგამომთხრელი და თვალთმაქცური მოქმედების ხასიათი, რაც დაუყოვნებლივ იქნა შესრულებული.

კუნძულ ტექსელზე გადასვლის წინ, დათქმული პირობის შესაბამისად, ბატალიონის არალეგალურმა შტაბმა შემდეგი აცნობა ინგლისის ჯარების მთავარსარდლობას.

„ინგლისის ჯარების მთავარსარდლობას.

გატყობინებთ, რომ ჰოლანდიაში, ცანფორტბადში მყოფი ქართული მსროლელი ბატალიონი, რომლის განლაგების შესახებ ადრევე გაცნობეთ, ამჟამად იცვლის ადგილსამყოველს და 1945 წლის 5 თებერვლიდან კუნძულ ტექსელზე იქნება, ე. ი. ჰოლანდიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ჩვენი ბატალიონი, ყოველთვის და რა პირობებშიც ვნებავთ სრულ საბრძოლო მდგომარეობაში მყოფი, გვერდში აპოუდგება და იომებს თქვენ ჯართან ერთად სადესანტო ოპერაციების დროს.

გაცნობებთ რა ჩვენი ბატალიონის მომავალი განლაგების შესახებ, ვთხოვთ დროულად მოგვაწოდოთ ინფორმაცია, რომელიც გაგვარკვევს თქვენს სიგნალიზაციაში.

ქართული ბატალიონის შტაბი, 2.II—45 წ.

ამოწმებს: ანე კლანინ¹

¹ საბ. № 2, გვ. 1.

ქართული ბატალიონის ტემელს გადასვლა და არალეგალური მუშაობის გაგრძელება კუნძულზე

1945 წლის 9 თებერვალს ბატალიონი კუნძულ ტექსელზე გადაიყვანეს და მის ჩრდილო დასავლეთით დააბანაკეს ზღვის სანაპიროზე, ბატალიონის შტაბი კი ქ. დენ ბურხის გარეუბანში მოათავსეს.

კუნძული ტექსელი ჩრდილოეთის ზღვაშია. კუნძულს ჩრდილოეთ სანაპიროდან ვესტგატის სრუტე ყოფს; ამ სრუტის სიგანე 10 კილომეტრამდე აღწევს. ვესტგატის სრუტეს დასავლეთ სანაპიროდან კონტინენტის ჩრდილო კიდეურის ნავსადგური დენჰელდერი ესაზღვრება, ხოლო ჩრდილოეთით კუნძული ტექსელია. ამნაირად, ტექსელი დასავლეთ ფრისლანდიის კუნძულების ჯაჭვის პირველსა და ყველაზე დიდ რგოლს წარმოადგენს; მისი ტერიტორია 700 კვ. კილომეტრს აღემატება. ტექსელის შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთის ზიმართულებით, გემების ქარავნისებრ, მიჰყვებიან კუნძულები: ვილანდი, ტერხელიანგი, ამელანდი.

კუნძული ტექსელი ცენტრში სახნავი მიწებისა და ტყის მასივების შემცველ ვაკე ადგილს წარმოადგენს, ხოლო დასავლეთით ზღვის სანაპიროებზე მალალი ბორცვებიც გვხვდება. ჰავა ნესტიანია. კუნძული დროგამოშვებით ნისლით იფარება, ამასთანავე აქ ხშირია ჩრდილო-დასავლეთის ქარები.

ტექსელზე რვა ათასზე მეტი მცხოვრებია, ისინი მეტწილად კათოლიკური რელიგიისა არიან. მოსახლეობა უმთავრესად სოფლის მეურნეობას ეწევა. საკმაოადაა განვითარებული მე საქონლეობაც. ადგილობრივი მცხოვრებნი მეთევზეობას და ზღვაოსნობასაც მისდევენ. კონტინენტთან შედარებით კუნძულზე მდებრიო ხალხი ცხოვრობს; ისინი პატარა, მაგრამ გემოვნებით გაკეთებულ სახლებში ბინადრობენ.

იზოლირებულ მდგომარეობას განსაკუთრებით კი კათოლიკური რელიგიის აქაური მცხოვრებლებისათვის საკმაო დალი დაუქმნევია. ისინი მაინც და მაინც არ ეტანებიან მშფოთვარე სოციალურ სიტუაციებსა და რევოლუციურ მოძრაობას. მით უმეტეს ძნელი იყო საბჭოთა სამხედრო ტყვეებისათვის მცხოვრებლებთან საერთო ენის გამონახვა, რაგრამ ქართველების წესიერმა და უაღრესად გულთბილმა მოპყრობამ თავისი გაიტანა. მოსახლეობა მალე დაუახლოვდა ქართველ ჯარისკაცებს, მათ შორის საუკეთესო ურთიერთობა დამყარდა, რამაც, როგორც ქვევით დავინახავთ, დიდი როლი ითამაშა შემდეგ ქართული ბატალიონის მეგრძოლთა ცხოვრებაში.

იზოლირებული კუნძულ ტუქელაიდან ნიდერლანდების კომუნისტურ პარტიასა და წინააღმდეგობის საბჭოსთან უშუალო ურთიერთობა გაძნელდა. ქართული ბატალიონის პარტიულმა კომიტეტმა 1945 წლის 12 თებერვალს სათანადო მომართვა მიიღო ნიდერლანდების კომუნისტური პარტიის ქ. პარლემის პარტრიაკომიდან. პარტრიაკომი მოითხოვდა ბატალიონის პარტკომის ამხ. ევგენი არტემიძის მივლინებას ქ. პარლემში. „ამხ. არტემიძე ჩვენთვის საიმედო პირია და ავტორიტეტით სარგებლობს პარლემელ ამხანაგებში, ამიტომ აუცილებელია მისი ჩვენთან მოვლინება. თქვენ გაცალკევებული ხართ ახლა ჩვენგან და საჭიროა აღდგენილ იქნეს მკიდრო ურთიერთობა ჩვენ შორის, მოვლინების პერიოდში ამხ. არტემიძეს უფლება ეძლევა თავისი მოვალეობის შესრულება ბატალიონში დროებით იმას დაავალოს, ვისაც იგი მიიჩნევს ნდობით აღკურვილად.

ანი კლანი

პარლემის ორგანიზაცია 12.II—45 წ²

კუნძულ ტუქელზე ჩამოსულ ქართულ ბატალიონს რთულ ვითარებაში უხდებოდა კონსპირაციული მუშაობის წარმოება, რის გამოც ე. არტემიძის ქ. პარლემში ხანგრძლივად მივლინება ბატალიონის არალეგალურმა ორგანიზაციამ შეუძლებლად ჩათვალა. პარლემის პარტრიაკომის განკარგულებაში, ე. არტემიძის რეკომენდაციით, მივლინებულ იქნა ნიკოლოზ მიქიაშვილი, — აქტიური არალეგალური მომუშავე ბატალიონში და ამავე დროს საერთო საქმისათვის თავდადებული მებრძოლი. ნ. მიქიაშვილმა შემდგომ დიდი მუშაობა ჩაატარა, როგორც მეკავშირემ, ჰოლანდიის კომპარტიასა და ქართულ ბატალიონს შორის მკიდრო ურთიერთობის კვლავ აღდგენისა და განმტკიცების საქმეში. იგი სისტემატურად თარგმნიდა წერილებსა და პროკლამაციებს პარლემის პარტრიაკომში, აგვარებდა გაზეთ „ელვის“ ბექდვის საქმეს და დაუყოვნებლივ უგზავნიდა ყველა ამას, სხვა საჭირო ინფორმაციასთან ერთად, ქართული ბატალიონის არალეგალურ პარტიულ ორგანიზაციას¹. მალე

¹ საბ. № 1, გვ. 23.

² ფაშისტურ ტყვეობაში განაწამებმა და შემდგომ პარტიზანობის მძიმე ვითარებაშიაც თავდადებულმა მომუშავემ ნიკ. მიქიაშვილმა ვეღარ გაუძლო წუესგადასულ ჯაფას და მძიმედ დაავადმყოფად ჰოლანდიაშივე. ქართველეთის სამშობლოში დაბრუნებისას ნიკ. მიქიაშვილი ლოგინად იყო ჩავარდნილი და არ შეეძლო მგზავრობის ატანა; მეგობრები ძლიერ გულთბილად მოეპყრნენ მას, მოუარეს, ფეხზე დააყენეს, არ მიატოვეს უსატრონოდ უცხოეთში და საქართველოში ჩამო-

ქ. პარლემის პარტიაკომიდან მაღუბულ იქნა ინჟურმაცია, თუ ვის უნდა დაკავშირებოდა ბატალიონის არალეგალური ხელმძღვანელობა ადგილობრივი მოსახლეობიდან. დასახელებული იყო რამდენიმე სანდო კაცი.

ბატალიონის პარტიული კომიტეტის წევრები და პირადად ევგენი არტემიძე მალე დაუახლოვდნენ პარტიაკომის მიერ რეკომენდირებულ პირებს და ადგილობრივ მოსახლეობასთან დაკავშირების საქმეშიც გამოიყენეს ისინი. ამ პირებიდან განსაკუთრებული როლი შეასრულა ბატალიონისა და ადგილობრივი მოსახლეობის დაკავშირებაში წინააღმდეგობის საბჭოს ადგილობრივი არალეგალური ორგანიზაციის აქტიურმა წევრმა კომუნისტმა იაკობი ზერმა. ბატალიონის აჯანყებამდე და მის შემდეგაც იგი გვერდში უდგა ბატალიონის ხელმძღვანელობას და დიდ დახმარებას უწევდა. ბატალიონის მებრძოლები გაფაციკვებით ადევნებდნენ თვალყურს აღმოსავლეთის ფრონტებზე საბჭოთა არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებსა და მოკავშირეთა მიერ დაწყებულ შეტევით ოპერაციებს დასავლეთიდან. ახლოვდებოდა ფაშისტური გერმანიის დამხობის, მკერზე საბოლოო გამარჯვებისა და ტყვეობიდან განთავისუფლების სანატრელი ჟამი. ამ დიად საქმეში თავისი წვლილი ქართულ ბატალიონსაც უნდა შეეტანა და სწორედ ამ მიმართულებით დაიწყო სამზადისი და ფართოდ გაიშალა სააგიტაციო მუშაობა ქართველ მებრძოლთა შორის; ამასთანავე გამაჯვილდა ყურადღება ქართველი ჯარისკაცების სამხედრო სწავლებისადმი. ასშეთაურებს მიეცათ დავალება დაბეჯითებით შეესწავლათ თავიანთი განლაგების ტერიტორიაზე არსებული სამხედრო ობიექტები, გერმანელი ჯარისკაცების ცალკეული ჯგუფების ადგილსამყოფელი, რაოდენობა და სხვა.

კაპიტან შალვა ლოლაძეს საქმის ხელახლა დაწყება მოუხდა კუნძულზე. იგი დღედაღამ მუშაობდა, ნახაზებსა და გეგმებში გადაჭკონდა ასშეთაურებისაგან მიღებული ცნობები მტრის სამხედრო ობიექტების განლაგების შესახებ. შემოსულ სამხედრო ხასიათის ჩვენებებს კაპიტანი შ. ლოლაძე პირადადაც ამოწმებდა ადგილზე მისვლით და გულწოდგიწოდ ამზადებდა. ბატალიონს მოსლოდნელი საბრძოლო მოქმედებისათვის. ბოლოს კუნძულის როკაც შეადგინა, ზუსტად განსაზღვრა მასში როგორც ქართული ბატალიონის, ისე

ყვანეს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ნიკოლოზ მიქიაშვილი, მალე გარდაიცვალა.

გერმანელების ცალკეული ჯგუფების განლაგება, სამხედრო ობიექტები. დანაღული ველები და სხვა. ამ რუკას მან პირობითი ამხსნელი მაჩვენებლებიც დაურაო. პატალიონი მალე სავსებით მზად იყო საბრძოლველად.

1945 წლის მარტში ქა. საჭალონი ბატალიონის არალეგალურ ხელმძღვანელობას გადასცეს „მომართვა საბჭოთა კავშირის მთავრობისა დასავლეთ ევროპაში მყოფ ყველა საბჭოთა მოქალაქისადმი“. ეხებოდა რა იმ მძიმე ვითარებას, რომელშიაც საბჭოთა სამხედრო ტყვეები აღმოჩნდნენ პიტლერელ ხელისუფალთა დანაშაულებრივი თვითნებობის გამო, საბჭოთა მთავრობა იუწყებოდა, რომ რამდენიმე ათასი საბჭოთა ადამიანი განთავისუფლებულია ტყვეობიდან და დაუბრუნდა მშობლიურ კერას.

მთავრობა მოუწოდებდა სამხედრო ტყვეებს პირველი შესაძლებლობისთანავე გაქცეოდნენ ფაშისტებს და გადასულიყვნენ მოკავშირეთა—ინგლისელებისა და ამერიკელების—მხარეზე.

საბჭოთა მთავრობის მიმართვასთან ერთად ქართულმა ბატალიონმა ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტიდანაც მიიღო მოწოდება. „ჰოლანდიის კ. პ. ცენტრ. კომიტეტი მოგმართავთ თქვენ—რუსებო, ქართველებო, სომხებო, თათრებო, უზბეკებო, ყაზახებო, თურქმენებო, ტაჯიკებო, ჩრდილოკავკასიელებო და სხვა ამხანაგებო!

ფაშისტური არამზადები დიდი ხანია გატყუებენ და გეუბნებიან, რომ თქვენ დაისჯებით სამშობლოში დაბრუნებისას. ეს სიცრუეა, ამხანაგებო!

ჩვენ ვიცით, რომ შიმშილმა და ფაშისტმა არამზადებმა გაიძულეს თქვენ ჩაგეცვათ გერმანული ფორმა.

ჩვენ გენდობით და თქვენში ჩვენს მეგობრებსა და მოკავშირეებს ვხედავთ. თქვენ ყოველთვის გქონდეთ ჩვენი დახმარებისა და მხარისდაჭერის იმედი. ჩვენი მხრივ კი თქვენგან მოვითხოვთ:

1. არ იმუშაოთ ფაშისტებისათვის;
2. ყოველგვარი ზიანი მიაყენოთ ფაშისტებს;
3. ნუ შეასრულებთ ფაშისტების ბრძანებას;
4. აცნობეთ ხოლმე ჰოლანდიელ ამხანაგებს გერმანელების ყველა გეგმის შესახებ.

5. უეცრივი თავდასხმების დროს მოეხმარეთ ჰოლანდიელ ამხანაგებს გაქცევასა და დამალვაში.

6. გაეჭეცით გერმანელებს და შეაფარეთ თავი ჰოლანდიელ მეგობრებთან;

7. გადადით ჩვენი მოკავშირეების მხარეზე.

8. გერმანელ ფაშისტებს ჩვენი გათიშვა და დასუსტება უნდათ, ჩვენ კი ვიკით—ძალა ერთობაშია!

პროლეტარებო აველა ქვეყნისა, შერთდით!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

ნიუჯერლანდების კ. პ. ცენტრ. კომიტეტი
მარტი, 1945 წ-ს.

აღსანიშნავია, რომ ქართულმა ბატალიონმა საბჭოთა მთავრობისა და ნიდერლანდების კომუნისტური პარტიის შემომოყვანილი მოწოდებანი 1945 წლის მარტის დამდეგს შიილო, ქართული ბატალიონი კი უკვე 1943 წლიდან იყო ჩაბმული მტრის საზიანო არალეგალურ მუშაობაში. განვლილი დროის მანძილზე ბატალიონის მებრძოლები, შეკავშირებულნი ამ არასეულის არალეგალური პარტიული ორგანიზაციის მიერ, სისტემატურად ეწეოდნენ საბოტაჟს ფაშისტ-არამზადების დავალებათა შესრულების საქმეში, დაწეებული ჯერ კიდევ კრუშინის ბანაკში (პოლონეთი) და გარბელებული, უფრო ეფექტურად, ჰოლანდიაში ყოფნის მთელი დროის მანძილზე; ბატალიონის მებრძოლები ჯგუფურად და ინდივიდუალურად გადადიოდნენ ადგილობრივ მოქმედი ფარული შეიარაღებული ძალების მხარეზე, სისტემატურად აწოდებდნენ პარტიზანებს საბრძოლო იარაღებსა და ამუნიციას, ფეთქებად ნივთიერებას, ტანსაცმელსა და საკვებ პროდუქტებს, ამიტომ გასაგები იყო ის აღფრთოვანება, რომლითაც ქართველი მებრძოლები შეეგებნენ ამ მოწოდებებს. მათ ძირითადად უკვე რეალიზებული ჰქონდათ თავისი მშობლიური ქვეყნის მთავრობის, ჰოლანდიის კომუნისტური პარტიისა და წინააღმდეგობის საბჭოს მიერ მათზე დაკისრებული, მოწოდებაში აღნიშნული საპატიო ვალდებულებანი. მაგრამ ბატალიონის არალეგალური ხელმძღვანელები როდი მისცემიან თვითდამშვიდებას, მათ კიდევ უფრო ენერგიულად გაშალეს საბრძოლო მზადება მტრის წინააღმდეგ გამიზნული აჯანყებისათვის.

მოწოდებები დაუყოვნებლივ დამუშავდა ქართული ბატალიონის მებრძოლთა შორის და მათ ფიცი დადეს, რომ უყოყმანოდ შეასრულებდნენ მშობლიური მთავრობის ყოველგვარ დავალებას, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებდნენ და თავის წვლილს შეიტანდნენ ფაშისტ-მტარვალების საბოლოო განადგურების დიად საქმეში.

ქართული ბატალიონის აჯანყება კუნძულ ტემსელზე

საბედისწერო შეიქმნა 1945 წლის გაზაფხული ჰიტლერული გერმანიისათვის.

ფაშისტურ ურდოებს გმირმა საბჭოთა არმიამ ხერხემალი გადაუმხვრია, ასიათასობით გაელიტა და არათუ მშობლიური მიწა-წყლიდან, აღმოსავლეთ ევროპის სხვა „საარსებო სივრცეებიდანაც“ გარეკა „ბატონების რასა“.

მაგრამ ამით როდი დაკმაყოფილდა საბჭოთა ლაშქარი, იგი კვალდაკვალ მისდევდა თავისივე ბუნაგისკენ შებრუნებულ ნაცისტურ ჩხულს, ხელიდან აცლიდა ახალ-ახალ ტერიტორიებს და საბოლოო სასიკვდილო ლახერის ჩაცემას უპირებდა მას.

ამავე დროს მოკავშირე ინგლის-ამერიკის არმიებმა, თუმცა დაგვიანებით. დასავლეთიდანაც შეუტიეს გერმანელებს. ორ ცეცხლ შუა მოხვედრილი გერმანელი ავაზაკები ჯერ კიდევ სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდნენ გაერთიანებული ერების არმიებს ორივე ფრონტზე და ყოველგვარ საშუალებას მიმართავდნენ, რომ თავი დაეღწიათ საბოლოო განადგურებისაგან.

1945 წლის მარტის დამლევს ქართულ ბატალიონში ხმა გავრცელდა— გერმანელები ფრონტზე გაგზავნასა და მოკავშირეთა წინააღმდეგ გამოყენებას გვიპირებნო.

ბატალიონის არალეგალური ხელმძღვანელობა ფეხზე დადგა და მოახერხა საქმის ნამდვილი ვითარების გამორკვევა. ქართული ბატალიონის გერმანულ ხელმძღვანელობას მართლაც მიეღო ბრძანება მთავარსარდლობიდან—კონტინენტზე გადაეყვანა ბატალიონის მებრძოლთა მეტი ნაწილი (3—4 ასეული) და ჩიებბ ქართველები მოკავშირეთა საწინააღმდეგო ბრძოლაში.

ეს ამბავი საბოლოოდ 1945 წლის 3 აპრილს გამოირკვა. მეორე დღესვე, 4 აპრილს, ქართული ბატალიონის პარტიულმა კომიტეტმა მოუხმო არალეგალურად მომუშავე პასუხისმგებელ ამბანაგებს, წაიყვანა ისინი ქ. დენ ბურხის გარეუბანში და გამართა თათბირი ვალდ-კაფის ტყეში. ამ თათბირს დაესწრნენ: ევგენი არტემიძე, შალვა ლოლაძე, ნოე გონგლაძე, სერგო გუჯაბიძე, შალვა ნოზაძე. იაკიმე ჯანჯღავა, ვარლამ ებრალიძე და მამია პაქკორია.

ბატალიონის პარტიული კომიტეტის მდივანმა ევგენი არტემიძე დაწვრილებით გააცნო ფარული თათბირის მონაწილეთ შექმ-

ნილი ვითარება და მიზანშეწონილად ჩათვალა აჯანყების დაუყოვნებლივ მოწყობა.

— ჩვენ გვირჩევენია ყველანი გავწყდეთ, ვიდრე მოკავშირეთა წინააღმდეგ ვიომოთ,— განაცხადა ე. არტემიძემ.— მთლიანად რომ მიყავდეთ ჩვენი ბატალიონი ფრონტზე, ჩვენ დავთანხმდებოდით წასვლაზე და იქ მოვახერხებდით აჯანყებასა და მოკავშირეთა მხარეზე გადასვლას. მაგრამ უბედურებაა ისაა, რომ მხოლოდ ერთ ნაწილს გვაგზავნიან ფრონტზე და კიდევაც რომ შეეძლოთ მოწინავე ხაზიდან მოკავშირეთა მხარეზე გადასვლა, აქ, კუნძულ ტექსელზე, დიდი ტრაგედია დატრიალდება და უკლებლივ ყველა დარჩენილ ამხანაგს ამოგვიწყვეტენ.

მეორე წელი ხდება, რაც ჩვენ ვემზადებით აჯანყებისათვის გერმანელი ჯალათების წინააღმდეგ და ახლა უკვე დადგა შურისძიების ეს სანატრელი მომენტი. მე მოგიწოდებთ აჯანყებისაკენ, სხვა ვხას ჩვენ ვერ დავადგებითო,— დაასრულა ე. არტემიძემ.

ქართული ბატალიონის არალეგალურმა სამხედრო მეთაურმა კაპიტანმა შალვა ლოლაძემ სავსებით გაიჭიარა ევგენი არტემიძის მოსაზრება და განაცხადა, გერმანელებმა დამატებით შეაესეს ჩვენი შეიარაღება ფრონტზე გამგზავრების წინ და ესეც ხელს გვიწყობს აჯანყებისათვისო. ახლა ჩვენ სასწრაფოდ უნდა დავამუშაოთ საკითხი მებრძოლთა შორის და დაენიშნოთ აჯანყების დღე და საათი; დავამთავრებთ თუ არა წინასწარ ს. მზადისს, მე დაუყოვნებლივ გავცემ აჯანყების ბრძანებასო,— სთქვა მან.

საბრძოლო გადაწყვეტილებას უყოყმანოდ დაეთანხმნენ ბატალიონის სამხედრო კომისარი სერგო გუჯაბიძე, ნოე გონგლაძე და რათბირის მონაწილე ყველა დანარჩენი ამხანაგი.

ევგენი არტემიძის წინადადებით სწრაფად გაანაწილეს ხარტიული კომიტეტის წევრები სამხედრო ობიექტებზე სამოქმედოდ აჯანყების დროს: პირველ ასეთულს ს. გუჯაბიძე მიემგრა, მეორეს— ი. ჯანჯღავა, მესამეს— მ. პაქკორია, მეოთხეს— შ. ნოზაძე, მეხუთეს— თვითონ შალვა ლოლაძე და ვ. ებრაღიძე, მეექვსეს— ე. არტემიძე.

გადაწყდა აჯანყება დაწყებულიყო 5 აპრილს, ნაშუალამევეს, პირველ საათზე. აჯანყების მონაწილეთათვის პაროლად «დაბადების დღე» გამოცხადდა.

ბატალიონის მეთაურმა კაპიტანმა შალვა ლოლაძემ გასცა ბრძანება თავისსავე ნაწილის განლაგებაში დარჩენილიყვნენ ისმეთაურები და დანიშნულ ვადაზე დაეწყათ აჯანყება.

პირველ ასეულს კოგსდორპის ნავსადგურის მიდამოებში უნდა ებრძოლა;

მეორე ასეულის მეთაურს ნოე გონგლაძეს—დე კოხში მესამე ასეულს დენ ჰორის უბანში უნდა ეწარმოებინა ბრძოლა და შემდეგ სამხრეთის ბატარეა აელო.

მეოთხე ასეულის მეთაურს გივი მინდიაშვილს ფლუგ-ფლაცის ცენტრალურ ნაწილში დაევალა ბრძოლა.

მეხუთე საშტაბო ასეულს თვითონ შალვა ლოლაძე უხელმძღვანელებდა და იბრძოლებდა ქ. დენ ბურხსა და მის მიდამოებში.

მეექვსე ასეულის მეთაურს ს. ქარქაშაძეს ფლუგ-პლაცია აღმოსავლეთ ნაწილში უნდა ებრძოლა.

გივი ანთიძის განსაკუთრებულ ოცეულს დე ვალის საბატარეო პუნქტი უნდა აელო.

აჯანყება ყველა მეთაურს ერთსა და იმავე დროს, ზუსტად პირველ საათზე უნდა დაეწყო და, რამდენადაც ეს მოსახერხებელი იქნებოდა, უხმოდ უნდა გაეწვიტათ ან დაემორჩილებინათ მტერი რომ ნაადრევად არ გამჟღავნებულყო აჯანყების ამბავი კუნძულის დანარჩენ სამხედრო ობიექტებსა და კონტინენტზე.

მეთაურებს დაურიგდათ ზიზნეული საბრძოლო ოპერაციების ტერიტორიაზე განლაგებული სამხედრო ობიექტების რუკები და ზუსტი მითითება მიეცათ, როგორი თანამიმდევრობით უნდა ეწარმოებინათ ამ ობიექტებზე ოპერაციები.

დღისით, 5 აპრილს, ქართული ბატალიონის არალეგალური ხელმძღვანელობა გაფაციცებით ემზადებოდა აჯანყებისათვის. ამინდმაც ხელი შეუწყო ქართველ მეომრებს: ისეთი ქარიანი და ამბვე დროს ბნელი, ნისლიანი ღამე დადგა, რომ კაცი თვალში თითს ვერ მიიტანდა.

ნაშუადღამევის სრულ პირველ საათზე ქართველები მოულოდნელად თავს დაესხნენ სხვადასხვა ადგილას გერმანელების გარნიზონს და, უმთავრესად ცივი იარაღის გამოყენებით, უხმოდ, თითქმის მთლიანად ამოჟლიტეს მტრის ოფიცრობა და ჯარისკაცები.

კაპიტანი შ. ლოლაძე სწრაფ მანევრირებას ახდენდა და ელვის სისწრაფით იქ ჩნდებოდა, სადაც მეტ გასაჰირს შეამჩნევდა.

6 აპრილის გარიჟრაჟზე შ. ლოლაძემ მონახა ე. არტემიძე და ს. გუჯაბიძე და მათთან ერთად გაეშურა ქ. დენ ბურხს. ამ დროისათვის ვალიკო კარსანიძეს თავისი ოცეულით მთლიანად შეენადგურებინა გერმანელების შტაბი და ხელში ჩაეგდო სატელეფონო ქსელის სადგური.

შტაბში მისელისას ვ. კარსანიძემ უპატაკა ბიტალიონის მეთაურს შ. ლოლაძეს—ქალაქი განთავისუფლებულია და მტერი მთლიანად მოსპობილიაო. ამ სასიხარულო აშხავეთან ერთად ვ. კარსანიძემ ერთი სამწუხარო ცნობაც გადასცა მეთაურს: ცალკე შენობაში მცხოვრები, ქართული ბატალიონის გერმანელი მეთაური მაიორი ბრაიტნერი შეუქმნევლად გაქცეულიყო, გადარჩენოდა ქართველების რისხვას და ჯერჯერობით არსად ჩანდა.

შ. ლოლაძე, ე. არტემიძე და ს. გუჯაბიძე სასწრაფოდ მივიდნენ სატელეფონო სადგურში. კაპიტანი შ. ლოლაძე დაუყოვნებლივ შეუერთდა კუნძულზე მებრძოლი ასეულების მეთაურებს. ხაზი ჩინებულად მუშაობდა და ყოველი მხრიდან ისმოდა ამაღლეგებელი, მაგრამ მოკლე პასუხი: „არის, ამხანაგო მეთაურო! მტერი მოსპობილია და ველით თქვენს ახალ განკარგულებას შემდგომი მოქმედებისათვის“.

კიდევ საჭირო იყო ერთი ფრიად სერიოზული სამხედრო ოპერაციის ჩატარება: სასწრაფოდ უნდა აეღოთ ოუდე სხილდის ნავსადგური, რომ მტერს არ მოესწრო კონტინენტიდან დესანტის იქ გადმოსხმა.

კაპიტანმა შ. ლოლაძემ ამ რთული ოპერაციის შესრულება თავის მოადგილეს ასმეთაურ ნოე გონგლაძეს დაავალა.

ასმეთაური ნოე გონგლაძე, რომელსაც უკვე დაკავებული ჰქონდა დე კუხი, ბატალიონის მეთაურის ბრძანების მიღებისთანავე გაეშურა ახალი საბრძოლო ობიექტის დასაპყრობად. ელვის სისწრაფით გადასერა მან თავისი ასეულით საკმაოდ დიდი მანძილი დე კოხიდან ნავსადგურამდე და რისხვად დაატყდა ოუდე სხილდის გარნიზონს.

ხანმოკლე, მაგრამ უაღრესად გააუთრებელი ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. ასმეთაური ნ. გონგლაძე, სხვა ქართველ მებრძოლებთან ერთად, საარაკო გმირობას იჩენდა. ნავსადგური ოუდე სხილდი აღებულ იქნა და მისი დამცველი გერმანელი ავაზაკები თითქმის მთლიანად ამოკლიტა ნოე გონგლაძის ასეულმა. მხოლოდ რამდენიმე ათეულმა კაცმა უშველა თავს, ისინი ზღვაში გადაცვივდნენ, მაგრამ უმეტეს მათგანს იქაც სწევდა ქართველების ტყვია და ტალღებში ჩაახრჩო. ოუდე სხილდის დაკავება დაუყოვნებლივ ეცნობა ბატალიონის შტაბს.

გაათენებამდე კუნძულის გარნიზონის გერმანულ ნაწილები, 800 კაცამდე, გაწყვეტილ იქნა, ქართველებმა დაამსხვრიეს ან ხელთ

ფედეს ტექსელის სიმაგრეები. საარტილერიო ბატარეები, აეროდრომის მოედანი და იარაღაა და სურათის საწყობები.

გერმანელთა მხოლოდ ორი საბატარეო პუნქტი დარჩა კუნძულზე აუღებელი, ერთი მათგანი კუნძულის ჩრდილო-დასავლეთით იყო. ამ ბატარეის წინააღმდეგ ბატალიონის რამდენიმე ასეულმა მიიტანა იერიში აჯანყების მეორე და მესამე დღეს, მაგრამ ეს ღონისძიება დაგვიანებული აღმოჩნდა, რადგან მტერმა მოასწრო თავდაცვის მოწესრიგება და ბატარეის ობიექტი შეუვალი გახადა.

ვერ იქნა აღებული აგრეთვე მოულოდნელი თავდასხმის შესაძლებლობის გამოუყენებლობის გამო, გერმანელთა მძიმე ბატარეის ძლიერი ობიექტი ტექსელის სამხრეთ-დას. ვლეთის სანაპიროზე, შემდეგ კი მისი აღება მოუხერხებელი გახდა, რადგან კონტინენტიდან იცავდა გერმანელების არტილერია და თვითონ საბატარეო ობიექტიც მოემზადა თავდაცვისათვის.

აჯანყების ორგანიზებული დაწყების, მოულოდნელი თავდასხმისა და ჯარისკაცებისა და მეთაურების საარაკო სიმამაცის გამო, კუნძული ტექსელი ისე აჩლეს ქართველებმა, რომ დიდი ზიანი არ მოსწლიათ. აჯანყების ღამეს ბატალიონის პირადმა შემადგენლობამ მოკლულთა და დაჭრილთა სახით 10 კაცი დაკარგა, მაგრამ ამ საერთო სიხარულის დროს მაინც მწვავედ განიცადა ბატალიონის შტაბის აღების დროს გოგია ფოთოლაშვილის გმირულად დაცემა, ფლუგ-პლაცზე მამაცი მეომრის გ. დოლაძის მოკვლა, მე. ჯავშირე ჩემინავასა და ლაფრენტი ნაცვლიშვილის დაღუპვა საბრძოლო დაივლების შესრულებისას დენ ჰორის გზაზე და სხვა დანარჩენი მეგობრების სიკვდილი.

დილით ქართული ბატალიონის შტაბის შენობაზე ტექსელაში აფრიალდა სსრკ, ინგლისისა და ჰოლანდიის დროშები, აღმართული მებრძოლ ვანო ზოზრაშვილის და მისი ჯგუფის მიერ.

6 აპრილს, დილიდანვე, ბატალიონის მეთაურმა შ. ლოლაძემ და ე. არტემიძემ მოიწვიეს კუნძულზე დღემდე არაღიგაღურად მომუშავე ჰოლანდიელ პატრიოტთა ორგანიზაციის ხელმძღვანელები ვ. კელდერი და ი. კაიზერი, ჩააბარეს მათ კუნძულის სამოქალაქო მმართველობა და მოსთხოვეს ძალების გამოყოფა ბატალიონის დასახმარებლად.

კუნძულის კომენდანტის მოვალეობის აღმსრულებლად ახლად-დანიშნულმა კელდერმა გააცა ბრძანება, რათა კუნძულის მკვადრო

მამაკაცები დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყვნენ აჯანყებული ბატალიონის პეთაურ ლოლადქსთან.

„ბ რ ძ ა ნ ე ბ ა.

ყველა მამაკაცი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოცხადდეს ტექსლაში (აჯანყებულთა შტაბი მოთავსებული იყო ქ. დენ ბურხის მახლობელ უბან ტექსლაში. მ. ქ.) ხელმძღვანელ ლოლადქსთან.

ამ ბრძანების შეუსრულებლობა მკაცრ სასჯელს გამოიწვევს.

ტექსელი, 9 აპრილი, 1945 წ

ტექსელის რაიონის ქვეკომენდანტი“

ბრძანების შედეგად ლოლადქსთან 200-ზე მეტი კაცი გამოცხადდა; შტაბში გამოცხადებულ კუნძულის მკვიდრ მამაკაცთაგან 50 მცხოვრები შეიარაღებულ იქნა ბატალიონის მიერ და მათ საქმე მიუჩინეს, ხოლო დანარჩენები თავთავიანთ სახლებში დაბრუნდნენ.

6 აპრილს ქართული ბატალიონის შტაბში მოიყვანეს 13 გერმანელი ოფიცერი და ერთი სამოქალაქო პირი; ეს ვაჟბატონები საშინლად ავიწროებდნენ როგორც ბატალიონის მებრძოლებს, ისე კუნძულის მოსახლეობას.

შტაბში მოყვანილი ოფიცრები გაასამართლეს და მათ ყველას დახვეწა მიესაჯა. განაჩენი 6 აპრილსავე მოიყვანეს სისრულეში.

დილით, 6 აპრილს, კუნძულის მოსახლეობა ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო მომხდარ ამბებში და ერთგვარ კრძალვას იჩენდა, მაგრამ გაიგო თუ არა, ქართველებმა კუნძული მთლიანად აიღეს და მათ უბედურებას ბოლო მოეღო, აღფრთოვანებულნი გამოცვივდნენ ქუჩებში, სახელდახელო მიტინგები მოაწყვეს და ესალმებოდნენ ქართული ბატალიონის ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, ქალიშვილები კი თაიგულებს უძღვნიდნენ მამაც მებრძოლებს. ამის შემდეგ კუნძულის მოსახლეობამაც გამოკიდა სახლებზე ჰოლანდიისა და მოკავშირეთა დროშები.

6 აპრილიდან 9 აპრილამდე კუნძულზე რაიმე მნიშვნელოვან ბრძოლებს ადგილი აღარ ჰქონია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ადგილობრივი ხასიათის სამხედრო ოპერაციებს, რომლებიც კუნძულზე შემორჩენილი მტრის ზოგიერთი ჯგუფის სალიკვიდაციოდ წარმოებდა.

9 აპრილს ვითარება მკვეთრად შეიცვალა. გერმანელებმა სასტრუქო საარტილერიო ცეცხლი გააჩაღეს კონტინენტიდან—დენ ჰელდერიდან და კუნძულის სამხრეთ ბატარეიდან, შემდეგ კი ოთხი ჯემით დესანტი მოაყენეს კუნძულის სანაპიროს ოუდე რილდში. კუნ-

ძულის დამცველები იძულებული გახდნენ ჩაბმულიყვნენ გააფთრებულ ბრძოლებში; მათ სასტიკი დარტყმა აგემეს მომხდურ მტერს და არ მისცეს ტექსელზე დესანტის გადმოსხმის საშუალება. სადესანტო გემები ქართველების მიერ უკანვე იქნა გაბრუნებული, ორი გემი კი მწყობრიდან გამოიყვანეს. სადესანტო გემების ერთ-ერთმა კაპიტანმა თავი მოიკლა.

ეტყობოდა, რომ გერმანელები ფართო ოპერაციების დაწყებას აპირებდნენ და საკირო იყო წინასწარი გამაფრთხილებელი ზომების მიღება.

ქართული ბატალიონის შტაბმა მოტორიანი საშველი ნავი „იონ ხოდსონი“ გამოსთხოვა გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ მოქმედ ადგილობრივი საბჭოს ხელმძღვანელებს და 9 აპრილს ღამით, 4 ჰოლანდიელის თანხლებით, ინგლისს დელეგაცია გაგზავნა. ბატალიონი, ატყობინებდა რა კუნძულზე შექმნილ მდგომარეობას ინგლისის მთავარსარდლობას, სთხოვდა მოშველებას და სახწრაფოდ დესანტის გადმოსხმას ტექსელზე.

10, 11 და 12 აპრილის განმავლობაში გერმანელები განაგრძობდნენ სასტიკ ბომბარდირებას გელდერიდან და საარტილერიო ცეცხლის საფარის ქვეშ შეძლეს კუნძულზე 2000 კაცის გადმოსხმა. მიუხედავად გმირული წინააღმდეგობის გაწევისა, ქართველები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ და დაეტოვებინათ ნავსადგური აუ-დეჰილი და ქ. დენ ბურხი; ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ მოსახლეობა ნადგურდებოდა გერმანელთა მძიმე არტილერიის ცეცხლით და ქართველები მოერიდნენ მცხოვრებლების დაზარალებას.

გააფთრებული ბრძოლები გრძელდებოდა დღისით და ღამით: ქართველების სიმამაცეს საზღვარი არ უჩანდა, ფაშისტ-არამზადების გვამებით იყო მოფენილი ბრძოლის ადგილები ოუდე სხილდსა და დენ ბურხის მიდამოებში, მაგრამ ქართველებსაც საგრძნობი ზარალი მოსდიოდათ.

ლომივით იბრძოდა მესამე ასეულიდან ოცმეთაური ვალერი იან ელენტი. მის გმირობას აჯანყების პიროველ ღამეს და გერმანელთა დესანტების გადმოსხმის შემდეგაც განცვიფრებაში მოჰყავდა ყველა. ვ. ელენტის ხელში არათუ საბრძოლო იარაღები და ხელყუმბარა, უბრალო რკინის ნაქერიც კი მაგიურ ძალას იღებდა და დაუნდობლად სპობდა ჰიტლერელ არამზადებს. ვ. ელენტის გვერ-

დით თავდადებით იბრძოდნენ მეტყვიამფრქვევეები შურაჩილოჩივა და აკაქი დევიძე; მათ არა ერთი ათეული გერმანელი გაახადგურეს და, მოუხედავად მძიმე კრილობებისა, ხელიდან არ გაუშვეს ტყვიამფრქვევი, სანამ ზედ არ დააკვდნენ ორივენი; მათთან ერთად ასევე თავგამოდებით იბრძოდა და მოკლულ იქნა ვალიკო კუხალაშვილი. ამხანაგების დაჯარგვამ ისე გაააფთრა ვ. ჟლენტი, სერგო გაბრიაძე, დავით სარჯველაძე, ვალერიან ბერაია, ლადო სეხნიაშვილი და სხვები, რომ მათ თითქმის მთლიანად გაწყვიტეს გერმანელთა ასეული და მხოლოდ შემდეგ გადაინაცვლეს იდგილი.

უმოწყალოდ ელიტეს მტერი მე-4 ასეულის უშიშარმა მეთაურმა გივი შინდიაშვილმა, მეტყვიამფრქვევე შალვა ვაშაკიძემ და გიორგი კოტრიკაძემ და ისინიც დაეცნენ ამ უთანასწორო ბრძოლაში.

დაიღუპნენ დენ ბურხის ბრძოლის გმირები მე-5 ასეულიდან: ვალიკო კარსანიძე, ნოდარ მატარაძე, ნიკოლოზ ტატუნაშვილი, მიტო გიგაშვილი და სოსო დიდებულისძე.

ფლუგ-პლაცა და დეკობში რისხვად ევლინებოდნენ მტერს და მუსრს ავლებდნენ ნ. გონგლადის მეორე ასეულის მეტყვიამფრქვევეები ვახტანგ ბალანჩივაძე და შალვა ფუხაშვილი, მესამე ოცეულის მეთაური მოხვევე გიორგი ლუღუშაური, ვახტანგ კაცაძე და შაქრო გოგოლაური, მაგრამ მტრის სიჭარბემ სძლიათ და ისინიც გმირულად დაეცნენ ბრძოლის ველზე.

გიორგი ლუღუშაურის ოცეულის ნაშთი შეიერთა მეორე ოცეულის მეთაურმა გივი ფირცხალავამ; მეტყვიამფრქვევე ოცეულის მეთაურ ილია კირვალაძესთან ერთად ისინი ეკვეთნენ მტერს, შეიტანეს აღრევა მათ რიგებში და მოკლულ გერმანელთა გვამებით აავსეს მიდამო.

თავგანწირვით იბრძოდნენ აგრეთვე პირველი და მეექვსე ასეულის მებრძოლებიდან: ჟორა ჯანაშია, თეიმურაზ ნატროშვილი, კოტე ბალაშვილი, ვარლამ შეყილაძე, შაქრო ბურჯანაძე, არჩილ ხუროშვილი, ვლადიმერ დადუნაშვილი, ლეო ირემიძე, ნიკოლოზ ზალდასტანიშვილი და ესენიც ვერაგ მტერთან უთანასწორო ბრძოლის მსხვერპლი გახდნენ.

მტერს ერთაათად აზღვეუნეს მოკლული ქართველი მეომრების სისხლა და გაჰმაკებათ იბრაჰიმან: ალექსანდრე ზედელა-შვილი, ქიტესა კუსიკაშვილი, გოგია რაზმაზიშვილი, დაეით ალაფიძე, შალვა ასათიანი, კოტე ჯიოევი, ხუტა თურქია, ასლან წილოსანი და სხვანი; მათ ძვირად დაუსვენს ფაშისტ-მტარვალებს მეგობრების სისხლით მორწყული ყოველი მტკაველი მცნა.

კუნძულზე წარმოებული ბრძოლების დროს თავი ისახელა აგრეთვე განსაკუთრებული ტანკაწინააღმდეგო ოცეულის უფროსმა გივი ანთიძემ; იგი თავხარს სცემდა მტერს მოძრავი ბატარეის ცეცხლით და მრავალჯერ უხსნია ბატალიონი გადამწყვეტ მომენტებში.

ქართველებთან ერთად იბრძოდა 360 პოლანდიელი პატრიოტი და 4 იტალიელი პარტიზანი; ისინიც ერთგულად უდგნენ ქართველ მებრძოლებს გვერდში და ქედი არ მოუხრიათ ბრძოლებში. კუნძულზე არალეგალურად მყოფი ორი საბჭოთა სამხედრო ტყვე — ლეიტენანტი ხამიდ კამერგოევი და ბათარბეგ დიგუროვი (ოსები ჩრდილო კავკასიიდან) ქართველებს შეუერთდნენ აჯანყების დროს და ბოლომდე მამაცად იბრძოდნენ.

პოლანდიელმა პატრიოტებმა ამ სამხედრო ოპერაციების განმავლობაში 95 კაცი დაკარგეს მოკლულთა სახით.

ბატალიონის მებრძოლებთან ერთად, კომუნისტ მაქს გიდას მეთურობით, რამდენიმე გერმანელი ანტიფაშისტიც იბრძოდა. სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობასთან ერთად მაქს გიდა საყუადღებო სააგიტაციო მუშაობასაც ატარებდა. ქართული ბატალიონის შტაბის დავალებით მან შეადგინა მოწოდება გერმანელი ჯარისკაცებისადმი, რამდენიმე ას ცალად გაამრავლა და კუნძულის სხვადასხვა ნაწილში გააკვერეინა; იგი მოუწოდებდა გერმანელ ჯარისკაცებს ხელა აელოთ უმიზნო ბრძოლაზე და შეეწყვიტათ სისხლისღვრა. მაქს გიდა შემდგომ (მაისში) ხელში ჩაიგდეს გერმანელებმა და კუნძულზევე ჩამოახრჩეს.


გერმანელებს მოწოდებით მიმართეს აგრეთვე ნიდერლანდების კომუნისტური პარტიისა და სხვა პატრიოტულ ორგანიზაციათა გაერთიანებებმა და მოუწოდეს შეეწყვიტათ ბრძოლები აჯანყებულთა წინააღმდეგ. აქვე მოტანილია ამ მოწოდების ტექსტი.

„ამხანაგებო!

როგორც თქვენი ქვეყანა, ახლა პოლანდიაც გადაიქცა სწომარ მოქმედების ასპარეზად. ამჟამად მოკავშირენი სწრაფად იქ-



დენ ბე... — ტექსელის მთავარი დასახლებული
პუნქტი, დაა-კ-ლაქი



ტექსელზე წარმოებულ ბრძოლების დროს გერმანელებმა არტილერიის
ცეცხლით დიდადი შენობები დაწვეს და ნანგრევებად აქციეს

რებიან გერმანიის გულში. წითელი არმია ვენაში იმყოფება და ამზადებს ბერლინზე თავდასხმას. გერმანიის ფრონტი სრული დაშლისა და განადგურების საფრთხის წინაშე დგას. ამ მომენტში ფაშისტური ხელმძღვანელობა აპირებს ახალი ჯარი გაგზავნოს ფრონტზე ჰოლანდიიდან და ამით გააგრძელოს ომის ვადა.

ტექსელის გარნიზონმა ერთადერთმა გასცა სწორი პასუხი ომის გამჩალებლეს. სჯობს გმირული ზრძოლა მშვიდობიანობისათვის, ვიდრე ნოკვდე ფრონტზე უმიზნოდ, უკვე წაგებული ომისათვის.

მე-6 ქართული ბატალიონი ჰოლანდიელ და გერმანელ ანხანაგებთან ერთად მიმდინარე მომენტში მოკავშირეთა მხარეზე ეწევა ბრძოლას. გერმანელი ამხანაგების ნაწილმა სოლიდარობა განუცხადა ჰოლანდიელ ხალხს, თანახმად „თავისუფალი გერმანიის“ კომიტეტის მოწოდებისა; აი მოწოდების შინაარსი: „ცეცხლითა და მახვილით აპარტახებს ჰიტლერი გერმანელი ხალხის ხელით სხვა ქვეყნებს, მიწასთან ასწორებს მათ ქალაქებსა და სოფლებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე.“

ყველგან, სადაც კი გერმანელმა ჯარისკაცმა ღეხი შედგა, აუწერელი სილატაკე და მწუხარება სუფევს, ოკუპირებულ მოსახლეობაში იზრდება გერმანელებისადმი სიძულვილი და შურისძიების სურვილი.

მხოლოდ ის ადამიანები, ვისთვისაც გერმანიის სახელი ყველაფერზე უფრო ძვირფასი არაა, ვერ ამჩნევენ ხსენებულ აღმშფოთებელ, შემადრწუნებელ საქმეებს.

ხედავთ, გესმით, თუ რა საშინელი უფსკრულისაკენ მიგაქნებთ თქვენ ჰიტლერი?!

თუ გინდათ შეუნარჩუნოთ გერმანელ ხალხს პატიოსნება, შეწყვიტეთ ომი! ომის გაგრძელების ყოველ საათს და დღეს მოაქვს ჯარისკაცთა ათასების სიკვდილი და აგრეთვე ამოწყვეტა თქვენი შვილების, ცოლებისა და ახლობლებისა თვით გერმანიის შიგნით.

მიბაძეთ კუნძულ ტექსელზე მებრძოლ ქართველებს და მათ მხარეზე გადასულ გერმანელ ამხანაგებს, რომელნიც სისხლს ღვრიან ქართველებთან ერთად უდანაშაულო და გაწამებული მოსახლეობის გადასარჩენად.

არ ეომოთ ტექსელის დამცველებს!

აპყარეთ იარაღი ფაშისტ ოფიცრებს!

Kämpft auf die Seite Eurer Kameraden VON TEXEL!!

AN DIE DEUTSCHEN SOLDATEN, MATROSEN UND OFFIZIERE DER BESATZUNG DES SELBEN

Kameraden!

Holland ist jetzt zum Kriegsschauplatz geworden genau wie Eure Heimat. Im Westen dringen die Alliierte Truppen schnell im Herzen Deutschlands hinein. Die Rote Armee befindet sich momentan in Viers und bereitet sich vor auf den Schluß gegen Berlin. Die Deutsche Front ist mit Invasierung bedroht.

In diesem Augenblick wollte die Fascistische Meeresleitung Truppen nach Holland an die Front schicken um diesen sinnlosen Krieg noch weiter in die Länge zu ziehen!

WIE BESATZUNG TEXEL? HAT DIE EINZIG RICHTIGE ANTWORT GEGEBEN!

LEBEN WEIDENHAFT IN DEN FREIEN KÄMPFEN ALS VERBUNDEN AN DIE FRONT
FÜR EUREN VERLORENEN KRIEG!

Jetzt steht das 666 Geopische Bataillon seit einigen Tagen im gemeinsamen Kampfe mit den Deutschen Soldaten und die Holländische Partisanen im Kampf an die Seite der Alliierten.

SIE HABEN SICH SOLIDARISIERT MIT DEN HOLLÄNDISCHEN VOLKE!

Sie haben den Auftrag der Komitee "Friede Deutschland" indem es heißt:
"Zu ungeheuren Verantw. ist unser Volk missbraucht worden. Durch die Hände unserer Völker löst Hitler Fremde Länder mit Feuer und Schwert verheeren, Städte und Dörfer von Erbsenen gleichmachen, Mord, Plünderung und Inhaftierung durch ganz Europa tragen. Wo immer auch die deutschen Truppen ihrer Fasz hinsetzen können, macht die Armut, schreit das Kind der Mütter zum Himmel, da leidet primäriger Mass der Bevölkerung auf.... Nur durch Sie, denen die Erde Deutschlands völlig gleichgültig ist, können wir die unerbittlichen Vorkrechen aehrige vorüber gehn....
Jetzt Ihr denn nicht, herrscht Ihr denn immer noch nicht, in welchen Tod nicht Abgrund der Schwach. Denn Hitler führt?", verstanden.

Sollt Ihr die Deutschen Her retten, so macht schluß mit dem Krieg. Jeder Stunde die wir den Todert Tausende Toten und Verwundeten jeden Tag Krieg bedeutet ist für eure Frauen, Kinder und Geschwister in die Heimat.

FOLGT DER ANWEISUNG UND VERBUNDEN MIT DEUTSCHEN KAMERADEN AUF TEXEL!
LEBEN EAT SICH WACH DAS EINE BEWÄHRUNG BALDE WIRD DIE GANZE DEUTSCHE
VON TEXEL!

Neillt die Ihre Deutschland für r als die persönliche "Eure" Hitlera der Achse zu. v. r. r. r. r. r.

SCHLIEßT NICHT AUF EURE BETROFFENEN VERBUNDENEN VERBUNDENEN SACHE MIT UNTER
NACHT DIE FREIHEIT DER GEFÜHRENDEN, WIE SIE SICH KAMERADEN AUF TEXEL
SICH!

DEUTSCHE ANNO SEH WACHT DIE GANZE HOLLÄNDISCHE TRADITION DER DEUTSCHEN
VON TEXEL! WIE SIE SICH KAMERADEN AUF TEXEL! WIE SIE SICH KAMERADEN AUF
TEXEL!

ADOLF HITLER WIRD FALLEN WENN DIE ENGELN LEBEN WILL!

ტექსილზე წარმოებული ბრძოლების დროს ნიდერლანდების კომპარტიამ
მოწოდებით მიმართა გერმანულ ჯარისკაცებს, მატროსებს და ოფი-
ცრებს—არ ეგზობთ აჯანყებული ქართველი მებრძოლების წინააღმდეგ

გერმანელო მეზღვაურებო! იყავით თქვენი სახელოვანი წინაპრების რევოლუციური ტრადიციის მიმდევარნი, მოიგონეთ მათი სახელოვანი მოქმედება 1918 წელს.

შეუბრუნეთ იარაღი და ძირს დაამხეთ გერმანელი ხალხის ახლანდელი ჯალათი მმართველები.

ადოლფ ჰიტლერის სიკვდილი გერმანიის განთავისუფლებას ნიშნავს¹.

გერმანელებმაც გააქრეს კუნძულის სხვადასხვა ნაწილში მზაკვრული შინაარსის განცხადებები, რომლებშიც ქართველებს ურჩევდნენ დანებებას და პატიებას ჰპირდებოდნენ, აჯანყებულთ გამოუგზავნეს აგრეთვე ორი ქარაველი პარლამენტოროი დ.ნ.ჭელდერის პორტში მყოფ სამხედრო ტყვეთა ჯგუფიდან და მოითხოვდნენ ბრძოლის შეწყვეტას, მაგრამ ქართველებიდან არავინ არ წამოპყვებია საზიზღარი მტრის თვალთმაქცურ ანკესს, ხოლო მოგზავნილი ორი მოციქული უკან აღარ დაბრუნებულა; მათ იარაღი აიღეს, თავის ქართველ მეგობრებს შეუერთდნენ და თავგამოდებით იბრძოდნენ გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ, სანამ ორივე არ იმსხვერპლა მტრის ტყვიამ ბრძოლის დროს².

ფაშისტმა ავაზაკებმა ჯერდოც კი დააწესეს იმ პირთა დასასაჩუქრებლად, ვინც გასცემდა აჯანყების მეთაურ ქართველებს, მაგრამ აქაც ვერ ჰპოვეს მათ მხარდაჭერა ტექსელის მოსახლეობის მხრით.

12—13 აპრილს გერმანელებმა კვლავ გადმოსხეს სატანკო და ესესელთა ნაწილები 700 კაცის რაოდენობით, რადგან წინათ გადმოსხმული სადესანტო ბატალიონები თითქმის სანახევროდ ამოწყვეტეს ქართველებმა, ნაწილი კიდევ, ქართველების შეუპოვრობით თავზარდაცემული, ტყეებში გაიქცა და გაიფანტა. ახალი ძალების მოკატებამ და 20 ტანკისა და რამდენიმე ათეული მძიმე ყუმბართმტყორცნის გადმოტანამ კუნძულზე მტერი გაათავებედა; პანიკით მოცული თავიანთი ჯარისკაცებიც გაპოიყვანეს ტყიდან და კვლავ განაევითარეს ძლიერი შეტევა აჯანყებულების წინააღმდეგ.

¹ საბ. № 6, გვ. 67.

² ჯერ კიდევ აჯანყებამდე ბატალიონიდან დენ ჰელდერში წაიყვანეს 10 ქართველი სამხედრო ტყვე, რომლებსაც პორტში ამეშავებდნენ გერმანელები; ამ ჯგუფიდან, პარლამენტოროად გამოგზავნილი 2 კაცის გარდა, რომლებიც აჯანყებულებს შეუერთდნენ, შურისძიების ნიადაგზე, — ქართველების აჯანყების გამო, გერმანელებმა ყველანი დახვრიტეს.

კუნძულის დამკველები აქაც გმირულად დაუხედნენ მტერს. ქართველი ჯარისკაცების თავგანწირვასა და მამაცობას საზღვარი არ უჩანდა, საარაკოდ იბრძოდნენ მეთაურებიც: შ. ლოლაძე, ე. არტემიძე, ს. გუჯაბიძე, ნ. გონგლაძე, ი. ჯანჯლავა, ვ. ებრალიძე, მ. პაპკორია, შ. ნოზაძე, ვ. ქლენტი და ს. გაბრიაძე წინ მიუძღოდნენ გააფთრებით მეომარ ჯარისკაცებს, პირადი მამაცობით და მოწოდებებით „სამშობლოსათვის!“, „სტალინისათვის!“ აღფრთოვანებდნენ მათ, გერმანელთა გამოსროლილ ხელყუმბარებს აფეთქებამდე ელვის სისწრაფით სწვდებოდა ზოგიერთი მეომარი და უკანვე „სთაეაზობდა“ მომხდურ ბანდიტებს. ბოლოს სამხედრო ხერხებსაც მიმართეს და როდესაც შეამჩნიეს მათკენ მომავალი ტანკები, გზაში ტყვიამფრქვევის ცარიელი დისკოები და აგურები ჩაუწყეს და ზედ ფხვიერი მიწა ძალზე შესამჩნევად გადააყარეს. გერმანელებს ეგონათ დანაღმულ ველს წავაწყდითო და უკან გაბრუნდნენ. მტრის დაბნეულობით ისარგებლეს და ზუსტი დამიხნებით რამდენიმე ტანკი გამოიყვანეს მწყობრიდან ე. არტემიძემ და ნ. გონგლაძემ.

ბოლოს, მტრის ქარბი ძალების შეუჩერებელი იერიშებისა და საომარი მასალის შემოკლების გამო, 15—16 აპრილიდან ქართველები იძულებული იყვნენ კუნძულის ჩრდილო-დასავლეთით დაეხიათ ფლუგ-პლაცისაკენ და გაშავდნენ აქ წინასწარ მომზადებულ პოზიციებზე. მაგრამ ვერც ადგილის გადანაცვლებამ შეანელა საბრძოლო მოქმედება და ისევ განახლდა მძიმე ბრძოლა ფლუგ-პლაცის (საპაეროდრომო მოედანი) შენარჩუნებისათვის. ბატალიონმა მთელი ძალები შემოიკრიბა. კაპიტანი შალვა ლოლაძის, ამ უშიშარი მეთაურის, პირადი სიმამაცითა და მოხერხებულის სამხედრო ხელმძღვანელობით წახალისებული მებრძოლები მდგრად წინააღმდეგნენ მტერს და არ სთმობდნენ პოზიციას.

გერმანელებს უხდოდათ, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, ხელში ჩაეგდოთ ფლუგ-პლაცი და ტანკების საფარის ქვეშ ესესელ მეთაურმატეთა ასეულები იერიშზე წაჰოიყვანეს, ამასთანავე კომლოვან ყუმბარებს იშველიებდნენ და მის ბურუსში გახვეულნი უახლოვდებოდნენ სათავდაცვო ხაზს.

ღიღი საფრთხის წინაშე დადგნენ ქართველი მებრძოლები, მაგრამ როდი მისცემიან პანიკას. შამხანეზის გასაოცარი სიზუსტით სროლისა და ტყვიამფრქვევების გადამლობი ცეცხლის გაჩაღებით გერმანელთა ასეულები საფარს მოაცილეს, ხელოვნურად შექმნილი

კომლის ბურუსიც გაიფანტა და შემტევი მტერი პოზიციის წინ გამოჩნდა. კიდევ მაგარი ცეცხლი—და მტრის მეავტომატეთა ასეულების გვაგებით დაიფარა ველი, გაწყვეტილ იქნა მათი უმრავლესობა, ხოლო დანარჩენებმა იარაღი დაჰარეს და თავზარდაცემულნი გაიქცნენ. ქართველი მებრძოლების სიხარულს საზღვარი არ უჩნდა. მისცვიდნენ მტრის მოკლულ ჯარისკაცებს, ააცალეს იარაღი, დაწმინდეს სასწრაფოდ და ახალი ავტომატებით შეიარაღდნენ.

აღსანიშნავია, რომ გერმანელი ჯარისკაცების დიდ უმრავლესობას ტყვია თავსა და გულში ჰქონდა მოხვედრილი; ეს გარეგობა სალაპარაკოდ გახდა კუნძულის მცხოვრებთა შორის და მტერიც კი იძულებული იყო ელიარებინა—ქართველები გასაოცარ სიზუსტეს ამელავენებენ სროლის დროსო.

ამ ბრძოლაში ასმეთაური ნ. გონგლაძეც მძიმედ დაიჭრა და სისხლიდან იცლებოდა, მაგრამ მაინც არ დატოვა გასაქირში მეგობრები და განაგრძო ასეულის ხელმძღვანელობა.

16—17 აპრილიდან გერმანელებმა ჩრდილოეთიდანაც დაუწყეს შევიწროება ქართველებს, აქ დიდ დახმარებას უწევდა მტერს მძიმე ბატარეის ცეცხლი ტექსელის მომიჯნავე კუნძულ ვილიანდიდან.

კუნძულის დამცველებს მძიმე მდგომარეობა შეექმნათ.

მოკაფშირეთა დახმარება არ ჩანდა; ინგლისელებმა გაგზავნილი მოციქულებიც კი არ დააბრუნეს უკან და არც ღამე დახმარება გაუწევიათ აჯანყებულთათვის.

შექმნილი ვითარების გამო ქართული ბატალიონის შტაბმა დაუყოვნებლივ მოიწვია თათბირი დე კოხში. ამ თათბირს ესწრებოდნენ: შ. ლოლაძე, ევ. არტემიძე, ნ. გონგლაძე, ს. გუჯაბიძე, ი. ჯანჯღავა, მ. პაქკორია, ვ. ებრალიძე და სხვები. ვინაიდან მტერს დამხმარე ძალები ემატებოდა, ხოლო ბატალიონმა 300-მდე მებრძოლი დაკარგა და საომარი მასალაც ელეოდა, აჯანყებულთა შტაბმა გადაწყვიტა თავი გაენებებინა ფრონტილოური ბრძოლისათვის და პარტიზანული წესით განეგრძო საომარი მოქმედება.

ამის შემდეგ, 18 აპრილს, აჯანყებულთა ერთი ჯგუფი კუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გაემუშა და ნავსადგურ კოგს-დორპის რაიონში მყოფ ქართველ პარტიზანებს შეუერთდა; დე კოხში კი ბატალიონის უმეტესი ნაწილი დარჩა, ტყეში შეათარა თავი და განაგრძო პარტიზანული ბრძოლა.

პარტიზანული ბრძოლის დაწყების მეორე დღესვე გერმანელებმა შემდეგი შინაარსის განცხადებები გააკრეს კუნძულის მოსახლეობის დასაწინებლად:

„გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა

ა. რძილულია:

ა) თავშესაფარის მიცემა რუსებისათვის (იგულისხმება ქართველი პარტიზანები. ავტორის შენიშვნა); ასეთი დანაშაულისათვის კუნძულის მცხოვრები პირადად სიკვდილით დაისჯება, ხოლო მის სახლკარს გადავწყვეთ.

ბ) აღმოჩენა რუსებისათვის დახმარებისა ან სხვა რაიმე სახით მხარის დაქვერ.

თუ დახმარებას მოგთხოვენ, უნდა აცნობოთ რაც შეიძლება სასწრაფოდ გერმანელების უახლოეს საგუშაგოს ან გერმანელ სამხედრო პირს.

თუ შენიშნული იქნება, რომ რუსები დიდ ან პატარა ჯგუფებად მოქმედებენ, მაშინვე შეატყობინეთ ამის შესახებ გერმანელების უახლოეს პოსტს ან გერმანელ სამხედრო პირს.

ზემოაღნიშნულის შესრულება თვით მოსახლეობის ინტირესსაც შეიცავს, რადგან რუსების დიდი თუ პატარა ჯგუფები, ჩაცმულნი სანხედრო ან სამოქალაქო ტანსაცმელში, დადიან და მცხოვრებლებიდან საკვებს მოითხოვენ.

ტექსელი, 19 აპრილი, 1945 წ.

კუნძულის კომენდანტი.

19 აპრილს შ. ლოლაძეს, რომელსაც 12 მებრძოლი ჰყავდა თან, დეკოხის გორაკზე გადასვლის დროს მოულოდნელად თავს დაესხა გერმანელთა ასეული. შ. ლოლაძე თავისი მებრძოლებით თავგანწირვით ეკვეთა მტერს, მათ დიდი ზარალი მიაყენეს ჯალათ თავდანსხმელებს, მაგრამ მტრის ძალების სიჭარბემ თავისი გაიტანა და თავდადებული ბატალიონის მეთაური კაპიტანი შ. ლოლაძე და 12 მებრძოლი გმირულად დაეცნენ ამ უთანასწორო ბრძოლაში. როგორც ჩანს, გერმანელებს ვერ გამოუცვნიათ მოკლულთა შორის შალვა ლოლაძე, ისინი კვლავ გაფაციცებით ეძებდნენ აჯანყებულთა წინამძღოლს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მის ხელში ჩაგდებას და 25 აპრილს ასეთი შინაარსის განცხადებები გამოაკრეს კუნძულ ტექსელზე:

„კუნძულზე აჯანყებული რუსების მოსპობა თითქმის დამთავრებულია და რომ გადაოჩნეს შემდგომში დაზარალებას, მცხოვრებლებს სთხოვენ დაუყოვნებლივ შეატყობინონ გერმანელთა შეიარა-

ლებულ ძალებს ჯერ კიდევ შეფარებული რუსების შესახებ, განსაკუთრებით კი წინამძღოლ ლეიტენანტ ლოლაძეზე; მისი გამოცნობა იმით შეიძლება, რომ მაღალი შუბლი და პუსტულებიანი პირისახე აქვს; ის, ჩვენი აზრით, ქალაქ დენ ბურხის ახლ ეს უნდა იყოს შეფარებული.

კუნძულის კომენდანტი"

ორი დღის შემდეგ დენ ბურხის შიდამოკვში ფაშისტმა მხეცებმა მოკლეს შესანიშნავი აზხანაგი და მამაცი მებრძოლი, ბატალიონის კომისარი სერგო გუჯაბიძე. ერთი კვირის შემდეგ ტყეში თავდასხმის დროს გერმანელებმა განგძირეს ბატალიონის პარტიული კომიტეტის აქტიური წევრი, ენთუზიასტი აგიტატორი და უშიშარი მეომარი იაკიმე ჯანჯღავა.

3 მაისს გერმანელთა სადამსჯელო ასეული თავს დაესხა ვალდკაფეს ტყეში შეფარებულ ქართველ პარტიზანთა ჯგუფს. პარტიზანები, მამაცი მეთაურის გივი ანთიძის ხელმძღვანელობით, გაბედულად დაუხვდნენ და თითქმის ნახევარი თავდამსხმელებისა გაჟლიტეს, მაგრამ ქართველებმაც დაკარგეს ამ შეტაკების დროს 8 კაცი.

მტრის გარემოცვის გარღვევის დროს გივი ანთიძე მძიმედ დაიჭრა, მას გარშემოერთყნენ ფაშისტი ჯალათები შეძახილებით: დაგვნებდი და სიცოცხლეს შეგინარჩუნებთო. „აი ჩემი პასუხი, სისხლისმსმელებო!“ — შეჰყვირა ანთიძემ, შემორჩენილი ტყვიებით რამდენიმე მტრის ჯარისკაცი გააგორა, ხოლო უკანასკნელი ტყვიით თავი მოიკლა.

შ. ლოლაძის დალუპვის შემდეგ ბატალიონის მეთაურად ნოე გონგლაძე დაინიშნა, შ. ნოზაძეს კი კომისრობა დაეკისრა: ამ დროიდან ნოე გონგლაძე ბოლომდე ენერგიულად ხელმძღვანელობდა ბატალიონს სამხედრო დარგში.

საყვარელი მეთაურების შ. ლოლაძის, ს. გუჯაბიძის, ი. ჯანჯღავასა და გ. ანთიძის დაკარგვა დიდ დანაკლისს წარმოადგენდა და ძლიერ დააღონა ბატალიონის მებრძოლები, მაგრამ ისინი სულიერად მაინც არ დაცემულან; ქართველი პარტიზანები ხშირად აწყობდნენ გამოხდომას შეფარებული ადგილებიდან და უეცარი თავდასხმით მუსრს ავლებდნენ გერმანელებს. რა ზომები არ იღონა ვერაგმა მტერმა, რომ მთლიანად მოესპო ტყეში, ნანგრევებში,



ნოე გონგუაძე
(ქართული ბატალიონის მეთაური
კაპიტან შალვა ლოლაძის დაღუპვის შემდეგ)

ზღვის სანაპირო ჯებირების ნაპრალებსა და ქვაბულებში, თივის ბულულებსა და მოსახლეობაში შეფარებული პარტიზანები—ხან ცეცხლს უკიდებდნენ ტყეს, თივის ბულულებს თოფის ხიშტებით ჩხელტდნენ, დაგეშილ ძალებს უსევდნენ და რას არ ჩადიოდნენ, მაგრამ ვერ გატეხეს ქართველების შეუპოვრობა.

ადგილობრივი მოსახლეობა დიდ თანაგრძნობას იჩენდა ქართველი მებრძოლებისადმი. განსაკუთრებით აღსანიშნავია კომუნისტი ქალის კორნელია ბოონის ღვაწლი ამ მხრივ. ჰოლანდიელი მცხოვრებლები მალაევდნენ დაქრილებს და სურსათს აწოდებდნენ მათ, მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც დიდ გასაჭირში იყვნენ. მოსახლეობისავე დახმარებით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს ქართველ პარტიზანთა ცალკეული ჯგუფები. განსაკუთრებულ მძიმე მდგომარეობაში დაქრილი ქართველი მეომრები ვარდებოდნენ, რადგან ყოველთვის არ იყო მოსახლეობაში თავის შეფარების შესაძლებლობა. ჩაივდებდნენ ხელში თუ არა გერპანელები დაქრილ პარტიზანებს, სამარეს თავისივე ხელით ათხრევიდნენ და წამებით მოკლულთ შიგ ჰყრიდნენ; ამის გამო, მტრის ხელში რომ ცოცხალი არ ჩავარდნილიყვნენ, პარტიზანები უკანასკნელ ტყვიამდე იბრძოდნენ და შემდეგ თავს იკლავდნენ. ბატალიონის ექიმმა ირაკლი კვინიკაძემ ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო დაქრილ ქართველ მეომრებს და რა საშუალებას არ მიმართავდა, რომ შეემსუბუქებინა მათი მდგომარეობა, მაგრამ ასეთ მძიმე ვითარებაში როდი ხერხდებოდა ყველა დაქრილის შევლა.

ქართული ბატალიონის ცხოვრება კუნძულზე გერმანიის კავიბულაციის შემდგომ

1945 წლის 8 მაისს გერმანიამ ხელი მოაწერა უსიტყვო კავიბულაციის აქტზე. მოკავშირეთა ბრწყინვალე გამარჯვებამ ჰიტლერულ გერმანიაზე უდიდესი აღფრთოვანება მოჰფინა მთელს დემოკრატიულ სამყაროს. ამ საერთო სიხარულს ქართველი პარტიზანებიც აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ, ტყეებიდან გამოვიდნენ და ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად დემონსტრაცია-მიტინგებში მონაწილეობა დაიწყეს. გერმანელებმა, ისარგებლეს რა იწით, რომ მოკავშირეთა ჯარი ჯერ კიდევ არ იყო გადმომსხდარი კუნძულზე

და განუიარაღებელი დარჩნენ, განაგრძეს ქართველი ჯარისკაცების ცალკეულ ჯგუფებზე თავდასხმა. გერმანელთა დანაყოფების ეს ავაზაკური მოქმედება 18 მაისამდე გრძელდებოდა. ქართველები იძულებულნი გახდნენ კვლავ მძიმე ბრძოლები ეწარმოებინათ და გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ მათ ბატალიონის 200-მდე მებრძოლი დაკარგეს. 18 მაისს კუნძულზე გადმოსხეს კანადის ჯარის ნაწილი. ქართველებთან ერთად კანადელებმა 22 მაისს გერმანელებს იარაღი აპყარეს და კუნძულიდან გააძევეს ისინი. მხოლოდ -ამის შემდეგ მოხერხდა კუნძულზე მოქმედი ქართველების შეგროვება და ბატალიონის ნაშთი კვლავ გაერთიანება.

ეს მძიმე, სისხლისმღვრელი, ჯერ ფრონტალური და შემდეგ პარტიზანული ბრძოლები თვენახევარზე მეტი გაგრძელდა.

რა გაჭირვება არ გადაიტანეს ქართველებმა ამ დროის განმავლობაში, განსაკუთრებით პარტიზანული მოქმედების პერიოდში, როდესაც მშვიერი და უბინაონი კვირაობით ეყარნენ ჭაობებით მოცულ ტყეში და ხშირად წელამდე წყალში იდგნენ!

ტექსელზე აჯანყებამ ქართული ბატალიონის 750 მებრძოლიდან 500-ზე მეტი კაცი იმსხვერპლა; ამასთანავე, შურისძიების მიზნით, გერმანელებმა ჰოლანდიის კონტინენტზე, კრომენიაში, 12 ქართველი დახვრიტეს, დენ-ჰელდერში კიდევ 8. ჰოლანდელი პატრიოტებიდან ბრძოლაში 95 კაცი დაიღუპა. ძვირად დაუჯდათ გერმანელებსა და ქართველებთან ბრძოლა: აჯანყების მომენტიდან დაწყებული ფლანდრის რეპუბლიკებში, დაქრილთა გარდა, მოკლულთა და ზღვაში დამხრჩველთა სახით 2500-მდე კაცი დაკარგეს. ქართველების მიერ ამასთანავე განადგურებულ იქნა დიდძალი სამხედრო ობიექტი, არტილერიის ბატარეები და ტანკები.

22—23 მაისიდან ქართველებს კუნძულზე სამხედრო-ოპერატიული სამსახური დაევალა კანადელების მიერ. ეს საქმე ჩინებულად შეასრულა ქართულმა ბატალიონმა, რის გამოც მოკავშირეთა მადლობა დაიმსახურა.

სამშობლოში გამომგზავრების წინ ბატალიონის მებრძოლებმა, ადგილობრივი მცხოვრებლების მხურვალე დახმარებით, შეკრიბეს დაღუპულ ქართველ მეომართა გვამები, დაკრძალეს ერთ ძმათა სასაფლაოში და სახელდახელო ძეგლი აუგეს მათ. ძეგლის ცენტრში საყვარელი მეთაურის შალვა ლოლაძის პორტრეტი მოათავსეს. სასაფლაო ყვავილნარად აქციეს და გაამშვენეს ჰოლანდიელმა ქალიშვილებმა.



პირვანდელი ძეგლი დაღუპულ ჯართულ მებრძოლთა ძმათა სასა-
ფლაოზე. ძეგლის ცენტრში მოთავსებულია ბატალიონის მეთაურის
შ. ლოლაძის პორტრეტი წარწერით

Hier rusten de dappere Sowjetkapitein Loladse Schalwa

en zijn medestrijders van het dappere Georgische
bataljon, die van 6 April 1945 tot 4 Mei 1945
op het eiland Texel allen tot de laatste adem
hebben gevochten voor hun vrijheid tegen de
Duitsche terreur.

Wij blijven Georgiërs en vergeten onze dappere
gesneuvelde kameraden nooit.

რუსულ, ქართულ და ჰოლანდიურ ენებზე ძეგლს გაუკეთდა წარწერა:

„აქ განისვენებენ შამაცი მხედარი საბჭოთა კაპიტანი შალვა ლოლაძე და მისი თანამებრძოლები სახელოვანი ქართული ბატალიონიდან, რომლებიც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ თავისუფლებისათვის, გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. კუნძულ ტექსელზე 1945 წლის 6 აპრილიდან 1945 წლის 18 მაისამდე.

ჩვენ, გადარჩენილი ქართველები, სამუდამოდ შენოვინახავთ გულში ბრძოლაში მან. ცურად დაღუპული მეგობრების ხსოვნას.“

ძეგლის გახსენისადმი მიძღვნილ სამგლოვარო მიტინგს დიდძალი ხალხი დ. ცხრო. ჟნჯღღის ხელისუფლებს ოფიციალურმა წარმომადგენლმა ბმა წყუხარებით აღსავსე სიტყვები წარმო-სთქვეს და გვირგვინი დაადევს საფლავეზე.

თავისი გამოსვლა ერთ-ერთმა ორატორმა შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: „ჩინი განთავისუფლებისათვის გმირულად დაღუპულ ქართველ საბჭოთა მკომრების ხსოვნას სამუდამოდ ვატარებთ და თაობიდან თაობას გადავცემთ; ჩვენ გულს გვიკლავს ამ საფლავის ცქერა და ამავე დროს უდიდესი მადლობისა და სოლიდარობის გრძობას აღვიძრავს დაღუპული და ცოცხლად გადარჩენილი ქართველი მეგობრებისადმი. ამ გმირთა საფლავს ყოველთვის სათუთად დავიცავთ და არ განვასხვავებთ ჩვენი ახლობლებისა და ღვიძლი ძმების საფლავებიდან!“

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ქართული ბატალიონის მებრძოლები, რომელთაც აღნიშნეს რა დაღუპული მეგობრების ღვაწლი, მადლობა გადაუხადეს კუნძულის მკვიდრთ იმ დიდი დახმარებისა და მზრუნველობისათვის, რასაც ისინი მუდამ იჩენდნენ ქართველები-სადმი.

ქართული პარტიზანების ბრძოლა ჰოლანდიის კონტინენტზე

მაისის დამლევის კონტინენტიდან ტექსელს დაბრუნდნენ ბატალიონის ყოფილი მებრძოლები შამაშე მღვდელაძე და კაკო ცუცქირიძე; მათი პარტიზანული ბრძოლა ჰოლანდიის კონტინენტზე — ზანდამსა, კრომენიას, აუტჰეისტსა და ვორმეფერში — საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს.

1944 წლის დეკემბერში, ჯერ კიდევ ქ. ზანდფორტში ყოფნისას (ჰოლანდია), შამაშე მღვდელაძე და კაკო ცუცქირიძე შემ-

ჩნეულნი იყვნენ გერმანელების მიერ როგორც მათთვის არასანდო პირნი და გადაწყვიტეს ორივეს სასიკვდილო ბანაკში გაგზავნა. 1944 წ. 10 დეკემბერს ევგენი არტემიძემ მოახერხა განწირული ამხანაგების გაპარება და ისინი ქ. ჰარლემის პარტრავიკომის მდივნის ანი კლაინის განკარგულებაში გაგზავნა.

ა. კლაინმა შ. მღვდელაძე და კაკო ცუცქირიძე ჰოლანდიელ პარტიზანთა ჯგუფს შეუერთა; ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდნენ კომუნისტები ქინგმა და პიტ იუნკერი.

მალე შამშუ მღვდელაძე ამ პარტიზანული ჯგუფის სულისჩამდგმელ და მამოძრავებელ ძალად გადაიქცა. ხსენებულმა ჯგუფმა არა ერთი რისხვა დაატეხა გერმანელ ოკუპანტებს და შიშის ზარს სცემდა კრომენის (ამსტერდამის ჩრდილო-დასავლეთით დაახლოებით 30 კმ დაშორებითაა) მიდამოებში მყოფ გერმანულ ნაწილებს; დღე არ გავიდოდა ისე, რომ გერმანელი ოფიცრისა და მოხელისათვის ან ჯარისკაცთა ჯგუფისათვის არ აეყარათ იარაღი ან დაპატიმრებული პარტიზანები არ გაეთავისუფლებინათ. შ. მღვდელაძისა და ქ. ცუცქირიძის მონაწილეობით ააფეთქეს და არხში გადაჩეხეს გერმანელი ჯარისკაცებითა და საქურვლით დატვირთული დიდი სამხედრო ეშელონი. ამასთანავე ჯგუფი ეცემოდა სამხედრო საწყობებს, იარაღსა და ახაფეთქებელ მასალებს, იტაცებდა და ჰოლანდიელ პარტიზანებს ამარაგებდა. რა ხერხს არ მიმართეს გერმანელებმა, რომ მოეკლათ ან დაეპატიმრებიათ შ. მღვდელაძე, მაგრამ ვერ მოახერხეს. ბოლოს, რომ ვერაფერი იღონეს, ცრუ ხმები გაავრცელეს—მღვდელაძე და ცუცქირიძე ჩამოვახრჩვეთო, მაგრამ ეს ხომ ვერ გაამთვლებდა აფეთქებულ ხიდებს და ვერც ამოწყვეტილ გერმანელებს გააცოცხლებდა.

ქ. ფებერვაიკის ახლოს (ჰოლანდიის კონტინენტზეა, კრომენიდან 16 კილომეტრის დაცილებით) გერმანელთა ერთ-ერთ სამხედრო აარილას საწყობს ქართული ბატალიონიდან წინათ გამოყოფილ სამხედრო ტყვეთა ჯგუფი იცავდა. ეს ჯგუფი 12 კაციისაგან შედგებოდა: კაკო თხელიძე, არსენ ასანიშვილი, კოწია სხირტლაძე და სხვები; შ. მღვდელაძე და ქ. ცუცქირიძე დაუკავშირდნენ მათ და მალე არალეგალურ-პარტიზანულ მუშაობაში ჩააბეს ყველანი.

აღნიშნული სამხედრო საწყობიდან ქართველი „დამცველები“ ხშირად აპარებდნენ იარაღს და ფეთქებად მასალებს და აწვდიდნენ იმ ჯგუფს, რომელშიაც მღვდელაძე და ცუცქირიძე იყვნენ.

ტექსელზე ქართული ბატალიონის აჯანყების საპასუხოდ გერმანელმა ჯალათებმა ბეფერვაიკში მყოფი ქართველები მთლიანად

დახოცეს 1945 წლის 10 აპრილს. ამ ამბავმა საშინლად ააღელვა ადგილობრივი მოსახლეობა და განსაკუთრებით მწვეველ აგრძობინა ეს დანაკლისი მათ მეგობრებს—შ. მღვდელაძესა და კ. ცუცქირიძეს.

შამში მღვდელაძემ ამ ტრაგიკული ამბის შესახებ შემდეგი გვიამბო:

„ჩვენ ცრემლები მოგვერია, როდესაც გავიგეთ ქართველი ბიჭების დაღუპვის ამბავი, მაგრამ ტირილი ვერ უშველიდა საქმეს და ჩვენი სილაჩრის გამოძხატველი იქნებოდა. საჭირო იყო სისხლის აღება და ჩვენც არ დავაყოვნეთ.

გამოვარკვიეთ თუ არა წინასწარ ქართველების დამხვრეტნი, შევკრიბეთ 16 ჰოლანდიელი პარტიზანი, წამოვისხით საწვიმრები, რომლის ქვეშაც იარაღი გექონდა დამალული, და ველოსიპედებით მივედით გერმანელების საგუშაგოსთან, ღამის რვა საათზე გარს შემოვერტყათ გერმანელების საყარაულო შენობას, შევცვივდით მოულოდნელად, განვიიარაღეთ ყველა და წამოვიყვანეთ იქ, სადაც ქართველები იყვნენ დასაფლავებულნი. ბევრი გვეხვეწნენ გერმანელები ნუ დაგვხოცავთო, მაგრამ ვინ გიჟი დაინდობდა მათ. დავიძახეთ მე და ცუცქირიძემ ჰოლანდიურ ენაზე „შბიტენ“ (ესროლეთ), 16 ავტომატმა იგრიალა და ყველანი დავხოცეთ. განა გერმანელმა ავაზაკებმა შეიცოდეს ჩვენი ამხანაგები, რომ ჩვენ დაგვენდო ისინი?! ამის შემდეგ სწრაფად დავსხედით ველოსიპედებზე და უკან წამოვედით“.

მღვდელაძისა და ცუცქირიძის მოღვაწეობა სხვა მხრივაც საყურადღებო იყო: ისინი არალეგალურად მუშაობდნენ ადგილობრივი გაზეთების სტამბებში და გაზეთებსა და პროკლამაციებს ქუჩებში აკრავდნენ თავიანთ სამოქმედო რაიონში. ამასთანავე შ. მღვდელაძე და კ. ცუცქირიძე სისტემატურად აწვდიდნენ გაზეთებსა და საჭირო ინფორმაციებს ქართული ბატალიონის არალეგალურ ორგანიზაციას კუნძულ ტექსელზე¹.

¹ ქართველი პარტიზანების სახელოვან მოღვაწეობასთან დაკავშირებით ამსტერდამის მიდამოებში, ქ. ზანდამსა და სხვა ადგილებში, ინტერესს მოკლებული არ იქნება მოვიგონოთ ცნობილი ისტორიული ამბავი, რომელიც სხვა დროისა და სხვა მდგომარეობის პირს შეეხება, მაგრამ მანაც ბევრი უბედურება გადაიტანა უცხოეთის ტყვეობაში და კიდევაც დაიღუპა იქ.

1697 წელს რუსეთის მეფემ პეტრე პირველმა სხვებთან ერთად ჰოლანდიაში წაიყვანა სამხედრო განათლების მისაღებად ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ე ი ლ ი,



ქოლანდიელ პარტიზანთა ერთ-ერთი ჯგუფი; ჯგუფში აქტიურად მონაწილეობდნენ
შამშუე მღვდელაძე (1) და ჯაკო ცუციკიძე (2)

გაიარა კაპიტულაციის შემდეგ ორმა კვირამ, ჰოლანდიაში კანადელები შეპოვიდნენ. ადგილობრივი პატრიოტების მონაწილეობით შ. მღვდელაძემ და კ. ცუცქირიძემ გერმანელების მიერ დახვრეტილი ქართველი პარტიზანების საფლავი მონინახულეს, გაამშვენეს იგი და სასაფლაოს სათანადო წარწერები გაუკეთეს. კუნძულზე გამომგზავრების წინ შ. მღვდელაძე და კ. ცუცქირიძე ადგილობრივი გაზეთის თანამშრომლებმა მიიწვიეს ამხანაგურ შეხვე-

ტე საქართველოს მეფის არჩილისა, ცნობილი პოეტის, რომელიც განდევნილ იქნა საქართველოდან და რუსეთს გადასახლდა.

ალექსანდრე ბატონიშვილს ჰოლანდიაში ჩასვლისთანავე ქ. ზანდამს და სხვაგანაც პეტრე პირველის ამლიდან ყველაზე მეტი ყურადღება მიუძღრია ადგილობრივი მოსახლეობისა, რადგან ისედაც წმენიერი შესაუდავი კაცი ყოფილა და სცმია ამათანავე მდიდრული აღმოსავლური (ქართული. მ. ქ.) ტახსაცმელი რომელიც უცხო იყო ევროპელთათვის.

ალექსანდრე ბატონიშვილს ჰააგაში უსწავლია, დაბრუნებულა რუსეთს 3 წლის შემდეგ, 1699 წელს, და პეტრე პირველს იგი დაუნიშნავს ახალსა და დიდ თანამდებობაზე, რუსეთის საარტილერიო საქმის მეთაურად,—გენერალ-ფელდცეხმეისტრად.

1700 წელს, 20 ნოვემბერს, ნარვასთან ბრძოლის დროს ალექსანდრე ტყვედ ჩაიგდეს შედეგმა მეფე კარლოს XII-ის მიერ დროებით შერიგების შესახებ დადებულს. ფიცის გატეხილა და შემდეგ მოუღწეველი თავდასხმის გამო. პეტრე პირველს და თვით არჩილ მეფესაც არა ერთგვის მიუმართავთ კარლოსათვის ალექსანდრეს განთავისუფლების შესახებ, შეჭარბობიან სამაგიერო პირის გაკვლავანთავისუფლებას, მაგრამ შედეგის მეფე არ დათანხმებულა.


ალექსანდრე ბატონიშვილმა 10 წელი დაჰყო მძიმე ტყვეობაში. ამ დროის განმავლობაში იგი კვლავ ჩასულა ჰოლანდიაში, ამსტერდამს მამის (არჩილ მეფის) მიერ ადრევე შეკვეთილი ქართული ანჯანის სასტამბო წერიფტის დაშხადება მოუგვარებია და გამოუგზავნილა მოსკოვს მამისათვის.

სწორედ ალექსანდრეს მიერ გამოგზავნილი ქართული წერიფტი გამოუყენებია არჩილს და 1709 წელს დაეითნი დაუბეჭდავს თსკოვში.

ასე რომ იმ მიდამოებში, სადაც ქართველი პარტიზანები ანტიპიტლერულ პროკლამაციებს აკრავდნენ და იარაღითაც თავდადებულ განმათავისუფლებელ ბრძოლას ეწეოდნენ, 250 წლის წინათ მოღვწეობდა მამონდელი დროისათვის პროგრესულად მოახროვენ და თავისი ქვეყნის პატრიოტი ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც ტყვეობის პირობებშიც კი ახერხებდა სამშობლოსათვის სასარგებლო საქმის შესრულებას.

ტყვეობიდან 10 წლის გავლის შემდეგ, 1710 წელს, ალექსანდრე გაათავისუფლეს და წამოვიდა რუსეთსაკენ, მაგრამ გზაში (ნორვეგიაში, ქ. პიტვაში) შიმშილისა, აუტანელი სიცივისა და მძიმე სენით დაავადების გამო აკრდაიკვალა.

პეტრე დიდის აკრეფი რჩევის შედეგად, რაგოვო იყო, 1711 წელს ალექსანდრეს ნეშტი მოსკოვს ჩამოსავენეს. მთავრმა მამამ არჩილ მეფემ ალექსანდრე დონის თონასტერში დაკრძალა.



გაბით „De Waarsheid“-ის თანამშრომლებმა აღფრთოვანებული წებედათა მოეწვიეს
რუდაქციაში ქართულ პარტიის წეს შამე მ დე დელაძეს (1) და კაკო ც ც (1-
ჩი რ ი ძ ე ს (2) და გულთბილად ეკუთვნის ისინი სამშობლოსაჲს

დრაზე; ამ შეხვედრას ურნალისტებიც დაესწრნენ. შეხვედრის დამთავრებისას მასპინძლებმა შ. მღვდელაძესა და კ. ცუცქირიძესთან ერთად სურათი გადაიღეს, გულთბილად გამოემშვიდობნენ მამაც პარტიზანებს და მხურვალე მადლობა გადაუხადეს პოლანდიელი ხალხის გამათავისუფლებელ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისათვის. შამში მღვდელაძისა და კაკო ცუცქირიძის ხანგრძლივი და შეუპოვარი პარტიზანული ბრძოლა შესაფერისად იყო გაშუქებული ადგილობრივ პოლანდიურ პრესაში. ტექსელზე გამომგზავრებისას შ. მღვდელაძე და კ. ცუცქირიძე პატივით გამოაცხადეს თანამებრძოლმა პარტიზანებმა და მათი ოჯახის წევრებმა, საჩუქრები უძღვნეს და დიდი სიყვარულით გამოემშვიდობნენ მათ.

ინგლისს გაგზავნილი დელეგაციის ხვედარი

კუნძულის დაპყრობის შემდეგ ქართველი მებრძოლები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მოკავშირეები და უსოვნელები მოეშველებოდნენ, გადმოსხამდნენ დესნტს ან ავიაციით მაინც ხელს შეუშლიდნენ გერმანელებს კონტინენტიდან ჯარის გადმოყვანაში, მაგრამ დახმარება არ ჩანდა.

გერმანელებმა საარტილერიო ცეცხლი გახსნეს კონტინენტიდან, — დენ-ჰელდერის ნავადგურიდან. ამოძრავდა კუნძულის სამხრეთ ნაწილში შემორჩენილი ბატარეაც. ეტყობოდა, რომ მტერი დესანტის გადმოსხმას ამზადებდა კუნძულის კვლავ დასაბრუნებლად.

ბატალიონის მეთაურობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი საფრთხე, გამოყო დახმარების სასხონენლად ინგლისს გასაგზავნი დელეგაცია 4 კაცის შემადგენლობით და უბრძანა მათ სასწრაფოდ გამგზავრებულიყვნენ.

გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ მოქმედ პოლანდიელ პატრიოტთა ადგილობრივმა ორგანიზაციამ — შინაგანმა წინააღმდეგობის საბჭომ — გამოყო მოტორიანი საშველი ნავი „იოან ხოსონ“ და გამოცდილი პოლანდიელი მეზღვაურებიც შეარჩია. დიდი გაკირვებით ნავი შეკეთებულ იქნა. ამ საქმეში პოლანდიელებს ეხმარებოდნენ გიორგი რეხვიანშვილი, რომანოზ ხანდოლიშვილი და გოგია ავაქოვი.

1945 წლის 9 აპრილს, ნაშუადამევის 12 საათსა და 30 წუთზე, პოლანდიელმა მეზღვაურებმა ქართველებთან ერთად შეათრიეს

ნავი ზღვაში ნავსადგურ კოკსდორპთან, პა-დე-კალეს სრუტე გადა-
ცურეს, მიაღწიეს ინგლისის სანაპიროს და იქ გადასხდნენ.

ინგლისის სანაპიროს საგუშაგოზე მალე მოვიდნენ ოფიცრები
და დელეგაციის წევრი ქართველი მებრძოლები ლონდონს წაიყანეს.

დელეგაციამ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა ინგლისის
ხელისუფლების მესვეურთ და სთხოვა სასწრაფო დახმარების აღმო-
ჩენა კუნძულზე აჯანყებული ბატალიონისათვის, მაგრამ ინგლისე-
ლებმა დაუშვებელი უსულგულობა გამოიჩინეს, დაივიწყეს მოკავში-
რის მოვალეობა და არათუ დაეხმარნენ აჯანყებულ საბჭოთა სამ-
ხედრო ტყვეებს, პირიქით, დელეგაცია დააპატიმრეს და საპყრობი-
ლეში ჩასვეს.

პა დე-კალეს გადაცურვის დროს განცდილი გაჭირვებისა და
ინგლისში ჩასვლისას მოკავშირეთა მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი
მოქმედების შესახებ სამშობლოში დაბრუნებულმა დელეგაციის
უოფილმა წევრებმა შემდეგი ცნობა მოგვამოცდეს:

„9 აპრილს, ნაშუალამევის 12 საათსა და 30 წუთზე, დიდის
წვალებით ნავი ხელით გავატარეთ, სანამ სიღრმეს მივალწვედით
და კურსი ავიღეთ ინგლისის სანაპიროებისაკენ. უოველ წუთს დაღუპვა
მოგველოდა. ზღვა გერმანელთა წყალქვეშა ნაგებობით იყო საესე, მტრის
თვითმფრინავები თარეშობდნენ ჰაერში და ამის გამო კარგა დიდ
მანძილზე ნაჩბებით ვმართავდით ნავს, რადგან მოტორის ამუშა-
ვება და ხმაურობა ძლიერ სახიფათო იყო.

ლამის სიბნელემ ხელი შეგვიწყო. ბედმა გაგვიღიმა, გავცილ-
დით სახიფათო სივრცეს და მეორე დღეს ინგლისელთა ზონაში
შევალწვიეთ: ამის შემდეგ მოტორი ავამუშავეთ, მაგრამ ნავი ისეთ
მდგომარეობაში იყო, რომ საათში 7—8 კილომეტრის მეტს ვერ
გავდიოდით. ამასთანავე დიდ დროს ვანდომებდით ნავში შემოსული
წყლის ამოქცევას.

10 აპრილს, დალამებისას, ინგლისის თვითმფრინავმა შეგვაშ-
ჩნია და ვინაოზის შეტყობინება მ-გვთხოვა. ჩვენ სიგნალების სა-
შუალებით ვაცნობეთ, რომ მოკავშირენი ვართ და ვთხოვეთ გზის
ჩვენება ინგლისის სანაპიროსაკენ. ამის შემდეგ ინგლისელი პილოტი
ზღვაში პარაშუტოვან შემუხუნებს ყრიდა და მიმართულებას გვანი-
შნებდა.

11 აპრილს გარიჟრაჟზე ინგლისის სანაპიროს მივალწვიეთ, მაგ-
რამ ნაპირი დანალმული აღმოჩნდა. ერთი ჰოლანდიელი ამხანაგი,

რომელსაც სათანადო ტანსაცმელი ეცვა, გავიდა ნაპირზე, მოიყვანა რეზინის ტანსაცმლის მქონე გუშაგები და ზურგით გადაგვიყვანეს სანაპიროზე დაუსველებლივ.

ორი საათის შემდეგ ადგილზე მოვიდნენ ინგლისელი მაიორი და კაპიტანი: მსუბუქი მ.ჩანით და ლონდონში წაგვიყვანეს. ჩვენ კვლავ ვუამბეთ აღნიშნულ პირთ ჩვენი ბატალიონის თავგადასავალი, რუკაზე (რომელიც თან გვქონდა) ვაჩვენეთ ჩვენი განლაგება და სასწრაფო დახმარება ვთხოვეთ. ამასთანავე განვეუმარტეთ, რომ კუნძული აღებულა, მათ უმსხვერპლოდ შეუძლიათ მცირერიცხოვანი დესანტის გადასხმა გემით ან თვითმფრინავებით, გერმანელები მათი შიშით დესანტს ვეღარ გადმოსხამენ და ბატალიონი განადგურებას გადაარჩება.

ინგლისელმა ოფიცრებმა დაწვრილებით ჩაიწერეს ჩვენი ნალაპარაკები, დახმარებაზე კი არაფერი უთქვამთ.

ჩვენ ძლიერ აღგვაშფოთა ასეთმა გაურკვევლობამ და დაეინებით მოვთხოვეთ ინგლისის სარდლობის წარმომადგენლებს შეესრულებინათ თავისი ვალდებულება, როგორც მოკავშირეებს და აღმოჩინათ სათანადო სამხედრო დახმარება კუნძულზე აჯანყებული საბჭოთა სამხედრო ტყვეებისათვის, მაგრამ პასუხი მაინც ვერ მივიღეთ.

ნაცვლად დახმარებისა, რამდენიმე საათის შემდეგ ინგლისელებმა ოთხივენი დაგვაპატიმრეს და ჩვენთან ყოველგვარი ურთიერთობა შეწყვიტეს.

ინგლისელ ხელისუფალთა ასეთმა მზაკვრულმა მოქმედებამ დიდ საგონებელში ჩაგვაგდო. საერთო მტრის—პიტლერელი ოკუპანტების—წინააღმდეგ აჯანყება მოვაწვეეთ, მსხვერპლი გავიღეთ, ხოლო მადლობისა და დახმარების გაწევის ნაცვლად ბატალიონი განსაცდელის დროს მოღალატურად იქნა მიტოვებული მოკავშირეთა მიერ და ჩვენ კი დაგვაპატიმრეს!⁴

ერთი დღის პატიმრობის შემდეგ ქართველმა მებრძოლებმა გაანდეს თავისი მდკომარეობა საპატიმროს ერთ-ერთ გუშაგს, ეროვნებით ებრაელს (პოლონეთიდან), და მისი დახმარებით მოახერხეს ინგლისში მყოფ საბჭოთა მისიასთან დაკავშირება.

მალე საპატიმროში მოვიდა პოლკოვნიკი მიროშნიჩენკო, დელეგაციის წევრები გაათავისუფლებინა ინგლისის მთავრობის მესვეურებს და საბჭოთა ბანაკში წაიყვანა. ამ ბანაკში შეგროვებულნი

ფუნენ სამშობლოში დასაბრუნებელი სსრკ მოქალაქენი, განთავისუფლებულნი სამხედრო ტყვეობიდან ბელგიასა, საფრანგეთში და სხვაგან მოკავშირეთა ჯარების მიერ.

ტექსელის ამბები მოახსენეს საბჭოთა მისიის მეთაურს ინგლისში გენერალ-მაიორ რატოვს, რომელმაც მოსთხოვა ინგლისის ბელისუფალთ დახმარების აღმოჩენა კუნძულზე აჯანყებული საბჭოთა სამხედრო ტყვეებისათვის (ქართველებისათვის), მაგრამ ინგლისელებმა უარი სთქვეს მიშველებოდნენ აჯანყებულებს.

კუნძულზე დაბრუნება რაკი არ მოხერხდა, დელეგაციის წევრები ინგლისში დარჩნენ სამშობლოში დასაბრუნებელ საბჭოთა მოქალაქეებთან, 1945 წლის 25 მაისს კი სხვა რეპატრიანტებთან ერთად ინგლისიდან გამოემგზავრნენ და 1945 წლის 6 ივნისს საბჭოთა კავშირში დაბრუნდნენ.

ქართული ბატალიონის წარმოსვლა კუნძულ ტექსელიდან და სამშობლოში დაბრუნება

1945 წლის 16 ივნისს, დილის 10 საათზე, ნავსადგურ ოუდე სხილდს მოადგა ჰოლანდიის გემი „დოქტორ ვანმაკერ“. ტექსელის მოსახლეობა გაფრთხილებული იყო სამშობლოში ქართველების გამგზავრების დღის შესახებ. დანიშნული დროისათვის დიდი და პატარა ნავსადგურისაკენ დაიძრა და ოუდე სხილდი გამომცილებლებით აივსო; ყველას უნდოდა ერთხელ კიდევ ენახა და გამომშვიდობებოდა ქართველ მეგობრებს.

ბატალიონის მებრძოლთა გასაცილებლად მოვიდნენ აგრეთვე კუნძულ ტექსელის კომენდანტი ვილჰელმ კელდერი და მისი მოადგილე იაკობ კაიზერი თავთავიანთი ცოლშვილით, პრესის წარმომადგენლები და ჟურნალისტები.

გამომგზავრების წინ სახელდახელო მიტინგი მოეწყო. გამო-სამშვიდობებელი სიტყვები წარმოსთქვეს ვ. კელდერმა და ი. კაიზერმა; მათ ილაპარაკეს იმ დიდ ღვაწლზე, რაც ქართველებს ვერმანელ ოკუპანტებთან ბრძოლის საერთო საქმეში მიუძღვით, მერე აღვილობრივი მოსახლეობის სახელით გულწრფელი მადლობა გადაუხადეს სამშობლოში მიმავალ მებრძოლებს და მშვიდობის გზა უსურვეს.

საპასუხო სიტყვებით, ბატალიონის ჯარისკაცთა დავალებით, გამოვიდნენ ნოე გონგლაძე და ევგენი არტემიძე; მათ



გემით „დოქტორ ვაჰემაჯერ“ ქართველები
საშობლოში გამოემგზავრნენ



საშობლოში გამომგზავრებისას ქართველმა პარტიზანებმა საბჭოთა
დროშა აღმართეს გემზე. გამოსასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს:
ნოე გონგლაძემ და ვეჯენი არტემიძემ

მადლობა გადაუხადეს ტექსელის მოსახლეობას ერთობლივი ბრძოლის დროს გაწეული დიდი მზრუნველობისათვის. გამომცილებლები თაიგულებს, სურათებსა და საჩუქრებს უძღვნიდნენ სახსოვრად მწბრძოლებს, თვალცრემლიანნი ემშვიდობებოდნენ მათ და სთხოვდნენ გემის კაპიტანს, რამდენადაც შეიძლებოდა, დაეყოვნებინა გემის წასვლა. ბოლოს გემი დაიძრა. ქართულმა ბატალიონმა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო დროშა აღმართა გემზე, რასაც ტაშის გრილით შეეგებნენ გამცილებლები.

კუნძულის კომენდანტმა ვ. კელდერმა და ი. კაიზერმა ცოლ-შვილით, აგრეთვე ყურნალისტებმა ნავით გამოაცილეს ქართველი მებრძოლები საგრძნობ მანძილზე და კვლავ გულთბილად გამოემშვიდობნენ ზღვაში.

ნავსადგურ დენ ჰელდერში მცირე შესვენების შემდეგ ქართული ბატალიონის მებრძოლები კანადის არმიის სარდლობამ თავისი წარმომადგენლის პოლკოვნიკ ტვიდსმიურის თანხლებით გაგზავნა გერმანიის ნავსადგურ ვილჰელმსჰაფენს და წარუდგინა ბატალიონი იქ არსებულ რეპატრანტთა მიძღვებ საბჭოთა წარმომადგენლობას. ამ კანადელმა პოლკოვნიკმა მიაწოდა ჩვენი წარმომადგენლობის მეთაურს დაწვრილებითი ცნობები ქართველი საბჭოთა ტყვეების, შემდეგ პარტიზანების, ბრძოლის შესახებ კუნძულ ტექსელზე. გამოირკვა, რომ საბჭოთა წარმომადგენლობას იდრევე მიელო ცნობები ტექსელის ამბების შესახებ კანადის არმიის ბრიგადის გენერალ სეტისაგან. კანადის არმიის წარმომადგენელ პოლკოვნიკ ტვიდსმიურსა და საბჭოთა წარმომადგენლობას შორის გამართულ მოლაპარაკებისას გათვალისწინებულ იქნა ქართველი სამხედრო ტყვეების დიდი დამსახურება და ერთგულება მოკავშირეთა საერთო საქმისადმი, რის გამო ქართველი მებრძოლები რეაბილიტირებულ იქნენ ვილჰელმსჰაფენშივე და სამშობლოსაკენ გამოემგზავრნენ.

გზაში ქართულ ბატალიონს მოსთხოვეს იარაღი ჩაებარებიანათ მოკავშირეთათვის. ბატალიონის ხელმძღვანელობამ კატეგორიული უარი სთქვა იარაღის გადაცემაზე და განაცხადა, იარაღს მხოლოდ საბჭოთა შეიარაღებული ძალების სარდლობას ჩაებარებთო. მოკავშირეთა ჯარების სარდლობამ შემდგომ, გამოარკვია რა ქართველების ვინაობა და მათი დამსახურება მოკავშირეთა წინაშე, იარაღი შეუნარჩუნა და პატივით გამოისტუმრა ბატალიონის მებრძოლები.

საბჭოთა ზონაში გადასვლის შემდეგ ქართულმა ბატალიონმა იარაღი საბჭოთა შეიარაღებული ძალების სარდლობას ჩააბარა, რისთვისაც მადლობა დაიმსახურა.

1945 წლის სექტემბერს გოლდბერგში ბატალიონი ინახულეს. საქართველოდან სათანადო ორგანოების მიერ გერმანიაში მივლინებულმა პარმენ შერმაზანის ძე ხუბერაშვილმა და ნიკოლოზ იოსების ძე ყრუაშვილმა; ისინი დაწვრილებით გაეცნენ ქართული ბატალიონის მდგომარეობას და დიდი დახმარება გაუწიეს მებრძოლებს საყოფაცხოვრებო პირობების მოგვარებისა და სამშობლოში დაბრუნების საქმეში.

ამხ. ამხ. პ. ხუბერაშვილმა და ნ. ყრუაშვილმა გადაიბარეს ქართული ბატალიონის არაღეგალური შტაბის არქივი და თან წამოიღეს საქართველოში ¹.

გოლდბერგში ყოფნისას ბატალიონიდან გამოყვეს ოფიცრები და ნოე გონგლაძესთან ერთად აღრევე გადმოაგზავნეს საბჭოთა კავშირში, უფროსი შეპადგენლობის პირთა გამანაწილებელი სამხედრო ორგანოების განკარგულებაში.

აღსანიშნავია, რომ ქართული ბატალიონის მებრძოლებს, სადაც კი არ მოუხდათ მათ შეჩერება, ყველგან შესანიშნავად ექირათ თავი და გამსკეალულნი იყვნენ მალალი მორალურ-პოლიტიკური სულისკვეთებით.

გოლდბერგში დან სამშობლოში მომავალ ქართველ მებრძოლებს ტრანსპორტის მოლოდინში შეჩერება მოუხდათ ქ. შტეტინში და მიღებულ იქნენ № 76930 საველე პუნქტის მიერ. ამ საჯარისო ნაწილის კომენდანტი გვარდიის პოდპოლკოვნიკი აქსენტევი მალალ შეფასებას აძლევს ქართველ მებრძოლებს სანიმუშო სამხედრო დისციპლინისა და მორალური სიმტკიცის გამოვლინების გამო და მის მიერ გაცემულ სამსახურებრივ ცნობა-დახასიათებაში შემდეგს აღნიშნავს:

СПРАВКА-ХАРАКТЕРИСТИКА

Команда бывших военнопленных, по национальности грузин, в количестве 212 человек, под руководством их старшего командира, Артемидзе Евгения Гавриловича, за период своего пребывания с 12.9.1945 года по 25.10.1945 г. при войсковой части, полевая почта №,—показала образец высокой дисциплины, культуры, порядка и высокого морального состояния. Длительное пребывание команды в

¹ ბატალიონის საბჭოთა დროშა ქართველმა პარტიზანებმა თვითონვე ჩამოიტანეს თბილისში.



ტექსელის აჯანყების წლისთავეზე კუნძულის მოსახლეობამ დაღუპულ
ქართველ მებრძოლებს ძეგლი აუგო

плени у врага и неизменно тяжелые условия существования в конц-лагерях у немцев не только не сломили воинского духа и истинного патриотизма этих товарищей, а наоборот, во имя общего дела, победы над фашизмом, сплотили, воодушевили и призвали на борьбу с немецкими захватчиками во время пребывания в плену.

Поведение всей команды в целом и каждого в отдельности являлось образцом для многотысячного состава части ПП № и оставило у командования самые наилучшие воспоминания.

Командир части
М. П. ПП №
Гв. Подполковник

(Аксентьев)

შტეტინიდან ბატალიონის ნაშთი 1945 წლის 25 ოქტომბერს გამოემგზავრა, ამავე თვის ბოლოს საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა, ქალაქ ვოლკოვიცკში, და მიღებულ იქნა რეპატრირებულთა განმანაწილებელი პუნქტის № 309-ის მიერ.


აღნიშნული პუნქტის საწინდრო აღმინისტრაციაც მშენიერად ახასიათებს ქართული ბატალიონის გადარჩენილ მებრძოლებს; განმანაწილებელი პუნქტის კომენდანტი პოლკოვნიკი ხუდიაკოვი და ობიექტის უფროსი ამხ. კუზნეცოვი მათ მიერ გაცემულ ოფიციალურ დახასიათებაში აღნიშნავენ, სამშობლოში დაბრუნებული ქართველი სამხედრო ტყვეები თავისი დისციპლინითა და მაღალი მორალურ-პოლიტიკური სულისკვეთებით განირჩეოდნენ ჩვენ ხელში ათასობით გავლილ რეპატრიანტებისაგან და შესანიშნავად ეკირათ თავიო¹.

1945 წლის 26 ნოემბერს, საქართველოში გამოემგზავრებისას, ქართული ბატალიონის ყოფილი მებრძოლები გულთბილად გამოაცილა ვოლკოვიცკიდან № 309 პუნქტის აღმინისტრაციამ უფროსის ამხ. კუზნეცოვის თანდასწრებით.

რეპატრირებული საბჭოთა მოქალაქეების განმანაწილებელი ობიექტის უფროსი ამხ. კუზნეცოვი 1947 წლის გაზაფხულზე საქართველოში ჩამოვიდა, მოინახულა ქართული ბატალიონის ყოფილი მებრძოლები: ვ. ჟღენტი (გურიაში), ე. არტემიძე, შ. ნოზაძე და ბევრი სხვა (თბილისში) და კვლავ აღადგინა მათთან მეგობრული კავშირი.

¹ საბ. № 2, გვ. 7.

Huldebetoon bij de graven der
overleden: de burgemeester spreekt.



ap. 6 April 1946.

ტეკსელის აჯანყების წლისთავის აღსანიშნავად კუნძულის მოსახლეობამ
ქართველების მშთა სასაფოაოზე სამგლოვიარო მიტინგი მოაწყო;
მიტინგზე სიტყვიო გამოვიდა კუნძულის ბურგომისტრი

ამხ. კუზნეცოვმა ჩვენც გვინახულა და გადმოგვცა, რომ ქართველებმა ვოლკოვიცკი ყოფნისას შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვეს ნასზე და ამასთანავე გვიამბო შ.მდიგი: „1945 წლის ნოემბრის დასაწყისში ვოლკოვიცკის ბანაკს 35 შეიარაღებული ბანდიტი დაესხა გაძარცვის მიზნით. სერიოზული ვითარება შეიქმნა. სანამ სამხედრო ნაწილის საგუშაგოს გამოვუძახებდი მე სასწრაფო დახმარების მიზნით ქარსული ბატალიონის ხელმძღვანელ ე. არტემიძეს მივმართე, რადგან მათი კოლექტივი ყველაზე დისციპლინირებულსა და სანიმუშო განაერთს წარწოდგენდა მთელს ჩვენ მრავალრიცხოვან ნაწალში.

ბატალიონის მებრძოლები მაშინვე ფეხზე დადგნენ, ხელი წაშოავლეს კეტებს და თავგანწირვით ეკვეთნენ მომხდურ ბანდიტებს. ქართველმა მებრძოლებმა გასაოცარი სიმამაცე გამოიჩინეს, გარს შემოერტყნენ მძარცველებს, დასცხეს მათ, ელვის სისწრაფით იარაღი აპყარეს და ბანდიტები ხელში ჩაგვებადგნენ.

აღნიშნულის შესახებ მე დაუყოვნებლივ ვაცნობე ზემდგომ საჯარისო ხაწილს, რომლის მეთაურობამ მადლობა გამოუცხადა ქართველებს. ამ საყურადღებო ამბის შესახებ დიდხანს იყო ლაპარაკი ჩვენს ნაწილში და განსაკუთრებით მოიხსენიებდნენ ასმეთაურის ე. ჟღენტიის სიმამაცეს, რომელმაც თავზარი დასცა ბანდიტებს.

ქართველებს რომ არ ეშველათ, მე პირადად და ბევრი სხვაც ბანდიტების მსხვერპლი შევიქნებოდით.

ხსენებულმა შემთხვევამ კიდევ უფრო დამაკაწმირა ქართველ მებრძოლთა კოლექტივთან და მივიღე თუ არა შევებულება, ჩემს სასიამოვნო მოვალეობად ჩავთვალე მომენახულებინა ქართველი მეგობრები, რომელთაც საყვარელი ძმებიდან აღარ ვარჩევ — დასძინა ამხ. კუზნეცოვმა.

პოლანდიიდან დაბრუნებულ პარტიზანებს გულთბილად შეხვდა ქართველი საზოგადოებრიობა.

ტექსელის ამბები სათანადოდ გააშუქეს ჩვენს პრესაში მწერალმა გიორგი ნატროშვილმა და ეთერი შუშანიამ.

„საბჭოთა მწერლის“ მიერ 1946 წელს გამოშვებულ ლექსთა კრებულში „სალამურები“ ახალგაზრდა პოეტმა ვახტანგ გორგანელმა აჯანყების მონაწილე ქართველ მეომრებს ლექსები მიუძღვნა.

ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა სათანადო დახმარება აღმოუჩინეს მშობლიურ კერას დაბრუნებულ ქართველ მებრძოლებს და ხელი შეუწყვეს მათ შესდგომოდნენ თავისუფალ, ხალისიან შრომას თავიანთი სპეციალობის მიხედვით.

ტექსელის აჯანყების მონაწილენი ამჟამად ჩაბმულნი არიან ომის შემდგომ მშვიდობიან აღმშენებლობაში, თავდადებით შრომობენ და თავისი წვლილი შეაქვთ მეოთხე სტალინური ხუთწლეულის გეგმით დასახულ დიდ ამოცანათა წარმატებით შეარულეზის საქმეში.

სამშობლოში დაბრუნებული ტექსელის აჯანყების მონაწილე მებრძოლები დროგამოშვებით იღებენ წერილებს კუნძულის მკვიდრთაგან. ეს წერილები უალრესად გულთბილი წარწერებით მთავრდება: „თქვენი მეორე მშობლები“, „თქვენი ძმა“, „თქვენი უახლოესი მეგობარი“ და ასე შემდეგ. მიღებულ წერილებში ტექსელელი მეგობრები იტყობინებიან, რომ ქართული ბატალიონის აჯანყების წლისთავის აღსანიშნავად კუნძულის მოსახლეობამ 1946 წლის 6 აპრილს დიდი მიტინგი მოაწყო ქართველების ძმათა სასაფლაოზე, სადაც სიტყვებით გამოვიდნენ კუნძულის ადგილობრივი ხელისუფლებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამავე დროს ჩატარდა დილუპული მებრძოლებისათვის გაკეთებული ძეგლის გახსნის ცერემონიალი. ტექსელის მადლიერმა მოსახლეობამ ეს ძეგლი თავისი სახსრებით აუგო აჯანყების დროს გმირულად დაცემულ ქართველ მებრძოლებს.

ჰოლანდიურმა პრესამ წლისთავის აღსანიშნავად ჩატარებული მიტინგისა და ძეგლის გახსნის შესახებ წერილები და სურათები მოათავსა გაზეთებში.

ქართველ სამხედრო ტყვეთა პარტიზანული ბრძოლა მტრის ღრმა ზურგში, ჰოლანდიაში და შემდეგ კუნძულ ტექსელზე, და გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ მათი აჯანყება სამამულო ომის ისტორიის ერთ-ერთ პატარა, მაგრამ საყურადღებო მონაკვეთს წარმოადგენს.

შევეცდებით გავაშუქოთ მოვლენები თანამიმდევრობით და გავარკვიოთ აჯანყების გამომწვევი და მისი მარცხით დამთავრების მიზეზები.

ისარგებლეს რა მოულოდნელი თავდასხმის გამო მიღებული უპირატესობით, გერმანიის შეიარაღებულმა ძალებმა შესძლეს ომის პირველ წლებში ჩვენი ტერიტორიის საგრძნობი ნაწილის დროებით ოკუპირება. 1941 წლის მანძილზე წარმოებული მძიმე თავდაცვითი ბრძოლების დროს მტერმა ტყვედ ჩაიგდო ხელში, კრილობის მიღებისა და გარემოცვაში მოხვედრის გამო, ნაწილი საბჭოთა შეომრებისა. ტყვედ ჩაგარდნილ ჩვენს მებრძოლებს თავს დაატყდა საშინელი უბედურება; მტერმა ისინი სამშობლოს მოსწყვიტა და მონურ შრომაში ჩააბა.

ჯოჯოხეთის საშინელებათა ბიბლიური აღწერილობა ასევე ნაკლებ შემადრწუნებელსა და ფერმკრთალ სურათებს გვიხატავს, ვიდრე ის, რაც ფაშისტ-განგსტერების მიერ ოკუპირებული ქვეყნების ტყვეთა ბანაკებში ხდებოდა. ჰიტლერული გერმანიის სადამსჯელო ორგანოები მილიონობით მიერეკებოდნენ „ოსვენციმის“, „მაიდანეკის“ და სხვა საკონცენტრაციო ბანაკებში სამხედრო ტყვეებს და იძულებით სამუშაოზე გარეკილ მშვიდობიან მცხოვრებლებს. სადისტი მწამებლები სასიკვდილოდ განწირულთ წინასწარ ძარცვავდნენ და გაშიშვლებულებს ცოცხლივ მიათრევდნენ გავარეარებულ ლუმელებში; მამაკაცებთან ერთად ცეცხლი ათასობით ნთქავდა ქალებსა და ბავშვებს, არ ინდობდნენ უბედურ დედებსაც და კლავდნენ გულში ჩაკრული პაწაწინა ბავშვებითურთ.

ნაცისტები მხეცები განსაკუთრებული გაბოროტებით საბჭოთა სამხედრო ტყვეებსა და ფაშისტურ კატორღაში გარეკილ მშვიდობიან მცხოვრებლებს ეპყრობოდნენ. მათთვის ცის ქვეშ მოწყობილ და ეკლიანი მავთულით შემოღობილ ბანაკებში მძვინვარებდა პარ-

ტახტიანი ტიფი და სხვა სახის ინფექციური დაავადებანი, მეტწილად წინასწარ განზრახვით შეტანილი და გაერცელებული იქ, და აუარებელ ხალხს სპობდა, ნაწილს კიდევ ხერეტდნენ ან სპეციალურად მოწყობილ ავტოპანქანებში — „დღუშეგუბკებში“ ახარობდნენ. ბანაკში მოხვედრილი ადამიანები ყოველგვარ უფლებას მოკლებულნი იყვნენ, გერმანელები მათში დანოპრილსა ან სხეულზე დალდასმულ მონებს ხედავდნენ მხოლოდ. მძიმე შრომის შემდეგ ღონემიხდილ ტყვეებს უსმელ-უქმელად დააგდებდნენ და აიძულებდნენ ექამათ, რასაც კი წააწყდებოდნენ: ქვეწარმავალი, ცხოველების ლეში, ბალახი ფესვიანად, ხის ფოთოლი და ქერქი. რის გამოც უმეტესობა ტყვეებისა იღუპებოდა. საბჭოთა ადამიანებს არამზადა ნაციისტი „ექიმები“ და „მეცნიერები“ საექსპერიმენტოდ იყენებდნენ, აწამებდნენ და ათასობით კლავდნენ მათ, როგორც ცდის პირებს.

ჭიტლერულმა გერმანიამ განიზრახა აღეგავა საბჭოთა ხალხი დედამიწის ზურგიდან; ოკუპირებულ რუსეთში თითქმის მთლიანად უნდა გავწყვიტო მოსახლეობა და მხოლოდ შავ სამუშაოზე გამოსაყენებელი ნონების განსაზღვრულ რიცხვს დაეახვედრებ აქ ჩამოსახლებულ არიელ ბატონებსო, — ბოდავდა ზნედაცემული ჯალათი ჭიტლერი და საბჭოთა კავშირის ხალხებს მთლიან განადგურებას უქადა.

ჭიტლერული არმიის ჯარისკაცი ჰანს ჰაილი რუსეთის დროებით ოკუპირებული ქალაქიდან 1941 წლის იელისში გერმანიაში სწერდა: „ნაბრძანები გვაქვს ტყვეების მთლიანად გაჟლეტა; საბჭოთა ტყვეებს ყბები ჩამოვჭხებით და თვალები დავთხარეთ. აქ მხოლოდ ერთი წესია დაკანონებული — მოსპობა შეუბრალებლივ. ყველაფერი მიმდინარეობს „ყბადაღებული“ ჰუმანურობის გარეშე... ქალაქში მალი-მალ სროლა ისმის... თითოეული გასროლა იმის მომასწავებელია, რომ კიდევ ერთი ადამიანის მსგავსი რუსი ცხოველი გაისტუმრეს სადაც ჯერ არს. საჭიროა ყველა ქალისა და მამაკაცის დახვერტა“¹. ეს სახით ადამიანისმაგვარი შართლაც მხეცი „არიელი ბატონი“ ისე მალე მოკლეს, რომ მან ვერც კი მოასწრო აღნიშნული ბარათის დანიშნულებისამებრ გაგზავნა და მისი ლეში ზიზლით მიიღო თავის წიაღში რუსეთის ყამირმა.

გერმანელი ოკუპანტი ვინმე ოტო ესმანი ლეიტენანტ ჰალმუტ ვეიგანდს ცინიკურად სწერდა: „ჩვენთან საბჭოთა ტყვეებია-

¹ გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების წერილებიდან, ი. ერენბურგი, „Воспитание“, 1943, გვ. 9.

ეს ტიპები მიწას ქექავენ აეროდრომის ეზოში და ჰიპოფლებს კამენ; ისინი მისცვიდებიან ხოლმე სამზარეულოდან გადასაღვრელად გამოტანილ ქუქკიან ნარეცხს და ხვრეპენ მას. იშორად შქიხხუდავს, როგორ კამენ ისინი სარეველა ბალახს. ესენიც ხალხნი არიან, რაღა¹.

ასევე აღმაშფოთებელია ნაცისტი არამზადების დანაშაულებრივი მოქმედება—სამხედრო ტყვეთაგან ეროვნების მიხედვით ცალკეული საჯარისო დანაყოფების ჩამოყალიბება და ამ ნაწილების გერმანულ არმიაში ჩარიცხვა.

პიტლერელი მესვეურები თავის არმიაში ძალდატანებით გაერთიანებული სამხედრო ტყვე ჯარისკაცებისაგან ერთგულებასაც კი მოითხოვდნენ, მაგრამ საბჭოთა მეომრები მასობრივად, ვარდა ძლიერ იშვიათი გამონაკლისისა, შეუდრეველ ზორალურ-პოლიტიკურ სიმტკიცეს იჩენდნენ, ტყვეობაშიაც შეპოინაზეს უსაზღვრო სიყვარული და ერთგულები დედა-სამშობლოსადმი და მიეცემოდათ თუ არა შესაძლებლობა, ებრძოდნენ და ყოველგვარ ზიანს აყენებდნენ ფაშისტ დამპყრობლებს.

პიტლერელი ავაზაკების აღვირახსნილ, დანაშაულებრივ მოქმედებაზე აი რას წეს ტექსელის აჯანყების აქტიური მონაწილე, მაიდანეის საშინელ ბანაკში ნამყოფი სამხედრო ტყვე დავით გავაშელი:

მაიდანეკია ამ ყველასათვის ცნობილი საშინელი ბანაკის სახელი. მე აქ არ შევუდლები მაიდანეის უბედურებათა აღწერას; ქვეყანამ იცის, რომ ასიათასობით წყვეტდნენ აქ გერმანელები ოკუპირებული იეროპის. ტერიტორიიდან მორეკილ სამხედრო ტყვეებს, მათში კი განსაკუთრებული სისასტიკით საბჭოთა ადამიანებს იპყრობოდნენ. ბევრი თქმულა და დაწერალა მაიდანეის ბანაკზე; ნიურნბერგში მოწყობილ სამხედრო დაწაშავეთა გასამართლების დროს გადაშლილ საშინელებათა შეახებ და კერძოდ მაიდანეჯე მრავალი ტომი დაიწერა, მაგრამ რაც ამ ბანაკში ხდებოდა, მისი კალმით აღწერა ან სიტყვიერად გადმოცემა ჩემთვის შეუძლებელია და ვერც სხვა ვინმე მოახერხებს. აქ ადამიანს ერთჯერ კი არა, თანდათანობით ათასჯერ კლაედნენ—შიმშილით, რტყქვეით, აბუჩად აგდებითა და წამების სხვა ათასგვარი სადისტურე მეოოდის გამოყენებით.

¹ გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების წერილებიდან, ი. ერენბურგი, „Ванна“, 1943, გვ. 22.

შემთხვევით გადარჩენილი, მაგრამ სასომიხიდილი და ნახევრად გონებადაკარგული რამდენიმე სამხედრო ტყვე, მათ შორის მეც, 1942 წლის ნოემბერში სედლეციის ბანაკში გადაგვიყვანეს, აქედან კი კრუშინაში მიგვრევს, იქ ჩამოყალიბებულ ქართულ ბატალიონში ჩაგვრიცხეს და გვითხრეს, ჩვენთან უნდა ითანამშრომლოთო. მიკვირს, რა პირობით ლაპარაკობდნენ ამას ფაშისტი ავაზაკები, ალბათ, გონება თუ დაკარგეს, თორემ ვანა მაიდანეკისა და სხვა შემადრწუნებელი ბანაკების შემდეგ შეიძლება ეფიქრა კეჟუაზე მყოფს, რომ გერმანელების მომხრეები გავხდებოდით? ბოლომთ აღვსილებმა ჩავიცვიით რალაც დაფლეთილი საძულველი ფარაჯები, მაგრამ ამის შემდეგ ჩვენში კიდევ უფრო გაასკეცდა მტრისადმი შურისგების სურვილი. ბრძოლა ფარული, დაუნდობელი, მაგრამ ჯერ კიდევ არაორგანიზებული, ადრევე დაიწყო მტრის წინააღმდეგ თვით კრუშინაში. პოლანდიაში გაგზავნის შემდეგ კი ჩვენ მოვახერხეთ ორგანიზებული არალეგალური ბრძოლის გაჩაღება გერმანელი ოკუპანტების საზიანოდ და იქაურ პარტიზანებს კარგი სამსახური გავუწიეთ; ჩვენგან მიწოდებული იარაღითა და ტყვია-წამლით, რომელიც მტრის საწყობებიდან ფარულად გამოგვკონდა, ბევრი გერმანელი ოკუპანტი ჩააძალღეს პოლანდიელებმა: ისინი აფეთქებდნენ ხიდებს, საძხედრო ეშელონებს ამსხვრევდნენ და შიშის ზარს სცემდნენ გერმანელ ოკუპანტებს.

1945 წლის 5 აპრილს, ნაშუალამევს, ჩვენ ავჯანყდით, თავგანწირვით ვეკვეთეთ გერმანელებს პოლანდიის კუნძულ ტექსელზე და თითქმის მთელი გარნიზონი ამოვწყვიტეთ.

მეც გვერდში ვუდექი იმ ლამეს ჩემს განაწამებ ძმებს, ქართველ ვაჟაკებს და არა ერთ ფაშისტ ავაზაკს ჩავეცი გულში სასიკვდილო ლახვარი... ეს იყო მაიდანეკის სამაგიერო ჩემი მხრივ“.

ნებსით თუ უნებლიედ მტრის არმიის გაერთიანება უდიდესი დანაშაულია; ეს მძიმე ვითარება შეგნებული ჰქონდათ ქართველ სამხედრო ტყვეებს. ამიტომ იყო, რომ ბატალიონში გაერთიანებისთანავე, გაუზიარეს თუ არა ერთმანეთს თავთავიანთი გულისტკივილი, ქართველებმა დაიწყეს მტრის საწინააღმდეგო ბრძოლა და ხანგრძლივი არალეგალურ-პარტიზანული მოქმედებითა და შემდეგ კუნძულ ტექსელზე აჯანყების მოწყობით კვლავ აღიდგინეს საბჭოთა მეომრის საპატიო სახელი. „ქართველმა ამხანაგებმა გადაწყვიტეს, რომ უკეთესია გმირულად მოკვდნენ სამშობლოს გარეშე, ვიდრე შერცხვენინლი დაბრუნდნენ თავიანთ.

ქვეყანაში“—წერდა ტექსელის აზბების შესახებ სარედაქციო სტა-
ტიაში ნიდერლანდების კოქენისტური პარტიის ორგანო „DE
VAARHEID“¹.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ამ აჯანყების მიზანი მარ-
ტო პრესტიჟის აღდგენა როდღ იყო. მე-6 ქართული ბატალიონი
უკვე 1944 წლის თებერვლიდან რეგისტრირებული იყო ჰოლანდიის
კომპარტიისა და წინააღმდეგობის საბჭოს მიერ როგორც „არალე-
გალურ-პარტიზანული № 822 ქართული ბატალიონი“ და მიუხედა-
ვად იმისა, რომ ფორმალურად გერმანიის არმიის გაერთიანებაში
ითვლებოდა, ფაქტობრივად იგი წარმოადგენდა არალეგალურ-პარტი-
ზანულ რაზმს, რომელიც გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ ჯერ
კიდეც 1944 წლის დამდეგიდან მოქმედებდა, ასე რომ ნდობის აღ-
დგენისა და ერთგულების დამტკიცების საკითხი აღარ იდგა.

1945 წლის მარტში ქართული ბატალიონის ვებრძოლებმა
საბჭოთა მთავრობის მიმართვა მიიღეს, სადაც ნათქვამი იყო:

„საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ სამშობლოში დაბრუნები-
სას თქვენ არავითარ პასუხს არ ავებთ, თუ პატიოსნად შეასრუ-
ლებთ თქვენს მოვალეობას.

ეცადეთ პირველ შესაძლებლობისთანავე გაექცეთ ფაშისტებს!
გადადით ჩვენ მოკავშირეების—ინგლისელებისა და ამერიკე-
ლების მხარეზე“².

ამ მოწოდების შემდეგ ქართული ბატალიონის მებრძოლებს
შეეძლოთ დამშვიდებულნი ყოფილიყვნენ, თუ გადაარჩენის სურვილი
ამოქმედებდათ და სხვა არაფერი, რადგან საბჭოთა მთავრობის მი-
მართვაში აღნიშნული დავალებანი მათ აღრევე ქჷონდათ შესრუ-
ლებული.

მაშ რისთვის ილტვოდნენ აჯანყებისაგან ასე დაჷინებდნთ ქარ-
თველები და არა ერთგზის უთხოვნიათ აჯანყების ნებართვა წინა-
თაც და ბოლო დროს როგორც ჰოლანდიის კომპარტიისა და წი-
ნააღმდეგობის საბჭოსათვის, ასევე მოკავშირეთაგან?

ეს იმიუ უნდა ავხსნათ, რომ ქართველ მებრძოლებში ღვიოდა
მტრისადმი განუზომელი სიძულვილის გრძნობა და როდესაც მათ
ყურამდე მოაღწია მშობლიური საბჭოთა ძრმიების მიერ აღმოსავ-
ლეთის ფრონტზე დაწყებული გრანდიოზული შეტევების სასიხარუ-
ლო ამბავმა, ხოლო დასავლეთში მოკავშირეებმა მეორე ფრონტი
გახსნეს და შეიქრნენ ევროპის კონტინენტზე, ისინი აღფრთოვან-

¹ „DE VAARHEID“, 1945 წ., 2 ივნისი, № 23.

² საბ. № 6, გვ. 17.

დნენ, აღეძრათ სურვილი კვეთებოდნენ მტერს და ამით კიდევ უფრო მეტი წვლილი შეეტანათ ჰიტლერული გერმანიის საბოლოო განადგურების დაჩქარების დიად საქმეში. ხოლო რაც შეეხება 1945 წლის 5 აპრილის აჯანყებას, ამას ბიძგი მისცა გერმანიის სარდლობის გადაწყვეტილებამ — გადაეყვანათ ქართული ბატალიონი კუნძულიდან კონტინენტზე და ჩაებათ იგი ბრძოლაში მოკავშირეთა ჯარების წინააღმდეგ.

ქართველმა სამხედრო ტყვეებმა, რომელნიც გამოუვალ მდგომარეობაში ჩაეარდნენ, აჯანყება პირადი ინიციატივით მოაწყვეს და, ერთი შეხედვით, მათი ბრძოლა იზოლირებულ, ადგილობრივი მნიშვნელობის სამხედრო ოპერაციას უნდა წარმოადგენდეს. საკითხის ამგვარად გადაწყვეტა არ იქნება მართებული.

ეს აჯანყება მეორე მსოფლიო ომის პერიოდში წარმოებულ უდიდეს სამხედრო ოპერაციებთან შედარებით პატარა რგოლია ჯაქვისა და ამავე დროს ფრიად საყურადღებო, რადგან სამხედრო მნიშვნელობასთან ერთად ტექსელის აზებთან დაკავშირებით მქლავნდება, რომ ინგლისის მთავრობის მესვეურნი ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ერთობლივი ომის წარმოების პერიოდშივე ფარულად ატარებდნენ გულში მზაკვრულ ზრახვებს საბჭოთა ხალხების წინააღმდეგ.

ბოლოს, აჯანყება საინტერესოა ემ მხრივაც, რომ თუმცა წარსული ომის დროს ოკუპირებული ევროპის ხალხები და იქ იძულებით მირეკილი საბჭოთა ადამიანები იბრძოდნენ გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ, მაგრამ არ ყოფილა, რამდენად ვიცით, მაგალითი იმისა, რომ ქართული ბატალიონისებრ აჯანყებულიყოს სამხედრო ტყვეთა სხვა რომელიმე დანაყოფი და ასე ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ბრძოლა ეწარმოებინოს გერმანიის ჯარის წინააღმდეგ.

ამნიარად, ჰოლანდიაში ქართველ სამხედრო ტყვეთა მიერ წარმოებული ბრძოლა ადგილობრივი მნიშვნელობის სამხედრო ოპერაციის ფარგლებს სცილდება და განზოგადებას მოითხოვს.

ჩვენ უკვე შევეხეთ აჯანყების წარმომშობ ვითარებას, საჭიროა გავარკვიოთ, რატომ დამარცხდნენ ქართველები შემდგომ?

დიდი საბაძულო ომის პირველი, მძიმე და სამხედრო წარუმატებლობის პერიოდის განვლის შემდეგ საბჭოთა შეიარაღებული ძალები შეტევაზე გადავიდნენ, გერმანელ ოკუპანტებს გამანადგურებელი დარტყმები აგემეს და თავზარდაცემულნი შეაბრუნეს უკან. ბრძენი ბელადი და გენიალური მხედართმთავარი ამხანაგი სტალინი,

ულოცაჲდა რა საბჭოთა ხალხს და მის შეიარაღებულ ძალებს გამარჯვებებს, გვაფრთხილებდა და გვასწავლიდა: „მთელ საბჭოთა ხალხს ახარებს წითელი არმიის გამარჯვებანი, მაგრამ წითელი არმიის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს მტკიედ უნდა ახსოვდეთ ჩვენი მასწავლებლის ლენინის ანდერძი: „პირველი საქმეა არ გაგვიტაცოს გამარჯვებამ და არ ვიყოფოჩოთ, მეორე საქმეა განვამტკიცოთ გამარჯვება, მესამე—საბოლოოდ მოვსპოთ მოწინააღმდეგე“.

და შემდეგ... „ვბრძანებ...“

2. „გააძლიეროთ დარტყმები მტრის ჯარების წინააღმდეგ, დაუღალავად და შეუპოვრად სდევნოთ მტერი, არ მისცეთ მას საშუალება ფეხი მოიკიდოს თავდაცვის ზღუდეებზე, არ მისცეთ მას მოსვენება არც დღისით, არც ღამით, გადასჭრათ მტრის კომუნიკაციები, გარს შემოერტყათ მტრის ჯარებს და მოსპოთ ისინი, თუ იარაღის დაყრაზე უარს ამბობენ“¹.

ეს გენიალური მითითებანი დამპყრობელთა წინააღმდეგ მიმართული განმათავისუფლებელი ომის სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ, სავსებით გამოსაყენებელია და სახელმძღვანელო ტექსტის ამბებთან დაკავშირებულ ვითარებაში გარკვევისას. მით უმეტეს, რომ ქართველების მიერ წარმოებული ხანგრძლივი არალეგალურ-პარტიზანული ბრძოლა და შემდეგ აჯანყება იმპერიალისტური სახელმწიფოს ტირანიის წინააღმდეგ მიმართულ განმათავისუფლებელი ხასიათის სამხედრო აჯანყებას წარმოადგენდა.

აქედან გამომდინარე: პირველი სერიოზული შეცდომა, რომელიც ტექსტის აჯანყების დროს იყო დაშვებული, ჩრდილო და სამხრეთ ბატარეების მტრის ხელში დატოვებაა. განსაკუთრებით სავალალო გახდა ამ მხრივ კუნძულის სამხრეთ-დასავლეთი კიდურის მძიმე საბატარეო პუნქტის აუღებლობა.

აჯანყების პირველ ღამეს სამხრეთის ბატარეა მოულოდნელი თავდასხმით უნდა აღებულიყო, შემდეგ კი ეს აღარ მოხერხდა, რადგან მტერმა მომზადება მოასწრო. საბატარეო პუნქტის ბეტონირებულ მოედანზე მდგარი და მბრუნავი მძიმე ქვემეხები კუნძულის მთელი სანაპიროების ირგვლივ დაცვის სრულ შესაძლებლობას იძლეოდა და შემდგომ გერმანელების სადესანტო გეზები ველარ მოახერხებდნენ კონტინენტიდან ჯარების გადმოსხმას. პირიქით, სამხრეთის მძიმე ბატარეადან შეიძლებოდა კონტინენტის მახლობელი ძლიე-

¹ ი. სტალინი. „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ 1945, IV გამოცემა, გვ. 92—93.

რი ნავსადგურის დენ ჰელდერის საარტილერიო ცეცხლში გახვევა და საფრთხის შექმნა მისი გარნიზონისათვის. გერმანელებმა კი სწორედ აქედან გადმოსხეს კუნძულზე სადესანტო ჯარები და ამ ოპერაციას დაეხმარა როგორც დენ ჰელდერის სანაპირო ბატარეა, ისე კუნძულის სამხრეთ-დასავლეთის კიდეურზე შემორჩენილი საბატარეო პუნქტი, რომელსაც დიდძალი საქურველი გააჩნდა და მისი მომსახურე პერსონალი 90 გერმანელი ჯარისკაცისა და ოფიცრისაგან შედგებოდა.

კუნძულის მოსახლეობაში ცოტა როდი იყო პატრიოტულად განწყობილი ელემენტი, რომელთა გამოყენება ხელს შეუწყობდა აჯანყებულთ ტექსელის შენარჩუნებაში, მაგრამ შესაფერისად ვერც ეს საქმე მოგვარდა.

ბატალიონის მეთაურის შ. ლოლადის ბრძანებით კუნძულის ბურგომისტრად ახლად დანიშნულმა პატრიოტმა ნ. კელდერმა აჯანყებულთა შტაბს მოუყვანა მეორე დღესვე, 6 აპრილს, რამდენიმე ასეული კაცი კუნძულის მკვიდრთაგან. მცირე ნაწილი ამ პატრიოტებისა შეიარაღებულ იქნა ბატალიონის მიერ და გამოყენებული, ხოლო დანარჩენები არ ჩაუბამთ სათავდაცვო საქმეში და მიმოიფანტნენ, საჭირო კი იყო არა მარტო შტაბში გამოცხადებული ჰოლანდიელების გამოყენება, არამედ მცხოვრებთაგან სხვა მერყევი ელემენტების გადმობირება და სათავდაცვო ოპერაციებში მათი გაბედული ჩაბმა, ვინაიდან მოსალოდნელი იყო კონტინენტიდან გერმანელთა დესანტის გადმოსხმა და ახალი ძალების შემატება აჯანყებულთ ძლიერ გამოადგებოდათ, მაგრამ ბატალიონის ხელმძღვანელობა ერთგვარ თვითდამშურდებას მიეცა და არ ზიილო ქმედი ზომები ადგილობრივი ჰოლანდიელთა მოსახლეობის დასარაზმავად და თავის გარშემო შემოსაკრებად,—ესეც შეცდომა იყო.

წინააღმდეგობის ადგილობრივ საბჭოსაც მეტი აქტიურობა უნდა გამოეჩინა და მოსახლეობა უფრო ეფექტურად დაეხმარებინა ბატალიონისათვის სამხედრო ღონისძიებათა ხაზით, გამოეთხოვა კონტინენტის ცენტრალური ორგანოებიდან წინააღმდეგობის საბჭოს პასუხისმგებელი წევრები და მათთან ერთად აემხედრებინა კუნძულის მკვიდრი მოსახლეობა გერმანელების წინააღმდეგ, მით უმეტეს, რომ ქართველები კუნძულზე ახლად მოსულები იყვნენ და ჯეროვანად კიდევ ვერ ერკვეოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ძალთა განწყობილებასა და სულისკვეთებაში.

გასაკეთებელი კი ბევრი ჰქონდათ ჰოლანდიელ პატრიოტთა ორგანიზაციებს, რადგან კუნძულის წინანდელი ბურგომისტრი ნიდერლანდების ნაცისტური კავშირის HSB-ს აქტიური წევრი იყო (პიტლერულ გერმანიასთან თანამშრომლობის ამ პროფაშისტურ ორგანიზაციას მუსერტის პარტია ეწოდებოდა. მ. ქ.). ბურგომის ჯრთან ერთად გერმანელ ოკუპანტებთან თანამშრომლობის მომხრე მუსერტელი არამზადები, მსგავსად ნორვეგიელი ხალხის მოლაღატე კვისლინგელებისა, ძირგამომხრელ აგიტაციას ეწეოდნენ ადგილობრივ მოსახლეობაში და საკირო იყო მათი სრული იზოლირება მცხოვრებლებისაგან, ან ფიზიკურად განადგურება.

უნდა ითქვას, რომ კუნძულის მკვიდრთა უმრავლესობა თანაუგრძნობდა აჯანყებულთ და ეხმარებოდა დაქრილთა მოკლა-პატრონობაში, დევნილი ქართველი პარტიზანების შეფარებაში, სურსათის მიწოდებაში და სხვა, მაგრამ ეს ცალკეული პირების კერძო ინიციატივა იყო და ჰოლანდიის პატრიოტულ ორგანიზაციებს რომ მეტი ოპერატიული ხელმძღვანელობა გაეწიათ მოსახლეობისათვის, დახმარებას უფრო ორგანიზებული და ეფექტური სახე მიეცემოდა.

ჩვენ მიერ აღნიშნულმა ნიზეზებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აჯანყების დამარცხებით დამთავრების საქმეში, მაგრამ არა გადამწყვეტი.

მთავარი ბრალდება მოკავშირეთა გაერთიანებულ სარდლობას უნდა დაეკისროთ; აღმშფოთებელი იყო მათი მოქმედება კუნძულზე წარმოებული ბრძოლის მთელს მანძილზე.

1944 წლის დასაწყისიდან ქართული ბატალიონის არალეგალურ-პარტიზანულ შტაბს კავშირი ჰქონდა დამყარებული მოკავშირეთა სარდლობასთან, კერძოდ ინგლისელებთან. ადრევე, ჯერ კიდევ ჰოლანდიის კონტინენტზე ყოფნისას, ზანდფორტიდან რამდენჯერმე მიმართა ბატალიონმა ინგლისელებს. ერთ-ერთ ასეთ მიმართვისას ქართველები მათ სწერდნენ:

„ამჟამად ჩვენ გერმანელებთან ერთად ვიმყოფებით ჰოლანდიაში და თავდაცვითი ხაზი გვიკავია ზღვის პირად 31 კილომეტრის სიგრძეზე და 25 კილომეტრის სიღრმეზე (ზანდფორტის სანაპიროს შეეხება. მ. ქ.).

როგორც კი დააპირებთ შემოჭრას სანაპიროზე, ჩვენ იმავე მომენტში, როგორც ერთი, ვეკვეთებით გერმანელებს ზურგიდან.

ჩვენ, არალეგალური ფარული შტაბის მებრძოლები, ყოველდღიურად ველით თქვენს შემოჭრას იმ ტერიტორიაზე, სადაც ჩვენ ვიმყოფებით ამჟამად და ისევე ვიბრძოლებთ თქვენ გვერდით, რო-

გორც ამას საფრანგეთში და ბელგიაში ჩადიან პატრიოტები; ჩვენ თქვენთან ერთად ამოვყლეთ საერთო მტერს—გამხეცებულ ფაშისტებს.

ის ტერიტორია, რომლის თავდაცვითი ხაზი 30 კილომეტრის სიგრძეზე ჩვენ გვიკავია, თქვენ წინასწარვე შეგიძლიათ იგულისხმოთ თქვენი ოპერაციებისათვის საჭირო თავისუფალ ტერიტორიად; ასევე ჩვენი ბატალიონიც ჩათვალეთ თქვენთან ერთად მებრძოლად.

ჩვენ წინასწარვე ამოვწყვეტთ ჩვენს ბატალიონში შემავალ გერმანულ პერსონალს, რომელიც მთელი ჩვენი ბატალიონის ერთ მესამედსა თუ მეოთხედს შეადგენს, და შეგიქმნით ისეთ პირობას, რომ მინიმალური პროცენტიც კი არ გექნებათ დანაკარგისა, მით უმეტეს, რომ მარჯვენა ფლანგზე გერმანელების ბატარეა მცირერიცხოვანია. ამასთანავე მკიდრო ურთიერთობა გვაქვს ჰოლანდიელ ხალხთან და ისინიც უცდიან მომენტს, რომ ჩვენთან ერთად ხელში აიღონ იარაღი და ჩაებან ბრძოლაში ფაშიზმის წინააღმდეგ.

ამნაირად, არის შესაძლებლობა დესანტის გადმოსხმისა იმ ტერიტორიაზე, რომელიც ჩვენ გვიკავია. მხოლოდ შეგვატყობინეთ თქვენი შემოქრის განზრახვა 6 საათით ადრე მაინც რაიმე სიგნალით და ჩვენც მოგცემთ ნიშანს.

ბატალიონის ფარული შტაბის მებრძოლებისა და მეთაურების დაჯალბებით გთხოვთ, გაითვალისწინოთ სტრატეგიული შედეგი მოსალოდნელი გამარჯვებისა, აგრეთვე ის ვითარება, რომ ჩვენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე თქვეხთან ერთად ვებრძოლებთ, რომ დავაჩქაროთ ფაშისტი არაპზადების მოსპობა და გადმოსხათ დესანტი.

სიკვდილი ფაშისტი ოკუპანტებს!

მომართვას გაახლებთ ქართული ბატალიონის მებრძოლებისა და მეთაურების სახელით.“

5 აგვისტო, 1944 წ. 1

ხანგრძლივი დროის მანძილზე ქართულ ბატალიონს არა ერთხელ აღმოუჩენია დახმარება მოკავშირეთათვის, როგორც ზანდფორტში ყოფნისას, ისე ტექსელზე გადმოყვანის შემდეგ,—ზღვის სანაპიროების განაღვვა, დაზერვითი სახის ცნობების გადაცემა მოკავშირეთა სარდლობისათვის გერმანელთა ჯარების განლაგებისა და მოძრაობის შეახებ, იარაღისა და ტყვია-წამლის მიწოდება ჰოლანდიელი პარტიზანებისათვის, რომელნიც დიდ დახმარებას უწყვენ მოკავშირეებს და სხვა.

¹ საბ. № 1, გვ. 11.

და ბოლოს, რაც მთავარია, გერმანელებმა უბრძანეს ქართულ-ბატალიონს მოკავშირეთა წინააღმდეგ საბრძოლველად წასვლა ჰოლანდიის კონტინენტზე, ქართველებმა კი ამის საპასუხოდ აჯანყება თვით გერმანელების საწინააღმდეგოდ მოაწყვეს, 4000-ზე მეტი მტრის ჯარისკაცი და ოფიცერი ფრონტს მოაცილეს და პარძოლაში ჩააბეს, რითაც მოკავშირეების მიერ დაწყებულ შეტევას დიდად შეუწყვეს ხელი, ამასთანავე შეწყდა სურსათ-სანოვავის რეკვიზიცია კუნძულის მოსახლეობაში და გერმანელებისათვის გზავნა.

ქართველმა საბჭოთა მემორებმა რ.მ ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს მოკავშირეებს და განსაკუთრებით ინგლისელებს, ამას თვითონაც არ ფარავენ ისინი. მოვიტანთ ამის საილუსტრაციოდ ინგლისის ჯარებში გაერთიანებული კანადის კორპუსის სარდლობის მიერ გაცემულ ოფიციალურ დოკუმენტს:

„შტაბი 1 კანადის კორპუსისა

16 ივნისი, 1945 წელი. საველე

მათუვის, ვისაც ეს შეიძლება ეხებოდეს.

მოქმედება საბჭოთა ჯარებისა კუნძულ ტექსელზე.

კუნძულ ტექსელიდან ვილჰელმსჰაფენთან ახლო მდებარე რუსულ ბანაკში საბჭოთა 226 ჯარისკაცის გადაგზავნასთან დაკავშირებით, სასურველია ეცნობოს საბჭოთა ჯარების მთავარსარდლობას—ყურადღება მიაპყროს მას, რომ ამ ჯგუფის მიერ 1945 წლის 6 აპრილიდან გერმანიის კაპიტულაციამდე კანადის ჯარისადმი აღმოჩენილია დახმარება.

1945 წლის 6 აპრილამდე საბჭოთა ამ ნაწილებს მკიდრო კავშირი ჰქონდათ ჰოლანდიელ პარტიზანებთან და მათთან ერთად მუშაობდნენ. სამჯერ მიიღო ბატალიონისაგან მნიშვნელოვანი ცნობები ინგლისის მთავრობამ და სამჯერვე გაეცა პასუხი. ჰოლანდიის პარტიზანთა მითითებით ამ ჯგუფმა კუნძულ ტექსელის მნიშვნელოვანი ადგილები ნაღმებისაგან გაათავისუფლა; ეს რაიონები კუნძულ ტექსელის ფრიად თვალსაჩინო საომარ პუნქტებს წარმოადგენდა. განაღმვის შემდეგ გაკეთებული იყო საიდუმლო ნიშნები ისე, რომ გერმანელებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. ამ მოქმედებამ ფასდაუდებელი სარგებლობა მოუტანა კანადელებს, როდესაც ისინი ტექსელზე მოვიდნენ საომარი ოპერაციების დროს.

ამასთანავე დავძენთ, რომ პარტიზანებს საომარი იარაღი და ტყვია-წამალი გადაეცა. 1945 წლის 6 აპრილს, როდესაც საბჭოთა ხსენებულ ჯგუფს უბრძანეს ინგლისის ჯარის წინააღმდეგ გალაშქრება, იგი გერმანელებს აუჯანყდა და 700 ქართველი ებრძოდა 4.000 გერმანელს სამი დღის განმავლობაში. ამ შეტაკებათა დროს კუნძულ ტექსელზე ფრიალებდა პოლანდიის, საბჭოთა და ინგლისის დროშები. ამის შემდეგ გერმანელებმა დაბრუნეს ტექსელი ნავსადგურ დენ-ჰელდერიდან მძიმე ქვეშევრდებით, რითაც უდიდესი ზარალი მიაყენეს ნაგებობებს და ადგილობრივ მოსახლეობას. შემდეგ გერმანელებმა გადმოიტანეს ტანკები და მძიმე არტილერია, რის გამოც საბჭოთა ჯგუფი იძულებული გახდა უკან დაეხია, რათა შეემზადებინა სათავე-დაცვო პოზიციები, საიდანაც ისინი გააფთრებით უმკლავდებოდნენ გერმანელებს ერთ თვის განმავლობაში. როდესაც ბატალიონს გამოეღია საჭურველი, მეთაურმა უბრძანა მათ მცირე ჯგუფებად დაეყოფა და პარტიზანულ ბრძოლაზე გადასვლა. ეს გრძელდებოდა 1945 წლის 21 მაისამდე, როდესაც კანადის ჯარი კუნძულზე გამოვიდა, საბჭოთა ჯარი დაეხმარა კანადელებს კუნძულზე დარჩენილ გერმანელთა გარეკოცვასა და განიარაღებაში, ამასთანავე საბჭოთა ზეომრებს იარაღი შეუნარჩუნეს თავდაცვისათვის.

ხსენებული საომარი ოპერაციების დროს საბჭოთა ჯგუფმა განიცადა დიდი ზარალი, მათ მოუღეს 470 მებრძოლი, 13 კაცი სერიოზულად დაიჭრა და 41 კაცი მსუბუქად. ამ შეტაკებაში გერმანელებმა დაკარგეს დაახლოებით 2347 კაცი. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ჯგუფმა მტრის კაპიტულაციის შემდეგაც დაკარგა დაახლოებით 200 კაცი (კურსივი ჩვენია. მ. ქ.), გვეხმარებოდა რა მტრის განადგურებაში, ეს რიცხვი შედის ზემონაჩვენებ დანაკარგში.

დახმარება, რომელიც ამ ჯგუფმა მოკავშირეთა ძალებს გაუწია საერთოდ, კერძოდ კანადის 1-ლ კორპუსს, დაუფასებელია. უდიდესი სიმამაცე გამოავლინეს ბრძოლებში საბჭოთა ჯარის ნაწილებმა მათზე ბევრად ძლიერსა და რიცხვით ზედმეტ მტერზე, საბჭოთა მცირე ჯგუფმა გაბედა გერმანელთა სარდლობის ბრძანების უარყოფა—შებრძოლებოდა მოკავშირეთა ჯარს და, პირიქით, საოცარი შეუპოვრობით ეცვითა გერმანელებს, ამის გამო ისინი მაღალი შეფასების ღირსნი არიან (კურსივი ჩვენია. მ. ქ.).

HEADQUARTERS 1ST CANADIAN CORPS

16 Jun 45
In The Field

TO WHOM IT MAY CONCERN:

ACTION OF SOVIET TPS ON TEXEL ISLAND

1 In connection with the movement of 226 SOVIET soldiers from TEXEL ISLAND to the RUSSIAN camp near WILRELUSSHAVEN, it is desired to bring to the attention of the SOVIET HIGH COMMAND the assistance received by Canadian tps from this group from the 6 Apr 45 to the capitulation.

Prior to 6 Apr 45, this group contacted DUTCH NBS (Underground Partisans) and worked closely with them. Three times important messages were sent to British Gov and three replies received. On instructions from NBS, this group removed German mines from important coastal areas on TEXEL ISLAND, arranging signs in such a way that the Germans did not know of their removal. This act was invaluable later when Canadians landed on the island. In addition to this, arms and ammunition were given to the NBS.

When, on 6 Apr 45, this group was ordered to fight the English, they rose up against the Germans and the 700 GEORGIANS fought 4000 Germans for three days. During this period Dutch, Soviet and British flags were displayed throughout the island. The Germans then bombarded the island from DEN HELDER with heavy weapons, resulting in much damage being done to buildings and considerable casualties to civilians. The Germans then landed tanks, mortars and heavy weapons, and the SOVIET group withdrew to prepare defensive positions from which they withstood every German onslaught for over a month, when, with ammunition gone, their Commander ordered them to break out in small groups and carry on the fight as partisans. This lasted until 21 May 45, when Canadian troops landed on the island. The SOVIET tps then assisted the Canadians to round up and disarm the remaining Germans, and were permitted to retain weapons for their protection.

During the course of the above engagements, the Soviet Gp sustained casualties amounting to 470 killed, 13 seriously wounded, and 40 others wounded. The German casualties are estimated at about 2347. It is significant to note that after the enemy capitulated, the Soviet group sustained about 200 casualties when assisting to round up the enemy tps. These are included in the casualty figures given above.

It is felt that the assistance rendered to the Allied Cause generally, and to the 1st Canadian Corps in particular, by this group was of inestimable value. The great courage displayed against overwhelming odds when ordered to fight against the Allies, and the determined will to resist to the last, despite their desperate position at that time is to be highly commended.

Since the cessation of hostilities this group has remained on the island pending arrangements for their return, and has displayed a spirit of discipline and behaviour which would be a credit to any corps. An excellent spirit of co-operation with Canadian HQ has pervaded in all dealings with us and in spite of the fact that it is their misfortune to have to wear the despised uniform of the enemy, we feel that they are entitled to all the honours of a brave and dauntless Ally.

I have the honour to be, sir,

T/FC



Tweedsmuir Lt Col
for (C Foulkes) Lt Gen
Comd 1 Cdn Corps

Time of Signature 1713 B Hrs

ომის დაქვეყნების შემდეგ საბჭოთა ჯარის ჯგუფი კუნძულზე იმყოფებოდა და სამშობლოში დაბრუნებას უცხადდა. ამ ჯგუფმა ისეთი წესიერება და დისციპლინა გამოავლინა, რაც სახელსა და პატივს მოუხვეჭდა ყოველი ქვეყნის კორპუსს. საბჭოთა ჯგუფმა კანადის კორპუსის შტაბთან ურთიერთობაში ისეთი სულიერი სიმტკიცე და შეუღრეკლობა გამოაყენა, რომ, მოუხედავ-დ საძულველი გერმანული ფორმისა, რომელსაც ხსენებული ბატალიონი იძულებით ატარებდა, ის ღირსია ყოველგვარი მაღალი ღირსებისა და ქებადიდებისა როგორც მამაცი და გულადი მოკავშირე.

პატივისცემით:

კანადის პირველი კორპუსის გენერალ-ლეიტენანტი, ფოლკენსის

მ გივრად (ხელმოწერილია)

ხელმოწერა: ს დრო 15,15 ბრიტანული დროით. * 1

მიუხედავად ასეთი უაზრადებისა, მოკავშირეებმა დაუშვებელი უსულგულობა გამოიჩინეს, მარტო ნიატოვეს საშინელ გასაქირში ჩავარდნილი საბჭოთა სამხედრო ტყვეები და დახმარების სათხოვნელად ინგლისს დიდი გაჭირვებით ჩასული დელეგაცია კი დააპატიმრეს.

მოკავშირეთა ავიაცია გადაუვლიდა ხოლმე კუნძულს სისხლის-მღვრელი ბრძოლების დროს და ერთხელაც კი არ დაუბოძავს გერმანელების განლაგება. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს სეირს უყურებდნენ და ერთობოდნენ მოკავშირეთა პილოტება.

საკმარისი იყო სულ 100 კაცის გადმოსხმა კუნძულზე აჯანყებულთა დასახმარებლად ან დემონსტრაციული ხასიათის სამხედრო ღონისძიების ჩატარება მაინც—და გერმანელები ისეთ რთულ ვითარებაში იმყოფებოდნენ ამ პერიოდში, ჰოლანდიის კონტინენტზე მოკავშირეთა შეტევის გამო, რომ ველარ გაბედავდნენ დესანტების კუნძულზე გადმოსხმას და 500-ზე მეტი ქართველი მეომარი სიცოცხლეს შეინარჩუნებდა.

მოკავშირეები ალბათ ასე ბეჭდნენ: მავრმა თავისი საქმე გააკეთა, მავრს წასვლა შეუძლიაო. 4000 მტრის ჯარისკაცი ბრძოლაში ჩაება და სწორედ ეს იყო მოკავშირეთათვის საჭირო, ხოლო საბჭოთა ჯარისკაცების გაყვება სრულიადაც არ აღელვებდა გაერთიანებულ ინგლის-ამერიკის სამხედრო სარდლობას; ისინი ვაჭრული მომგებიანობის თვალსაზრისით უდგებოდნენ ამ საკითხს და უგულვებლყვეს სრულიად მორალური და ოფიციალური სამოკავშირეო ვალდებულებანი.

* საბ. № 5, გვ. 1.

1945 წლის 8 მაისს გერმანიამ ხელი მოაწერა უსიტყუო კაპიტულაციის აქტზე. ომი დამთავრდა.

რა ხდებოდა ამის შემდეგ კუნძულ ტექსელზე, შეწყდა თუ არა სისხლის ღვრა, ან განაიარაღეს მოკავშირეებმა გერმანელები? სრულიადაც არა.

კაპიტულაციის შემდეგაც კი არ მიეშველნენ მოკავშირენი პარტიზანულად მებრძოლ ქართველ სამხედრო ტყვეებს, არ განაიარაღეს კუნძულზე შერჩენილი ექსელთა ნაწილები და აღმაშფოთებელი გულდამშვიდებით უყურებდნენ, ჰოლანდიის კონტინენტის მახლობელი პუნქტებიდან როგორ განაგოძობდნენ გერმანელები შურისძიებას: კაპიტულაციის შემდეგ ნაცისტ-არამზადებმა კიდევ 200 ქართველი პარტიზანი ამოწყვიტეს.

მხოლოდ 21-22 მაისს ინება მოკავშირეთა გაერთიანებულმა სარდლობამ გადაესხა კანადის არმიის მცირერიცხოვანი დანაყოფი კუნძულზე, ალბათ იმის შესამოწმებლად, ხომ აღარაფინ დარჩენილა საბჭოთა პარტიზანებიდან კუნძულზე ცოცხალიო?! განა შეიძლება ამაზე შორს წასვლა და უპირობა? მაგრამ ჩერჩილს და მის მაგვარ იმპერიალისტებს როდის ახსიანთებდა ჰუმანიზმი, კეთილშობილური ზრახვანი!

მოვიგონოთ სამამულო ომის პირველი პერიოდი, როდესაც ჰიტლერული გერმანია თავისი სატელიტებითურთ მთელი ძალებით საბჭოთა კავშირს უტევდა, ჩვენკენ იყო მათი არმიების უდიდესი ნაწილი გადმოყვანილი და მოკავშირეები ამით უეჭველ დალუჟვას ასცდნენ. ნაცვლად დახმარებისა ამ მძიმე განსაცდელის დროს, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი საკითხს სვამდა შეეწყვიტა ამერიკას ჩვენთვის საომარი მასალისა და სურსათის მოწოდება ლენდლისის საფუძველზე და მოითხოვდა მხოლოდ ინგლისი მოემარაგებინა ამერიკას, ვინაიდან, ბჭობდა „მოკავშირე“, რუსეთი მაინც დამარცხდება და მისთვის საქურელის მიწოდება უქმად ჩაივლისო. ჯერ კიდევ იაპონელების თავდასხმამდე პირლ-ჰარბორზე, ანეროკის ოცწი ჩაბმამდე, ჩერჩილი ამერიკის პრეზიდენტს ფრანკლინ რუზველტს შეხვდა ატლანტიკის ოკეანის კუნძულ არჯენტის ნავსადგურის ახლოს. მათ შორის გამართული საუბრის დროს ფ. რუზველტი შეეკითხა უ. ჩერჩილს: „რუსები?“

— რუსები, — უგებურად ჩა-ლპარაკა ჩერჩილმა, მაგრამ შემდეგ კვლავ დაიწყო: — უთუოდ, ისინი გაცილებით ძლიერნი აღმოჩნდნენ, ვიდრე ჩვენ ოდესმე ამაზე იმედოვნებას ვავებდავდით. მაგრამ ვინ უწყის, კიდევ რამდენ ხანს...

— მაშ, თქვენ ფიქრობთ, რომ ისინი ვერ შესძლებენ გამკლავებას?

— როდესაც მოსკოვი დაეცემა... როგორც კი გერმანელები ამიერკავკასიას შეაღწევენ... როდესაც რუსების წინააღმდეგობა ბოლოს და ბოლოს შეწყდება... და შემდეგ... „რუსეთის გამკლავება მას (ჩერჩილს. მ. ქ.) ნაკლებად ან სულაც არ სჯეროდა“... „ის ცდილობდა დავერწმუნებინეთ ჩვენ, რომ ლომის წილი ლენდლიზისა ბრიტანეთს მიკუთვნებოდა, რადგან რუსეთისათვის დახმარება მხოლოდ ომის გაქიანურებამდე მიგვიყვანს, საბოლოო ანგარიშში კი რუსეთი, უეჭველად დამარცხდებაო“¹.

ჩერჩილს იმედები გაუტრუჟდა, საბჭოთა კავშირმა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა გერმანელ ოკუპანტებს. მაშინ ინგლისის მესვეურებმა დაიწყეს მეორე ფრონტის გახსნის გაქიანურება; სცადეს ლამანშიდან შექრის ნაცვლად ბალკანეთიდან დაეწყოთ ბრძოლა, გადალობებოდნენ წინ საბჭოთა არმიებს აღმოსავლეთ ევროპაში დასხვა მრავალ არაკეთილსინდისიერ მანევრს მიმართავდნენ.

ამის შემდეგ ჩვენთვის გასაგები ხდება ტექსელის ტრაგედიის დროს მოკავშირეთა მიერ ჩადენილი ამორალური და მზაკვრული ცინიზმით აღსავსე საქციელი.

შეიძლება კიდევაც სავსებით მიჩქმალავდნენ ინგლისელები აღნიშნულ ამბავს, მაგრამ ეს მათ ვერ მოახერხეს, კიდევ გადარჩა კუნძულ ტექსელის ტყეში, ზღვის სანაპირო ჯებირების ნაპრალებსა და ქვაბულებში შეფარებული 200 კაცზე მეტი ქართველი პარტიზანი და მათმა ნაამბობმა ფარდა ახადა მოკავშირეთა მიერ ჩადენილ საშინელ ბოროტმოქმედებას.

ამნაირად, კუნძულზე წარმოებულ სისხლისმღვრელ ბრძოლებში ქართველებმა დიდი ვამძლეობა გამოიჩინეს, თავდადებით იბრძოლეს და უეჭველად გაიმარჯვებდნენ, რომ ჰყოლოდათ სამხედრო-პოლიტიკურ დარგში უფრო მეტად დახელოვნებული უფროსი ოფიცრები და პოლიტმუშაკები, რომელთა ხელმძღვანელობით აღნიშნულ შეცდომებს თავიდან აიცილებდნენ, და მოკავშირენი რომ ოდნავად მაინც დახმარებოდნენ აჯანყებულთ.

ტექსელის აჯანყებას მძიმე მსხვერპლი მოჰყვა, მაგრამ დაღვრილ სისხლს უშედეგოდ არ ჩაუვლია. ორ ფრონტზე წარმოებულ დიდი შეტევების ეამს ქართველებმა რამდენიმე ათასი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი კუნძულზე წარმოებულ ბრძოლებში ჩააბეს,

¹ Элюот Руавельт. „Его глазами“, Госуд. изд. иностр. лит., стр. 46 1947.

2500-მდე ჰიტლერელი ოკუპანტი გაწყვიტეს და მტერზე საბოლოო გამარჯვების დაჩქარების დიად საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. ქართველი ხალხის მამაცვა შვილებმა ამასთანავე სამუდამო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს ჰოლანდიელი ხალხისა, რომელთანაც ერთად ხანგრძლივი გამათავისუფლებელი ბრძოლა აწარმოეს კაცობრიობის უბოროტესი მტრის—ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ.

ქართველი პარტიზანების მხრივ ამ კეთილშობილური მისიის შესრულების გამო ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო „DE VAARHEID“-ი, 1945 წლის 2 ივნისს, კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ „საბრძოლო ოპერაციების დროს ტექსელზე ქართველ და ჰოლანდიელ ამხანაგებს შორის უაღრესად გულთბილი ურთიერთობა დამყარდა. ეს ერთად წარმოებული ბრძოლა ჰოლანდიის ხალხის ისტორიაში შემონახული იქნება როგორც ერთ-ერთი ყველაზე გმირული ეპიზოდი გასული ომიდან“.

უცხოური წყაროები ქართველი პარტიზანების მოქმედების შესახებ ჰოლანდიაში

მოკავშირეთა სარდლობამ ვერ შესძლო ტექსელზე წარმოებულ საომარი მოქმედების დროს ქართველი პარტიზანების მამაცობის მიჩქმალვა და იძულებული იყო ელიარებინა, რომ საბჭოთა მეომრებმა ფასდაუდებელი დახმარება გაუწიეს მათ გერმანელების წინააღმდეგ ხანგრძლივი არალეგალური ბრძოლითა და კუნძულზე აჯანყებით.

ჰოლანდიის კონუნისტურმა პარტიამ, შინაგანი წინააღმდეგობის ფრონტის საბჭომ და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა მაღალი შეფასება მისცეს ქართული ბატალიონის მებრძოლთა ანტიფაშისტურ სამხედრო-პოლიტიკურ მოღვაწეობას.

ჰოლანდიურ გაზეთებსა და ბიულეტენებში „DE VAARHEID“, „DE VRISE ALCMAADER“, „HELDERN CURANT“ და „TEXEL-CHE CURANT“ სისტემატურად თავსდებოდა სტატიები, კორესპონდენციები, მოგონებანი და დღიურები, რომლებშიც გაშუქებული იყო ქართული ბატალიონის არალეგალური მუშაობისა და შემდეგ ტექსელზე წარმოებული შეუპოვარი ბრძოლის ღირსშესანიშნავი მომენტები.

პრესის წარმომადგენლები ხშირად აწყობდნენ ამსტერდამსა და ჰარლემის რედაქციებსა და ორგანიზაციებში ბატალიონის ხელმძღვანელებისა და ჯარისკაცთა ცალკეული ჯგუფების გულთბილ მიღებას, გაზეთებში ათავსებდნენ აჯანყებაში მონაწილე მებრძოლთა პორტრეტებს და მიდლობას უხდიდნენ ქართველ პარტიზანებს ჰოლანდიელი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისათვის.

ქვემოთ მოვიტანთ სტატიას, რომელიც დაიბეჭდა ნიდერლანდების კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გაზეთ „DE VAARHEID“-ში 1945 წლის 16 აპრალს.

„გაუმარჯოს ტექსელის გზირ მეომრებს!

მე-ნ ქართული ბატალიონი უარს ამბობს ფრონტზე წასვლაზე!

მე-ნ ქართული ბატალიონი, შედგენილი ყოფილი საბჭოთა სამხედრო ტყვეებისაგან, რომელნიც შიმშილმა და ფაშისტურმა

ტერორმა შოაქციო გერმანელთა არმიის რიგებში, უნდა გაეგზავნათ ფრონტზე პარასკევს, 6 აპრილს.

აქამდე ფაშისტები ვერ ბედავდნენ ბრძოლაში ჩაებათ ხსენებული ქართული ნაწილი, ალბათ, არასაიმედოდ მიაჩნდათ ის. ახლა, როდესაც ჰიტლერს გაუჭირდა, ფაშისტებმა გადაწყვიტეს ქართული ბატალიონიც ჩააბან ბრძოლაში.

უპირებდნენ რა ფრონტზე გაგზავნას, ფაშისტებმა მთლიანად შეაიარაღეს და სურსათ-სანოვაგითაც უზრუნველყვეს ქართველი მეომრები, მაგრამ საქმის ვითარებამ სულ სხვა სახე მიიღო, ვიდრე გერმანელებს ეგონათ.

ქვემოთ მოგვეყვას ტექსელის ანბები ქრონოლოგიური თანამიმდევრობით.

ქართველები 6 აპრილს ღამის 1 საათზე აჯანყდნენ და გაუხმაურებლად განაიარაღეს ყველა გერმანელი, ასე რომ მხოლოდ რამდენიმე ფაშისტმა შეძლო გაქცევა და თავს უშველა ნაივით.

შაბათს მთელი კუნძული ტექსელი აჯანყებულთა ხელში იყო. ჰოლანდიის მოსახლეობის ნაწილი, უმთავრესად ჰოლანდიის არალეგალური გამათავისუფლებელი ორგანიზაციის წევრნი, და ოთხი გერმანელი ანტიფაშისტი ჯარისკაცი შეუერთდა ქართველ მებრძოლებს და ჩაება ბრძოლაში.

9 აპრილს დენ-ჰელდერიდან კუნძულს გემები მოადგნენ დესანტის გადმოსასხმელად. ტექსელის დამცველები წინააღუდგნენ დესანტის გადმოსხმას და ისე მამაცურად შეებნენ მტერს, რომ მხოლოდ ორი გემი დაბრუნდა უკან დენ-ჰელდერში; ხსენებული გემების ერთმა კაპიტანმა თავი მოიკლა. ამის შემდეგ გერმანელებმა სროლა აუტეხეს ტექსელს სანაპირო მძიმე არტილერიით დენ-ჰელდერიდან და აჯანყებული ქართველები იძულებულნი იყვნენ მიეტოვებინათ გამაგრებული პოზიციები სოფ. ოუდე-სხილდში. ამავე დროს გერმანელებმა კიდევ სცადეს დესანტის გადმოსხმა, რაც გერმანელთათვის დიდი ზარალით დაგვირგვინდა.

10 აპრილს გერმანელებმა შეძლეს გადმოესხათ კუნძულ ტექსელზე ესესელთა და სხვა სახის საზღვაო სადესანტო ნაწილები. აჯანყებულები იძულებულნი იყვნენ წინასწარ გამაგრებულ პოზიციებზე დაეხიათ ჩრდილოეთისაკენ.

11 აპრილს ქართული ბატალიონი წარმატებით თავდაცვას აწარმოებდა, რასაც მას მტრისაგან ძნელად გადასალახავი ვრცლად გაშლილი დანადგური მინდვრები უადვილებდა.

კუნძულზე პირველად გამოჩნდნენ მოკავშირეთა მზვერავი თვით-მფრინავები.

12 აპრილს გერმანელებმა დაიწყეს თავიანთი ტანკების გად-მოზიდვა კუნძულზე და გერმანელ ჯარისკაცთა ახალი ნაწილის გადმოსხმა.

ქართველებისა და ჰოლანდიელების გაერთიანებული ბრძოლა ტექსელზე, რაც ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგაა მიმართული, დიდი ისტორიული მნიშვნელობის მქონე მოვლენაა. მთელ ამ მან-ძილზე ჩვენ პირველად ვართ იმის მოწმე, რომ გერმანელთა ჯარის ზურგში ჰოლანდიის ტერიტორიაზე წარმოებს თავისი ხასიათითა და მოცულობით ასეთი არაჩვეულებრივი, მნიშვნელოვანი ბრძოლა.

ხსენებული ბრძოლის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის ხელს შეუწყობს ომის დამთავრებას უახლოეს დროში და ჰოლან-დიის კუნძულის გადარჩენას შიმშილით სიკვდილისაგან. უნდა აღი-ნიშნოს, რომ ხსენებული ბრძოლა აჯანყებულთა გამარჯვებით დამ-თავრდება, თუ მოკავშირეები—პირველ ყოვლისა ინგლისელები—დაეხმარებიან მათ. მაგალითად, ერთმა გერმანელმა ოფიცერმა, ბატარეის მეთაურმა დენ ჰელდერი, შემდეგი განაცხადა: თუ ქარ-თველებმა მიიღეს დახმარება ჰაერიდან, მათი პოზიციები შეუვალე გაადებო.

13 აპრილს მოკავშირეთა საჰაერო ძალებმა პირველად და-ბომბეს დენ ჰელდერი; ჩვენთვის ჯერ გამოურკვეველია, აჯანყებუ-ლი ქართველების დახმარების მიზნით მოხდა ეს თუ ტექსელის მცხოვრებთა გადარჩენის ან დასავლეთ ჰოლანდიის გასათავისუფ-ლებლად. ვიმედოვნებთ კი, რომ მოკავშირენი დახმარებას არ დაი-ყოვნებენ¹.

როგორ მიმდინარეობდა ბრძოლები კუნძულ ტექსელზე²

(სტატია გაზეთ „DE VAARHEID“-დან 21.5.45 წ.)

აჯანყება ქართულმა ბატალიონმა დაიწყო 6 აპრილს. მეორე ასეული ობერ-ლეიტენანტ გონგლადის მეთაურობით წარჩინებულად ასრულებდა თავის მოვალეობას. ამ აჯანყებულებს დაემატა 350 ჰოლანდიელი, რომელთაგან ვაჟკაცურად დაიღუპა 95 მეომარი. სამი დღის განმავლობაში ქართველებმა ბევრი გერმანელი მოკლეს

¹ საბ. № 5, გვ. 3.

² საბ. № 6, გვ. 26—27.

და ტყვედ წამოიყვანეს. გერმანელებმა გადმოსხეს დესანტი 2000 კაცის რაოდენობით. უკანასკნელებს ხელს უწყობდა მძიმე არტილერია დენ ჰელდერიდან, ქართულმა ბატალიონმა უკან დაიხია, პარტიზანულ ომზე გადავიდა და საომარი არენა ტყეში მოაწყო. აქ უსაშინლესი ქირ-ვარამი დაატყდათ თავზე მებრძოლებს, რომელნიც მცენარეთა ძირებით და სხვა ყოველი სახის საკმლით იკვებებოდნენ, თუ იშოვნიდნენ. ასე გაატარეს მეომრებმა ოთხი კვირა. ამ ხნის განმავლობაში ტანისამოსი არ გაუძვრიათ და ხშირად წელამდე იყვნენ წყლით დაფარულნი. უარესი დღე ადგათ დაქრილებს, ისინი 14 დღის განმავლობაში ცის ქვეშ ან ფარდულეებში ეყარნენ.

ჰოლანდიის მოსახლეობა ყოველ ღონეს ხმარობდა საბჭოთა მებრძოლების დასახმარებლად, მაგრამ ჯარისკაცების ტანჯვა მაინც აუწყრელი იყო. ქართველი ამხანაგები ბრძოლის შემდეგაც დარჩნენ კუნძულზე მანამ, ვიდრე საფრთხე მოელოდათ ადგილობრივ მცხოვრებლებს და სანამ არ დამარხეს თავისი დაღუპული მეგობრები.

ქანადის პირველი არმიის დაჯგუფების დოკუმენტი

შ ტ ა ბ ი

G (1-0-0)

ქანადის 1 არმიის დაჯგუფება

16 ივნისი, 45.

ქანადის სამეფო არტილერია

მათთვის, ვისაც ეს შესწავლა ეხმარდება!

1945 წ. 14 ივნისამდის, კუნძულ ტექსელიდან გერმანელთა განდევნის დრომდე, მე ვმეთაურობდი ჩრდილოეთ ჰოლანდიის რაიონს. აღნიშნული დროის განმავლობაში მე მიხდებოდა დაკავშირება რუსული ბატალიონის ნაშთებთან, რომელნიც მამაცურად იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ კუნძულ ტექსელზე.

ადგილობრივ მცხოვრებთა ჩვენებით, მათი განცხადებანი საესეებით შეესაბამება სიმართლეს.

როდესაც ბატალიონს უბრძანეს არნჰემისაკენ წასვლა მოკავშირეების წინააღმდეგ, ხსენებულმა ბატალიონმა გერმანელებზე თავდასხმა მოაწყო და 5 აპრილიდან 22-მდის გაათურობულ შეტევას აწარმოებდა მათ წინააღმდეგ. ამ ბრძოლის მანძილზე გერმანელები იძულებულნი გახდნენ სამი ბატალიონი ჩაებათ ბრძოლაში.


HEADQUARTERS
First Canadian Army Group
ROYAL CANADIAN ARTILLERY



0/1-0-0/
16 Jun 45.

TO WHOM IT MAY CONCERN :-

1. From the time of the removal of the Germans from **TEXEL** until 14 Jun 45 I was in command of North Holland area. During this time I was in touch with the remnants of the Russian Bn who fought so gallantly on the island of **TEXEL**.
2. Supporting evidence from civilians indicates that their claims are substantially correct. When ordered to proceed to **ARNHEM** to fight against the Allies, the Bn organized an attack, and from 5 Apr to 22 Apr fought a pitched battle with the Germans. During the course of this battle the Germans were forced to employ three bns, and the Russians accounted for between 1500 and 1800 Germans dead.
3. After that period their forces were so depleted, having suffered over 500 casualties, that they could not continue organized attack. However, they did not surrender, but carried on guerilla warfare, inflicting damage and disrupting communications until the final removal of the Germans from the island.
4. The three weeks period after the removal of the Germans was occupied in rendezvousing in a central camp, claiming and burying the dead and the care of the wounded. Rations were supplied, medical services made available and a mobile bath shipped to give them a hot bath. It was not possible to supply the required clothing and shoes but these would have been available in the near future had they remained on the island.
5. My impression, gained from the occasions I visited them, was that the leader had control and that discipline was satisfactory. They were, in fact, behaving properly as disciplined soldiers.
6. I sincerely hope that the bravery and resourcefulness of this group will be given full consideration when their repatriation to Russia is being considered.


(E.R. Suttie) Brig.,
Comd, 1 Cdn AGRA.

რუსების აზრით, გერმანელებმა ამ ბრძოლაში მოკლულთა სახით 1500—1800 ჯარისკაცი დაკარგეს.

ამის შემდეგ რუსებს, რომელთაც 500 კაციღა გადაურჩათ, აღარ შეეძლოთ ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ მაინც არ დანებდნენ გერმანელებს, პარტიზანულ ბრძოლას განაგრძობდნენ და დიდ ზარალს აყენებდნენ მტერს საკომუნიკაციო ხაზების მოშლისა და სხვა ზიანის მიყენებით კუნძულის საბოლოო განთ ვისუფლებამდე.

სამი კვირის მანძილზე გერმანელების კუნძულიდან განდევნის შემდეგ ბატალიონი აწარმოებდა მოკლული მებრძოლების გამოცნობას და მათ დასათუღლებას, დახმარების აღმოჩენას დაკრილებისაოვის. ჩვენც ამასთანავე სურსათ-სანოვაგეს ვაწვდიდით ბატალიონს და დაკრილებს სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეთ, აგრეთვე მივეციტ საშუალება ესარგებლათ მოძრავი ცხელი აბანოთი. შეუძლებელი გახდა მხოლოდ მათი ფეხსაცმელითა და ტანსაცმელით მომარაგება; ახლო მომავალში იმასაც შევძლებდით, რომ არ წასულიყვნენ კუნძულიდან.

ყოველივე ამის დათვალეირების შემდეგ ჩემი შთაბეჭდილება ისეთი იყო, რომ ბატალიონ-ს ხელმძღვანელობა კონტროლს უწევდა ყოველივეს და დასტკლანაც დაჰაკმაყოფილებელი იყო.

მართლაც, ისინი კარგად იქცეოდნენ, როგორც ეს შეეფერება დისციპლინირებულ ჯარისკაცს.

ჩე გულწრფელად მწამს, რომ ხსენებულნი ჯგუფის სიჰამაცე და უნარიანობა მიღებული იქნება მხედველობაში, როდესაც დაინსმის საკითხი მათი რუსეთში რეპატრიაციის შესახებ.

სამეფო არტილერიის კანადის ბრიგადის
გენერალი (ე. რ. ხეტი)¹
კანადის 1 საარმიო ჯგუფი სამეფო არტილერიისა

**კუნძულ ტექსელს კომენდანტიხა და მისი მოადგილის მიერ
გაცემული ცნობა-დახანიათება ქართვილ მებრძოლთა შესახებ**

ტექსელის კომენდანტიხავან

ტექსელი, 16 ივნისი, 1945

ჩვენ, ვილჰელმ-ნიკოლოზ კელდერი, იაკობ კაიზერი, რაიონული კომენდანტი კუნძულ ტექსელისა და კომენდანტის თანაშემწე, ვაცხადებთ შემდეგს:

¹ საბ. № 5, გვ. 11.

1945 წლის 5 თებერვალს კავკასიის ბატალიონი კუნძულ ტექსელზე ქართულმა ბატალიონმა შეცვალა. ჩვენ წლის განმავლობაში დამყარებული გეკონდა კონტაქტა კავკასიის ბატალიონთან, რომლის მეშვეობით დაეუხლოვდით ქართულ ბატალიონსაც 10 თებერვალს. ჩვენ ძლიერ ჩქარა გავიგეთ, რომ ქართველებს დიდი ნამუშევარი ჰქონდათ ჰარლემისა და ამსტერდამის არალეგალურ ორგანიზაციებში, როგორცაა ზანდფორტი და სხვა ადგილები. გადაწყვეტით, რომ შევარჩევთ დროს და ერთდროულად შეთანხმებულად გავანადგურებთ კუნძულ ტექსელზე მყოფ გერმანელ ნაწილებს. ამ მიზნით ქართველებს იარაღით უნდა მოეემარაგებინეთ. საუბედუროდ, 1945 წლის 13 მარტს მიღებული იყო ბრძანება გერმანიის სარდლობისა, რომ ქართველები ფრონტზე უნდა გაგზავნილიყვნენ მოკავშირე სახელმწიფოთა წინააღმდეგ. ამ ბრძანების მიღებისთანავე ქართული ბატალიონის ოფიცრები შეიკრიბნენ ტყეში, რათა ეთათბირნათ შექმნილი მდგომარეობის შესახებ და შეედგინათ მოქმედების ახალი გეგმა. აქ მათ გადაწყვეტეს, რომ კუნძულ ტექსელიდან არსად არ წავლენ და ადგილობრივ მცხოვრებთა და ინგლისის დახმარებით მოსპობენ გერმანელთა ძალებს კუნძულზე.

1945 წლის 5 აპრილს მიღებულ იქნა ბრძანება ქართული ბატალიონის ფრონტზე გამგზავრების შესახებ. საღამოს 6 საათზე კაპიტანმა ლოლაძემ, ქართული ბატალიონის მეთაურმა, უპასუხა ბრძანებითვე ქართული ბატალიონის ნაწილთა მეთაურებისადმი, რათა აჯანყებულიყვნენ გერმანელთა ჯარის წინააღმდეგ. ამასთანავე თავიანთ ნაწილებში დაემუშავებინათ საკითხი აჯანყების შესახებ.

6 აპრილის ღამის პირველ საათზე ბატალიონი შეტევაზე გადავიდა 1800 გერმანელის წინააღმდეგ. გარიჟრაჟზე კუნძული ტექსელი ფაქტიურად უკვე ქართული ბატალიონისა და ადგილობრივ მცხოვრებთა ხელში იყო. სამი დღის შემდეგ გერმანელებმა გადმოსხეს დამხმარე ძალები თავიანთი ჯარის გადაჩენილი მცირე ნაწილის მისაშველებლად. გერმანელთა ჯარს თან ჰქონდა მძიმე არტილერია, რომელიც გამოიყენეს ქართული ბატალიონის წინააღმდეგ კონტრშეტევაზე გადასვლისას. ქართველებმა დატოვეს ქალაქი, რომ ადგილობრივი მოსახლეობა არ დაზარალებულიყო. ისინი გამავრდნენ მცხოვრებლების დაშორებით და განაგრძობდნენ თავდაცვას.

10 აპრილს გერმანელთა ჯარს კიდევ მიემატა ერთი ბატალიონი, რომელსაც ჰქონდა ავტომატები, 15 ტანკი და რამდენიმე ნაღმ-მტყორცნი.

11 აპრილს მტერმა გააჩაღა დიდი შეტევა, რომელიც სამჯერ იქნა მოგერიებული ქართველების მიერ. გერმანელთა შეტევას არ ჰქონდა წარმატება იმის გამო, რომ ქართული ბატალიონის მეორე ასეული ბრწყინვალედ აწარმოებდა საომარ ოპერაციას. II ასეულს მეთაურობდა უფროსი ლეიტენანტი გონგლაძე, მან თვითონ გამოიყვანა მწყობრიდან 5 ტანკი. ამ ბრძოლის დღეს და შემდეგ გერმანელები უშენდნენ ქართველების ჯარს ათეულ მძიმე და უმძიმეს ქვემეხებს, მაგრამ უშედეგოდ. ხსენებული ბრძოლის დროს კუნძულ ტექსელის 300 შეიარაღებული მცხოვრები (იარაღი ქართველებისაგან მიიღეს) ქართველებთან ერთად იბრძოდა. როდესაც ლაპარაკი იყო ქართველების შესახებ, ეს ეხებოდა ჰოლანდიელებსაც; რათა გაეძლიერებინათ თავდასხმა, 15—16 აპრილიდან გერმანელებმა გააძლიერეს თავისი შეიარაღება 40 მსუბუქი ქვემეხით, ტანკებით, ტყვიამტრქევეებით და ორიათასმა გერმანელმა ჯარისკაცმა დაუშინა ქართული ბატალიონის თავდაცვის ხაზებს. ეს შეტევაც მოგერიებულ იქნა. ქართველებმა მტერს დიდი ზარალი მიაყენეს და 7 ტანკი მოუსპეს (დარჩენილი 10-დან) ქართული ბატალიონის მეორე ასეულის მეთაურის უფროს ლეიტენანტ გონგლაძის ხელმძღვანელობით.

17 აპრილს გონგლაძე დაიქრა ყუნბარის ნამსხვრევით, მაგრამ განაგრძობდა ბრძოლას. ხსენებულ საღამოს ბრძოლის ქარცეცხლში ქართველ მებრძოლებს ტყვია-წამალი გამოეღიათ. მაშინ კაპიტანმა ლოლაძემ და უფროსმა ლეიტ. გონგლაძემ გადაწყვიტეს ბატალიონის პატარ-პატარა ჯგუფებად დაყოფა და ასე ბრძოლის გაგრძელება, რომ თავიდან აეცილებინათ მარცხი და მებრძოლებიც ნაკლები დაჰკარგოდათ.

რანდენიმე დღის შემდეგ ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა კაპიტანი ლოლაძე. ქართველთა გაერთიანებული ძალების უფროსად ლეიტენანტი გონგლაძე დაინიშნა.

პარტიზანული ბრძოლა გრძელდებოდა 19 აპრილიდან გერმანელთა სრულ კაპიტულაციამდე. ამ ბრძოლაში ქართველებიდან დაიღუპა 207 კაცი და დაიქრა 212, გერმანელებმა კი დაკარგეს 2000—2500 კაცი (მოკლულთა და დაჭრილთა სახით), 4 ქვემეხი და 12 ტანკი. ხსენებულ პარტიზანულ ბრძოლაში მონაწილეობდნენ აგრეთვე კუნძულ ტექსელზე მცხოვრები ჰოლანდიელები, რომელნიც ამარაგებდნენ ქართველი ჯარის ნაწილებს სურსათით და ესმარე-

ბოდნენ კავშირის გაბმაში დანარჩენ ქართულ ნაწილებთან. ქართველების ბრძოლის მეთოდები ნათელსა და კეთილშობილურ ხასიათს ატარებდა, გერმანელებისა კი პირიქით—დაუშვებელი და უპატიოსნო იყო. ბევრი შენობა დწვეს უკანასკნელებმა იმ საბაბით, თითქოს მათში რუსები იყვნენ შეჟარებულნი. გერმანელები უპაგალითოდ აწაქეზდნენ მათ ხელში ტყვედ ჩაეარდნილ ქართველ ჯარისკაცებს და კუნძულ ტექსელის მცხოვრებლებს.

27 აპრილს ჩემ მიერ (იაკობ კაიზერის) ტყიდან გამოწვეულ იქნენ გონგლადე (ბატალიონის მეთაური), არტემიძე (პოლიტნაწილის კომისარი) და სხვ. მე იაინი მივიყვანე იოჰან ჰალსემის ოჯახში და იქ ჩამოვყალიბეთ ბატალიონის შტაბი, რომელიც უხელმძღვანელებდა პარტიზანულ თავდასხმებს.

გერმანელები კაპიტულაციის შემდეგაც განაგრძობდნენ ტერორს, რამაც იმსხვერპლა 59 ქართველი მებრძოლი. ეს გრძელდებოდა 1945 წლის 21 მაისამდის—კანადის ჯარის მიერ კუნძულის დაკავებამდე. 22 მაისს გაერთიანდა ქართველების ყველა ნაწილი და ისინი იცავდნენ ზღვის სანაპიროებს 16 ივნისამდე.

ბატალიონის უფროსი გონგლადე და პოლიტნაწილის კომისარი არტემიძე კუნძულის მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ კარგი დისციპლინისა და თავდაქერის გამო, რაც ქართული ჯარის ნაწილებში სუფევდა. ტექსელის მთელი მოსახლეობა გულთბილ და მეკობრულ განწყობილებაში იყო ქართული ბატალიონის ოფიცრებსა და ჯარისკაცებთან.

კუნძულ ტექსელის რაიონის კომეიდანტი—კ ე ლ დ ე რ ი
კომენდანტი მონადეილე—კ ა ი ხ ე რ ი¹

პარლემის რაიონული კომიტეტის განცხადება

30 მაისი, 1945
პარლემი

რაიონული კომიტეტის განცხადება

ამხანაგებო!

ნიდერლანდების კომუნისტური პარტიის პარლემის რაიკომი 1943 წლიდან ქართულ ბატალიონს დაუკავშირდა.

ქართველი ამხანაგები, რომელნიც დაკავშირებულნი იყვნენ წინათ ჩვენთან, საურაანგეთში გაგზავნეს და კონსპირაციისათვის

¹ საბ. № 5, გვ. 15.

ხელისშემშლელი პირობების გამო ველარ აღვადგინეთ მათთან კავშირი.

1944 წელს ევგენი არტემიძემ და ნიკოლოზ მიქიაშვილმა დაამყარეს კავშირი ჩვენს პარტიასთან და პარტიზანებთან. არტემიძეს დაევალებოდა ჩამოეყალიბებინა არალეგალური კომიტეტი, რომელიც წაუძღვებოდა მუშაობას. ხსენებული დავალება არტემიძემ კარგად შეასრულა.

ჯარის ნაწილებში მოეწყო ჯგუფები (ათეულები) და გაჩაღდა არალეგალური მუშაობა.

ე. არტემიძე პირადად ანყარებდა ჩვენთან კავშირს და ერთად მხოლოდ მაშინ ვიკრიბებოდით, როდესაც ამას შექმნილა ვითარება საჭიროებდა. ქართულმა ბატალიონმა მალე მოაგვარა ჩვენი უზრუნველყოფა ხელყუმბარებით, მოტოციკლებით და სხვა საომარი იარაღებით; შიმშილობის დროს საკვებ პროდუქტებსაც გვაწვდიდნენ. შემდგომ მუშაობა თანდათან გაღრმავდა. ვანოცია ქართული გაზეთი, რომელშიც ათავსებდნენ პოლიტკუური ხასიათის სხვადასხვა სტატიას, ამხანაგ სტალინის სიტყვებით თარგმანებს და სხვა. ქართული ბატალიონი ტექსელზე ყოფნისას კომუნისტური პარტიისათვის დამახასიათებელი სტილით მუშაობდა, რითაც მთელი კუნძულის მოსახლეობის პარტიისკენ და სიყვარული დაიწმინდა. ეს მით უფრო ღირსშესანიშნავი და საგულისხმავო მოვლენაა, რომ ტექსელის მოსახლეობა კათოლიკური სარწმუნოებისაა, ჯერ კიდევ მისდევს და იცავს ძველ ტრადიციებს და საბჭოთა სისტემის გავლენასაც ნაკლებად განიცდის.

კუნძულზე წარმოებული ბრძოლები დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენს ამ ომში.

მათ, ვინც ხსენებული ოჯანყებიდან ცოცხალი გადარჩა, ჩვენ პარტიზანებად ვთვლიდით და ამჟამადაც იმ აზრისა ვართ, რომ ისინი ნამდვილი პარტიზანები იყვნენ. მათ სამართლიანად დაიმსახურეს ეს სახელწოდება.

პარტიის პარლემის რაიონული კომიტეტის
დავალდებით ანი კლაინი

30.5.45

ანი კლავინი ძართული ბატალიონის მებრძოლთა შესახებ

აგვიწერს რა ტექსელის ამბებს, ნიდერლანდების კომუნისტური პარტიის ჰარლემის რაიონული კომიტეტის მდივანი ანი კლავინი შემდეგს გადმოგვცემს:

„კუნძულ ტექსელის ბრძოლები მეტად სასტიკი და სისხლის-მღვრელი იყო, ბრძოლას მონაწილეთა ტანჯვა-წამებაც აუწერელი, რადგანაც მთელი თვის განმავლობაში ისინი არ ამოსულან სან-გრებიდან, რომლებშიც ნეომრებს ხანდახან წელამდის სწვდებოდა წყალი და საათობით იდგნენ ამ წყალში. კუნძულის მოსახლეობა განსაკუთრებული შზრუნველობითა და სიყვარულით ეპყრობოდა ქართულ ბატალიონს, რომელიც საოცარი სიმამაცით იტანდა ყოველ უზედურებას.

იყო შემთხვევა, რომ მსუბუქად დაქრილი მეომრები 14 დღის განმავლობაში უპატრონოდ ეყარნენ ცის ქვეშ ან ფარდულეებში.

ჩვენ არ შეგვიძლია ერთი წუთითაც დაეუშვათ, რომ აჯანყებული ბატალიონის მეზრძოლნი სამხედრო ტყვეებად ჩაითვლებიან, მით უმეტეს, რომ მოგვებოება რიგი დოკუმენტებისა, რომლებშიც მათი მოქმედება შეთანხმებულია RVV-სთან (სათავდაცვო საბჭო). სამხედრო ტყვეთა ბანაკში წასვლას ქართველები თვითმკვლელობას არჩევენ და არავითარ შემთხვევაში არ ისურვებენ თავისი სამშობლოს მტრებთან ერთად ყოფნას. ქართული ბატალიონის ყოველმა მემომარმა თავისი ხანგრძლივი არალეგალური მუშაობით, რაც კუნძულ ტექსელზე აჯანყებითა და ბრწყინვალე ბრძოლებით დაგვირგვინდა, დაიმსახურა სამშობლოში დაბრუნება, როგორც ღირსეულმა მოქალაქემ თავისი ქვეყნისა (კურსივი ჩენია. მ. ქ.).

მართალია, ზემოხსენებული მეომრები გერმანულ შაშხანებს ატარებდნენ, მაგრამ მოკავშირეთა წინააღმდეგ ისინი არასოდეს არ გამოუყენებიათ, და როდესაც დადგა ამ იარაღის გამოყენების დრო, ის მიმართულ იქნა გერმანელებისაკენ.

ქართული ბატალიონი აქ ხელმძღვანელობდა საბჭოთა მთავრობის მოწოდებითა და მითითებით, რომ საბჭოთა ყოველი მებრძოლი, გერმანიის ტყვეობაში მყოფი, პირველ შესაძლებლობისთანავე უნდა დამდგარიყო მოკავშირეთა მხარეზე.

აღსანიშნავია, რომ ხსენებული ბატალიონის მეომრები შეუდარებელი კეთილსინდისიერებით გამოირჩეოდნენ და, მიუხედავად

იმისა, რომ შიშხილით იტანჯებოდნენ, ადგილობრივ ჰოლანდიელ მოსახლეობას არაფერს არ აკლებდნენ, პირიქით, ყოველმხრივ ეხმარებოდნენ მათ და იცავდნენ.

პირადად მე 1944 წლიდან კონტაქტი მქონდა დამყარებული და ქართველ ამხანაგებთან ვმეშაობდი.¹

ნადერლანდების კომუნისტური პარტიის
პარლემის რაიონული კომიტეტის მდივანი ანო კლაინი¹
15 მაისი, 1945 წელი.

ნიდერლანდების კომუნისტური პარტიის გაზეთ „DE WAARHEID“-ის 1945 წლის 2 ივნისის ნომერში მოთავსებული სტატია

ბევრი ჩვენი ამხანაგი გაიხსენებს ალბათ გაზეთ „DE WAARHEID“-ის 1944 წლის დეკემბრის ერთ-ერთ ნომერში მოთავსებულ სტატიას. ხსენებული გაზეთის სტატია მოგვითხრობდა საბჭოთა სამხედრო ტყვეების საშინელ თავგადასავალს. აუტანელი შიშხილისა და საზღაპრო ტანჯვის ნიადაგზე ქართული ბატალიონი შევიდა გერმანიის არმიის რიგებში, მაგრამ მათ დაიფიცეს, რომ არასოდეს არ მიმართავენ თავიანთ იარაღს მოკავშირეთა წინააღმდეგ.

ჰოლანდიაში მისვლისთანავე ქართველებმა დაიწყეს გამათავისუფლებელი არალეგალური ორგანიზაციის ძებნა. ბატალიონში მალე გამოვიდა არალეგალური გაზეთი ქართულ ენაზე და იქ შექმნილი არალეგალური ორგანიზაციაც განმტკიცდა.

გერმანელები ალბათ გრძნობდნენ, რომ ქართველები რაღაცას აკეთებენ და, იზოლაციის მიზნით, ბატალიონი აყარეს ზანდფორტიდან და კუნძულ ტექსელზე გადაიყვანეს. მიუხედავად საქმის ყოველგვარი გართულებისა, ქართველი მეომრები ტექსელიდანაც განაგრძობდნენ კავშირს ჰოლანდიის წინააღმდეგობის ორგანიზაციისთან; ამასთანავე გაუგზავნეს დეპეშა მოკავშირეებს, რომელშიაც ნათქვამი იყო: „დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ჩვენი ბატალიონი, როგორც იყო გადაწყვეტილი, ყოველთვის მოეხმარება მოკავშირეების ჯარებს, როგორც კი გადმოსხაძენ ისინი ტექსელზე დესანტს“.

ქართველმა მეომრებმა გაიგეს საბჭოთა ხელისუფლების მიმართვა, რომელშიც ნათქვამი იყო: საბჭოთა მოქალაქეებმა, რომელნიც იმყოფებიან გერმანიის არმიის ტყვეობაში, უნდა აიღონ ხელ-

¹ საბ. № 5. გვ. 7—8.

ში იარაღი მზავრელების წინააღმდეგ, თუ სურთ დაბრუნდნენ სამშობლოში როგორც თავისუფალი მოქალაქენი.

ქართველმა ამხანაგებმა გადაწყვიტეს, რომ უკეთესია გმირულად მოკვდნენ სამშობლოს მოშორებით, ვიდრე შერაცხვენილნი დაბრუნდნენ უკან თავიანთ ქვეყანაში.

როდესაც გერმანელებმა უბრძანეს ქართველებს ფრონტზე წასვლა მოკავშირეთა წინააღმდეგ, ქართველებმა აჯანყების დროშა ააფრიალეს.

700 ქართველი მეომარი ეკვთა 3500 კაციისაგან შემდგარ გერმანელებს ნაწილს, რომლის რიგებიდან პირველ დღეებშივე ამოწყვიტეს 2500 ჯარისკაცი.

ამ ბრძოლებში ქართულმა ბატალიონმა დიდი ზარალი ნახა, მათი 300 კაცი დაიღუპა ბრძოლაში მოკლულთა სახით, ოთხი ქართველი მეომარი ჩანოახრჩეს გერმანელებმა, 50 კაცი კი აიძულეს წიხასწარ გეთხარათ თავიანთი სამარე და ამის შენდეგ დახვრიტეს.

გერმანელებმა კუნძულ ტექსელზე 30 გლეხის სახლ-კარი დაწვეს იმიტომ, რომ ისინი აჯანყებულთა ეხმარებოდნენ.

საბრძოლო ოპერაციების დროს ტექსელზე ქართველ და პოლანდიელ ამხანაგებს შორის უაღრესად გულთბილი ურთიერთობა დამყარდა. ეს ერთად წარმოებულ ბრძოლა პოლანდიის ხალხის ისტორიაში შემონახული რჩება როგორც ერთ-ერთი ყველაზე გმირული ეპიზოდი გასული ომიდან (კურსივი ჩვენია. მ. ქ.).

ომის დამთავრების შედეგ, სამშობლოში დაბრუნების წინ, ქართული ბატალიონის პოლიტიკური ხელმძღვანელი ეკგენი არტემიძე „DE WAARHEID“-ის რედაქციას ეწვია და გულმხურვალედ გამოემშვიდობა რა პოლანდიელ ხალხს ამ გაზეთის საშუალებით, აღნიშნა: „ჩვენ ღრმა მადლობას ვუძღვნით პოლანდიელ მეგობრებს დახმარებისათვის, რომელიც მათ აღმოგვიჩინეს ჩვენს ბრძოლაში. მადლობას ვუძღვნით აგრეთვე ტექსელის კომენდანტს ვილჰელმ კელდერს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც არ დავივიწყებთ თქვენ მიერ გაწეულ დახმარებასა და თანაგრძობას.“

1945 წელს ამსტერდამში გამოიცა პოლანდიელი მწერლის ი. ვან დერ ფლისის წიგნი „ტექსელის ტრაგედია“. ი. ვან დერ ფლისი ტექსელის შვეიცრია და კუნძულზე მონხდარი აჯანყების მოწიე. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულ ავტორს გამოთქმული აქვს რამდენიმე არასწორი მოსაზრება და მის წიგნში მოთავსებული


DE WAARHEID

VOLKSDAGBLAD VOOR NEDERLAND

Printed and Published by J. A. M. van der Meer, 141, 143, 145, 147, 149, 151, 153, 155, 157, 159, 161, 163, 165, 167, 169, 171, 173, 175, 177, 179, 181, 183, 185, 187, 189, 191, 193, 195, 197, 199, 201, 203, 205, 207, 209, 211, 213, 215, 217, 219, 221, 223, 225, 227, 229, 231, 233, 235, 237, 239, 241, 243, 245, 247, 249, 251, 253, 255, 257, 259, 261, 263, 265, 267, 269, 271, 273, 275, 277, 279, 281, 283, 285, 287, 289, 291, 293, 295, 297, 299, 301, 303, 305, 307, 309, 311, 313, 315, 317, 319, 321, 323, 325, 327, 329, 331, 333, 335, 337, 339, 341, 343, 345, 347, 349, 351, 353, 355, 357, 359, 361, 363, 365, 367, 369, 371, 373, 375, 377, 379, 381, 383, 385, 387, 389, 391, 393, 395, 397, 399, 401, 403, 405, 407, 409, 411, 413, 415, 417, 419, 421, 423, 425, 427, 429, 431, 433, 435, 437, 439, 441, 443, 445, 447, 449, 451, 453, 455, 457, 459, 461, 463, 465, 467, 469, 471, 473, 475, 477, 479, 481, 483, 485, 487, 489, 491, 493, 495, 497, 499, 501, 503, 505, 507, 509, 511, 513, 515, 517, 519, 521, 523, 525, 527, 529, 531, 533, 535, 537, 539, 541, 543, 545, 547, 549, 551, 553, 555, 557, 559, 561, 563, 565, 567, 569, 571, 573, 575, 577, 579, 581, 583, 585, 587, 589, 591, 593, 595, 597, 599, 601, 603, 605, 607, 609, 611, 613, 615, 617, 619, 621, 623, 625, 627, 629, 631, 633, 635, 637, 639, 641, 643, 645, 647, 649, 651, 653, 655, 657, 659, 661, 663, 665, 667, 669, 671, 673, 675, 677, 679, 681, 683, 685, 687, 689, 691, 693, 695, 697, 699, 701, 703, 705, 707, 709, 711, 713, 715, 717, 719, 721, 723, 725, 727, 729, 731, 733, 735, 737, 739, 741, 743, 745, 747, 749, 751, 753, 755, 757, 759, 761, 763, 765, 767, 769, 771, 773, 775, 777, 779, 781, 783, 785, 787, 789, 791, 793, 795, 797, 799, 801, 803, 805, 807, 809, 811, 813, 815, 817, 819, 821, 823, 825, 827, 829, 831, 833, 835, 837, 839, 841, 843, 845, 847, 849, 851, 853, 855, 857, 859, 861, 863, 865, 867, 869, 871, 873, 875, 877, 879, 881, 883, 885, 887, 889, 891, 893, 895, 897, 899, 901, 903, 905, 907, 909, 911, 913, 915, 917, 919, 921, 923, 925, 927, 929, 931, 933, 935, 937, 939, 941, 943, 945, 947, 949, 951, 953, 955, 957, 959, 961, 963, 965, 967, 969, 971, 973, 975, 977, 979, 981, 983, 985, 987, 989, 991, 993, 995, 997, 999

Het heldendicht van Texel

Het heldendicht van Texel is een prachtig voorbeeld van de Nederlandse literatuur. Het beschrijft de helden van Texel die tijdens de Tweede Wereldoorlog hebben gevochten. Het dichtstuk is geschreven door een van de bekendste Nederlandse dichters van de twintigste eeuw. Het is een ode aan de moed en de vastberadenheid van de Texelse soldaten.



De helden van Texel zijn niet alleen soldaten, maar ook burgers die hebben gewaagd. Ze hebben hun leven gegeven voor hun vaderland. Het dichtstuk is een eerbetoon aan hun daden. Het is een oproep tot eenheid en vastberadenheid.

Engels en Nederland
Korrespondent bij de Vrijheid
Militair gezag

De Waerheid
Kalk
BIBLIOTHEEK
MENING DER LEZERS

Mening der Lezers
De Waerheid

De Waerheid
Mening der Lezers

De Waerheid
Mening der Lezers

De Waerheid
Mening der Lezers

MILITAIR GEZAG
Personenlijst

ნიველადების კომპოზიის ორგანო „DE WAARHEID“, გაზეთის ამ კომერში მოთავსებულია სტატია ქართული ბატალიონის შესახებ და გვენი არტემიძის პორტრეტი, მის მიერ გაზეთში გამოქვეყნებული განცხადების ტექსტითურთ

ზოგიერთი ცნობაც არაზუსტია, ეს ნაწარმოები უდავოდ საყურადღებოა მასში მოცემული საინჟერესო ფაქტიური მასალით,—გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ კუნძულზე წარმოებული სისხლისმღვრელი ბრძოლების შესახებ. ი. ვან დერ ფლისი აღფრთოვანებულია ქართველი პარტიზანების გასაოცარი გმირობით და ადგილობრივი მოსახლეობისადმი მათი გულთბილი და თავაზიანი მოპყრობით.

ღამატება II

ქართული ბატალიონის მებრძოლთა ემოციონირებული მოკლე
ხიობრაფიებით, როგორც ღამატებით მასალაზე შეიცავან
ამ სახმადრო დანაშროვის შესახებ. ¹

ზურაბ ჯაოშვილი ტექსელზე წარმოებული ბრძოლის
აქტიური მონაწილე იყო და შემდგომ არა ერთი გრძნობიერი ლექ-
სი მიუძღვნა ტექსელის ამბებს.

სამშობლოში დაბრუნებისას ზ. ჯაოშვილმა გადმოგვცა:
„მძიმე და უფერული იყო ჩვენი ცხოვრება ქ. ზანდფორტში
(ჰოლანდია). გულს გვიწყლულებდა ფაშისტური ტყუობა და გამო-
სავალს ვეძებდით.

მაღე ბედმა გავვილიმა. ქართული ბატალიონის მებრძოლი
ევგენი არტემიძე 1944 წლის დასაწყისს დაუკავშირდა ჰოლანდიის
კომუნისტური პარტიის ქ. ჰარლემის რაიკომს.

ჰარლემის ორგანიზაციის დახმარებით ჩვენ დაუყოვნებლივ მოვა-
გვარეთ ურთიერთობა ჰოლანდიელ პატრიოტებთან და აღნიშნული
დროიდან სისტემატურად ვაწვდიდით გერმანელების წინააღმდეგ
მოქმედ ჰოლანდიელ პარტიზანებს იარაღსა და ტყვია-წამალს.

მოკავშირეთა სარდლობასაც ვუსრულეზდით მნიშვნელო-
ვან სამხედრო-ოპერატიულ დავალებებს, როგორცაა: ზღვის სანა-
პიროების განაღმვა, სადაზვერვო ხასიათის ცნობების გადაცემა და
სხვა.

გერმანელი ოკუპანტების საწინააღმდეგოდ მიმართული არა-
ლეგალურ-პარტიზნაული მუშაობა დიდ გამბედაობას მოითხოვდა.
მოვიყვან ერთ ეპიზოდს იმის სანიმუშოდ, თუ როგორ ვაწვდიდით
სამხედრო საკურველს ჰოლანდიელ პარტიზანებს.

სალამო იყო. შეეჯგუფდით ამხანაგები და ვიგონებდით თიფი-
სუფალ სამშობლოში ცხოვრებას, სადაც ყოველდღიურ მზრუნველო-

¹ ნაშრომში მოთავსებული მოგონებანი ჩაწერილია და დაბეზავებული
ჩვენ მიერ. მ. ქ.

მ. ქართული პარტიზანები ჰოლანდიაში

ბას ვგრძნობდით და ჩვენი გზა ხანილი იყო მუშაობისა თუ სწავლისათვის. წყველა-კრულვას ვუგზავნიდით მათ, ვინც ეს ბედნიერება წაგვაროვა, მოგვაცილა მშობლიურ მხარეს და ვოცნებობდით, თუ როდის გველიძსებოდა საკუთარი ხელით გაყსწორებოდი თაშისტ-არამხადებს.

ამ ფაქტებში ვიყავით, რომ უცბად დავინახეთ ჩვენ წინ გაპოქიძული ვილაც გერმანელი; ობერ-ლეიტენანტი. ვიცოდით, რომ იგი ხეირს არ დაგვაყრიდა. მოვემხადეთ სასჯელის მისაღებად, მაგრამ მალე განკვიფრებამ შეგვიპყრო: ეს ჩინ-მედლებში გამოქიძული ოფიცერი ჩვენი ევგენი არტემიძე აღმოჩნდა. იგი მიდიოდა პოლანდიელ პარტიზანებთან, რომ მათთვის გადაეცა წინაღამით მტრის საწყობებიდან მოტაცებული ხელყუმბარები. მალე ევგენი ყუმბარებით დატვირთულ მოტოციკლეტს მიაქროლებდა. ერთი კილომეტრის შოშორებით გერმანელი გუშაგები იდგნენ და უსაშვოდ არავის ატარებდნენ, მაგრამ ამაზე ევგენი ერთ წუთსაც არ ღონდებოდა; მას არა ერთხელ გაუცურებია მტრის გუშაგები. გერმანელმა ჯარისკაცებმა დაინახეს თუ არა მომავალი „ობერ-ლეიტენანტი“, აღარ დააყოვნეს, კიშკარი წინასწარ გაუღეს, სამხედრო საღამი მისცეს და ევგენიმ დიდკაცურად ჩაუქროლა მათ.

ღამით დაბრუნებულმა ევგენიმ გვიამბო, როგორ მოხერხებულად იმგზავრა და გადააცა პოლანდიელ პარტიზანებს ტყეში, დანიშნულ ადგილზე, ხელყუმბარები,

რაც დრო გადიოდა, მით უფრო ძლიერდებოდა პარტიზანული მოძრაობა პოლანდიაში. აფეთქებდნენ გერმანელების საწყობებს, ამსხვრევდნენ მტრის ჯარისკაცებითა და საჭურვლით დატვირთულ ეშელონებს; გერმანელებს კი აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ ამ საქმეს ქართული სამხედრო ტყვეები ვუწყობდით ხელს. მხოლოდ ბოლოს მიიტანეს ეკვი ზოგიერთ ჩვენ ამხანაგზე და სასტიკ დასჯას უპირებდნენ მათ, მაგრამ ჩვენ ისინი ბატალიონიდან გავაპარეთ და ქ. პარლემის პარტრაიკონის განკარგულებაში გავგზავნეთ; იქ მათ მფარველობას უწევდნენ როგორც პარტრაიკომი, ისე პოლანდიის სხვა პარტიოტული ორგანიზაციები, ამასთანავე იყენებდნენ მათ პარტიზანულ ბრძოლაში გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ.

ადგილობრივი მოსახლეობისადმი თავაზიანი და გულთბილი მოპყრობით კავშირი პოლანდიელებსა და ჩვენ შორის თანდათან განმტკიცდა. გაქარწყლდა გერმანელების პროვოკაციული პროპაგანდა—რუსები ველურები არიანო; ეს ვითარება არც გერმანელებს

ჯამოპპარვიათ მხედველობიდან და იზოლირების მიზნით გადაგვეზავენეს კუნძულ ტექსელზე.

დასავლეთ ფრისლანდიის კუნძულებს შორის ტექსელი ყველაზე დიდია და ლამაზი; ხსენებულ კუნძულს ლამით ვეწვიეთ. იქ არ იყო მაინცდამაინც ბევრი მცხოვრები; გერმანელებს დაეკავებინათ მათი სახლები, მცხოვრებლები კი კუნძულიდან საბუშაოდ კაერეკათ ჰოლანდიის კონტინენტზე ან გერმანიაში წაეყვანათ ამავე მიზნით.

ბატალიონას ხელმძღვანელობამ მალე შესძლო კავშირის აღდგენა ჰოლანდიის კომპარტიასთან და კვლავ გაეაჩაღეთ მუშაობა. პარტიზანულმა მოძრაობამ აქაც ფართო გასაქანი ჰპოვა. გერმანელებს იმედი გაუტყუვდათ, მოტყუვდნენ, ვერც კუნძულმა გატეხა ჩვენი ნებისყოფა. ბატალიონის პარტიულ ორგანიზაცია დიდ შტრუნველობას იჩენდა ამ დროს; მან გააბა კავშირი მოსახლეობასთან და საერთო საქმეში ისინიც გამოიყენა.

ათასეულის აჯანყებისათვის ყველაფერი ერთი წლის წინათ იყო მზად და მოკავშირეების ნებართვას ვუცდიდით. მრავალჯერ მიგვიმართეს აგრეთვე ჰოლანდიის კომუნისტური პარტიისათვის, მაგრამ ჯერ ხერხობით არც ერთი ამთვანი არ იყო აჯანყების დაწყების მომხრე და გვირჩევედნენ უფრო შესაფერისი მომენტის შერჩევას. პანამდე კი ფარულ პარტიზანულ ბრძოლას გვავალებდნენ.

1945 წლის აპრილის დამდეგს გერმანელებმა კუნძულიდან გაყვანა და მოკავშირეთა წინააღმდეგ ფრონტზე გაგზავნა დაგვიპირეს. შექმნილი ვითარების გამო ბატალიონმა აჯანყება გადაწყვიტა და გამოსელის დღედ 5 აპრილი დანიშნა. ბატალიონის ხელმძღვანელობა ფეხზე დადგა. ამხ. არტემიძე გატაცებით გვესაუბრებოდა და ყველას გვაშხნევებდა.

ახლა ჯერი ათასეულის მეთაურ შალვა ლოლაძეზე მიდგა, მისი იმედი გექონდა, რადგან მრავალ ბრძოლაში იყო გამოცდილი და ისეთი მეთაურის ყოლა ყველას გვაფრთოვანებდა. ათასეულის უფროსს გვერდში ედგნენ გულადი და საერთო საქმისათვის თავდადებული მეთაურები: ბატალიონის კომისარი ამხ. სერგო გუჯაბიძე, ბატალიონის მეთაურის მოადგილე ლეიტენანტი ნოე გონგლაძე და სხვები.

5 აპრილი მზიანი დღე იყო. მყუდროება სუფევდა კუნძულ ტექსელზე.

დალამდა. ზღვის ქარი ამოვარდა, ტალღებმა შფოთვა იწყო-
ამას მოჰყვა ქარიშხალი, რომელიც ჩაყლაპვას უქადდა იქაურობას.
მიუხედავად სიბნელისა და ასეთი ამინდისა, ჩვენები ფარულად
მიემართებოდნენ კუნძულ ტექსელის სხვადასხვა მხარეს.

პირველის ნახევარია... ქართველები ბუნკერიდან ბუნკერში
უზიარებენ ერთმანეთს საიდუმლო ცნობას. „ლამის“ პირველ საათზე
ვიწყებთ აჯანყებას ჩვენი მოსისხლე მტრების წინააღმდეგ—მეორ-
დება თქმული სიტყვები. საბრძოლო გეგმა მზადაა, ყველამ იცის
თავისი მოვალეობა და მოუთმენლად ელიან დანიშნულ დროს.

გვიახლოვდება ყველასათვის სანატრელი ჟამი; არაფერ არ ფიქ-
რობს იმაზე, გადარჩება თუ არა ცოცხალი ამალამ და კიდევ მოეს-
წრება თუ არა თავისი სამშობლოს ნახვას. ყველა მზადაა გაწიროს
თავი და შური იძიოს საძულველ მტერზე. „ჩვენთვის საკმარისია,
რომ სამაგიეროს ვუხდით ვერაგ მტერს! დეე, გაიგოს მთელმა მსოფ-
ლიომ, რომ საბჭოთა ხალხი არასოდეს არ ყოფილა და არც გახდე-
ბა ფაშისტების ბრმა იარაღი“—ამბობენ მებრძოლები.

აი, აჯანყებაც დაიწყო.

ელვის სისწრაფით დავეციოთ მტრების ადგილსამყოფელს და
საშინლად გადავუხადეთ ვერაგ მტერს სამაგიერო; მათ ვერც
კი გაიგეს რა მოხდა, ინგლისელები ვეგონეთ და ვერ წარმოე-
დგინათ, თუ მუქა ქართველობა გაბედავდა მათთან შებმას.
ერთ-ერთი გერმანელი ფელდფებელი ტადაი, რომელიც ყველაზე
დაუძინებელი მტერი იყო ქართველებისა, უნდა მოეკლათ მებრძო-
ლებს დ. სარჯველაძესა და ს. გაბრიაძეს; ისინი შეიპყრნენ „ბატონის“
კაბინეტში და იქვე ჩააძაღლეს ჰიტლერელი არამზადა.

ამ ღამით გადახდილი სახელოვანი ბრძოლის შედეგად დილით
თითქმის მთელი კუნძული_ხელში ჩაეიგდეთ. დენ ბურხში წითელი
დროშა აფრიალდა.

თავზარდაციმული გერმანელები, რომელთაგანაც არა ერთი
დამკირება და უბედურება გადაგვიტანია, ტყვედ გვბარდებოდნენ.

ხომ მოვესწართ, ბიჭებო,
მაგ ძაღლების ტყვეთა ყოლას,
დღეს დაუდგათ აღსასრული
ჩვეულებსა რბილად წოლას.

დეე, მაგათაც გაიგონ,
როგორია ცრემლის დენა,

შვივრების და ავადმყოფის წამება და ჯობის ცემა!

ოხუნჯობდნენ მეგობრები ერთმანეთთან და მათ სიხარულს
ღაზღვარი არ ჰქონდა.

მეტად ცხარე ბრძოლა გაჩაღდა ნავსადგურ ოულე სხილდის
აღების დროს, რომელსაც თავს დაესხა ასმეთაური ნოე გონგლამე
თავისი რაზმით. მტრებს უკვე შეეცოთ რაშიაც იყო საქმე და
მისასვლელებთან ჩასაფრებულებიყვნენ, მაგრამ ნოეს ასეულის თავბარ-
დამკეშმა ცეცხლმა მალე დაცხრილა ფაშისტი ავაზაკების გულის-
ფიცარი.

ნოეს, ახილან ვაეკაცს, ძალა ერჩოდა და ბევრ ფაშისტსაც
გაუსწორდა. აქვე მას გვერდში ჰყავდა ოცპეთაური, მსუბუქი ქვე-
მეხების ოცეულის უფროსი გივი ანთიძე, რომელიც ვაეკაცურად გმირავ-
და მტრის გულებს. კონგლამემ მთლიანად გაანადგურა ოულე სხილ-
დის გარნიზონი, შალვა ლოლაძეს ამცნო ნავსადგურის დაკავება და
თავისუფლად ამოისუნთქა. ამის შემდეგ მთელი კუნძული ჩვენ ხელში
აღმოჩნდა. კაპიტანმა შ. ლოლაძემ დაუყოვნებლივ გასცა ბრძანება
წესრიგში მოეყვანათ ნავსადგურის საცეცხლე წერტები და არ დაეშ-
ვათ კონტინენტიდან მტრის დესანტების გადმოსხმა. ევგენიაც გაი-
ხარა, ხედავდა, რომ ჩვენმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო და თავს
ბედნიერად გრძნობდა. „მაგრამ ეს არ კმარა, ბრძოლა აწი იქნება
საქირო“ — კვლავ გაიძახოდა იგი.

სთქვა ეს და მალეა შეხედა,
დროშა წითელი ფრიალებს,
დე, მოვკვდე, არ მენალვლება:
ჩვენც ხომ ვაგემყო ტიალებს!

ტექსელის მოსახლეობა მხოლოდ მეორე დღით გაერკვა კუნ-
ძულზე მომხდარ ამბებში და მაშინვე შემოგვიერთდა 350 ჰოლანდიე-
ლი მოხალისე, რომლებიც შემდგომ ჩვენთან იბრძოდნენ. ადგალობ-
რივმა მოსახლეობამ თავისუფლად ამოისუნთქა, მაკისადღესასწაულო
კოსტუმები ჩაიცვეს, სახლები ნაციონალურმა და წითელმა
დროშებმა დაამშვენა. კომუნისტური პარტიის წევრებმა გამოიტა-
ნეს და გამოფინეს დიდი ხნის წინათ მათ მიერ ფარულად შეკონახული
ლენინისა და სტალინის პორტრეტები. კუნძულმა გამოიღვიძა, გოგო-

ბიკების სიცილ-ხარხარი აყრუებდა იქაურობას. ქალიშვილები თაი-გულეზს უძღვნიდნენ ქართულ მებრძოლებს, გულთბილ მზრუნველობას იჩენდნენ დაკრილი მეომრებისადმი და თავის ბინებში მიჰყავდათ სამკურნალოდ.

კუნძულის მოსახლეობა საცეცხლე ხაზებზე მყოფთაც არ ივიწყებდა და ცხელ საკმელს აწოდებდა მათ; ამ ამაგს ვერ დაივიწყებს ვერც ერთი ჩენი მებრძოლი, რადგან ნამდვილი მშობლიური სიყვარულით აღსავსე იყო იგი.

სამ დღეს გასტანა მყუდრო ცხოვრებამ ტექსელზე. მეოთხედღეს, შუალამისას, კუნძული ცეცხლის ალში გაეხვია. ყოველი მხრიდან, როგორც ხმელთიდან, ისე მეზობელი კუნძულიდან, ფაშისტებმა მძიმე არტილერია დაგვიშინეს. ორ საათს გრძელდებოდა ძლიერი ცეცხლი, რის შემდეგაც სკადის დესანტის გადმოსხმა, მაგრამ ამაოდ. ნავსადგური თითქმის მთლიანად დაწვეს, მაგრამ მის მისადგოებში მხნე ვაჟაკები იყვნენ ჩასაფრებულნი, მათ ჩამკეტ ცეცხლს ვერ შემოუვიდნენ ფაშისტები და უკან გაბრუნდნენ. რამდენიმე საათის შემდეგ კუნძულს ისევ ცეცხლის წვიმა მოევლინა. მთელი დღე ცეცხლის ალში ვიყავით გახვეულნი. საღამო ეამს კიდევ შეეცადნენ მტრები თავდაცვითი ხაზის გარღვევას. ბოლოს, დიდი დანაჯარგის შედეგად, გერმანელების რამდენიმე ჯგუფმა შესძლო ხმელეთზე გადმოსვლა. მოსალოდნელი იყო ცხარე ბრძოლები.

გათენდა. რვა საათი იქნებოდა, რომ მტრის ათასეულებმა იწყეს შემოტევა. ძვირად დაუჯდა მტერს იქ თავდასხმა, სადაც მესამე ასეული იყო დაბანაკებული.

სასიქადულოა ამხ. ვალიკო ელენტი სი და მისი ოცეულის მოქმედება. ხედავდნენ რა მებრძოლები ამ მამაცს მეთაურს, არაფრის შიში არა ჰქონდათ.

„ბიკებო, მაგრად იყავით! თუვინდასეული მოვიდეს, მათ მართო გავუსწორდები“ — ამხნეებდა ვალიკო თავის მებრძოლებს და თან გადახედავდა უკანა გორას, სადაც გამაგრებული იყო ვალერიან ბერაია თავისი ოცეულით. ბერაია დინჯობდა, როგორც ყოველთვის, ჰქონდა რა იმედი მებრძოლებისა, თვითონ კი ერთ-ერთ სიმაგრეს ამოჭთარებოდა და ფრანგულ ტყვიამფრქვევს უშენდა წინ გადმომრბენ მტრის ათეულებს. „მეგობრებო! ცეცხლის წესიერი განაწილებაა საჭირო. ტყვია-წამალი დაზოგეთ, არ შემოგვაკლდეს“ — აფრთხილებდა ათმეთაურებს იგი.

ბრძოლა თანდათან ძლიერდებოდა. გერმანელებმა ერთხელ კიდევ სცადეს თავდახზა, უნდოდათ გაერღვიათ დაცეითი ხაზი და ხელში ჩაეგდოთ „ფლუკლაკზე“ დაბანაკებული ათასეულის შტაბი. კაპიტანმა შალვა ლოლაძემ დროზე შეაჩინა ეს მდგომარეობა და მაშინვე მიიღო ზოძება ამ ხაზის კიდევ უფრო გასამაგრებლად, მაგრამ ტანკების მოულოდნელმა გამოჩენამ ცოტა დაბნეულობა გამოიწვია მებრძოლებში, რადგანაც არაჩინ არ ფაქობდა, თუ გერმანელები ტანკების შეპოყვანას მოახერხებდნენ. სამი მძივე ტანკი წამოვიდა ათასეულის შტაბისაკენ, ექვსმა კი მარჯვნივ გადაუხვია აეროდრომისაკენ, სადაც ნოე გონგლაძე იყო დაბანაკებული.

სამი ტანკი ქვეითა ჯართან ერთად ნალმბეყოცნის ცეცხლის საფარის ქვეშ მოიწვედა პირდაპირ სანგრებისაკენ, მაგრამ ჩენი ტყვიამურქვივის ჭიმკეტმა ცეცხლმა ერთი ოცეული აიძულა მოსწყვეტოდა ტანკებს. ამ დროს დაიგრიალა გივი ანთიძის ქვემეხებმა და ერთი ტანკი წყობილებიდან გამოიყვანა. მეორე ტანკსაც ისეთი ბედი ეწაა და ისიც ცეცხლში გაეხვია; განადგურებულ იქნა მესამე ტანკიც, მაგრამ გერმანელებმა აღმოაჩინეს ქვემეხი და შესძლეს მისი წყობილებიდან გამოყვანა.

მდგომარეობა უარედებოდა, არაფერი გაგვაჩნდა, რომ ტანკს გავმკლავებოდით. ამ დროს მებრძოლმა გიორგი ჩაჩუამ წამოავლო ხელი „ტანკის მუშტს“, „პანცერფუსტს“, როგორც მას გერმანელები ეძახდნენ, დაუზხნა, დააკირა ხელი მარკვალს, მაგრამ ბედმა უმუხთლა: „პანცერფუსტი“ უვარგისი აღმოჩნდა. ამასობაში კი მოწინააღმდეგის მეექვსე ტანკი შეასწრო მას თვალი და ფაშისტურმა ტყვიამ განგმირა ახალგაზრდა მამაცი მებრძოლის ჩაჩუას გული.

ახლა კი ცხადი იყო, რომ საფრთხე მოკველდა, რადგან თოფით ტანკის წინააღმდეგ ბრძოლა ძნელია. იუდდაკარგულები ერთმანეთს შევეკეროდით, რომ გაეიგონეთ ევკენა არტემიძის ხმა: „ბიკებო, არ შეშინდეთ, ჩემამდე მოუშვით ევ ტიალი, ჩემგან მიიღებენ ფაშისტები პასუხს!“. დაამთავრა რა ეს სიტყვები, მარჯვედ დაუმიზნა გაკირკვების დროისთვის შენახული თოფზე წამოგებული ნაღვი და ერთი გასროლით შეარყია ტანკის უკანა ნაწილი, მეორე კი ტანკის მამოძრავებელ ნაწილს უსწორა. ტანკი ცეცხლის აღში გაეხვია.

ამ ცხარე ბრძოლებში ვერც კი შევამჩნიეთ, რომ გერმანელების ქვეითი ჯარი, რომელიც ტანკსაფარქვეშ მოდიოდა, ჩვენს წინა

ნაწილებს უკვე გაეღლიტა, ბიკები ნადავლ იარაღებს წმენდნენ და ინაწილებდნენ.

შეუდექით დაქრილების მოვლა-პატრონობას და ვემზადებოდით მომავალი ბრძოლისათვის. ცუდი ბედი ეწია დანარჩენ ექვს ტანკსა და მათ საფარქვეშ მყოფ ფაშისტებს. პირადად ნოე გონგლამემ და მისმა ასეულმა ის ტანკებიც გაანადგურეს.

ტექსელზე წარმოებული ბრძოლების დროს ჰოლანდიის კომუნისტური პარტია სისტემატურად უშვებდა საავიტაციო ფურცლებს და მოუწოდებდა გერმანელ ჯარისკაცებს არ ეომათ ქაროველების წინააღმდეგ, კუნძულის მცხოვრებლებს კი ავალებდა მშობლიური მზრუნველობით მოპყრობოდნენ აჯანყებული ბატალიონის მებრძოლებს. „განსაკუთრებული მზრუნველობა დაქრილებს“—ასეთი სიტყვებით მთავრდებოდა მცხოვრებლებისადმი მოწოდება. კუნძულზე მიმდინარე ბრძოლების დღიური სისტემატურად თავსდებოდა ჰოლანდიელ პატრიოტთა არაღეგალურ გაზეთებში და განსაკუთრებით კი კომპარტიის ცენტრალურ ორგანიზში „დე ვაარჰეიდ“.

გერმანელი არამზადები, არ ცხრებოდნენ,—სანამ მთლიანად არ მოესპობთ ქართველებს, არ მოვეშვებითო,—ასე ებრძანებინა გერმანელ შაიორს ბრაიტნერს და შემოტევა კიდევ უფრო გაძლიერდა.

საარტილერიო მომზადების შემდეგ ფაშისტების ერთი ათასეული შეეცადა ჩვენი თავდაცვითი ხაზის გარღვევას; ეს დროზე შეაძინია ნალმეტყორცნების გათვლის უფროსმა და ცეცხლის აღში გაახვია მტრის კოლონები. ამან უფრო გაახელა გერმანელები და გაშმაგებით მოიწევდნენ წინ; მათ დაუნდობლად ცელავდა ჩვენი მეტყვიამფრქვევების ცეცხლი. გმირულად იბრძოდა მეტყვიამფრქვევე შურა ჩილოჩავა, ნან მრავალი ათეული ფაშისტი გაეღლიტა. მტრის ტყვიამ მარჯვენა ხელი გადაუნსხვრია ჩილოჩავას. მაშინ იგი მარცხენა ხელით მუსრავდა მტერს, მაგრამ შემდეგმა ტყვიამ სასიკვდილოდ განგმირა ის. დავგეკარგა შეუპოვარი მებრძოლი და საუკეთესო მეგობარი...

სასწაულებს ახდენდა ამხ. პაკკორია, თავისი ათეულით მან ხელჩართული ბრძოლა გაუმართა მტერს, გაანადგურა და ხიშტებზე წამოაგო ფაშისტი ავაზაკები.

აღნიშნულ ბრძოლაში მტერმა დიდი ზარალი განიცადა, მაგრამ ჩვენი რიგებიც შეთხელდა. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ტყვია-წამალი შემოგველია და გზების ჩაკეტის გამო მეზობელი საცეცხლე წერტიბიდანაც გაძნელდა დახმარების მიღება. არც

სურსათი გვექონდა და მშვიდები ვიბრძოდით. განსაკუთრებით დაჭრილების მოვლა-პატრონობა და საიმედო ადგილს შეფარება გავვიჭირა. შექმნილი ვითარების გამო გადავწყვიტეთ ადგილის განაწილება. საჭირო იყო ათასეულის უფროსის ნებართვა პოზიციის გამოცვლის შესახებ და ტყვია-წამლით მომარაგება, მაგრამ დაკავშირება ათასეულთან, გარემოცვაში ყოფნის გამო, ძნელი იყო; ეს მეტად სახიფათო საქმე შეკავშირე ათეულის უფროსმა ლეო ხურცილაემ იკისრა. ხურცილაეა წინ გაუძღვა სიბნელეში თავის ათეულს, გაარღვია თავდაცვითი ხაზი და თვალს მიეფარა.

ათასეულის ხელმძღვანელობამ ჩამოიარა ჩვენი სანგრები და გაგვაფრთხილა, რომ ადგილის გადანაცვლებაა მოსალოდნელი; ამასთანავე გვიბრძანა, რათა თავიანთ ადგილზე ყველას ჯოხები დაესო და ზედ კასკები ჩამოეცვა,

ღრო გადიოდა. უკვე ღამის ოთხი საათი იყო, ხურცილაეა კი თავისი ათეულით ჯერ არსად ჩანდა: ამან ძლიერ აგვაღელვრა, რადგან ყველას დაღუპვა მოგველოდა, თუ ტყვია-წამალს ვერ მივიღებდით ღროულად, უამისოდ პოზიციის გამოცვლაც სახიფათო იყო.

აგერ გამოჩნდა ხურცილაეა თავისი მეზრძოლებით, მოგვიტანა ტყვია-წამალი და გადმოგვცა ბრძანება ათასეულის უფროსისა პოზიციის გადანაცვლების შესახებ. დავიწყეთ ძლიერ ფრთხილად ახალი პოზიციისაკენ დახევა. ჩვენდა საბედნიეროდ, გერმანელებმა ვერ შეაჩინეს ეს და მშვიდობით გადავინაცვლეთ ადგილი.

დილის რვა საათზე გერმანელებმა საარტილერიო მომზადების შემდეგ ინტენსიური ცეცხლი გახსნეს ჩვენი ყოფილი პოზიციის წინააღმდეგ. ვინ აცის, რამდენი კასკა „წააქციეს“, მაგრამ ჩვენს დანატოვარ სანგრებსა და ღოტებში შესვლას ვერ ბედავდნენ. მეორე დღეს საღამოზე ფაშისტები ღოტებს წინასწარ აფეთქებდნენ და ისე „აიღეს“ დაცარიელებული პოზიცია. მტრის განცვიფრებასა და გაბრაზებას საზღვარი არ ჰქონდა, ჩვენ კი გულიანად ვიცინოდით. ამ სამხედრო ხერხის გამოყენებამ ორი დღე მოგვაგებინა, ჩვენ დავისვენეთ, მოვსულდით და ნაწილიც წესრიგში მოვიყვანეთ.

ღრო გადიოდა. მტერმა ახალ-ახალი დამხმარე ძალები მიიღო, ჩვენ კი, პირიქით, გვაკლდებოდა მეზრძოლები. გადავწყვიტეთ მოკავშირეებისათვის მიგვემართა და ამ მიზნით ოთხი ქართველი მეზრძოლი ინგლისის გავგზავნეთ. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ მოკავშირეები დაუყოვნებლივ დაგვეხმარებოდნენ, რადგან წარსულში დიდი სამსახური გავუწიეთ მათ და ახლაც საერთო საქმისათვის

ვიბრძოდით. ინგლისელებმა დიდი მზაკერობა ჩაიდინეს, დახმარება-ზედაც უარი გვითხრეს და ჩვენი წარგზავნილი დელეგატებიც უკან აღარ დაუბრუნებიათ.

განახევრდა ქართული ბატალიონი, გამოგველია ტყვია-წაპალი, სურსათი და ამასთანავე შეუქლებელი გახდა დაქრილების მოვლა-პატრონობა. განსაკუთრებით მძიმედ დაქრილთა შეფარება გავვიქირა და ზოგი მათგანი, მოსისხლე მტერს რომ არ ჩაეარდნოდა ხელში, თვითონ იკლავდა თავს.

შექმნილი რთული მდგომარეობის გამო შეუძლებელი გახდა პოზიციური ბრძოლის წარმოება და ბატალიონის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა გადავსულიყავით პარტიზანული ბრძოლების წარმოებაზე. მოვაპებოთ სიცოცხლე, არ მივცეთ თავისუფალი ნავარდის საშუალება მტერს, დავეცეთ იქ, სადაც არ გველიან — გვამხნეებდა ამხ. ევგენი არჩემიძე.

ტყეში პარტიზანებად გაქრა ადვილი როდი იყო, ჩვენ გარშემო გერმანელებმა დანაღმეს თითქმის ყოველი გადასასვლელი და ველი, არ უნდოდათ ქელიდან გავსხლტომოდით და ყოველი მხრიდან შემოგვერტყნენ. მიუხედავად ამ დიდი დაბრკოლებისა, ჩვენ თავგანწირვით ვეკეთეთ მტერს, გაეარღვიეთ რკალი და შეეძლიათ ტყეში გასვლა; გავიყვანეთ აგრეთვე, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, დაქრილი მეგობრებიც, რადგან ხელი შეგვიწყო ლამის განსაკუთრებულმა სიბნელემ.

ტყეში გასვლას შემდეგ ბატალიონის ხელმძღვანელობამ ჯგუფებად დაგვანაწილა, გვიბრძანა მხოლოდ ღამით გვემოქმედა მტრის წინააღმდეგ, დღისით კი, რამდენადაც ეს შესაძლებელი გახდებოდა, მოერიდებოდით მტერთან აშკარად შებმას.

კუნძულზე პარტიზანული ბრძოლების წარმოების დროს ჩვენ კიდევ უფრო მეტ გასაჭირს განვიცდიდით, ვიდრე წინათ. გერმანელები ყველგან დაძრწოდნენ და ეძებდნენ ჩვენს ადგილსამყოფელს. გუშაგები ჰყავდათ დაყენებული გადასასვლელებზე და სახლის თავებზედაც კი, მიღამოვებს კი პროექტორებით ანათებდნენ ღამით. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვახერხებდით მარჯვე ოპერაციების წარმოებას და შიშის ზარს ვცემდით ავაზაკ ოკუპანტებს. მალე ისინი ისე შეიპყრო შიშმა, რომ პატარა ჯგუფებით თარეშს ველარ ბედავდნენ და ძლიერ ერიდებოდნენ თავიანთი ცენტრალური ბანაკების მოცილებას.

ამ მძიმე დღეებში ჰოლანდიელი ამხანაგები დიდ დახმარებას გვიწევდნენ: დღისით ისინი უთვალთვლებდნენ, თუ სად დაიბინა-

ვებდა მტრის სადამსჯელო ჯკუფო, ღამით კი ჩვენ „ვესტუმრებო-
დით“ გერმანელებს და კარგ „საჩუქარსაც“ ვუძღვნიდით ხოლმე; ყო-
ველი ხის ძირას, ნაპრალებში თუ დოტებთან მოულოდნელად ვესხმო-
დით თავს ფაშისტ ნაძირალებს და უწყალოდ ევლეტდით მათ.

კუნძულის მოსახლეობა უიმედოდ არ გვტოვებდა მძიმე გან-
საცდელის დროს; ქართველ პარტიზანებს ის ამარაგებდა სურსათით,
მალავდა და მკურნალობდა დაქრილებს. გერმანელები თუ ვინმეს
შეამჩნევდნენ ჩვენს დახმარებას, სახლ-კარს უწყვედნენ და პატრონს
კი ხვრეტდნენ, მაგრამ ამით ვერავინ ვერ შეაშინეს და ვერ ააღე-
ბინეს ხელი ქართველი მებრძოლებისადმი ყოველდღიურ დახმარე-
ბაზე.

19 აპრილს მტერთან უთანასწორო ბრძოლის დროს გმირუ-
ლად დაეცა ბატალიონის მეთაური კაპიტანი შალვა ლოლაძე. საყვა-
რელი მეთაურის დაკარგვამ გული მოგვკლა, მაგრამ სულიერად
მანც არ დავცემულვართ; გადავწყვიტეთ კიდევ უფრო შეუპოვრად
გვემოქმედა და ძვირად დაგვესვა მოსისხლე მტრისთვის ძვირფასი
მეგობრისა და მამაცი მეთაურის სიკვდილი.

ტექსელის მცხოვრებლებმა შალვა ლოლაძის ცხედარი მოიტა-
ცეს და ფარულად დაასაფლავეს, ისე რომ გერმანელებს არ გამოუც-
ნიათ ბატალიონის უფროსის ვინაობა და ამის შემდეგაც არა ერთ-
ჯერ შეჰპირებიან დიდ ჯილდოს მას, ვინც ხელში ჩაუგდებდა შალ-
ვა ლოლაძეს.

რამდენიმე დღის შემდეგ მხეცმა ფაშისტებმა გორელი მიტო
გიგაშვილი ჩაიგდეს ხელში, როცა იგი მძიმედ დაქრილი იწვა-
ერთ-ერთი ჰოლანდიელის ბინაზე. მ. გიგაშვილი დიდხანს აწამეს,
მაგრამ მან არ გასცა ქართველი პარტიზანები. წამების დროს იგი
წყველა-კრულვას უჩაენიდა ჰიტლერსა და მის ბანდიტ თანაპო-
აზრეებს. სახრჩობელაზე ასეღის წინ მატომ ასე მიმართა მწამებ-
ლებს: მე ერთს თქვენ მომერევით, მაგრამ სამაგიეროს ჩემი ქვეყანა
და ამ კუნძულზე მებრძოლი ქართველი პარტიზანები გადაგიხდიანო.
მისი უკანასკნელი სიტყვები იყო „სტალინს გაუმარჯოს!“

გერმანელებმა მ. გიგაშვილის ცხედარი სახრჩობელაზე ჩამო-
კიდებულ დატოვეს წარწერით: „ყოველ პარტიზანს ასეთი
სიკვდილი მოეღის“ და გუშაგები დაუყენეს. როდესაც ამ ამ-
ბებმა ჩვენამდო მოაღწია, შევკრიბეთ რაზმი და სასტიკად გაუუსწო-
რდით მხეც მწამებლებს. მიტოს ცხედართან მოგუშაგე 15-ვე გერმანელი

ამოვქლიტეთ, სახრჩობელიდან ძვირფასი მეგობრის ნეშტი ჩამოვიღეთ და ფარულ ადგილს დაეასაფლავეთ.

შალვა ლოლაძის დაღუპვის შემდეგ ბატალიონის უფროსად ნოე გონგლაძე დაინიშნა. მამაცი მეთაური ჩვეული ენერგიით შეუდგა პარტიზანების მოკლის საქმეს; ევგენი არტემიძე და ნოე გონგლაძე მოძრავი რაზმებით მოულაღნელად თავს ესხმოდნენ ხოლმე გერმანელთა სადამსჯელო ჯგუფებს და მუსრს ავლებდნენ მათ.

მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა, გერმანელები მაინც ვერ გავიდნენ ფონს; მაშინ მათ გადაწყვიტეს ტყეების გაცხრილვა. 27 აპრილს ავტომატებით შეიარაღებული გერმანელთა ათასეული შეიპოკრა ტყეში და დაიწყო ქართველი პარტიზანებისაგან მისი გაწმენდა, მაგრამ არც ჩვენს ბიჭებს ეძინათ. ისინი რისხვად დაატყდნენ თავზე მტერს, ტყეში შემოპრილი გერმანელების ბევრი ჯარისკაცი ამოწყვეტეს, დანარჩენები კი თავზარდაცემულნი გაფანტეს და უკან გააბრუნეს. ამ ოპერაციის შემდეგ გერმანელებს აღარ გაუბედნიათ ტყეების გაცხრილვა, მხოლოდ ახლა ცეცხლს უკიდებდნენ ტყეს, ხან კიდევ დაგეშაილ ძაღლებს გვისევენენ, მაგრამ ჩვენ უჩინარნი ვხდებოდით და თავს ვალწყევდით მრავალ ხიჯათს.

ასე მიდიოდა დღეები. ფრონტებზე მდგომარეობა იცვლებოდა. ერთ საღამოს სასიხარულო ამბავი გადნოგვცა ევგენი არტემიძემ: გვამცნო, რომ ჩვენი მშობლიური საბჭოთა არმიები ბერლინში შეიპყრნენ; ამ ამბავმა იმედი შეგვმატა და უჩვეულოდ აღგვაფრთოვანა.

დადგა სანატრელი ეამი. 8 მაისს გერმანიამ ხელი მოაწერა უსიტყვო კაპიტულაციასზე. კუნძული გაეხვია ჰოლანდიურ, ინგლისურ, ამერიკულ და ჩვენი საყვარელი საბჭოთა კავშირის დროშებში. ომი დამთავრდაო, — გაიძახოდა აღფრთოვანებული მოსახლეობა და მიტინგებზე იკრიბებოდა. ამ დროს ტყიდან გამოვიდა ერთ-ერთი ჯგუფი ქართველი პარტიზანებისა და საერთო დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღებას აპირებდა. გერმანელი არამზადებო შემოერთყვნენ მათ, სროლა აუტყხეს და საგრძნობი ზარალი მიაყენეს ქართველებს. მიუხედავად ომის დამთავრებისა, გერმანელები კვლავ დათარეშობდნენ კუნძულზე და მოსვენებას არ გვაძლევდნენ. ჩვენც იძულებული გავხდით გაგვეგრძელებინა ბრძოლა. სისხლისმღვრელი შეტაკებახი ჩვესსა და გერმანელებს შორის გრძელდებოდა. ბოლოს, როგორც იყო, იკადრეს თავი შეეწუხებინათ, 18 მაისს კუნძულზე მოვიდნენ კანადელი ოფიცრები და ხელი მოგვაწერინეს გერმანელებსა და ჩვენც აღარ გვესროლა ერთმანეთისათვის. მალე კანა-

დის რაზმიც გადმოსხდა კუნძულზე; მათთან ერთად ჩვენ განვადიარა-
ლეთ გერმანოლები და კუნძულიდან გაეძევეთ.

ამის შემდეგ შეეუდექით დალუპული ამხანაგების შეგროვებას
და ჰოლანდიელებთან ერთად ყველანი აღმოვაჩინეთ, მოგუყარეთ
ერთად თავი და 30 მაისს დავნიშნეთ მათი დაკრძალვა ძმათა საერ-
თო სასაფლაოში. აქვე მოვაიკვინეთ ჩვენი მამაკი მეთაურის შალვა
ლოლაძის ძვირფასი ცხედარი. დაკრძალვაზე დიდძალი ხალხი შეგ-
როვდა. ამაღელვებელი სიტყვები წარმოსთქვეს ამხანაგებმა ევგენი
არტემიძემ, ნოე გონგლაძემ, ვარლამ ებრალიძემ, ბარნაბ ლომიძემ
და სხვებმა.

— ძვირფასო ამხანაგებო, — სთქვა ევგენი არტემიძემ, — არავინ არ
იფიქრებდა, რომ აქ, ჩრდილოეთის ზღვის კუნძულ ტექსელზე, სამარეს
მიეზარებოდა ხუთასზე მეტი ქართველი ვაჟკაცი, მაგრამ ომმა, რომე-
ლიც სისხლიანმა ჰიტლერმა თავს მოახვია ქვეყნიერებას, გააუბედურა
მილიონები! — შემდეგ არტემიძემ საძმო საფლავს მიმართა და განაგ-
რძო: — თქვეც ამ მოვლენის მსხვერპლი გახდით, მეგობრებო! იძულე-
ბული ვართ რამდენიმე დღის შემდეგ დაგტოვოთ აქ მარტონი, მაგ-
რამ თქვენთან იქნება ჩვენი გული სამუდამოდ. თუ ჰოლანდიელები
ჩვენთან ერთად იბრძოდნენ კუნძულ ტექსელზე გაქირვების დროს,
უდავოა, რომ ისინი თქვენ ნზრუნველობით მოგეპყრობიან და ყოველ-
თვის მორთავენ თქვენს საფლავს ყვავილებით. მხოლოდ ჩვენ რა უნდა
ვუთხრათ თქვენს საყვარელ დედებს, თქვენს დებსა და ძებებს, პატა-
რა ტიტინა ბავშვებს, რომლებსაც თვალი გზისკენ უჭირავთ — მამი-
კო როდის დაბრუნდებაო... ჩვენ წავალთ და თან წავიღებთ თქვენს
სიყვარულსა და მარადულ ხსოვნას, თან წავიღებთ ამბებს იმ გმირული
საქმეებისას, რაიც თქვენ ჰოლანდიაში ჩაიდინეთ! ვამცნობთ ყველა-
ფერს თქვენს საყვარელ სამშობლოს, რომლის ნახვასაც ველარ ელირ-
სეთ! იძინეთ ტკპილად, განუყრელო მეგობრებო!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ჰოლანდიის ხალხთა ძმურ
თანამშრომლობას!

გაუმარჯოს დიდ სტალინს, რომელმაც გადააჩინა კაცო-
ბრიობა ფაშისტურ მონობას.

ბოლოს ე. არტემიძემ მადლობა გადაუხადა დაკრძალვაზე დამ-
სწრე ადგილობრივ მოსახლეობას იმ დახმარებისა და უაღრესად გულ-
თბილი მოპყრობისათვის, რაიც მათ ქართველ სამხედრო ტყვეებს
გაუწიეს. საპასუხო სიტყვაში გამოსულმა კომუნისტმა ამხ. ი. კაიზე-
რმა და კუნძულის ბურგომისტრმა ნ. კელდერმა სათანადოდ შეაფა-
სეს დალუპულ ქართველ მებრძოლთა ღვაწლი, ქება-დიდებით მოახ-

სენიეს ისინი და აღგვითქვეს, რომ სათუთად მოუვლიან კუნძულზე დაღუპული ქართველი მეომრების საფლავს და შესაფერის ძეგლს აუგებენ მათ.

ნ. კელდერმა და ი. კაიზერმა ზადლობა გადაუხადეს ქართული ბატალიონის გადარჩენილ მებრძოლებს იმ წესიერი და გულთბილი მოპყრობისათვის, რომელსაც ქართველი მებრძოლები კუნძულის მოსახლეობისადმი იჩენდნენ.

გაიცა ბრძანება. ბატალიონის ასეულმა სამგზის სალუტი მისცა და დაკრძალვისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო პროცესია დამთავრდა.

დადგა ჩვენი გამგზავრების დროც. გადარჩენილი მებრძოლები დილაადრიან შევიკრიბეთ ნაკადგურ ოუდე სხილდში. ჩვენ გასაცილებლად დიდძალი ხალხი მოვიდა. ყველანი გულწრფელად გვესალმებოდნენ, გვიძღვნიდნენ თაიგულებს, სახსოვ.რ საჩუქრებსა და ფოტოსურათებს.

გაიცა ბატალიონის უფროსის ბრძანება, სამშობლოში მომავალი მებრძოლები გემ „დოქტორ ვაჟმაკერის“ ბაქანზე ავიდნენ. გემზე საბჭოთა კავშირის დროშა აღეშარეთ. გემბანიდან გამოსამშვიდობებელი სიტყვები წარმოსთქვეს ბატალიონის მეთაურმა ნოე გონგლაძემ და პარტიული კომიტეტის მდივანმა იმხ. ეგვინი არტემიძემ. გულთბილი საპასუხო სიტყვა წარმოსთქვეს კუნძულის ხელისუფლების წარმომადგენლებმაც.

გემი დაიძრა. მოვცილდით ტექსელის სანაპიროს, მაგრამ ხალხი კვლავ ადგილზევე იდგა. გამომცილებელნი დიდხანს გვემშვიდობებოდნენ ქუდმოხდენი, თეთრი ცხვირსახოცების ქნევით და ჩვენც ასევე გულწრფელად ვეთხოვებოდით, სანამ თვალს არ მიეთარა სანაპირო.

თბილისი

8 მაისი, 1946 წელი

ინგლისს გაგზავნილი დელეგაციის წევრმა გავაშელმა განაცხადა: „ენიანიდან მოსალოდნელი იყო გერმანელთა დესანტების გადმოსხმა ჰოლანდიის კონტინენტიდან, მ აპრილს კაპიტანმა ლოლაძემ ახალ აქოკანა დაკვიახა: სასწრაფოდ გამოგვეანახა ნავი და ინგლისში წავსულიყავით დახმარების გამოსათხოვნად. კაპიტანმა ლოლაძემ დასძინა, ამ დავალების შესრულება უდიდეს სიძნელესთანაა დაკავშირებული და შეიძლება დაიღუპოთ კიდევ, მაგრამ ასეთია ბატალიონის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებათ. ჩვენ უყოყმანოდ დავეთანხმეთ და დაუყოვნებლივ შევუდგით მზადებას.“

კუნძულზე მოქმედ ჰოლანდიელ პატრიოტთა ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ დიდი დახმარება აღმოგვიჩინა, გვიშოვა მოტორიანი საშველი ნავი „იოან ხოდსონ“ და ინგლისში გადასაყვანად 4 ჰოლანდიელი გამოგვიყო; მათ შორის ერთი გამოცდილი მეზღვაური იყო და სხვებმაც იცოდნენ ნაოსნობა. აღსანიშნავია, რომ ეს ოთხი ჰოლანდიელი საპყრობილეში იჯდა, გერმანელების მიერ მათ სიკვდილით დასჯა ჰქონდათ გადაწყვიტალი, და ქართული ბატალიონის მებრძოლებმა გაათავისუფლეს აჯანყების შედეგად.

ნავი, რომელიც ჩვენ ვადმოგვცეს, ძლიერ დაზიანებული აღმოჩნდა და მშფოთვარე პა-დე-კალეს სრუტის ამით გადაცურვა საეჭვო იყო, მაგრამ სხვა განოსავალი არ გაგვაჩნდა და 9 აპრილს დილიდანვე შევეუდქით ნავის წესრიგში მოყვანას; შეკეთებაზე, ჰოლანდიელებთან ერთად, თავდადებულად მუშაობდნენ ჩვენი ასეულის მებრძოლები: რომან ხანდოლიშვილი, გოგია ავაქოვი და გიორგი რეხვიაშვილი. ბოლოს, როგორც იყო, ნავი შეკეთდა; იგი მტრის თვალის ასახვევად წითელი ჯვრის განმასხვავებელი ნიშნებით შეინიღბა და დაღანებისას ჩაეუშვით ზღვაში გასაჟღერთად.

9 აპრილს, ნაშუალამევის 12 საათსა და 30 წუთზე, ნავი დიდი წვალებით ხელით ვატარეთ, სანამ სილრმეს მივალწვედით, და კურსი ინგლისის სანაპიროსაკენ ავიღეთ. ყოველ წუთს დაღუპვა მოგველოდა, რადგან ზღვა გერმანელთა წყალქვეშა ნაგებობით იყო სავსე და მტრის თვითმფრინავებიც თარეშობდნენ ჰაერში.

ქარგა დიდ მანძილზე ნიჩბებით ვმართავდით ნავს, რადგან მოტორის ამუშავება და ხმაურობა ძლიერ სახიფათო იყო. ჰოლანდიელებს თავისთვის გამზადებული ჰქონდათ საშველი რგოლები, ჩვენ კი ასეთი რგოლები არც გვინდოდა, ვინაიდან თუ ამოცანის შესრულებას ვერ შევძლებდით, სიკვდილს ვარჩევდით. ჩვენი ასეთი საქციელით ჰოლანდიელები განცვიფრებული იყვნენ.

ლამის სიბნელემ ხელი შეგვიწყო, ბედმა გაგვიღიმა, ავცდით სახიფათო სივრცეს და მეორე დღეს ინგლისელთა ზონაში შევალწვიეთ; ამის შემდეგ მოტორი ავამუშავეთ, მაგრამ ნავი ისეთ მძვრომარეობაში იყო, რომ საათში 6—7 კილომეტრის მეტს ვერ გავდიოდით. დიდ დროს ვანდომებდით ამასთანავე ნავში შემოსული წყლის ამოქცევასაც.

10 აპრილს, დაღამებისას, ინგლისის თვითმფრინავმა შეგვაშინა და ვინაობის შერყობინება მოგვთხოვა. ჩვენ სიგნალებით ვაცნობდით, რომ მოკავშირენი ვართ და ვთხოვეთ გზის ჩვენება ინგლისის სანაპიროსაკენ.

ამის შემდეგ ინგლისელი პილოტი შუშუნებს ყრიდა ზღვაში და მიმართულებას გვანიშნებდა.

11 აპრილს გარიჟრაჟზე ინგლისის სანაპიროს მივალწიეთ, მაგრამ სანაპირო დანალმული აღმოჩნდა. ერთი ჰოლანდიელი ამხანაგი, რომელსაც სათანადო ტანსაცმელი ეცვა, გავიდა ნაპირზე, მოიყვანა რეზინისტანსაცმელიანი გუშაგები და ზურგით გადაგვიყვანეს ხმელეთზე.

ნაპირზე ინგლისელები პირველად თავაზიანად მოგვეპყრნენ, თბილ ბინაში შეგვიყვანეს, გვასაუბმეს, სიგარებიც კი მოგვაწოდეს და თარჯიმნის ძეშვობით დაწვრილებით გაეცნენ კუნძულზე მომხდარი აჯანყების ამბებს.

ორი საათის შემდეგ ადგილზე მოვიდნენ ინგლისელი შიორი და კაპიტანი მსუბუქი მანქანით და ლონდონში წაგვიყვანეს. ჩვენ კვლავ ვუამბეთ მოკავშირეთა სარდლობას ბატალიონის თავკადასავალი, რუკაზე (როველიც თან გექონდა) ვაჩვენეთ ჩვენი განლაგება და სასწრაფო დახმარება ვთხოვეთ. ამასთანავე განეუმარტეთ, რომ კუნძული აღებულია, ინგლისელებს უმსხვერპლოდ შეუძლიათ მცირერიცხოვანი დესანტის გადასხმა გეშით ან თვითმფრინავებით, გერმანელები ამის შემდეგ დესანტების გადმოსხმას ველარ გაბედავენ და ბატალიონი განადგურებას გადაარჩებათქო.

ინგლისელმა ოფიცრებმა დაწვრილებით ჩაიწერეს ჩვენი ნაღაპარაკევი, დახმარებაზე კი არაფერი უთქვამთ.

ჩვენ ძლიერ აღგვაშუოთა ასეაჟა გაურკვევლობამ და დაჟინებით მოვთხოვეთ ინგლისის სარდლობის წარმომადგენლებს შეესრულებინათ სამოკავშირო ვალდებულება და აღმოეჩინათ სათანადო სამხედრო დახმარება კუნძულზე აჯანყებული საბჭოთა სამხედრო ტყვეებისათვის, მაგრამ პასუხი მაინც ვერ მივიღეთ.

რამდენიმე საათის შემდეგ, ნაცვლად დახმარებისა, ინგლისელებმა ოთხივენი დაგვაპატიმრეს და შეწყვიტეს ჩვენთან ყოველგვარი ურთიერთობა.

ინგლისელ ხელისუფალთა ასეთმა მზაკვრულმა მოქმედებამ დიდ საგონებელში ჩაგვაგდო. საერთო შტრასი—ჰიტლერელი ოკუპანტების წინააღმდეგ აჯანყება მოვაწყვეთ, მსხვერპლი გავიღეთ, ხოლო მადლობისა და დახმარების გაწევის ნაცვლად ჩვენი ბატალიონი განსაცდელის დროს მოღალატურად მიატოვეს მოკავშირეებმა და ჩვენ კი დაგვაპატიმრეს!

საკმარისი იყო რამდენიმე ოცეულის გადასხმა კუნძულზე, ერთგვარი, თუგინდ მოჩვენებითი ხასიათის, სამხედრო დემონსტრაციის მოწყობა, და მაშინ გერმანელები ველარ გაბედავდნენ კონტინენტიდან კუნძულზე დესანტის გადმოსხმას. მაგრამ, როგორც ჩანს, ინგლისელებს აღარ ვისაქიროებოდით, რაკი შეგვასრულებინეს წლინახევრის განმავლობაში მრავალი სამხედრო-ოპერატიული ხასიათის

დავალემა და ამასთანავე აჯანყების შედეგად რამდენიმე ათასო გერმანელი ბატალიონის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაებათ.—ამით ჩვენ, სამხედრო ოფიცერებმა, უკვე შევსრულეთ საქირო და სასარგებლო საქმე და ინგლისელებს რაღად ვუნდოდით, თუგინდ ყველა აჯანყებული გამწყდარიყო, აღარ ენაღვლებოდათ. ერთი დღის პატიმრობის შემდეგ გაუანდეთ ჩვენი ვითარება საპატიმროს გუშაგებრაილ ს (პოლონეთიდან), რომელმაც რუსული ენა იცოდა, და მისი დახმარებით მოვახერხეთ ინგლისში მყოფ საბჭოთა სამხედრო მისიასთან დაკავშირება.

საპატიმროში მოვიდა პოდპოლკოვნიკი მიროშნიჩენკო და გადაგვიყვანა საბჭოთა ბანაკში, სადაც შეგროვილი იყვნენ საფრანგეთიდან და ბელკიდან ჩაპოყვანილი საბჭოთა მშვიდობიანი მოქალაქენი და საბჭოთა სამხედრო ტყვეები, ფაშისტური ტყვეობიდან მობავშარეთა მიერ განთავისუფლებულნი.

ძლიერ გულთბილად მივიღო საბჭოთა ბანაკის კომენდანტმა მ.იორმა სოროკაპუტმა, ყველაფერი დაწერილებით გამოგვკითხა, ძლიერ აღშფოთდა ინგლისელთა ვერაგული მოპყრობით და შეატყობინა საქმის ვითარება საბჭოთა სამხედრო მისიის მეთაურს გენერალ-მაიორ რატოვს. სამხედრო მისიას ჩვენ ვთხოვდით უკანვე დავებრუნებინეთ კუნძულზე და მოგვეარებინათ მოკავშირეთა დამხნარე ძალის ჩვენთან ერთად ტექსელზე გადასხმა. საბჭოთა მისიის მესვეურები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ინგლისელებმა მაინც არ გაუწიეს დახმარება ქართული ბატალიონის მებრძოლებს და არც ჩვენ დავგაბრუნეს კუნძულზე.

აღის შემდეგ ბანაკში დაერჩით გულდაწყვეტილები და იქ ვცხოვრობდით თვენახევარს.

საბჭოთა მისიის მიერ ბანაკში კარგად იყო მოგვარებულნი საყოფაცხოვრებო საქმე; ყოველდღიურად ვისმენდით ინფორმაციებს ჟრონტებზე არსებული ვითარების შესახებ, ვვარჯიშობდით, შეგვასწავლეს საბჭოთა კავშირის ახალი ჰიმნი, ვმეცადინებოდით თვითმოქმედ წრეებში და სხვა.

1945 წლის 9 მაისს ჩვენს ბანაკს გენერალ-მაიორი რატოვი ეწვია, მოაწყო მიტინგი და მოგვილოცა ჰიტლერული გერმანიის დამარცხებამ, მათი კაპიტულაცია და ომის დამთავრებამ:

ჩვენს აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა ამ საზეიმო დღეს. განსაკუთრებით ის გვახარებდა, რომ ფაშისტური სამყარო დაემხო; პირველ ყოვლისა, წითელი არმიის გამირობისა და დიდი ბელადისა და მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის გენიალური წინამძ-

ლოლოპით. ამ საღამოსე ბანაკში საკუთარი ძალებით მოეწყო კონცერტი და შემდეგ კინოსურათი გვაჩვენეს.

საზეიმო დღის დამთავრების შემდეგ გენერალ-მაიორმა რატომეა მიგვიწვია და გვაამბობინა ტექსელზე მომხდარი აჯანყების ამბავი; სასახელო საქმე ჩაგიდენიათო, შეგვაქო გენერალმა და გამოწმინდობებისას დასძინა, რომ საბჭოთა მოქალაქემ, სადაც არ უნდა მოხედეს და რა პირობებშია, თავი არ უნდა დაიშუროს სამშობლოს კეთილდღეობისათვისო.

გვინდა აღვნიშნოთ ერთი შემთხვევა, რომელიც, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება მკითხველისათვის.

სამშობლოში გამომგზავრებამდე, რამდენიმე ამხანაგი ლონდონის ერთ კაფეში შევედით; დავსხედით სასაუბროდ თუ არა, ჩვენთან მოვიდნენ ინგლისელი მდაბიო მოქალაქენი და მუშები, მიგვიპატიყეს თავის სუფრაზე და გაგვიმასპინძლდნენ. ისინი აღტაცებულნი იყვნენ საბჭოთა შეიარაღებული ძალების გმირობით და აღნიშნავდნენ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხებმა თავისი სიმამაცით და შეუპოვრობით მსოფლიო გადაარჩინეს ფაშისტურ მონობას.

ერთ ერთმა მუშამ ნხარზე ხელი გადგვხვია, მოგვყალყურსა და გულჩათხრობილად გვითხრა: თქვენ ბედნიერი ხართ, დაბრუნდებით სამშობლოში და შეუდგებით თავისუფალ შრომას, ჩვენ კი, მიუხედავად იმისა, რომ ფრონტებზე ომი დამთავრდა, ახლა შიგნით მოგვიხდება ახალი ომის გაჩაღება ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტებთან, რომ ადამიანურად ვიცხოვროთ და საარსებო წყარო მოვიპოვოთ, — ასეთია მუშის ხედარი კაპიტალისტურ ქვეყნებშიო. ასეთი ხასიათის საუბარმა დიდხანს გასტანა და შემდეგ მეგობრულად გამოგვაცილეს ინგლისელმა მუშებმა კარგა მანძილზე.

1945 წლის 24 მაისს ბრძანება მივიღეთ ბანაკში — მოვმზადებულიყავით სამშობლოში გამოსამგზავრებლად; ამავე საღამოს ბანაკში მყოფი 1000 საბჭოთა მოქალაქე მატარებელში ჩავსვეს და წამოვიყვანეს.

25 მაისს დილით ლიევიპულში მივედით, დავსხედით გემზე და გამოვემართეთ სამშობლოსაკენ. ჩვენს აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა; ისმოდა სიმღერა, ცეკვავდნენ, მხიარულობდნენ; ამ საერთო ხალისის დროს ჩვენ, 4 ქართველს, მხოლოდ ერთი რამ გვაწუხებდა — არ ვიცოდით, რა ბედი ეწიათ კონძულზე დარჩენილ ქართული ბატალიონის მებრძოლებს და ვნალელობდით, რომ ისინი გვერდში არ გვეყოლებოდნენ საყვარელ სამშობლოში დაბრუნების ბედნიერ წუთებში.

ლამანშის სრუტის გაგლის შემდეგ ჩვენი გეზი ესპანეთის სანაპიროებს გაჰყვა, შემდეგ ჰიბრალტარის სრუტე განვლეთ და შევედით იტალიის ნავსადგურ ტორანტოში. ამ ნავსადგურში ორი დღით გაჩერება მოგვიხდა და კვლავ განვაგრძეთ გზა; გავტურეთ ბოსფორის სრუტე, შავი ზღვა და ოღესის ნავსადგურს მივადგინეთ.

ნავსადგურის სანაპიროზე გადმოსვლისთანავე ხალხმრავალი ბიტინგი მოეწყო. ორატორები გულმხურვალედ გვილოცავდნენ ფაშისტური ტყვეობიდან სამშობლოში დაბრუნებას და მოგვიწოდებდნენ აქტიურად ჩაებმულიყავით შრომაში, რათა მალე მოშუშებოდა ქვეყანას სასტიკი ომის მიერ მიყენებული ჭრილობები.

საპასუხო სიტყვებში ჩვენც შევეუცეთ, რომ თავს არ დავიზოგავდით და გაათეცებული ენერგიით ვიმუშავებდით დედა-სამშობლოს საკეთილდღეოდ“.

თბილისი
21 მაისი, 1946 წელი

• * *

კუნძულ ტექსელზე აჯანყების მონაწილემ, ინგლისში გაგზავნილი დელეგაციის წევრმა გიორგი კიმოთეს ძემ რეხვი აშვილშა შემდეგი გვიამბო: „დავბადე 1918 წელს ონის რაიონის სოფელ ქიორაში. ირასრული საშუალო სკოლა სოფ. ლებში დავამთავრე; აქვე მიმიღეს კომკავშირის წევრად 1932 წელს. 1934 წელს თბილისში გადმოვედი სასწავლებლად. საშუალო სკოლა 1937 წელს დავამთავრე და შევედი თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც 1939 წელს დავამთავრე და მასწავლებლად დანიშნეს ლაგოდების რაიონში. ემასწავლებლობდი მხოლოდ ორი თვე, შემდეგ კი საბჭოთა არმიაში გამიწვიეს.

1939 წლის ნოემბრიდან 1940 წლის დეკემბრამდე რიგითი ჯარისკაცი ვიყავი, შემდეგ კი სათანადო კურსები დავამთავრე და საშუალო მეთაურის წოდება მივიღე. ეს იყო 1941 წლის მაისში.

1941 წლის 22 ივნისს ჩვენს ქვეყანას თავს დაესხა ვერაგი მტერი — ფაშისტური გერმანია. ამ დროს ლატვიაში ვიმყოფებოდი და მალე ბრძოლაში ჩავებით. ომის მეორე თვეზე დაიქვემდებარებინა ხელში, მივიღე აგრეთვე კონტუზია ყუმბარის ახლოს გასკრაჰას გამო და უგრძობ მდგომარეობაში ტყვედ ჩამიგდეს გერმანელმა. 1941 წლის ივლისში სხვა ტყვეებთან ერთად ტილზიტის ბაჰაჰა წამიყვანეს. აქ დიდ უბედურებაში ჩავეარდით შიშხილისა და აუ-

ტანელი შრომის გამო, ველარ მოვითმინეთ. აუჯანყდით, მივცვივდით გულან მავთულებს, გვინდოდა გაგვეტოლიჯა და გავქცეულიყავით. მაგრამ მკრის მეტყუიამფრქვევებმა ცეცხლი გაგვიხსნეს ოთხივე მხრიდან და რამდენიმე ათეული სამხედრო ტყვე სიცოცხლეს გამოასალმეს. ასეთი ვაება ტრიალებდა ჩემს თავზე 1941 წლიდან.

1943 წელს გერმანელებმა თავი შეგვიყარეს რამდენიმე ასეულ ტყვეს. ქ. კრუშინაში (პოლონეთი) და გამოგვიცხადეს: ქართულ ბატალიონში ხართ ჩარიცხული, ამიერიდან ჩვენ ნაწილად ჩაითვლებით და ვინც არ დაგვემორჩილება და არ შეასრულებს ჩვენს დავალებებს, დაუყოვნებლივ დაეზვრეტო.

1943 წლის ზაფხულის ბოლოს საფრანგეთში გადაგვაგზავნეს. და ქალაქ ლეონში დაგვაბანაკეს. ამავე წლის სექტემბერში ჰოლანდიაში გადაგვიყვანეს, ქ. ზანდჰორტში; აქ ჩვენ მიწურების კეთებაზე ვმუშაობდით, გვაბძვივინებდნენ მავთულხლართებს და საყარაულო საქმესაც გვავალებდნენ.

1945 წლის თებერვლის 9-ს გერმანელებმა კუნძულ ტექსელზე გადაგვიყვანეს.

ჯერ კიდევ ზანდჰორტში ყოფნის დროს, 1944 წელს, ჩვენი ასეულის მეთაურობამ გამანდო, რომ ბატალიონში საიდუმლო ორგანიზაცია არსებობდა და გამაცნო მისი მიზნები. მე მალე ამ ორგანიზაციის აქტიური წევრი გავხდი და უყოყმანოდ ვასრულებდი დავალებებს.

1945 წლის 5 აპრილს გადმოგვცეს, რომ გადაწყვეტილია აჯანყება. ღამის პირველი საათისათვის. სასწრაფოდ შევატყობინეთ განდობილ ჯარისკაცებს და შევუდგით მზადებას. დანიშნულ დროზე ჯერ ობერ-ლეი ჯენანტი კრიგერი მოვკალით, ამის შემდეგ კი სხვებთან ერთად დავერიეთ ჩვენს ასეულში მყოფ გერმანელებს. და გათენებამდე 77 გერმანელი ჩაეძაღლეთ. მეორე დღეს ბრძანება მივიღეთ ბატალიონის მეთაურ ლოლაძისაგან: გაგვენადგურებინანესადგურ კოგსდოროპის გარნიზონი და აგველო ეს გამაგრებული ობიექტი. ორი საათის განმავლობაში აღნიშნული გარნიზონი მთლიანად გაველიტეთ და ხელთ ვიგდეთ კოგსდოროპი.

8 აპრილს ჩვენი ბატალიონის მეთაურობამ სასწრაფო დავალება მოგვცა: გერმანელები სადესანტო ჯარების გადმოსხმას აპირებენ კუნძულზე, ინგლისში უნდა გაცუროთ და მოკავშირეებს დახმარება სთხოვოთ; ეს დიდად საძნელო საქმე იყო, მაგრამ ბრძანება რათაც არ უნდა დაგვეჯდომოდა უნდა შეგვესრულებინა. ნავის შოვნა-

ში დიდი დახმარება აღმოგვიჩინეს პოლანდელმა პატრიოტებმა, შეგვაკეთებინეს იგი და მოგვცეს საიმედო მეზღვაურები, რომლებიც გადაგვიყვანდნენ ინგლისში. 9 აპრილს ღამის 12 საათის შემდეგ ოთხმა ქართველმა და ოთხმა პოლანდიელმა დიდი წვალებით მივიყვანეთ ნავი სიღრმემდე, ჩავსხედით შიგ და კურჯი ავიღეთ ინგლისისაკენ. თვალის ასახუკეად ჩვენს ნავს წითელი ჯვრის ნიშნები გაუკეთეთ. დიდი წვალებით ვიმგზავრეთ დღე და ღამ და მესამე დღეს ინგლისის სანაპიროს მივადექით. სანაპიროს მიახლოებისას ნავი დაგვიზიანდა, ამასთანავე სანაპირო დანალმული იყო. ჩვენ მოგვიხდა ნავის მიტოვება შორიახლოს და ზურგით გადაგვიყვანეს ნაპირზე. გადავედით თუ არა ხმელეთზე, ინგლისელმა გუშაგებმა შტაბში წაგვიყვანეს. ჩვენ დაწვრილებით ვუამბეთ ყველაფერი ინგლისელებს კუნძულზე არსებული ვითარების შესახებ და დახმარება ვთხოვეთ. მოკავშირეებმა კი დახმარების მაგივრად ციხეში ჩაგვყარეს.

საპატიმროს შიგნით, საბედნიეროდ, ერთი გუშაგი პოლონეთიდან გამოქცეული ებრაელი აღმოჩნდა, რომელმაც რუსული იცადა, ჩვენ დაეუკავშირდით მას და ვთხოვეთ ეცნობებინა საბჭოთა სამხედრო მისიისათვის ჩვენი დაპატიმრების ამბავი. გუშაგმა მართლაც შეგვესრულა თხოვნა და მალე მოვიდა საპატიმროში საბჭოთა სამხედრო მისიის წარმომადგენელი პოლკოვნიკი მიროშნიჩენკო; იგი მოელაპარაკა ინგლისელ მესვეურებს, გაგვათავისუფლა პატიმრობიდან და თავისუფალ ბინაზე გადაგვიყვანა. პოლკოვნიკმა მიროშნიჩენკომ გაგვაფრთხილა—თუ სადმე წაგიყვანონ, ნუ შეშინდებით, მე მოგნახავთო. მეორე დღეს გამოცხადდნენ ინგლისელი გუშაგები და ჩვენ უცნობ ადგილზე გადაგვიყვანეს. პოლკოვნიკმა მიროშნიჩენკომ მალე მოგვანახა, კვლავ გაგვათავისუფლა და გადაგვიყვანა პიტლერული ტყვეობიდან განთავისუფლებულ და სამშობლოში დასაბრუნებელ საბჭოთა მოქალაქეების ბანაკში.

ფაშისტური გერმანიის განადგურებისა და კაპიტულაციის შემდეგ, 1945 წლის 22 მაისს, ჩვენ გემში ჩავსვდნენ სამშობლოში მომავალ სხვა საბჭოთა მოქალაქეებთან ერთად და ორი კვირის შემდეგ დაებრუნდით ჩვენს საყვარელ ქვეყანაში.

თბილისი

23 მაისი, 1946 წელი

* * *

ტექსელის აჯანყების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა და აქტიურმა მონაწილემ, შემდეგ კი ქართული ბატალიონის მეთაურმა, ლეიტენანტმა ნოე გაბრიელის ძე გონგლაძემ, პროფესიით მასწავლებლობდა (საშუალო განათლებით), 29 წლისა, მცხოვრებმა ქ. ბორჯომში, შემდეგი გვიამბო:

„ყველასთვის ცნობილია 1941 წლის 22 ივნისის დღე, — ფაშისტების ბანდიტური თავდასხმა ჩვენს ქვეყანაზე. მე მონაწილე ვარ გარდახდილი სამამულო ომისა და მტრის თავდასხმის დღიდანვე ჩავები ბრძოლებში ჩრდილო-დასავლეთ ფრონტზე — ლიტვა, ლატვია, ბელორუსია. პირველ ხანებში ჩვენმა ჯარებმა, მოწინააღმდეგის ქარბი ძალების შემოტევის გამო, ბრძოლით დაიხიეს უკან. როდესაც გერმანელები კვლავ უტევდნენ მთელი ტექნიკით ჩვენი დაცვის ხაზს, 1941 წლის 29 აგვისტოს, საღამოს საათებში, მძიმედ დავიჭერა ქ. ველიკიე ლუკის ახლოს და ტყვედ ჩამიგდო მტრის ერთ-ერთმა ნაწილმა. გონებაში დილა და მძიმედ დაჭრილი რამდენიმე დღის შემდეგ აღმოვიჩნდი ქ. დვინსკის ახლოს არსებულ სამხედრო ტყვეთა ბანაკში. საბჭოთა ტყვეები, მათ შორის დაჭრილებიც უყურადღებოდ ეყარნენ ცის ქვეშ მიწაზე.

1941 წლის 7 სექტემბერს დაჭრილები ეშელონით გაგვიგზავნეს ვარშავისაკენ. რამდენიმე დღის შემდეგ ეშელონი დანიშნულ ადგილზე მივიდა. როდესაც ფაშისტების თანდარმებრიამ ეშელონიდან დაჭრილები გამოგვიყვანა, ვაგონებში 50% და მეტიც დახოცილები აღმოჩნდნენ. ვარშავის ტყვეთა ბანაკში 1942 წლის აპრილამდის დავყავით. ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა ტყვეების 80% გამოესალმა სიცოცხლეს შიმშილის, სიცივისა და სხვა სახის აუტანელი ტანჯვა-წამების გამო.

1942 წლის აპრილის დამლევს ვარშავის ბანაკიდან ბელიამინოვაში (პოლონეთი) გადაგვიყვანეს. ბელიამინოვის ტყვეთა ბანაკი ძლიერ დიდი იყო და ტყვეებისათვის ძალზე აუტანელი. ყოველდღიურად 400—500-მდე დახოცილი ტყვე გაჰქონდათ ბანაკიდან. 1942 წლის ნოემბრიდან გერმანელებმა დაიწყეს ცალკე დანაყოფების შედგენა სამხედრო ტყვეებისაგან ეროვნების მიხედვით.

1942 წლის დეკემბერში ბელიამინოვიდან ბილაპოდლიასკაში (პოლონეთი) გაგვიგზავნეს; აქ სხვა ქართველებიც დაგვიხვედნენ. ერთდღეს ტყვეებში ატყუდა ჩოჩოლი: საეჟიმო გასინჯვა არისო. ყველანი საეჟიმო კომისიაში გაგვატარეს და რომლებსაც ცოტა სიარული

შეგვეძლო, მოგვათავსეს ჩაიტილ ვაგონებში და რაძენიმე დღის შემდეგ ეშელონით ჩაგვაქვანეს დაბაკრუშინაჰი (პოლონეთი). ეს მოხდა 1943 წლის 13 იანვარს; ამ ბანაკში მდგომარეობა ცოტა უკეთესი იყო, სამუშაოებზეც გაუყავდით. ამგვარად შედგა ქართული ბატალიონი. ვინც უარს განაცხადებდა ბატალიონში შესვლაზე, ადგილზევე დახვრეტა მოელოდა. ბევრი ჩვენთაგანი გულში ამბობდა: ჰო, კარგი, იარაღი ავიღოთ და მერე ჩვენ ვიცითო. ზოგი ჩუმად პოლონეთის ტყეებს გაჰურობდა. კრუშინაში ბევრი ქართველი იმყოფებოდა და ყველას ხომ ვერ გაეუზიარებდი ჩენს გულისწადილს. აქ მე დაეუახლოვდი ქარცხიას, ბარაზიძეს და ჩემს საუკუცესო მეგობარს კაპიტან შ. ლოლაძეს; ჩენი მიზანი იყო დასუსტებული ბიჭების მოლონიერება, შეიარაღება და მთელი რაზმის გაყვანა პოლონეთის ტყეებში გერმანელების წინააღმდეგ.

ჩვენ მალე დაეუკავშირდით პოლონეთის პარტიზანებს, ვაწვდიდით მათ იარაღს, ტყვია-წამალს, ფეთქებად ნივთიერებასა და ტანსაცმელს, რაც მოპარვით გამოგვექონდა საწყობიდან. ერთ ღამეს ჩემი ხელმძღვანელობით გატანილ იქნა გერმანელების საწყობიდან 900 ცალი ჯემპარი და რამდენიმე შაშხანა თაყისი ვაზნებით და გადავეცით პოლონელ პარტიზანებს. ამის მოწმენი არიან იქ ნამყოფი ქართველები: ვ. ჟღენტი, გ. ფირცხალავა და სხვა ამხანაგები, რომლებიც აქტიური მონაწილენი იყვნენ ამ საქმეში.

დეკემბრის დამლევს კრუშინაში დიდი ამალეღვებელი ამბავი მოგვივიდა. გადმოგვეცემდნენ, რომ ქართველებისაგან შემდგარი ერთი რაზმი გერმანელებმა აღმოსავლეთის ფრონტზე წაიყვანეს და ყუბანში წითელი არმიის წინააღმდეგ უნდოდათ ვაპოეყენებინათ; ამ რაზმმა, კაპიტან კიკინაძის ხელმძღვანელობით, წინასწარ კავშირი დაამყარა ფრონტის ხსლო მოქმედ საბჭოთა ჯარის ერთ-ერთ განაერთთან, აჯანუდა, გაწყვიტა რაზმში მყოფი გერმანელი ოფიცრები და ჯარისკაცები, გაარღვია ფრონტი და საბჭოთა არმიას შეუერთდაო. რამდენად სწორი იყო ეს ცნობა, ჩვენთვის ძნელი გახდა ამის შემოწნება, მაგრამ ეს კი იყო, რომ იმატა ქართველი ბიჭების გაქცევამ პოლონელ პარტიზანებთან. კაპიტან კიკინაძის ამბის, პოლონელებთან ტყეში გაქცევისა და გერმანელთა საწყობების ხშირად გატეხის გამო მეტად გაბრაზდნენ ფაშისტი მხეცები და ჩენნი გაწყვეტა სურდათ, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრეს, შეგვიყარეს თავი და გაგვგზავნეს დასავლეთისაკენ.

1943 წლის სექტემბერ-ოქტომბერში პოლანდიაში ჩავედით. იქ მალე ჩავებით არალეგალურ-პარტიზანულ მოძრაობაში და დიდი

დახმარება გავუწიეთ ჰოლანდიელ პატრიოტებს ფაშისტ-ოკუპანტების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში.

1945 წლის თებერვალში ქართული ბატალიონი ტექსელზე გადაიყვანეს. კუნძულზე პირველად დიდს სიძნელეებს წაუწყდით. მაგრამ სასწრაფო ზომები მივიღეთ; დაუყოვნებლივ აღვადგინეთ კავშირი ჰოლანდიის კომპარტიასთან კონტინენტზე და კვლავ განვაგრძობდით მზადებას აჯანყებისათვის.

1945 წლის 6 აპრილს პირველ საათზე ჩვენ ავჯანყდით, ამოველიტეთ ტექსელის გერმანული გარნიზონი და კუნძული დავიპყრეთ. კუნძულზე წარმოებულ ფრონტალურსა და შემდეგ პარტიზანულ ბრძოლებში ყოველთვის თავგანწირულად ვომობდი და მძიმე დაჭრილსაც კი არ მიმიტოვებია მეგობრები განსაცდელში. დიდი გაქირვება გადამხდა თავს, მაგრამ მტერზედაც სასტიკად ვიძიე შური*.

თბილისი

11 ივნისი, 1946 წელი

* * *

ქართული ბატალიონის ყოფილმა მებრძოლმა, ტექსელის აჯანყების აქტიურმა მონაწილემ დავით სამსონის ძე სარჯველაძემ გვიამბო: „დავიბადე 1914 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ლესაქინაში, გლეხის ოჯახში. 1933 წლამდე ვცხოვრობდი სოფელში, 1933 წლიდან 1935 წლამდე კი ბათუმის მუშუაქში ვსწავლობდი. 1936 წლის ოქტომბერში გამიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში, სადაც 1938 წლამდე დავყავი. 1938 წლიდან ვცხოვრობდი თბილისში, ვმუშაობდი ორჯონიკიძის რაისარემონტო კანტორაში დორგლად და თან ვსწავლობდი. 1941 წლის 23 ივნისს ჯარში გამიწვიეს მობილიზაციით.

1942 წლის ივლისამდე ფრონტზე დავყავი და ვიბრძოლე. ამავე წლის 22 ივლისს მოვხვდი მტირს გარემოცვაში სლავიანსკის მიმართულგებით და ტყვედ ჩამივლეს გერმანელებმა. ვიმყოფებოდი ტყვეთა ბანაკებში ჯერ უკრაინაში, შემდეგ პოლონეთში—ქ. ბიალაპოდლიასკაში და სედლეცში. ქ. სედლეციდან გავიპარე პარტიზანებთან შეერთებრს მიზნით, მაგრამ პოლიციელებმა შეიპყრეს და ისევ ბანაკში მიმიყვანეს. აქ ფაშისტ-მტარვლებმა 25 წყებლა დამარტყეს და 14 დღის პატიმრობა მომისაჯეს, სადაც დიდი წამება გამოვიარე.

1942 წლის ნოემბერში ქ. კრუშინაში შეგვეკრიბეს. აქ მოველაპარაკე ქვილორიას, ვ. ბერაიას, ს. გაბრიაძეს, მ. პაქკორიას, ს. სიხარულიძეს, დ. კუბატაძეს და გადავწყვიტეთ გაქცევა პოლონელ პარტიზანებთან, მაგრამ ქარცხიამ ნება არ დაგვართო, ვინაიდან ბარაშიძესა და ქარცხიას არალეგალური მუშაობა ჰქონდათ გაჩაღე-

ბული და გვიტხრეს—ხელს შეგვიშლის თქვენი გაქცევა, საერთო საქმეს უფრო აენებს და ამკამად თავი შეიკავეო.

ქ. კრუშინაში არაიშვიათი იყო შემთხვევა ორგანიზებული წასვლისა პარტიზანებად, რაც შემჩნეულ იქნა გერმანელების მიერ და იქ მყოფი ქართველობა საფრანგეთსა და ჰოლანდიისში გადაგვიყვანეს, მაგრამ ჩვენ ამით მორალურად არ დავცემულვართ, პირიქით, მეტი ზიზლით ვუყურებდით მტერს. ყოველ წუთში ვფიქრობდით, თუ როგორ დაეკავშირებოდით პარტიზანებს და სამაგიერო გვეზლო ფაშისტ-მხეცებისთვის იმ უბედურებისათვის, რაც საერთოდ მთელ სამყაროს მოუტანეს მათ და ჩვენც განგვატღვეინეს ტყვეთა ბანაკებში. დღეს მე ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, იმის გამო, რომ ერთ წელზე მეტი აქტიურად ვებმარებოდი ჰოლანდიელ პარტიზანებს და ტექსელზე აჯანყების დროსაც სასტიკი შური ვიძიე ჰიტლერელ ავაზაკებზე“.

თბილისი.

3 ივლისი, 1946 წელი



ბარნაბ გერმანეს ძე ლომიძემ, ქართული ბატალიონის აქტიურმა მებრძოლმა, შემდეგი გვიამბო: „დავიბადე 1915 წ. საჩხერის რაიონის სოფ. ლიჩში, გლეხის ოჯახში. აღზრდა ძნელ პირობებში მიხდებოდა, რადგან მამაჩემი წერილშვილიანი იყო. საშუალო განათლება კიათურაში მივიღე. 1933 წლიდან 1936 წლამდე ვმუშაობდი ჩემსავე სოფელში დაწყებითი სკოლის გამგე—მსწავლელად. 1936—40 წლამდე ვსწავლობდი ქ. ქუთაისის პედინსტიტუტში, ისტორიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1940 წელს დაევამთავრე. 1940 წლის აპრილიდან 1941 წლის აგვისტომდე ვმუშაობდი ლიჩის შვიდწლიანი სკოლის დირექტორად და ისტორიის მასწავლებლად. 1930 წლიდან კომკავშირელი ვარ. 1941 წლის აგვისტოში მობილიზაციით გამიწვიეს ჯარში. მოხვედი N მეთაურთა სკოლაში, რომელიც დაევამთავრე 1942 წლის თებერვალში და მივიღე უმცროსი ლეიტენანტის წოდება. 1942 წ. მარტიდან ვიმყოფებოდი ყირიმის ფრონტზე ქ. ქერჩის რაიონში N არმიის სამთო ქვეითა დივიზიაში ოცეულის მეთაურად და ჩემი ოცეულით ხუთჯერ მრვილე მონაწილეობა შეტევით ბრძოლაში. 1942 წლის 10 მაისს ჩვენი ნაწილი გარემოცვაში მოექცა. მთელი დღე გვიშენდა მტრის არტილერია, თან სატანკო ნაწილმა შემოგვარტყა ალყა და მოგვწყვიტა ჩვენს ნაწილს. ბოლოს ბომბი დაეცა ჩემს ახლოს და მიწა დამაყარა თავზე. აღარ

შემწევს ფეხზე წამოდგომის ძალა, ვეღარ ვიხედები, აღარც ყურში მესმის კარგად. ცოცხათი რომ გაიწმინდა ჰაერი, ვხედავ, მცემენ თავში და თანაც მიწიდან მეწვევიან როგორც იქნა ამომათრიეს. ბოლოს გონს მოვედი და გავიგე, რომ ესენი საზიზღ. რი გერმანელები იყვნენ.

10 მაისს დამიბნელდა მზე, გერმანელებმა ტყვედ წამიყვანეს და მომწყვიტეს ჩენს საყვარელ საიშობლოს. შიმშილით დასუსტებული ტყვეები ფეოლოსიიდან ჟიტომირამდე ფეხით მივყავდით, გერმანელები კი ცხენებით მოგედევდნენ და არ გვაძლევდნენ საშუალებას გზის ნაპირას ბალახი მაინც შეგვეკამა ან წყალი დაგველიამის გამო ბევრი დაეცა გზაზე, ისინი ცხენებმა გათელეს ფეხქვეშ და ასე ამოსძვრათ სული. ბოლოს შეგვყარეს ჟიტომირის ტყვეთა ბანაკში. ბანაკი შემოღობილი იყო ეკლიანი მავთულით, ირგვლივ კი ყარაულები იდგნენ. ჩვენი ხელით გამოთხრილ სოროებში გვეძინა საბრალო ტყვეებს, მკებნარი უამრავი გვესია, ჩვენი საქმელი იყო ბანაკში ამოსული ბალახი, ფოთოლი და ხის კანი, მაგრამ აღარც ბალახი მოიპოვებოდა, ფრჩხილებით სულ ფესვებიანად ვიღებდით. ბევრი ტყვე იყო მავთულის ლობეზე გადაკიდებული: ეს ტყვეები შეეცადნენ ლობეში ბალახის მოგლეჯას და ყარაულმა მოკლა. თუ თხუნელას, ბაყაყს ან თავგეს დაიკერდნენ. მაშინვე შექამდნენ ტყვეები. ამ აუტანელი გაჭირვებისა და შიმშილის გამო 200-მდე მკვდარი გაჰქონდათ ყოველ დილას ბანაკიდან და ღელეში ყრიდნენ.

ჟიტომირში ერთ თვემდე ვიყავით გაბმული სპეციალურ რკინის ურემში, რომელიც გზას ტყეცდა. ჩვენი შიშველი ფეხის ნაკვალევი რჩებოდა ცხელ ასფალტის გზაზე და ბევრ ტყვეს კიდევ ასე ამოსძვრა სული უღელქვეშ.

ბანაკში სხვადასხვა სახის სასჯელი იყო. როცა გერმანელი ოფიცერი შემოვიდოდა ბანაკში, თუ ზეზე ვერ მოვასწრებდით ადგომას, ტყვიას გვესროდა ან წუკობილებაში ჩავგაყენებდა, შერჩევით გამოიყვანდა რამდენიმე კაცს და იქვე დახვრეტდა. ხშირი იყო შემთხვევა, რომ ტყვეებს გაატიტვლებდნენ, წაუსვამდნენ თაფლოვან ხსნარს, მიაკრავდნენ ხეზე და შუბლზე ეარსკვლავს ამოსჭრიდნენ. ზაფხულის დღეში ბუზები ესეოდნენ მათ და ასე ტანჯვაში ლევდნენ სულს საბრალონი.

1942 წლიდან პოლონეთში გაძლიერება იწყო პარტიზანულმა მოძრაობამ. პოლონელი პარტიზანები მოდიოდნენ ბანაკში, კრიდნენ მავთულს და გაჰყავდათ ტყვეები. დილით ხშირად ვნახავდით ხოლმე გარედან გადმოყრილ მავთულის საჭრელ გაზებსა და მაკრატლებს. ეს დიდი დახმარება იყო ჩვენთვის.

ერთ ღამეს გავეჭირით ლობე ბიალაპოდლიასკის ბანაკში, გავედით ტყეში და დავიწყეთ პარტიზანების ძებნა, რომ შევერთებოდით მათ. 20 დღის შემდეგ გერმანელებმა შეგვიპყრეს და უკანვე მოგვიყვანეს ბანაკში. უწყალოდ გვცემეს, ბევრი მოკვდა კიდეც, მაგრამ საბჭოთა ადამიანები არ უშინდებოდნენ ასეთ მკაცრ რეჟიმს. ჩვენ გვქონდა იმედი ჩვენი სახელმწიფოს გამარჯვებისა და საყვარელი მამის დიდი სტალინისა, ამიტომ იყო, რომ ვერ მოგვარჯულებს გერმანელმა მხეცებმა, ვერ გატეხეს ჩვენი ნებისყოფა.

ჟიტომირის, ბიალაპოდლიასკის, ოსტროვის, სედლეცის, კრუშინისა და სხვა ტყვეთა ბანაკების ახლო ველები სავსე იყო ჩვენი დაღუპული ამხანაგების ძვლებით. ყოველივე ეს ჩვენში შურისძიებასა და ზიზღს იწვევდა გერმანელების მიმართ. ვცდილობდით და სიცოცხლეს ვწირავდით, რომ როგორმე თავი დაგვეხსნია ამ ჯოჯობეთიდან. საბოტაჟისაც ხშირად მივმართავდით ბანაკში და სამუშაოს არ ვასრულებდით.

1943 წლის აპრილში კრუშინას ბანაკში შეგვეკრიბეს და ქართულ ბატალიონში ჩაგვრიცხეს. გერმანელებს თავიანთ მხარეზე უნდოდათ ჩვენი გადაყვანა, მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ აღმოსავლეთ ფრონტზე ვერ გამოგვიყენებდნენ და პოლანდიაში წაგვიყვანეს. მტარეალები ფიქრობდნენ, რომ შორეულ პოლანდიაში მაინც გვანუშავენდნენ თავის სასარგებლოდ, მაგრამ აქ ჩვენ ისეთი შური ვიძიეთ ფაშისტ არამზადებზე, რომ დიდხანს დაამახსოვრდებოდათ ეს მათ“.

თბილისი

17 ივლისი, 1946 წელი

ტექსელის აჯანყების აქტიურმა მონაწილემ და პაუზისმგებელმა მუშაკმა ბატალიონის პოლიტანაწილში შალვა ივანეს ძე ნოზაძემ შეცნვენი გვიამბო: „დავიბადე 1914 წელს, ლაგოდების რაიონის სოფ. ვარდისუბანში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 1938 წელს დაჯამთავრე სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული მუშათა ფაკულტეტი და მოვეწყე თბილისის პეშკანის სახ. სამასწავლებლო ინსტიტუტში ფიზკულტურის ფაკულტეტზე, რომელიც 1941 წელს დაჯამთავრე. 1938 წელს ძიმბილეს კომკავშირის წევრად. 1939 წლიდან ვეწეოდი სპორტულ სექციებში მეცადენობას, დავეუფლე ფრანგულ კიდაობას და მალე დავეწინაურდი აქ დარჯში. 1939 წელს გაგზავნეს საბჭოთა კავშირის პირველობის შეჯიბრზე ფრანგულ კიდაობაში. აღნიშნულ შეჯიბრზე უმსუბუქეს წონაში მეორე ადგილი დავიკავე. ჩემს მთავარ მიზანს წარმოადგენდა გავმხდარიყავი სპორტის ოსტა-

ტი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი 1940 წელს ჩემი სურვილი განხორციელდა, მოქნივა საქართველოს ჩემპიონისა და საზოგადოება „სპარტაკის“ ხაზით საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელწოდება. ამამე წელს მივიღე საბჭოთა კავშირის პირველობის შეჯიბრში მონაწილეობა თავისუფალ ქადაობაში. ჩემმა წარსულმა მუშაობამ ამ შეჯიბრზედაც იჩინა თავი და მოვიპოვე საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება თავისუფალ ქიდაობაში; ამის გამო 1940 წელს დამაჯილდოვეს ჩემპიონის მეოლით და საბჭოთა კავშირის სიგელით. სპორტის ოსტატად მსურდა გახდომა და ეს ასრულდა კიდეც 1940 წელს.

1942 წლის თებერვლაძდის ვმუშაობდი საზოგადოება „სპარტაკში“ მწვრთნელად ფრანგულ ქიდაობაში. ამასთან ერთად, შეთავსებით, ვასწავლიდი საშუალო სკოლებში ფიზკულტურას და მინდოდა აღმეზარდა სიცოკხლით სავსე, ფიზიკურად ჯანმრთელი თაობა ჩენი სამშობლოსათვის. 1942 წლის 18 თებერვალს ჯარში გამიწვიეს და ჩამრიცხეს საგზაო სააღმშენებლო მუშათა ათასეულში. მალე ზედგობა მივიღე აღნიშნულ ათასეულში. 24 მარტს ჩენი ათასეულის შტაბმა მიიღო ბრძანება ქერჩის ფრონტზე წასვლისა. 1942 წლის 4 აპრილს გადაგვიყვანეს ქერჩში. ჩასვლისთანავე დავიწყეთ დაბომბვით დანგრეული გზების შეკეთება. დაკვრითი წესით დავიწყე მუშაობა ჩემი ამხანაგებითურთ და ნორმით მოცემულ გეგმას ერთიორად ვასრულებდით. ის იყო ვამთავრებდით მთელი გზის შეკეთებას, რომ დაიწყო გერმანელების შემოტევა ყოველი მხრიდან. 1942 წლის 7 მაისს მთელი ჩენი ნაწილი და მეც პირადად მოვექეციტ რკალში და გამოიქვალ მდგომარეობაში ჩავვარდით. 1942 წლის 14 მაისამდე ვიბრძოდით უკანასკნელ ტყვიამდის გერმანელი ჯარების წინააღმდეგ. გათენდა 1942 წლის 14 მაისი, რომელიც ჩემი წამების დღედ გადაიქცა. ამ დღეს მოეწყვი უკანასკნელად ჩემს სამშობლოს და ტყვედ ჩამიგდეს ხელში. 1942 წლის 14 მაისიდან 25 მაისამდე ფეხით, მშიერ-მწყურვალმა გადავიარე ქერჩისა და ყირიმის ველები, პირი მიზრებოდა, გულისცემამ მიმატა და ის იყო უნდა დავცემულიყავ, რომ ჩემ გვერდში მდგომ ახალგაზრდა ტყვეს შევეცოდე, გადახტა გვერდზე, ქუდი აავსო ზღვრიე წყლით და დასალევად მომიტანა. არ გასულა ერთი წუთიც, რომ იქეკა ავტომატმა და ფაშისტმა ჯალაშმა სიცოკხლეს გამოასალმა, ქუქვიანი წყლის გულისათვის, ჩემი მხსნელი ტყვე ჯარისკაცი.

გათენდა 25 მაისი და ნახევარკა მივალწვიე ჯანკოის ტყეთა ბანაკს, დანარჩენები კი თვითონვე გაწყდნენ დაქანცვის გამო ან გზაში ჩამორჩენისათვის დახვრიტეს გეომანელებმა.

ჯანკოის ტყვეთა ბანაკი ტრიალ მინდორზე მდებარეობდა და შემოღობილი იყო ეკლიანი მავთულგზით. წყურვილითა და სიარულით დაფარდნილი, როგორც კი მოვედი ბანაკში, დავწეკი და თავი მივდე იქვე დაგდებულ ქვაზე. არ გასულა ერთი კვირაც, რომ ამ ბანაკიდან დახურული ვაგონით წამიყვანეს პოლონეთის ბანაკ როვნოში. არსებობის პირობები თათქის არ შეცვლილა; მშვირ-მწყურვალე იძულებული გავხდი გამეხადა ჩემი დაგლეჯილი ფეხსაცმელი, მაზარა და პოლონელი გლეხისათვის გადამეცვალა ორ კილო ხორბალზე, რითაც თავი შევიწინახე 8 დღს განმავლობაში.

8 ივნისს ძალი შემოვარდა ჩვენ ბანაკში, ვეცით, ნაკუწ-ნაკუწად დავგლიჯეთ და შევკამეთ; ამის გამო რამდენიმე ამხანაგი დახერიტეს მეორე დღეს, რადგან ჩვენ მიერ შეკმული ძალი გერმანელი ოფიცრის ყოფილიყო. რამდენიმე თვის შემდეგ როვნოს ბანაკიდან გადამიყვანეს პოლონეთის ერთ-ერთ ტყვეთა ბანაკში, ველია-შინოვსკში; აქ დამიხედნენ სხვადასხვა ბანაკიდან მოყვანილი ტყვეები და დავიწყეთ ბაასი ჩვენ მძიმე ხვედრზე. არ გასულა 10 წუთიც ჩემი მისვლიდან, რომ წინ დამიდგა თვალკრემლიანი ახალგაზრდა, რომელიც დამბლადაცემული იყო. ვინაიდან ლაპარაკი არ შეეძლო, ქალადზე დამიწერა და ხელში მომცა: „თქვენ იყავით ჩემი მასწავლებელი 31-ე საშუალო სკოლაში“. ამ წერილის წაკითხვის შემდეგ გადავებვიეთ ერთმანეთს და თვალკრემლიანნი დიდხანს ვიყავით ჩაკრულნი. შემდეგ ქალადის ნაკერზე მან დამიწერა: „მინდა გესაუბროთ, მაგრამ ლაპარაკი არ შემიძლია, ვინაიდან სმენა დავკარგე და ენა ჩამივარდა. არ არის დიდი ხანი, რომ ტიფი მოვიხადე და ახლაც არ ვიცი, ჩემი სიცოცხლე როგორ იქნება“. დაღამდა და ჩვენს საუბარსაც მიეცა დასასრული.

მეორე დღეს ერთ ადგილზე ვიყავით შეჯგუფებულნი. ამ დროს გაისმა ფურგუნის თვლების კრიალი, რომელსაც ცხენების მაგვირად ჩვენი ტყვეები მოაგორებდნენ. უცბად დაიძახეს: ამხანაგებო! მგონი ფურგუნით სტაფილო მოაქვთო. ამ სიტყვის გაგონებაზე წამოვცვივდით და გავექანეთ იქით, სადაც ფურგუნს მოაგორებდნენ და გვინდოდა სტაფილოს წართმევა მეფურგუნეებისათვის. როდესაც მივუახლოვდით ფურგუნს, დავინახეთ, რომ იგი დახოცილი სამხედრო ტყვეებით იყო სავსე. მათ ვეღარ გაეძლოთ შიმშილისათვის და უდროოდ სხვის მიწა-წყალზე დაელიათ სული. მაგრამ ვინა შეიძლება შეათასიდი მაინც აღვწერო, რაც მე გადამხდა? შეუძლებელია, რადგან სახედრო ტყვეთა ბანაკი ჯოჯობით იყო, სადაც საშინელი წამებით, შიმშილითა და დამპირებით ქანცვამოლულნი ადამიანები ეცემოდნენ, კვდებოდნენ, გერმანელი ავაზაკები კი სიცილ-ხარ-

ხარით შათრევდნენ მათ გვამებს და მიწის ღირსადაც კი არ თვლიდნენ, ხშირად აშშორებულ ჯურღალებში გადაუძახებდნენ. ცოტანი დაერჩით ცოცხლები...

1943 წლის გაზაფხულზე გერმანელებმა პოლონეთის ქალაქ კრუშინაში შეგვეკრიბეს და ქართულ ბატალიონში ჩაგვრიცხეს. 1943 წლის ზაფხულის დამლევს მთელი ათასეული აგვეყარეს კრუშინიდან და საფრანკეთში წაგვიყვანეს, შეჰდეგ კი პოლანდიაში დაგვებანაკეს ქ. ზანდფორტში.

პოლანდიაში ჩასვლისთანავე ჩვენ შევექმენით ფარული ორგანიზაცია და გავაჩაღეთ გერმანელი ოკუპანტების საწინააღმდეგო არალეგალურ-პარტიზანული ბრძოლა. შემდეგ პარტიული ორგანიზაცია ჩამოვაყალიბეთ ბატალიონში და პოლანდიის კომპარტიასა და სხვა პატრიოტულ ორგანიზაციებთან კავშირში კარგი სამსახური გაუუწიეთ იქაურ პარტიზანებს. პოლანდიელ პატრიოტებს ჩვენ ბევრი სამხედრო საქურველი და იარაღი გადაეცით ფარულად და ერთერთი აქტიური ორგანიზატორი იარაღის მიწოდებისა მეც ვიყავი. ასევე აქტიური მონაწილეობა მივიღე კუნძულ ტექსელზე ბატალიონის მიერ მოწყობილ აჯანყებაში და თავი არ დამიზოგავს მტერთან ბრძოლაში“.

თბილისი
29 ივლისი, 1946 წელი

* * *

ვალერიან გიორგის ძე ქლენტმა, რომელმაც გასაოცარი სიმამაცე გამოიჩინა ტექსელზე წარმოებულ ფრონტალურ და პარტიზანულ ბრძოლებში, სამშობლოში დაბრუნებისას შემდეგი გვიამბო: „დავიბადე 1922 წლის 7 იანვარს, მახარაძის რაიონში, სოფელ შხიანში. 1930 წლიდან ჩემი ოჯახი მთლიანად შევიდა კოლმეურნეობაში. ვსწავლობდი ასკანიის საშუალო სკოლაში მე 9 კლასამდე. 1940 წლის ოქტომბერში მოხალისედ წავიდი ჯარში, ერთი წლით ადრე ჩემი ასაკის გაწვევისა, ვინაიდან სურვილი მქონდა მეთაური გაემხდარიყ ვი.“

ქ. კრეტინგაში ჩასვლისთანავე ჩამრიცხეს სასწავლო ასეულში და იქ განვაგრძობდი სწავლას. 1941 წლის 22 ივნისის ღამეს სასაზღვრო ზონაში განგამი ატყდა და გამოგვეღვიძა, გარაყრაზე კი მტერი გამორჩნდა და სწრაფად შეჰოკოკოტია. ჩვენ არ დავბნეულვართ, მედგრად ვეკეთეთ მტერს და მეტწილად ხელჩართული ბრძოლის წარმოება გვიხდებოდა, რასაც მტერი ძლიერ გაურბოდა. ბოლოს,

შრავალრიცხოვნობისა და მოულოდნელობის გამო, მტერმა უპირატესობა მიიღო და თანახმად ბრძანებისა უკან დაიხივით.

ქ. რიგის მისადგომებიდან 25 კილომეტრის დაშორებით, 1941 წლის 30 ივლისს, დაქრილ ამხანაგს გრიშა ბაინდურაშვილს მივე-შველე და კრალობას ვუხევედი ტყეში; ამ დროს თავს წამოგვად-გნენ გერმანელი ჯარისკაცები, შუკოგვერტყენენ და დაქრილ ამხანა-გებთან ერთად მეც ტყვედ წაპყვანეს. შემდეგ მოვხვდი ტილზი-ტისა და იესეაღდის (გერმანია) სამხედრო ტყვეთა ბანაკებში. იუ-ტანელი იყო ბანაკში ყოფნა. დღე და ღამ გვამუშავებდნენ და სა-კმელს კი თითქმის სრულებით არაფერს გვაძლევდნენ. ვმუშაობდით თივების დაწნეხვაზე. ბევრმა ამხანაგმა ვერ გაუძლო ამ უბედურებას და სიცოცხლეს გამოესალმა. იმხანაგებთან ერთად სამჯერ ვცადე გაქ-ცევა, მაგრამ დაგვიკურეს, გავვწყებლეს და ისევ ბანაკებში შეგვკრეეს.

1942 წლის ბოლო თვეებში ახლომახლო ბანაკებში მყოფი ქართველები, 50 კაცადღე, ზეგვაგროვეს, ჩავყვანეს ქ. კრუშინაში (პოლონეთი) და ქართულ ბატალიონში ჩავგერიცხეს.

რამდენიმე თვის შემდეგ საფრანგეთში წავიყვანეს. იქ ცოტა-ხანი დაეყავით, შემდეგ პოლანდიაში გადაგვისროლეს და ქ. ზანდ-ფორტის დაჯავლეთით დაგვაბანაკეს ზღვის სანაპიროზე.

1944 წლის დასაწყისში დაუუკავშირდით პოლანდიის კომუ-ნისტურ პარტიას და სხვა ამხანაგებთან ერთად მეც შევედი პოლან-დიის კომპარტიაში. ბატალიონში მალე გაჩაღდა არაღეგალური მუ-შაობა გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ; ამ მუშაობაში მე აქტიუ-რად ვიყავი ჩაბმული. 1945 წლის 9 თებერვალს ბატალიონი კუნძულ ტექსელზე გადაიყვანეს. ჩვენ ახალ ადგილზედაც განვავადობდით მტრის საწინააღმდეგო ფარულ მუშაობას და ასაჯანყებლად ვემზადებოდით.

1945 წლის 5 აპრილის ნაშუაღამევს ბატალიონი აჯანყდა გერმანელების წინააღმდეგ და მე ჩემი ოცეულით თავდაღებით ვიბრ-ძოდი. ღაპით ბრძოლის დროს დავეცი ბუნკერს, რომელშიც ოთ-ხი ოფიცერი იყო, მარტო შევეარღი შიგნით და რევოლვრით ორი მოვკალი; ამ დროს ერთმა მარჯვენა ხელში დამჭრა, მაშინ მარცხე-ნათი დანა ვიშაშვლე და დანარჩენი ორი ოფიცერიც ჩავაძაღლე; ამის შიქრდეგ გამოვეარღი ბუნკერიდან კრილობით განიწარებული, ვე-კეთე მტერს ჩემი ოცეულით და გავწმინდეთ უბანი, რომელიც ჩვენ გვკონდა განკუთვნილი. აქ ჩვენ 30 გერმანელი დაეხოკეთ და ოპერაცია ჩინებულად ჩავატარეთ, რის განოც ბატალიონის მეთაუ-რის კაპიტან ლოლაძის მაღლობა დაიღისახურეთ.

აჯანყების მესამე დღეს გერმანელებმა დესანტები გადმოსხეს კუნძულზე და კვლავ გააფთრებულ ბრძოლაში ჩავებით. სისხლიდან ვიცლებოდით, თხელდებოდა ჩვენი რიგები. მაგრამ უკან არავინ იხევდა და მტერსაც დიდი ზიანი მივყენეთ. გმირულად იბრძოდნენ ჩემი მებრძოლები ბალანჩივაძე და ჩილოჩავა და ორივენი დაიღუპნენ. სიკვდილის წინ ჩილოჩავამ მითხრა: ვალიკო, სისხლი აიღე ფაშისტ ძალებისა ისე რომ ქართული ბატალიონის ხსოვნა უკვდავყოთ და მაგ არამზადების შეილიშვილებმაც კი არ დაივიწყონ თავზარდამცემი ქართული ყიჟინაო. თავდადებულად იბრძოდნენ აგრეთვე მებრძოლები ნიკ. კვიციანი და მეკაეშირე ივ. ზოზრაშვილი.

ბოლოს მტრის ძალზე ქარბ ძალებს ვეღარ გაუძელით. ბატალიონი იძულებული გახდა გადასულიყო პარტიზანულ ბრძოლაზე და თავი შეეფარებინა კუნძულის ტყეებსა და მოსახლეობაში.

სამჯერ მძიმე კრილობის მიღების გამო რამდენიმე ხანი ვმკურნალობდი. გამოეჯობინდი თუ არა, ისევ ჩავები პარტიზანულ ბრძოლაში და ბევრი გერმანელი არამზადა გამოვასალმეთ წუთისოფელს.

ტყიდან ხშირად ვახდენდით გამოხდომას, თავს ვესხმოდით გერმანელებს მოულოდნელად, დიდ ზიანს ვაყენებდით და შემდეგ ისევ ტყეში ვიმალებოდით.

აღგილობრივი მოსახლეობა ჩვენს პარტიზანებს „ტყის მეფეებს“ ეძახდა. ჩვენი უბედურება მის შემდეგაც არ გაოაგებულა, რაც კაპიტულაცია გამოცხადდა, რადგან კუნძულზე შემორჩენილი გერმანელები გვდევნიდნენ და დიდი ზიანიც მოგვაყენეს. თავისუფლად გამოსვლა ტყეებიდან მხოლოდ მის შემდეგ მოხერხდა, რაც კუნძულზე კანადელთა ჯარი მოვიდა და შეწყვიტა სისხლისღვრა ჩვენსა და გერმანელებს შორის.

კანადელებმა მალე გაიყვანეს კუნძულიდან გერმანელები და ამ საქმეში ჩვენც ხელს ვუწყობდით ყოველმხრივ. კუნძულზე მშვიდობიანობის აღდგენის შემდეგ შეეკრიბეთ დაღუპულ ქართველ მებრძოლთა გვამები, პატივით დაგვრძალეთ და აუწერელი მწუხარებით გამოვემშვიდობეთ მათ ძვირფას საფლავს სამშობლოში დაბრუნების წინ“.

თბილისი
8 სექტემბერი, 1947 წელი

ქართულ ბატალიონში ექიმად მომუშავე ირაკლი მალაქიას ძე კვინიკაძემ გადმოგვცა: „დავიბადე 1914 წელს ზესტაფონის რაიონის სოფ. საღვინეაში, გლეხის ოჯახში. 1935 წელს დავამთავრე

ქ. თბილისში მეორე სამედიცინო ტექნიკუმი. 1936 წლიდან 1938 წლამდე წითელ არმიის ვმსახურები. აქვე მიმიღეს პარტკომის კანდიდატად. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ ვმსახურებდი ლენინგორის რაიონში (სამხრეთი ოსეთი). აქ სემსახურის პერიოდში პარტიის წევრად მიმიღეს და 1940 წლიდან 1941 წლამდე ვიყავი პარტიის პირველადი ორგანიზაციის პარტორგად. 1941 წლის 23 ივნისს კვლავ გაიწვიეს სამხედრო სამსახურში — მედიკო-სანიტარულ ბატალიონში ფერშლის თანამდებობაზე. 1942 წლის მაისიდან ფრონტზე გამგზავნეს და ვიმყოფებოდი ხარკოვ-პოლტავის მიმართულ გზით. გარემოცვაში მოხვედრისა და მძიმე ბრძოლების დროს, 1942 წლის 29 მაისს დაეიქერი, 30 მაისს კი მტერმა ჩამიგდო ხელში. ამის შემდეგ სამხედრო ტყვეთა ბანაკში ვიმყოფებოდი 1943 წლამდის და ვინ მოსთვლის რამდენი უბედურება გადავიტანე. 1943 წლის დასრულებს წამომიყვანეს ბანაკიდან და ჩამრიცხეს კრუშინაში (პოლონეთი) გერმანელების მიერ შედგენილ ქართულ ბატალიონში.

ჩემს შიკოთხვაზე, თუ რას ნიშნავდა ყველა ეს ამბავი, გერმანელმა ოფიცერმა მიპასუხა თავის დროზე გაიგებო, ხოლო თუ ურჩობას გაბედავ და არ ჩაირიცხები ბატალიონში, ჩამოგახრჩობთო. პოლონეთიდან ჩვენ ჯერ საფრანგეთში, შემდეგ კი პოლანდიაში ჩავიყვანეს. აქ მე გაეიცანი ამხანაგები: ლოლაძე, არტემიძე, გუჯაბიძე, ნოზაძე და სხვები. ამ ამხანაგების ხელმძღვანელობით ბატალიონში პარტორგანიზაცია ჩამოყალიბდა, მეც შევედი ამ ორგანიზაციაში და გავხდი პოლანდიის კომუნისტური პარტიის წევრი.

1945 წლის თებერვლის დასაწყისში ჩვენ კუნძულ ტექსელზე გადავედით და აქაც განვაგრძეთ არალეგალური პარტიზანული მუშაობა გერმანელების საწინააღმდეგოდ.

1945 წლის 5 აპრილს ბრძანება მივიღე ქართული ბატალიონის ფარული მეთაურის შალვა ლოლაძისაგან მოვმზადებულიყავი მედპუნქტის მოსაწყობად და დაჭრილების მისაღებად. მე ყველაფერი რიგზე მოვაგვარე და აჯანყების ღამესვე დავიწყე დაჭრილების მიღება. პირველი ღამის ბრძოლის შემდეგ მე 5 დაჭრილი მივიღე, შეეუხვიე კრილობები და დაუწყვე მკურნალობა, მაგრამ სამი მათგანი — სოსო დიდებულიძე, მიტო გიგაშვილი და გივი ანთიძე — დიდხანს არ გაჩერდნენ პუნქტზე და ისევ მიწინავე ხაზზე წავიდნენ საბრძოლველად. შემდეგ დღეებში დაჭრილთა რიცხვი შემცირდა, სამი დღის შემდეგ კი გერმანელებმა დესანტები გადმოსხეს და დაჭრილთა რაოდენობამ ძლიერ იმატა. ერთ დღეს დაჭრილთა

პირველი დახმარების პუნქტს მტრის 5 ტანკი მოადგა. ამხანაგ არტემიძის გაბედული მოქმედების გამო ამ ხუთი ტანკიდან ერთი განადგურებულ იქნა, ხოლო ოთხი უკან გაბრუნდა და დაქრილთა პუნქტიც გადაარჩა. კიდევ ერთი შემთხვევა მახსოვს: დაქრილები მოთავსებული მყავდა დოტში. მტერმა საარტილერიო ცეცხლი გაგვიხსნა და განადგურება მოგველოდა. მეზრძოლებმა წამოიძახეს: სულერთია, ამ ძაღლებს ცოცხლები არ დაენებდებითო! ვისაც ფეხზე წამოდგომა შეეძლო, წამოცვივდნენ, იაკიმე ჯანჯღიავას, ვალიკო შეყრილაძისა და არსენიძის ხელმძღვანელობით გარეთ გავიარდნენ და დაჭვინეს მტერს ტყვიები და ხელყუმბარები. ამ ამხანაგების გმირობამ გადაარჩინა დაქრილთა პუნქტი, სანამ ჩვენი ასეული მოგვისწრებდა, შემდეგ კი გერმანელები გაეფანტეთ.

ხშირად გამოძიყანია დაქრილები ცეცხლის წინა ხაზიდან, — გივი ანთიძე, ნოე გონგლაძე და ბევრი სხვა. ჩვენი ბატალიონის მეზრძოლები თავდადებულად ომობდნენ. მძიმედ დაქრილი ნოე გონგლაძე უკანვე გაბრუნდა საბრძოლველად. ასევე მოიქცა ვალიკო ჟღენტი მიუხედავად იმისა, რომ იგი მძიმედ იყო დაქრილი ფეხში და თავში; შეეუხებოდა თუ არა ქრილობა, იკი მაშინვე შეეარდა ბრძოლის ცეცხლში და მუსრი გაავლო მტერს. რამდენი ასეთი შემთხვევა გვქონდა, ვინ მოსთვლის.

აჯანყების დაწყებიდან დამთავრებამდე, განსაკუთრებით კი პარტიზანულ ბრძოლაზე გადასვლის შემდეგ. ადგილობრივი მოსახლეობა ყოველთვის დიდ დახმარებას გვიწევდა, როგორც ბატალიონს საერთოდ, ისე პირადად მე, დაქრილების დაშალვასა და მოვლა-პატრონობაში. ბატალიონმა ექიმად მარტო მე ვმუშაობდი. მეზრძოლებიდან დამამარეუდ მქავდა მიტო სულეიმანაშვილი, რომელიც შემდეგ ბრძოლაში დაიღუპა. ხელს მიწყობდა აგრეთვე გოგი შუბითიძე; ის ცოცხალი გადაარჩა და ჩემთან ერთად დაბრუნდა სანშობლოში.“

თბილისი

13 სექტემბერი, 1947 წელი

* * *

ქართულ ბატალიონში არალეგალური მუშაობის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, „სამეულის“ წევრმა ვარლამ სამსონის ძე ებრაელიძემ, აღნიშნა: დაბადებული ვარ 1910 წელს დაბა ლანჩხუთში, ღარიბი გლეხის ოჯახში.

1932 წელს დაევამთავრე ქ. თბილისში სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური და აგროტექნიკაად ვიმეშავე ლანჩხუთის რაიონში 1932 წლამდე.

სამამულო ომის დაწყებისას ჯარში გამიწვიეს. დღიდან ნაწილში გაწესებისა ვზრუნავდი კარგად ამეთვისებინა სამხედრო ტექნიკა და გამომეყენებინა ის მტრის საწინააღმდეგოდ. ენერგიული მეცადინეობის შედეგად მალე დავეუფლე სამხედრო საქმეს და ჩავები ომის ქარცეცხლში. ვენსახურებდი ასეულის პოლიტბელის მოადგილედ N ქართულ მსროლელ დივიზიაში.

დივიზია შედგარდა იბრძოდა ყირიმში გერმანელთა შემომტევი ნაწილების წინააღმდეგ, ბოლოს სარდლობისაგან მიიღო ბრძოლით უკან დახევის ბრძანება. ჩვენს ასეულს დავალბული ჰქონდა არიერგარდში ყოფნა მტრის შესაკავებლად, რომ იხალ აღგილზე ვადაცვლების საშუალება მიეცა დივიზიისათვის. ასეულმა გადასწყვეტა, რათაც არ უნდა დასჯდომოდა, შეესრულებინა ეს ფრიად საპასუხისმგებლო საბრძოლო დავალება. მე, როგორც ასეულია პოლიტბელის მოადგილე, ვამხნევებდი ჯებრძოლებს და ვაცნობდი მათ ასეულის ამოცანას, რაზედაც დამოკიდებული იყო დივიზიის ბედი. მებრძოლები გაათრებით ეკვეთნენ მტერს, წყლებოდნენ, მაგრამ ადგილიდან უკან არ იხევენ. ამ დროს ჩვენს ასეულს გერმანელების ტანკებმა შელოტეეს და წალეკას ვეპირებდნენ. ერთმა მათგანმა პირდაპირ ჩვენკენ აილო გეზი. ფრიად დამბული ვითარება შეიქმნა. მე გავხოხი ხაზის წინ, მიეუახლოვდი ტანკს, მოვიმარჯვე ხელეუმარა და ვტყორცნე მუხლუხებში. ტანკი გამოვიდა მწყობრიდან. ისევ ნაწილს დავებრუნდი, ვამანევებდი მებრძოლებს და კვლავ ცეცხლის აღნი ვავეხიე. ვადაწყვეტ მამენტში ჩვენს დაზგის ტყვიამფრკვეეს ლულა ვაუუქდა და ცეცხლი შეწყვეტა. ასპეთაურმა, კაპიტანმა ს. დარჩიამ, მსწრაფლ მიპიხბო და შიბრძანა მომეტანა როგორმე მეზობელი ნაწილიდან ტყვიამფრკვევის ლულა. მე დაუყოვნებლივ ვავეშურე ლულის მოსაუნად, დავალების შესრულების დროს მძივედ დავეკერ და უკრძნობლად დავეცი. ეს უბედურება თავს დამატყდა ყირიმში, სიძალდე აგუსტაფეხე. ჩვენმა ნაწილებმა უკან დაიხიეს, მე კი, ვინაიდან მოძრაობა არ შემეძლო მძიმე კრილობების გამო, ქვისსატეხ გამოქვაბულში დროებით მოწყობილ საექიმო პუნქტში მომათავსეს. 1942 წლის 21 მაისს გერმანელი დამპყრობლები გამოქვაბულში შემოკვიდნენ და ყველანი დავატყვევეს.

დიდი ტანჯვა-წვალების შემდეგ ღონემახდილი მომათავსეს ტყვეთა ბანაკში. აუწერელია ის ვაება, რაც მე იქ გადავიტანე, მაგრამ აქ აღარას ვამბობ, რადგან პიტლერელი ავაზაკების საბჭოთა-სამხედრო ტყვეებისადმი განააკუარებული მხეცური მოპყრობა ყველასათვის ცნობილია. ვიტყვი ძხოლოდ, რომ იმ ტყვეთა ბანაკში, სადაც მე ვიყავი, ქ. როენ-ოს მახლობლად (პოლონეთი), დიდძალი ტყვე იყო და ჩემი იქიდან კრუშინას ბანაკში გადმოყვანისას, ერთი წლის განმავლობაში ნახევარიც აღარ დარჩა ცოცხალი; დანარჩენნი დაიხოცნენ შიმშილით, სიცივითა და ავადმყოფობის გამო.

1943 წლის მარტ-აპრილში გერმანელებმა კრუშინას ბანაკში, მიგვიყვანეს და ქართულ ბატალიონში ჩაგვრიცხეს.

ასეაა წინააღმდეგობა პიტლერელ მოძალადეებთან შეუძლებელი იყო, რადგან ჩვენ ჯერ კიდევ არ გვექონდა ხელთ იარაღი და ფიზიკურადაც ძალზე დასუსტებული ვიყავით. სიტყვიერი პროტესტი კი, რომ გერმანელებს არ ჰქონდათ უფლება თავის საჯარისო ნაწილში სამხედრო ტყვეების გაერთიანებისა, ვერაფერს გავლენას ვერ მოახდენდა მხეცვებზე; ასეთი პროტესტის გამოთქმისათვის ფაშისტმა მტარვალეებმა ჩვენ თვალწინ ბოძზე ჩამოკიდეს და ჩამოახრჩეს ქართველი ინჟინერი მირიან გაბუნია. შექმნილ პირობებში ჯერ-ჯერობით მხოლოდ ბრძოლის ფარული საშუალებით შეიძლებოდა მტრისათვის ზიანის მიყენება. ეს გამოგვიყვანდა იმ უდიდესი დანაშაულებრივი მდგომარეობიდან, რომელშიაც ჩვენ და უნებურად აღმოვჩნდით სამხედრო ტყვეები. ვმსჯელობდით ტრაგიკულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ქართველები, თუ რა გვეღონა და ბოლოს, როგორც იყო, შევქეღით მტრის საწინააღმდეგო ფარული ჯგუფების ჩამოყალიბება. მალე პარტიზანული მოქმედება დაიწყო და მტრის საწინააღმდეგო მრავალი სასახელო ოპერაცია ჩატარეთ. ჩვენმა მებრძოლებმა პოლონელ პარტიზანებთან ერთად ვარშავის მახლობლად რკინიგზის ხიდი ააფეთქეს, ამას გარდა, ვტეხდით გერმანელების სამხედრო საწყობებს და იქიდან გატაცებულ იარაღსა და ტანსაცმელს პოლონელ პარტიზანებს ვაწვდიდით. როგორც ჩანს, გერმანელებმა ექვი აიღეს ქართველ მებრძოლებზე და კრუშინადან საფრანგეთში, ქ. ლეონში გადაგვიყვანეს, სადაც თენახე-ვარს დავრჩით; შემდეგ კი ჰოლანდიაში გადაგვისროლეს ზანდფორტს. აქ პირველ ხანებში ძლიერ გაგვიჰირდა ენის უცოდინარობის გამო, მაგრამ ბოლოს ცოტაოდენ ავითვისეთ იგი და დაუუახლოვდით ჰოლანდიელებს იმ მიზნით, რომ ერთად გვებრძოლა საერთო მტრის წინააღმდეგ.

ბატალიონის მებრძოლებიდან პირველ ხანებში დაეუახლოვდი ამხ. ევგენი არტუმიძეს და მამია პაქოჩას და დაეიწყეთ ზრუნვა ბატალიონში მტრის საწინააღმდეგო არალეგალურ ორგანიზაციის ჩამოსაყალიბებლად. შემდეგ ევგენი არტუმიძემ შესძლო ჰოლანდიის კომუნისტურ პარტიასთან დაკავშირება და მის საშუალებით მალე ჩაებათ პარტიზანულ ფართულ მოძრაობაში ქართული სამხედრო ტყვეები. ვიკისრეთ რა მთელი პასუხისმგებლობა პარტიული და პარტიზანული მუშაობის გაშლაზე ბატალიონში, ჩვენ კარგად მოვაგვარეთ ეს საქმე. ბევრი დახმარება გავუწიეთ ჰოლანდიელ პარტიზანებს მათ ბრძოლაში გერმანელი დამპყრობლებია წინააღმდეგ და ინგლისის მთავარსარდლობის დავალები იაც შევასრულეთ რიგი პასუხსაგები სამხედრო-ოპერატული დავალება: ზღვის სანაპიროს განალმვა, დაზვერვითი ხასიათის ცნობების შეკრება და მოკავშირეთათვის გადაცემა და სხვა.

დიდ ყურადღებას ვაქცევდით აგრეთვე პარტიასობრივი მუშაობის გაშლას ბატალიონის მებრძოლთა შორის. ჩვენი პარტიული ორგანიზაცია ენერგიულად მუშაობდა, მას უკვე 100 წევრამდე ჰყავდა თავის რიგებში. ჩვენ კონსპირაციულად ვუშეუბდით გაზეთ „ელფას“ და ამ ორგანოს საშუალებათ ვერცელებდით მებრძოლებში ინფორმაციებს ფონტებზე არსებული მდგომარეობისა და სხვა საპირო ამოცანების შესახებ. ყველა ამ ღონისძიების გატარებას შედეგად შევძელით ბატალიონის მომზადება აჯანყებისათვის და ველოდით ამისათვის შესაფერ მომენტს.

1945 წლის თებერვლის დამდეგს ზანდჟორტიდან კუნძულ ტექსელზე გადავიყვანეს; ამ ვითარებამ მძიმე პირობებში ჩაგვყენა, რადგან მოგვწყვიტა კონტინენტის პატრიოტულ ორგანიზაციებს, მაგრამ ეს გასაქირიც მალე დავძლიეთ: შევძელით კვლავ აღვედგინა ურთიერთობა ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის ქ. პარლემის ორგანიზაციასთან, რომლის მეშეობითაც მოვახერხეთ კუნძულზე არსებული პატრიოტული ორგანიზაციების მესვეურებთან დაკავშირება.

1945 წლის აპრილის დამდეგს ჩვენს ბატალიონს კონტინენტზე გადაყვანა დაუბირეს. გამოვარკვიეთ ისიც, რომ ჩვენ მოკავშირეთა წინააღმდეგ გვგზავნიდნენ ფონტზე. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა და აჯანყება გადავწყვიტეთ.

1945 წლის 5 აპრილის ნაშუალამევს ბატალიონი აჯანყდა. სასტიკი და მოულოდნელი კვეთებით ჩვენ ამოვწყვიტეთ კუნძულ ტექსელის გერმანული გარნიზონის თითქმის მთელი შემადგენლობა.

დავიპყრეთ კუნძული და სამოქალაქო ხელისუფლება ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებს გადაეცით.

რამდენიმე დღე კუნძულზე სიწყინარე ჩამოვარდა და თავისუფლად ამოვისუნაქეთ. ჩვენ მოლოდინში ვიყავით, რომ მოკავშირეები სწრაფ დახმარებას გავცე წვედნენ და დესანტს გადმოსხაძდნენ ჩვენ დასახნარებლად, მაგრამ ინგლისის სარდლობა მოლაღატურად მოგვექცა და მარტონი მიგვატოვა; ამით ისარგებლეს გერმანელებმა და დაიწყეს დესანტების გადმოსხმა კუნძულზე. მიუხედავად ჩვენ მიერ გაწეული ხანგრძლივი გაათეებული წინააღმდეგობისა, მტრის სიპარბემ გვძლია, იძულებული ვავხდით უკან დაგვეხიო და გერმანელებმა კვლავ დაიპყრეს მნიშვნელ უვანი ნაწილი კუნძულის ტერიტორიისა. ბოლოს ჩვენ ხელი ავიღეთ ფრონტალურ ბრძოლებზე და ტყეში გავედით პარტიზანებად.

ვინ მოსთვლის, რამდენი ვაება გადაგვხ და პარტოზანულა ბრძოლების წარმოების დროს. ბატალიონის შემადგენლობის ორ მესამედზე მეტი გავგიწყდა და დაკრილების მოვლა-პატრონობაც ძლიერ გვიძნელდებოდა, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის მხარის დაქერამ და ყოველახრივმა ხელის შეწყობამ დაგვაძლევინა ეს მძიმე გაქირვება.

1945 წლის მაისის დამლევს კუნძულზე კანადის ჯარის ნაწილი გადმოსხდა და ბრძოლებსაც ბოლო მოელა; მხოლოდ ამის შექდეგ შევეძლით თავისუფლად გამოსელა, კვლავ შევეკრიბენით და შევეუდექით სამშობლოში დასაბრუნებლად მზადებას.

წამოსვლის წინ შევეგროვეთ ბრძოლებში დაღუპული ქართელი მებრძოლები და დავკრიძალეთ ისინი ერთ საერთო ძმათა სასაფლაოში. ამ საქმეში კუნძულის მცხოვრებლებიც დიდ დახმარებას გვიწევდნენ. ბოლოს დადგა სანატრელი ტამი და ჩვენ სამშობლოსაკენ გამოვემგზავრეთ¹.

* * *

აქვე მოვიტანთ ყოფილი N ქართული დივოზიის პირველი ასეულის უფროსის კაპიტან სიმონ ფილიპეს ძე დარჩიას მიერ დაწერილ დახასიათებას:

¹ ამხ. ებრალიძის ნაამბობის დასადასტურებლად ჩვენ დამატებითი კვლევა ვაწარმოეთ. გამოირკვა, რომ ანხ. ებრალიძეს ფრონტზე ყოფნისას, ყირიმში, მართლაც საგმირო საქმე ჩაუდენია და უსახელებია თავი როგორც მკხნებარე პატრიოტს, მაგზამ მძიმე კრილობის მიღების გამო იგი ტყვედ ჩავარდნილა.

„დახასიათება.“

აზხ. ვარლამ სამსონის ძე ებრალიძე 1942 წლის აპრილში გამოკხადდა ჩემი დანაყოფში პოლიტბელის მოადგილის თანამდებობაზე და მუშაობდა 1942 წლის 11 მაისამდე. მასზე დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებდა როგორც ჩვეულებრივ, ისე საბრძოლო მდგომარეობაში. ამ დროის განმავლობაში ჩვენ ერთად ვმუშაობდით N მსრ. დივიზიის N მსრ. ლეგონში, სადაც მე ვმუშაობდი 1-ლი ასეულის მეთაურად, პოლიტბელის მოადგილედ კი ზენკოსენიშვილი ეწრალიძე. განსაკუთრებული დამაბული ბრძოლა მოგვიხდა 10 მაისს, როდესაც ებრალიძემ განსაკუთრებით განიჩინა თავი. მის მიერ მწყობრიდან გამოყვანილ იქნა გერმანელთა ერთი ტანკი, გარდა ამისა, იგი თავისი მოქმედებითა და სიტყვებით ალაფროთოვანებდა მეზობლთ განსაკუთრებით რთულ საბრძოლო პირობებში. 11 მაისს, როდესაც მოწინააღმდეგემ მწყობრიდან გამოიყვანა ჩვენი მძიმე ტვიკამპრკვევი, ებრალიძე ვავზაენილ იქნა მეზობელ ნაწილში სათადარიგო ნაწილის მოსატანად, რის შემდეგ ნაწილში აღარ დაბრუნებულა. როგორც ვადმოკცეს, ის დაიკრა მხრებში. აღნიშნული ბრძოლები მიმდინარეობდა სიმალლეზე 94.6 (ავუსტაფე).

აზხ. ებრალიძე 1942 წლის 1 მაისს მიღებულ იქნა სკ. კ. პ. (ბ) წევრად, 1942 წლის 5 მაისს საკანდიდატო ბარათი ჩემ წინ ჩააბარა ასეულის პოლიტკლ აპბროიი მაქელაქეს მასში საწევრო ანარიცხების ჩასაწერად. აზხ. ებრალიძის საბრძოლო წარმატებებზე ერთად ბრძოლების განმავლობაში, 1942 წლის აპრილიდან 11 მაისამდე, გარდა ამისა დაწერილი მაქეს ჩემს მოგონებაში, რომელიც 1945 წელს მოითხოვა პოლკოვნიკმა მუსერიძემ აკადემიკოს გიორგი ხაქაპურიძისთვის გასაცხვენად“.

ყოფილი ასეულის მეთაური, სკ. კ. პ. (ბ) წევრი კაპიტანი სიმონ ფილიპეს ძე დარჩია“.

თბილისი

27 ოქტომბერი, 1947 წელი

* * *

ქართულ ბატალიონში გერმანელი ოკუპანტების საწინააღმდეგო არალეგალური მუშაობის ერთ-ერთი ორგანიზატორის და „სამეულის“ წევრის მამია თეიმურაზის ძე პაკკორიას მოგონება.

„დავიბადე 1914 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფ. ხიდმაღალში, გლეხის ოჯახში. 1935 წელს დავამთავრე ქ. ბათუმის ინდუსტრიული მუშუაჯი, შემდგომ შევედი ამხ. ~~სახელმწიფო~~ სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიკურ განყოფილებაზე და დავამთავრე იგი 1941 წლის ივნისში.

როგორც საშუალო მეთაურის წოდების მქონე (ინსტიტუტშივე მივიღე ეს წოდება), 1941 წლის ივლისში საბჭოთა არმიის რიგებში გამიწვიეს და სამამულო ომში ჩავები.

1942 წლის მაისში ყირიმისათვის წარმოებულ თავდაცვითი ბრძოლების დროს გარემოცვაში მოვხვდით. მიუხედავად შეუპოვარი ბრძოლისა, ვერ შევძელით მტრის რკალის გარღვევა და ტყვედ ჩავვიგდეს გერმანელებმა.

მზე დამიბნელდა, საყვარელ სამშობლოს მომაცილეს ფაშისტმა ავაზაკებმა.

ჩემი გული განუზომელმა სევდამ მოიცვა, ვეძებდი გამოსავალს, მაგრამ არ იქნა, ხელიდანვერ დავესხლტი საძულველ მტერს. სხვებთან ერთად მეც ძლიერ მწვავედ განვიცადე ტყვეობა გეომანელი მტარვალების ხელში.

პროსკუროვოს ტყვეთა ბანაკში მოვხვდი. აქ ჯალათს ექირა ხის მომსხობარიათი ფოლადის ხვეულით შეპოტქასნილი მათრახი, რეზინის საბელით და უძოწყალოდ გვეცმდა ტყუილბრალოდ, მშიერსა და გაუბედურებულ სახედრო ტყვეებს.

განსაკუთრებით აუტანელი იყო ბანაკი ებრაელ ტყვეთათვის. გაიგებდნენ თუ არა, რომ ტყვე ებრაელია, გაიყვანდნენ მას ბანაკის ლობურიდან და ჩვენ თვალწინ ხვრეტდნენ. ამასთანავე ებრაელებს შერეკავდნენ ხოლმე სადებინფექციო კამერაში მას ობრივად და მრავალი ტანჯვის შემდეგ დახბრჩვალეპსა და მოხარშულთ გამოატანინებდნენ და ორმოში ყრიდნენ.

1943 წლის დასაწყისს კრუშინას ბანაკში მივკრეკეს და გავვადერთიანეს გერმანელების მიერ თვითნებურად შექმნილ „ქართულ ათასეულში“. თავზე მეხი დაქეცა, რომ დავეუფიქრდი და გავერკვიე მდგომარეობაში. საბჭოთა ადამიანებს უსაზიზღრესი მტრის ფორმა უნდა გვეტარებინა და ერთგულება გამოგვეჩინა კიდევაც მისი ინტერესებისადმი. მაგრამ ეს ხომ არაბუნებრივი, შეუძლებელი რამ იყო საერთოდ, განსაკუთრებით კი იმ გაუგონარი ტანჯვის შემდეგ, რაც ჩვენ ტყვეობაში გადავიტანეთ, ჰიტლერის მიერ აშკარად აღიარების გამო, რომ საბჭოთა ადამიანების დიდი უმრავლესობა გაწ-

ყვეტილი იქნება და მხოლოდ გერმანელი ბატონებისათვის საჭირო, განსაზღვრული რაოდენობის მონებს შეუნარჩუნებენ სიცოცხლეს და ისინიც თანდათან აღაგვირგინან დედამიწის პიოიდანო.

აშკარად გამოსვლა უმიზნო იყო, რადგან ძალღებს ვით ჩამოგვიღებდნენ სახრჩობელაზე. გადავწყვეტეთ ფარული ბრძოლის წარმოება, სანამ დრო არ დადგებოდა აშკარად გადაგვხდა „ვალი“ გერმანელი ნაშენებლებისათვის. პოლონეთში ყოფნისას ჩვენი ბატალიონის მებრძოლებმა დაიწყეს მტრის საწინააღმდეგო ფარული ბრძოლა, რის გამოც რქაურობას მოგვაცილეს, შორეულ პოლანდიაში წაგვიყვანეს და ზანდფორტში ზღვის სანაპიროს დაცვა დაგვავიღეს.

მაგრამ დაცვის ნაცვლად ჩვენ საიდუმლოდ გაენაღმეთ ზღვის სანაპირო და ვაცნობეთ მოკავშირე ინგლის-ამერიკის სარდლობას: გადმოსხით დესანტი, სანაპიროც თავისუფალია და ჩვენც თქვენთან ვიქნებით-თქო.

დიდი დახმარება გავუწიეთ ჩვენ ჰოლანდიელ პატრიოტებსაც და სიკვდილის საფრთხის ქვეშ ვაწოდებდით მათ ჩვენთვის დასაცავ დ ჩაბარებულ გერმანელს ა საწყობებიდან საგრძნობი რაოდენობის იარაღსა და ტყვია-წამალს.

ჰოლანდიელმა პატრიოტებმა ჩვენი დახმარებით კარგი საქმე გააკეთეს და მრავალ ჰიტლერულ დაუპატიებელ სტუმარს აპოვინეს სამარე ნიდერლანდების მიწის წიაღში.

ბატალიონში შექმნილ ფარულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა „სამეული“ ევგენი არტემიძის (თავმჯდომარე), ვარლამ ებრაღიძისა და ჩემი შემადგენლობით. ჩვენ არ დაგვიზოგავს თავი საერთო საქმისათვის და ბატალიონში მყოფ ქართველ სამხედრო ტყვეებს ვრახმავდით ნაცისტ არამხედრებზე შუიის საძიებლად.

ეს დროც დაგვიდგა. 1945 წლის 5 აპრილს, ნაშუალამევეს, ქართული ბატალიონი აჯანყდა, რისხვად დაატყდა თავზე კუნძულ ტექსელის გერმანელთა გარნიზონს და ამოწყვეტა მათი დიდი უმრავლესობა.

აჯანყების დამეს თავდადებით იბრძოდნენ ოცმეთაურები ვალერიან ჟღენტი, ვალერიან ბერაია, ალექსანდრე ურიდია და ივანე კუკუხიძე; მათ თან გაიყოლიეს გასაოცარი სიმამაცით მებრძოლი სხვა ქართველი მებრძოლები და მტრის ჯარისკაცთა და ოფიცრების გვაშებით აღავსეს ჩვენზე განპიროვნებული საბრძოლო უბანი.

მე პირადად ვხელმძღვანელობდი ორი დოტის აღებას. პირველ დოტში შევიარღინასა პისტოლეტით ოთხი გერმანელი მოვკალით,

ხელჩართული ბრძოლით დანარჩენებიც ამოვწყვიტეთ; ბოლოს ორმა გერმანელმა შექომიტია და უცილობელი სიკვდილი მელოდა, მაგრამ მებრძოლმა არტემ მურადაშვილმა მიხსნა: იგი ვეფხვივით ეძგერა გერმანელებს და ორივენი განგმირა ხიშტით.

მეორე დოტში ჩვენ ხელყუმბარები შეეტყორცნეთ და ნაწილი იმით გამოვასალმეთ სიცოცხლეს, ხოლო ვინც შიგნით გადაურჩა სიკვდილს, გარეთ გამოცვივდნენ და დოტის გამოსასვლელებთან ამოვწყვიტეთ უკლებლივ.

3 დღის შემდეგ კუნძულზე კვლავ მწვავე ბრძოლები დაიწყო, რადგან გერმანელებმა, დიდი მსხვერპლის გაღებით, მოახერხეს კუნძულზე დესანტის გადმოსხმა.

18 აპრილამდე ტექსელზე შეუწყვეტელი და სასტიკი სისხლისმღვრელი ბრძოლები წარმოებდა, ქართველები მასობრივ გმირობას იჩენდნენ და ორი ათასამდე გერმანელი ავაზაკი ამოწყვიტეს, მაგრამ შემდეგ მდგომარეობა გართულდა, ჩვენ იძულებული ვიყავით ხელი აგველო ფრონტალურ ბრძოლებზე, კუნძულის ტყესა და ღრეებს შევეფარეთ და პარტიზანობა დავიწყეთ.

მოკავშირეთა მიერ მარტოდ და დაუხმირებლივ მიტოვებულმა ქართველობამ ამის შემდეგაც ბევრი სასახელო საქმე ჩაიდინა, მაგრამ მსხვერპლიც დიდი იყო ჩვენი მხრივ. ტექსელის მოსახლეობა ეფექტურ სამხედრო დახმარებას ვერ გვიწევდა, სხვა მხრივ კი, — დაჭრილების შეფარებით, საკვების მოწოდებითა და საკირო ცნობების გადმოცემით მტრის სადამსჯელო ჯგუფების მოძრაობის შესახებ, — დიდი საქმე გაგვიკეთეს.

კუნძულზე კარგად იყო ორგანიზებული აჯანყება და მებრძოლებიც ისე თავგანწირვით იბრძოდნენ, რომ გავიმარჯვებდით კიდევაც, მაგრამ ინგლისის სარდლობამ გასაოცარი გულგრილობა გამოიჩინა და მარტონი შეგვატოვა ხელში გერმანელებს.

ტექსელზე აჯანყებულმა ქართველმა სამხედრო ტყვეებმა არალეგალური ბრძოლით წლების განმავლობაში და ბოლოს ჩადენილი მოქმედებით, მიუხედავად დამარცხებისა, დიდი და სასახელო საქმე გააკეთეს. მოკავშირეთა მიერ საერთო შეტევის წარმოების მომენტში ქართველმა ნეომრებმა სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა აწარმოეს გერმანელების საწინააღმდეგოდ და არ მისცეს მტერს საშუალება ფრონტზე გაეგზავნა გაერთიანებული ერების წინააღმდეგ რამდენიმე ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჰოლანდიის მოსახლეობაშიც კარგად ექირათ თავი ქართველ სამხედრო ტყვეებს და შესა-

ძლებლობის ფარგლებში მცხოვრებლებს გულწრფელ დახმარებას უწყევდნენ.

ქართული ბატალიონის მებრძოლებს თავი არ დაუზოგავთ თავისი ჭეყნისა და ჰოლანდიის ხალხის სამსახურისათვის, ქართველმა პარტიზანებმა ჰოლანდიაში დიდი მსხვერპლი გააღეს, მაგრამ სამშობლოში შერცხვენილად დაბრუნებას უცხოეთში ღირსეულად დაღუპვა არჩიეს და არც შეეძლოთ სხვა გზას დასდგომოდნენ.

ორ მესამედზე მეტი ქართული ბატალიონის მებრძოლებისა გმირულად დაეცა ანტიფაშისტურ ბრძოლაში და შორეული ჰოლანდიის კუნძულ ტექსელზე ასაფლავია. დიდება და საუკუნო ხსოვნა მათ.

ტექსელის აჯანყებაში მონაწილე და სიკვდილს გადარჩენილი ქართველი პარტიზანები ომის დამთავრებისთანავე დაბრუნდნენ საქართველოში და დაიწყეს ნაყოფიერი შრომა თავიანთ დარგში.

მეც არ ვიციწყებ ახალგაზრდა ინჟინრის მოვალეობას დედამშობლოს წინაშე და, მიუხედავად სერიოზული დაავადებისა, ტყვეობაში გადატანილი ტანჯვის შედეგად, წარმატებით ვმუშაობ ქუთაისის საავტომობილო გიგანტის მშენებლობაზე.

ომის შექდგომი მშენებლობის საქმეში არც მე ჩამოვრჩები ტოლამზანაგებს და მთელ ჩემს ენერგიას მოვანდომებ ახალსტალინური ხუთწლედის დიად ამოცანათა ღირსეულად შესრულების საქმეს.

თბილისი

23 ნოემბერი, 1947 წელი

დამატება III

პარტიული კომიტეტის მდივნის მგვანი აკთმის ხანგარიშით მოსხმება პარტიული გატალიონის პარტორგანიზაციის კამეაზე ¹

„მის შემდეგ, რაც ბრძოლაში დაეიქერი და ტყვედ ჩამიგდეს ფაშისტმა მტარვალებმა, მე სულ იმის ფიქრში ვიყავი, რომ თავი დამეღწია ტყვეობიდან და ისევ დავბრუნებოდი მშობლიური წიფელი არმიის რიგებს. ეს საქმე უფრო ეფექტური მაშინ იქნებოდა, თუ დავრახმავდი და თან გავიყოლებდი ჩემსავით აუტანელ მდგომარეობაში მყოფ სხვა საბჭოთა სამხედრო ტყვეებს. ამ დიდი საქმის შესრულება ვერ მოვახერხებთ პოლონეთში ყოფნის დროს, რადგან ჩვენზე ადრე იქ ორგანიზებული ერთი ქართული ნაწილის (კაპიტან ქიქინაძის ხელმძღვანელობით) აჯანყებისა და კვლავ წითელი არმიის მხარეზე გადასვლის გამო ჩვენი ათასეული გაგზავნილ იქნა ღრმა ზურგში, — პოლანდიაში. ყველასათვის ცხადია, ჩვენს პატარა ძალას ისეთ ადგილზე, როგორც არის პოლანდია, მიუხედავად იმისა, რომ იარაღი გვქონდა, ფრონტალური ბრძოლის გამართვა მტრის საწინააღმდეგოდ და გამარჯვების მიღწევა არ შეეძლო, ამისათვის აუცილებელი შეიქნა დაკავშირება კომუნისტურ და სხვა პარტიულ ორგანიზაციებთან, რომელნიც გვიხელმძღვანელებდნენ ანტიფაშისტურ მუშაობაში.

ჩამოსვლის დღიდანვე ვცდილობდი დავკავშირებოდი ასეთ ორგანიზაციას, მაგრამ ეს არ იყო უბრალო საქმე, ამას სჭირებოდა დიდი ნდობის დამსახურება. დაკავშირება ვერ მოვახერხე 1944 წლის იანვრამდე; აქედან ვიწყებ არალეგალურ მუშაობას პოლანდიის კომპარტიის ცეკას დირექტივების საფუძველზე და ვიქსახურებ მათ ნდობას. ამ მუშაობის ჩატარების შექდეგ ვეცნობი ჩვენი ათასეულის შიგნით საუკეთესო მებრძოლებს და ვიწყებთ პარტიულ-პარტიზანულ არალეგალური ჯგუფის ჩამოყალიბებას საუკეთესო ამხანაგებიდან.

¹ საბ. № 8. მოხსენება გაკეთებულია პარტორგანიზაციის კრებაზე 1945 წლის 27 მაისს, კუძულ ტექსტზე.

სათანადო მუშაობის ჩატარებისა და ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის ნებართვას შედეგად ჩვენ მალე ჩამოვაყალიბეთ ბატალიონში პარტჯგუფი.—7 კაცის შემადგენლობით (იხ. ოქმი № 1 1944 წლის 5 მარტის თარიღით).

პარტჯგუფმა გაშალა აგიტაცია-პროპაგანდა და შეისწავლა ათასეულში მყოფი აქტიური ამხანაგები, რომლებზედაც შეიძლება დაეყრდნობა. ამის შემდეგ ჩვენმა პარტიულმა ჯგუფმა აჩვენა რა მუშაობის საუკეთესო მაგ ლითები ჰოლანდიის კომპარტიის ცეკას, მიიღო ნებართვა კიდევ უფრო გაგვეზარდა პარტიული ბირთვი, რის შედეგად მიღებულ იქნა ჩვენს რიგებში საუკეთესო ამხანაგების ხარჯზე 4 ამხანაგი (იხ. ოქმი № 3, 1944 წლის 1 აპრილის თარიღით). 1944 წლის 5 მაისს კიდევ იქნა მიღებული 6 ამხანაგი (ოქმი № 4). ამის შემდეგ მივამაგრეთ ასეულებზე ამხანაგები და ფართოდ გაიშალა მუშაობა ათასეულში. შერდეგ აღეძარით შუამდგომლობა ჰოლანდიის ცენტრ. კომიტეტის წინაშე კომიტეტის ჩამოყალიბების შესახებ, რაზედაც ნება დაგვრთეს (მომართვა ცენტრ. კომიტეტისა № 2). ძირითადად ჩვენი მუშაობა იქითკენ იყო მიმართული, რომ ათასეულში გაგვეშალა პოლიტმასობრივი მუშაობა და ისე დაგვერაზმა მებრძოლები, რომ მზად ყოფილიყვნენ შესათერის მომენტში ასაჯანყებლად, მანამდე კი ჰოლანდიაში არსებულ პარტიზანულ ორგანიზაციებს ვამარაგებდით საბრძოლო იარაღებით: თოფით, ტყვია-წამლით, ხელყუმბარით და სხვა.

კომიტეტი ჩამოყალიბებულ იქნა 5 კაცის შემადგენლობით—3 წევრი და 2 წევრობის კანდიდატი (ოქმი № 5, 1944 წლის 6 ივლისის თარიღით). ასე იზრდებოდა ორგანიზაციის რიგები საუკეთესო ამხანაგების ხარჯზე. დროთა მსვლელობაში საქირო გახდა გაგვეზარდა კომიტეტის შემადგენლობა და კომიტეტში დამატებით შეყვანილ იქნა კიდევ 6 ამხანაგი—ეს, კომიტეტის აზრით, უზრუნველყოფდა ყველა იმ ამოცანის შესრულებას, რაც საბოლოო მიზნად გვქონდა დასახული.

არალეგალობის პერიოდში, —1944 წლის 5 მარტიდან 1945 წლის 7 თებერვლამდე, ბატალიონის პარტორგანიზაციაში მიღებული იქნა 80 წევრი. ტექსელზე ბრძოლების დროს დაიღუპა პარტიის 26 წევრი. არალეგალურ პერიოდში მომუშავე პარტწევრებიდან ცოცხალი გადარჩა 54 კაცი, ბრძოლების შემდეგ მივიღეთ 31 წევრი. ამრიგად, ბოლო დროს ბატალიონის პარტორგანიზაციაში პარტიის 85 წევრი ითვლებოდა, ხოლო მოკლულ და გადაარჩენილ პარტიის წევრ მებრძოლთა საერთო რიცხვია 111 კაცი.

არალეგალური მუშაოების სისტემა

მე უშუალოდ მქონდა კავშირი ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის პარლემის ორგანიზაციასთან. ბატალიონში შევქმენით აგრეთვე განსაკუთრებული სამეული, რომელსაც კომიტეტი არ იცნობდა. კომიტეტის წევრები ცნობდნენ ერთიანობას, ხოლო პარტიის წევრები ცნობდნენ იმ კომიტეტის წევრს, რომლის ჯგუფშიც თვითონ იყვნენ გაერთიანებული. ყველა არალეგალურად მომუშავე ამხანაგი ატარებდა ფსევდონიმს და ოქმში მათი გვარები ამ სახით იწერებოდა. კომიტეტის თვითმართული წევრი ნომინირებული იყო ასეულზე და ამზადებდა მას აჯანყებისათვის. მიმაგრებულ წევრს ცნობდა მხოლოდ კომიტეტის მიერ დანიშნული ასპეტაური. ასპეტაური ნიშნავდა ოცმეთაურს, თითოეულ ასეულში 4 კაცს, რომლებიც ცნობდნენ თავიანთ ასეულის მეთაურს და ერთიმეორეს კი ვერა. ასეთივე იყო ათეულის მეთაურების მუშაობა. ამ სისტემით იქნა მიღწეული ის, რომ არალეგალობის პერიოდში არ ყოფილა შემთხვევა რომელიმე ამხანაგის ჩავარდნისა, მიუხედავად იმისა, რომ გერმანელების სარდლობა ექვის თვალთვლით გვიყურებდა.

მაღერიალური დახმარების ორგანიზაცია

ჩვენ გვყავდა არალეგალურად მომუშავე ამხანაგებიდან ისეთები, რომლებიც მუშაობდნენ იარაღის, ტყვია-წიპლის, სურსათისა და ტანსაცმლის გერმანულ საწყობებში. ჰოლანდიის რიგი პარტიზანული ორგანიზაციის ძირითადი მომარაგების წყაროს სწორედ ჩვენ მიერ გადაცემული საბრძოლო საშუალებანი წარმოადგენდა. ყველა ზემოჩამოთვლილი ნივთის ადგილზე მიტანა ხდებოდა გერმანული ტრანსპორტით, რომელზედაც მუშაობდნენ ჩვენი პარტიული ამხანაგები. საერთო ხელმძღვანელობა გადაზიდვისა და ადგილების მიჩნევისა პარტიული კომიტეტის ხელთ იყო და ყველა ნივთი გადაცემული იყო დანიშნულებისამებრ.

კოლქმანსობრში მუშაობა ჰოლანდიის მონახულებაში

სათანადო ამხანაგების გამოყენებით ვატარებდით პატარა ჯგუფებთან საუბრებს საბჭოთა კავშირის სისტემაზე, მის პოლიტიკაზე, მცხოყრებთა უფლებებზე, საბჭოთა ჯარის სიმტკიცეზე, მის შეიარაღებაზე და ჯარისკაცის მოვალეობის შესახებ. ამ თემე-

ბზე საუბრების ჩატარების დროს მაგალითებად მოგვეყავდა საბჭოთა კავშირის მიღწევები აპ ომში და ჩვენი პრაქტიკული მოქმედებანი ჰოლანდიაში. ჩვენმა კომიტეტმა მიაღწია იმას, რომ იმ ადგილებში, სადაც ჩვენ მოგვიხდა ცხოვრება, ათასეულმა საუკეთესო სახელი დაინსახურა, რის დასამტკიცებლად ჩვენ მოგვეპოვება მრავალი საბუთი, მაგალითად: საბუთები, გაცემული ჰოლანდიის კონპარტიის ცეკასაგან, ქალაქ ზანდფორტსა და ქალაქ დენ ზურხის კომენდატურათაგან.

ჩვენ გვენდო ხალხი, ასეული პარტიზანები შეგვიერთდნენ ბრძოლის დროს და ჩვენთან ერთად ღვრიდნენ სისხლს უსამართლობის მოსასპობლად. აგრეთვე ჩემ მიერ ჩამოყალიბებულ იქნა პარტიული ჯგუფი კუნძულ ტექსელზე, სადაც გაერთიანდა 45 წევრი. ამ ორგანიზაციის მდივანად გამოყოფილ იქნა ჰოლანდიელი ქალი კორნელია ბოონი, რომელიც ადრევე იყო კომუნისტი. ამ ორგანიზაციის წევრები აჯანყების დროს აქტიურად გვეხმარებოდნენ. ანი კლანი— ჰარლემის რაიკომის მდივანი— ხშირად მატანდა სათანადო ლიტერატურას რასულ ენაზე, რომელსაც ჩვენთან ჩამოყალიბებულ ორგანიზაციას ვაწოდებდი. ზემომოყვანილი ფაქტები, მგონი, საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ ჩვენ შესაფერისს დონეზე გვექონდა დაყენებული აგიტაცია-პროპაგანდის საქმე ჰოლანდიის მოსახლეობაში.

არალეგალური პარტია

ჩამოყალიბებული გვექონდა რედკოლეგია. გაზეთი გამოდიოდა ქართულ ენაზე, შემდეგ ითარგმნებოდა ჰოლანდიურ ენაზე; მას ეწოდებოდა „ელვა“. გაზეთი დიდ საშუალებას გვაძლევდა უფრო მისაწვდომი და მოსახერხებელი ყოფილიყო აგიტაცია-პროპაგანდის წარმოება როგორც შიგნით ათასეულში, ისე სამოქალაქო მოსახლეობაში. გვექონდა აგრეთვე რადიომიწლები, რის საშუალებით საბჭოთა კავშირიდან გადმოცემული ცნობები დაგვეყავდა თითოეულ მებრძოლამდე, რის მეშვეობით კიდევ უფრო ვანტიციცებდით ჩვენს რიგებს. გაზეთების ცალკეული ნომრები საქმეში ინახება.

მოკავშირე მთა სარდლობასთან დაკავშირება

ზემოაღნიშნული მოსახლადებელი მეშაობის ჩატარების შედეგად ათასეული ყოველწრივ მხად იყო. გარდა ამისა, აუცილებელი იყო მოკავშირეთა სარდლობასთან კავშირის დამყარება, რომ საბრ-

ძოლო ამოც. ნა. უჯრო დროულად შესრულებულიყო. ამ მხრივ ჩვენ-
მა კომიტეტმა იზრუნა და ჰოლანდიის კომპარტიის დახმარებით
მიზანს მივალწიეთ, — დაფიქრეთ კავშირი ინგლისის სარდლობასთან.
კომიტეტმა მიიღო გარკვეული საიდუმლო ნიშნები და პაროლი,
რითაც ისარგებლებდა დესანტის გადმოსხმისა და მოკავშირეთა ჯა-
რების მოახლოების შემთხვევაში. ინგლისის სარდლობიდან 1944
წლის 8 სექტემბრის თარიღით მიღებული პასუხი ნათელ წარმოდ-
გენას გვაძლევს, თუ რა მოთხოვნას ვუყენებდით ინგლისის სარდ-
ლობას. ერთი სიტყვით, ყოველგვარი ზომები იქნა მიღებული პარ-
ტიული კომიტეტის წიერ, რომ დაგვეჩქარებინა იარაღით გამოსვლა-
ფაშისტების წინააღმდეგ. ჩვენ დროულად შევძელით თითოეულ
მებრძოლში გამოგვეშეავებინა მორალური სიძქეცე, საბრძოლო
ნაბიჯის პრაქტიკულად გადადგმის საკითხს ვათანხმებდით ჩვენს
ხელმძღვანელ ჰოლანდიის არალეგალური კომუნისტური პარტიის
ცეკასთან, რომლის მითითებაც დროულად და უყოყმანოდ სრულ-
დებოდა.

მაგალითად: ინგლისის სარდლობის დავალების საფუძველზე,
ცეკასაგან მოგვეცა დავალება, რომ შეგვესწავლა ჩვენს ახლო არსე-
ბული გერმანელების სიმაგრეები, აგრეთვე გაგვეწმინდა კუნძულზე
დანალმული ადგილები, რათა გაგვეადრულებინა მოკავშირეთათვის
დესანტის გადმოსხმა. ეს დავალებანი შესრულებულ იქნა: შევად-
გინეთ სიმაგრეთა გეგმები, გააუფნებლეთ ნაღმები და სქემები დაუ-
ყოვნებლივ გადაეუგზავნეთ მოკავშირეებს. მიუხედავად ამისა, საუბე-
დურად, ჩვენი ათასეულის ჰოლანდიაში, კონტინენტზე, ყოფნის
დროს მოკავშირეებისაგან რაიმე მზრუნველობას — დესანტის გადმოს-
ხმით ან სხვა რაიმე საშუალებით — ადგილი არ ჰქონია და ჩვენც
იძულებული ვიყავით გვეცადა განსაკუთრებული ბრძანებისათვის.

ჩვენი ქართული ათასეული გერმანელთა სარდლობის მიერ მიჩ-
ნეული იყო საექვე ათასეულად და ზანდფორტთან ფრონტის მოახ-
ლოების გამო, 1945 წლის 9 თებერვალს, ათასეული გადასროლილ
იქნა ჩრდილოეთის ზღვაში, ჰოლანდიის კუნძულ ტექსელზე. ჩვენ
ძლიერ გვეწინა ეს, რადგან უკვე დაახლოებული ვიყავით ადგი-
ლობრივ მოსახლეობასთან. ჩავედით თუ არა კუნძულზე, ჰო-
ლანდიის კომპარტიის დახმარებით დავუკავშირდით ადგილო-
ბრივ მოსახლეობას, დავრახმეთ ის და ამავე დროს კვლავ აღვა-
დგინეთ ნორმალური ურთიერთობა მოკავშირეებთან. ახალ

ადგილზე ვენჯადებოდით და ვუცდიდით ხელსაყრელ მომენტს. რათა ბრძანებისთანავე, მშრომელ მოსახლეობასთან ერთად, ლახვარი ჩაგვეცა კუნძულის გერმანული გარნიზონისათვის.

იმის გამო, რომ მოკავშირეების ჯარებმა ჰოლანდიის ტერიტორიაზე საგრძნობი დაწოლა მოახდინეს და გერმანია თავის ტერიტორიაზედაც (აღმოსავლეთში) წითელი არმიის გაჰანადგურებელ დარტყმებს განიცდიდა, გერმანულმა სარდლობამ გადაწყვიტა ჩვენი ათასეულის დაშლა, — უშეტესი ნაწილის ფრონტზე გაგზავნა, დანარჩენის კი კუნძულზე დატოვება.

შექმნილი მძიმე ვითარების გამო ჩვენმა პარტიულმა კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება: უარი ეთქვა ბატალიონის შემადგენლობას მოკავშირეთა წინააღმდეგ ფრონტზე წასვლაზე და კუნძულზე წყოფ ჰოლანდიელ აქტივთან ერთად აჯანყებულ იყო.

1945 წლის 5 აპრილს ნაშუალამევის 1 საათზე ავუჯანყდით გერმანელებს და მოულოდნელი დარტყმით კუნძული ტექსელი განთავისუფლებულ იქნა.

დავიკავეთ თუ არა კუნძული, ავადრიალეთ სახელმწიფო დაწესებულებებზე ჩვენი და მოკავშირეების დროშები.

რადგან მოსალოდნელი იყო გერმანელების შემოტევა კონტინენტიდან, ჩვენ გავგზავნეთ წარმომადგენლები ინგლისელებთან და ვთხოვეთ დახმარება, მაგრამ რეალური დახმარება არ მიგვიღია, მხოლოდ გვათვალისწინებდნენ ინგლისელები ბრძოლის დროს და არ დაბოძებეს ეფექტურად დენ ჰელდერის ნავსადგურიც კი, საიდანაც მოსალოდნელი იყო ფაშისტური დესანტის გადმოსხმა კუნძულზე. ჩვენი ათასეული მორალურად ისე იყო განწყობილი, რომ თითოეულ მებრძოლს გმირულად სიკვდილი ერჩია თავისუფლებისა და სამშობლოსათვის, ვიდრე თავისი ქვეყნისა და მოკავშირეთა წინააღმდეგ წასულიყო.

9 აპრილამდე კუნძული ჩვენ ხელში იყო. შემდეგ გერმანელებმა დესანტების გადმოსხმა იწყეს, მაგრამ მძიმე ბრძოლებში მაინც ეინარჩუნებდით კუნძულს 19 აპრილამდე, რის შემდეგ ათასეულის მეთაურობა იძულებული გახდა პოზიციური ბრძოლებიდან პარტიზანულ ბრძოლებზე გადასულიყო. ამ დროს 750 ჩვენი მებრძოლიდან ცოცხალი გვეყავდა მხოლოდ 500 მებრძოლი.

19 აპრილიდან ჩვენ განაგრძობდით პარტიზანულ ბრძოლას გერმანელების წინააღმდეგ, როგორც კაპიტულაციამდე, ისე შემდეგაც, მაგრამ მსხვერპლი კაპიტულაციის შემდეგ უფრო მეტი მოგვივიდა; ეს იმიტომ მოხდა, რომ გავვიჭირდა კავშირის აღდგენა ჩვენს

კალკულად მებრძოლ ჯგუფებთან. ამის გამო ისინი აშკარად გა-
წოდოდნენ მოსახლეობაში და დემონს ჟრაცეებზე, ხოლო ამით სარ-
გებლობდნენ კუნძულზე დარჩენილი, მოკავშირეთა მიერ ჯერ კიდევ
განუიარაღებელი, გერმანელები და ტერორისტულად გვინადგურებ-
დნენ მებრძოლებს. კუნძულზე ბრძოლა 1945 წლის 18 მაისამდე
გრძელდებოდა, სანამ მოკავშირეებმა არ მოგვისწუეს.

ტექსელზე წარმოებულ ბრძოლებში ჩვენ 521 კაცი დავკარგეთ
მოკლულთა სახით. ჩვენ მიერ კი, როგორც გამოირკვა, 2500-მდე
გერმანელი იქნა დახოცილი, ამასთანავე ხელთ ვიგდეთ მრავალი
ძიძე და მსუბუქი სხვადასხვა სახის იარაღი. ეს იარაღები ჩვენ
ხელთ იყო ბოლომდე და შემდეგ, როდესაც სათანადო ბრძანება
მივიღეთ, მხოლოდ მძიმე იარაღები ჩავაბარეთ კანადელებს. ბრძოლე-
ბის დამთავრების შემდეგ ცოცხალი დარჩა 228 კაცი, აქედან 4
კაცი ინგლისში იყო წინაო გაგზავნილი და ჩვენთან აღარ დაუ-
ბრუნებიათ. 1945 წლის 26 მაისის შემდეგ ჩვენ მთლიანად შევა-
გროვეთ მტერთან ბრძოლაში დაღუპული მებრძოლების გვამები
და დავასაფლავეთ ქ. დენ ბურხის ახლოს ძმათა საერთო სასა-
ფლაოზე. ამასთანავე ჩვენს მებრძოლებს შორის შეეკრიბეთ საკირო
თანხები ძმათა სასაფლაოს გასაფორმებლად და ძეგლის ასაგებად.
კუნძულის მოსახლეობაც დიდ მონაწილეობას იღებდა დაღუპული
გმირი მებრძოლების გვამების შეგროვებასა და დაკრძალვაში.



ს ა რ ჩ ე ვ ი

	გვ.
1. წესდგალი	3—8
2. ცალკეული საჯარისო დანაყოფების შედგენა სამხედრო ტყვეთაგან . . .	9—12
3. ქართული ბატალიონის შემაღენლობა და საქმიანობა ხანდფორტს ყოფ- ნის დროს	12—14
4. ნიდჲოლანდების კომუნისტურ პარტიასთან დაკავშირება და არალეგა- ლოზ-პარტიზანული მუშაობის გაშლა ბატალიონში	14—19
5. არალეგალური პარტიზანული ორგანიზაციის ჩამოყალიბება ქართულ ბატალიონში და მისი მუშაობა	19—35
6. ქართული ბატალიონის ტექსელს გადასვლა და არალეგალური მუშაობის გაგრძელება კუნძულზე	36—41
7. ქართული ბატალიონის აჯანყება კუნძულ ტექსელზე	42—60
8. ქართული ბატალიონის ცხოვრება კუნძულზე გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ	60—69
9. ინგლისის გაგზავნილი დელეგაციის ხვედრი	69—72
10. ქართული ბატალიონის წაწოსვლა კუნძულ ტექსელიდან და საშუაბ- ლოში დაბრუნება	72—80
11. დასკვნები	81—97
12. დასკვნები I. რეზოლუციური წყაროები ქართველი პარტიზანების მოქმედების შესახებ ჰოლანდიაში	98—112
13. დასკვნები II. ქართული ბატალიონის მებრძოლთა მოგონებანი მოკლე ბიოგრაფი- ითურთ, რომლებიც დამატებით მასალებს შეიცავენ ამ სამხედრო დანაყოფის შესახებ	113—155
14. დასკვნები III. პარტიული კომიტეტის მდივნის ევგენი არტემიძის მოხსენება ქარ- თული ბატალიონის პარტორგანიზაციის კრებაზე	156—162